გია ჭანტურია

მისი უდიდებულესობა დედოფალი

თბილისი
2002 წელი

წიგნი „მისი უდიდებულესობა – დედოფალი“ ეძღვნება თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე სახელგანთქმულ პიროვნებას, გაერთიანებული სამეფოს და თანამეგობრობის მეთაურის, მისი უდიდებულესობა დედოფალ ელისაბედ II გამეფების „ოქროს იუბილეს“.

ნაშრომში განხილულია მონარქიის თანამედროვე ინსტიტუტი, მოკლედ მიმოხილულია ბრიგანეთის სამეფო ოჯახების ისტორია, წარმოდგენილია მისი უდიდებულესობა დედოფალ ელისაბედ II ბიოგრაფია, ქვეყნის მონარქების ქრონოლოგია.

ბრიგანეთის მონარქიის შესახებ წიგნი პირველად გამოვიდა ქართულ ენაზე, რაც, ვფიქრობთ, გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ჩვენს საზოგადოებას ბრიგანეთის მონარქიის შესახებ.

The book 'Her Majesty – The Queen' is dedicated to the 'Golden Jubilee' of the reign of the most famous person of the age, the head of the United Kingdom and Commonwealth, Her Majesty the Queen Elizabeth II.

The Modern Institute of Monarchy is discussed in the work, briefly is told the history of British Royal Families: the biography of Her Majesty Queen Elizabeth II; Chronology of Monarchs in the United Kingdom.

The book about the British Monarchy is published in Georgia for the first time. We think it will give our society a chance to get acquainted with British Monarchy.

საგამომცემლო ჯგუფი:
გ. ბაგრატიონი
ნ. კალანდაძე
ი. მარგველაშვილი
ნ. ქვაჩახია
ნ. ჩავლეიშვილი
ნ. ჩიტაია
დ. ჯაბუა

© გია ჭანტურია, 2002

ISBN 99928-58-59-1

© გამომცემლობა „ნეკერი“, 2002

გია გიორგის ძე ჭანტურია

დაიბადა თბილისში. დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1982 წლიდან იგი 55-ე საშუალო სკოლის პედაგოგია, 2000 წლიდან დირექტორი.

გია ჭანტურია განსაკუთრებით დაინტერესებულია ბრიტანეთის სამეფო ოჯახით, კერძოდ, მისი უდიდებულესობის დედოფალ ელისაბედ II მოღვაწეობით, რისი შედეგიც არის წარმოდგენილი ნაშრომი.

გია ჭანტურია თბილისის მერიის რ. დანიბეგაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატია, იგი არის საშუალო სკოლის IX და X კლასების გეოგრაფიის სახელმძღვანელოების ავტორი.

YOUR MAJESTY!

The year 2002 is remarkable in the history of the United Kingdom, Commonwealth and the whole world.

This is the year, when you, your Majesty, celebrate the Golden Jubilee of your reign.

Being a Monarch is by all means the biggest burden towards the people and the country. You have never broken the constitutional duties of the Monarch. You always fulfill your hardest duties.

For half of the century you have been fulfilling this noble work gifted to you from God.

Your reign has proved that monarchy is inseparable part of modern democracy.

Your Majesty! You are the most prominent figure of the modern world. You are the best Monarch, the best wife, the best mother and grandmother. Your biography is the most exciting page in the contemporary history of which generations are proud and will be proud in future too.

Millions of people both in monarchial and republican countries are your great admirers.

You are the best person of our planet.

British Monarchy is not only a treasure of British history, but a treasure of world civilization.

God bless the Queen

Yours Sincerely Mr. **Gia Chanturia**

სარჩევი

წინასიტყვაობა 7

მონარქიის ინსტიტუტი 11

ცოტა რამ ისტორიიდან 58

მისი უდიდებულესობა დედოფალი 80

თავი I 80

თავი II 120

დინასტიები და მონარქები *(მეფობის წლები)* 206

მისი უდიდებულესობის დედოფალ ელისაბედ II მეფობის პერიოდში მომხდარი ზოგიერთი ცნობილი მოვლენა მსოფლიოში, გაერთიანებულ სამეფოსა და ბრიტანეთის სამეფო ოჯახში 1952-2002 წწ 209

ფერადი ტაბულები

1. დედოფალი ელისაბედ II და ედინბურგის ჰერცოგი ფილიპე II
2. დედოფალი ელისაბედ II, მეფედკურთხევის დღე, 1953 წ.
3. დედოფალი ელისაბედ II, 1992 წ.
4. პრინცესა ელისაბედი, 1944 წ.
5. დედოფალი ელისაბედ II, 1977 წ.
6. დედოფალი ელისაბედ II, 2001 წ.
7. დედოფალი ელისაბედ II, 1978 წ.
8. დედოფალი ელისაბედ II, 1992 წ.
9. დედოფალი ელისაბედ II, 1988 წ.
10. დედოფალი ელისაბედ II, 1992 წ.
11. პრინცი ჩარლზი, უელსის პრინცი
12. პრინცესა დაიანა
13. პრინცი უილიამი
14. პრინცი ჰენრი
15. პრინცესა ანა
16. პრინცი ენდრიუ, იორქის ჰერცოგი
17. უესექსის გრაფი და გრაფინია
18. ბაქინჰემის სასახლე
19. ლურჯი სასტუმრო ოთახი. ბაქინჰემის სასახლე
20. დედოფალი ელისაბედ II და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი ნელსონ მანდელა, 1996 წ.
21. დედოფალი ელისაბედ II და რომის პაპი იოანე პავლე II, 2000 წ.
22. უინძორის ციხე-სიმაგრე. წმიდა ჯორჯის ჰოლი

23. ბოლმოროლის ციხე-სიმაგრე.
24. დედოფალი ელისაბედ II, 1993 წ.
25. დედოფალი ელისაბედ II, 2002 წ.
26. პრინცესა მარგარითა, სნოუდონის გრაფინია
27. დედა დედოფალი; დედოფალი ელისაბედი
28. დედოფალი ელისაბედი და მეფე ჯორჯ VI
29. დედოფალი ელისაბედ II, 1981 წ.
30. დედოფალი ელისაბედ II, 1999 წ.
31. დედოფალი ელისაბედ II, 1996 წ.
32. დედოფალი ელისაბედ II, 2002 წ.
33. წმინდა ედუარდის გვირგვინი
34. იმპერიული სახელმწიფო გვირგვინი
35. დედოფალ ვიქტორიას გულსაბნევი
36. ქემბრიჯისა და დელის ყელსაბამი
37. ბენთლი. გამეფების ოქროს საიუბილეო საჩუქარი დედოფალ ელისაბედ II-სათვის
38. ოქროს სახელმწიფო ეტლი
39. დედოფალი ელისაბედ II და ესპანეთის მეფე ხუან კარლოს ბურბონი, 1988 წ.
40. სამეფო წყვილი და აშშ პრეზიდენტი ქლინთონი, 1994 წ.
41. დედოფალი ელისაბედ II, პრინცი ჩარლზი და პრინცი უილიამი

ნინასიტყვაობა

2002 წლის ზაფხულში ბედნიერება მქონდა, საკუთარი თვალით მეხილა დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფოს და თანამეგობრობის მეთაურის, მისი უდიდებულესობის დედოფალ ელისაბედ II გამეფების ოქროს იუბილისადმი მიძღვნილი „საიუბილეო კვირის" ცერემონიალები, რომლებმაც, მსგავსად მილიონებისა, ჩემზეც განუმეორებელი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს იყო მსოფლიოს ხალხების ნამდვილი ზეიმი. დაუვიწყარია ოთხი ივნისი-საიუბილეო წლის თავისებური კულმინაცია, როდესაც მილიონზე მეტი სხვადასხვა რასის, ეროვნების, ასაკის და სქესის მოზეიმე ადამიანი, ჩაფლული ბრიტანეთისა და ინგლისის დროშების ზღვაში, მეფობის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ულოცავდა 76 წლის დედოფალს, მომღიმარს, ოქროს ეტლიდან, რომელშიც რვა საუცხოო თეთრი ცხენი იყო შებმული.

XX საუკუნის დასაწყისში ევროპაში მხოლოდ სამი რეს-პუბლიკური მმართველობის ქვეყანა იყო: საფრანგეთი, შვეიცარია და სან-მარინო, დანარჩენი ევროპა კი გვირგვინოსნებს ეპყრათ ხელთ. მონარქიული სამყაროსათვის თავზარდამცემი იყო რომა-ნოვების ტრაგედია, რომელმაც შემდგომ ჰაბსბურგებიც და ჰოენცოლერებიც გაიყოლა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მონარქიის ინსტიტუტზე უარი თქვა იტალიამ და ზოგიერთმა სხვა ქვეყანამაც, ჩვენ თვალწინ დაემხო შაჰის ხელისუფლება ირანში, მაგრამ ყოველივე როდი ნიშნავს მონარქიული იდეების გაქრობას თანამედროვე მსოფლიოში. დღეს, როდესაც კაცობრიობამ 21-ე საუკუნეში შეაბიჯა, როდესაც კოსმოსში ფრენა ჩვეულებრივი საინფორმაციო სიახლეა, ხოლო ინტერნეტში ხეტიალი ნებისმიერი სკოლის მოსწავლისადმი ხელმისაწვდომია, მონარქიის ინსტიტუტი ახალ პირობებს შეეგუა და უფრო მხნედ და ავტორიტეტულად გამოიყურება მილიონების თვალში. აღნიშნულის საუკეთესო დასტურია თუნდაც კამბოჯაში მონარქიის აღდგენა, მონარქიული მოძრაობის გამოცოცხლება პოსტკომუნისტურ ევროპაში და ავსტრალიის კონტინენტზე მონარქისტთა წარმატება რეფერენ-დუმის დროს, როდესაც ავსტრალიის XXI საუკუნის თაობამ მხარი დაუჭირა მონარქის ინსტიტუტის არსებობას ქვეყანაში, თანამედ-როვე მონარქიის წარმატების საუკეთესო მაგალითია გაერთიანე-ბული სამეფოს დედოფლის ელისაბედ II გამეფების ოქროს იუბი-ლისადმი მიძღვნილი მოვლენების ტრიუმფალურად აღნიშვნა, როგორც თავად სამეფოში, ასევე თანამეგობრობის ქვეყნებში...

თანამედროვე მსოფლიოში 40-ზე მეტი მონარქიული ქვეყანაა, მ.შ. 12 ევროპის კონტინენტზე.

დღევანდელ მონარქიულ სამყაროში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბრიტანეთის მონარქიას, რომლის არსებობის ძირითადი პრინციპი „მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს" ბრიტანული დემოკრატიის განუყოფელი ნაწილი გახდა. კონსტიტუციური მონარქიის საუკეთესო წარმომადგენელია ბრიტანეთის დღევანდელი მონარქი, მისი უდიდებულესობა დედოფალი ელისაბედ II, რომელიც ტახტზე ავიდა 1952 წელს, მამამისის გარდაცვალების შემდეგ. ბრიტანელები თავიანთ მონარქს ეროვნულ სიმბოლოდ მიიჩნევენ. მათი აზრით მონარქი არასოდეს კვდება. საქვეყნოდ ცნობილია გამოთქმა „მეფე მკვდარია, გაუმარჯოს მეფეს!".

1997 წელს საშუალება მქონდა ერთ-ერთს პირველს დამედგა ფეხი და თვალი შემევლო 1992 წლის ხანძრის შემდგომ რესტავრირებული უინძორის ციხე-სიმაგრის ბრწყინვალე აპარტამენტებისათვის. კარგად მახსოვს ხანძრამდელი აპარტამენტებიც, მაგრამ ახალმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. რას არ შეძლებს ადამიანის ხელი. მან ფერფლიდან სასწაულებრივად აღადგინა და მილიონებს დაუტოვა უინძორის ციხე-სიმაგრის ახლადრესტავრირებული აპარტამენტები. სარესტავრაციო სამუშაოები დასრულდა მისი უდიდებულესობის დედოფალ ელისაბედ II და მისი უმაღლესობის ედინბურგის ჰერცოგის ქორწინების ოქროს იუბილის აღსანიშნავად.

აპარტამენტების დათვალიერებისას ცოლ-ქმარი აშშ-დან ჩემთან საუბარში აღნიშნავდა, რომ ეს დღე მათთვის განსაკუთრებულია, რომ ამ დღეს ვერ დაივიწყებენ და რომ შთაბეჭდილებებს აუცილებლად გაუზიარებენ თავიანთ ახლობლებს სანფრანცისქოში.

ახალგაზრდა იტალიელი ყმაწვილი გაოცებული აკვირდებოდა წმინდა ჯორჯის ჰოლის ჭერს და დიდ მისაღებ დარბაზს. „ეს ყველაფერი საოცრებაა"-ხმამაღლა უთხრა მან თავის მეგობარ გოგონას, მე მათ გაკვირვებული ვუსმენდი და თან ვფიქრობდი, თუ რა აოცებდა რომის, ვენეციისა და ფლორენციის „მემკვიდრეებს". ისინი ბედნიერად მიიჩნევდნენ თავს ბრიტანეთის მონარქების რეზიდენციაში ყოფნით და სინანულით აღნიშნავდნენ, რომ მათმა წინაპრებმა მონარქიას ნერტილი დაუსვეს ჯერ კიდევ 1946 წელს. მათ დიდი სურვილი ჰქონდათ ეცხოვრათ მონარქიულ ქვეყანაში. მინდა გავიხსენო ერთი მხცოვანი ამერიკელის სიტყვები, რომელიც ჩემთან ერთად ათვალიერებდა ბაქინჰემის სასახლეს. „ბრიტანეთის მონარქიამ ბევრს გაუძლო და დღეს მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობს ხალხში". ძნელია არ დაეთანხმო მის სიტყვებს. XX საუკუნე ხომ მართლაც სერიოზული გამოცდის ხანა იყო ათასწლოვანი ინსტიტუტისათვის. ღმერთის მადლით, ბრიტანეთის კუნძულებს არც რევოლუციური ქარცეცხლი დასტყდომია

და არც ეამთა ცვლას დაუკლია მისთვის რამე. გასულ საუკუნეში მართლაც, რომ სერიოზული ძვრები განიცადა ბრიტანეთის მონარქიის ინსტიტუტმა, რომელიც საერთო ჯამში მის მოდერნიზაციას და გაძლიერებას მოხმარდა.

XX საუკუნის ´30-იანი წლების შუა პერიოდში და 90-იანი წლებების ბოლო ათწლეულის პირველ ნახევარში მიმდინარე პროცესებმა გარკვეული კრიტიკა გამოიწვია მონარქიის მისამართით, მაგრამ ბრიტანეთის მონარქიის განსაკუთრებულობა და თავისებურება სწორედ ის არის, რომ მოერგოს შექმნილ სიტუაციას და მოდერნიზაციის გზით თავი დააღწიოს სერიოზულ პრობლემებს.

90-იან წლების მოვლენებმა სახეირო არაფერი მოუტანა მონარქიას. დედოფლის შვილებმა უხერხული სიტუაცია შექმნეს ქვეყანაში და ამით მის უდიდებულესობას ბევრჯერ სერიოზული პრობლემები შეუქმნეს. ოჯახური ერთიანობის შენარჩუნება დედოფლის ოთხი შვილიდან სამმა ვერ შეძლო; და, თუ თვალში საცემი არ იყო პრინცესა ანას ოჯახური კრიზისი, ამას ვერ ვიტყვით მისი ძმების მისამართით. განსაკუთრებით საგანგაშო აღმოჩნდა კრიზისი უელსელების ოჯახში. მათი ურთიერთობა კონკურენციული ბრძოლის არანორმალურ ფორმებს იღებდა. პრინცესამ თავისი ოჯახური პრობლემები საჯაროდ აღიარა და ამით ჟურნალისტებს საუკეთესო საშუალება მისცა „ეჯიჯგნათ" მისი და ჩარლზის ურთიერთობა. სარა ფერგიუსონმაც არა ერთხელ ატკინა გული საზოგადოებას თავისი ქცევით.

მოკლედ, დედოფალს რძლებმა ნამდვილად ვერ გაუმართლეს, მათ ვერ გათვალეს, რომ ისინი პირველი ოჯახის წევრები გახდნენ, პატივი არ სცეს იმ წრეს, რომელ წრეშიც ისინი გათხოვების შემდეგ აღმოჩნდნენ და რომელმაც ორივე სუპერვარსკვლავებად აქცია.

თანამედროვე მონარქია არსებობს ხალხის ნებითა და სურვილით და სწორედ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მხარდაჭერით ბრიტანეთის მონარქია კვლავაც განაგრძობს ქვეყნისა და ხალხის სამსახურს. მისი უდიდებულესობა გასაოცარი პიროვნებაა, სწორედ მასშია თავმოყრილი ყველა ის თვისება, რომელიც, ალბათ, თანამედროვე ადამიანს უნდა გააჩნდეს. ურთიერთობისას დედოფალი ძალზედ უბრალოდ გეჩვენება, ის თბილი და ყურადღებიანია. საუბრისას შენ ვერ გრძნობ, რომ ასეთი დიდი პიროვნების წინაშე აღმოჩნდი. მისი თანმხლებია სიფაქიზე, ყურადღება, ღიმილი და იუმორი.

მისი უდიდებულესობა დედოფალი სახელგანთქმული პიროვნებაა მსოფლიოში, მისი ოჯახი ყველაზე ცნობილი ოჯახია მსოფლიოში, ხოლო მისი მისამართი-ბაქინჰემის სასახლე, ყველაზე სახელგანთქმული მისამართია მსოფლიოში.

მისი უდიდებულესობა დედოფალი ელისაბედ II, რომლის გამეფების „ოქროს იუბილესაც" მთელი მსოფლიო, თანამეგობრობა და ბრიტანეთი წელს აღნიშნავს, ის უნიკალური პიროვნებაა, რომელიც დაუღალავი შრომით, უკვე ნახევარი საუკუნეა ასრულებს მონარქის უაღრესად სერიოზულ და მძიმე კონსტიტუციურ მოვალეობებს.

ღმერთმა დალოცოს დედოფალი!

გ. ჯანტურია

მონარქიის ინსტიტუტი

ბრიტანეთის კონსტიტუციის თანახმად — მონარქი

- აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეშია
- საკანონმდებლო ხელისუფლების ნაწილია
- სასამართლო სისტემის უმაღლესი პირია
- შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია
- ანგლიკანური ეკლესიის სათავეშია

მონარქია თანამედროვე ბრიტანეთის უძველესი პოლიტიკური ინსტიტუტია, რომელიც სათავეს IX საუკუნიდან იღებს. იგი პარლამენტზე ოთხი, ხოლო სასამართლო სისტემაზე სამი საუკუნით „უფროსია". მისი უდიდებულესობა, დედოფალი ელისაბედ II, შთამომავალია საქსთა მეფის ეგბერთისა, რომელმაც 829 წელს ერთიანი მმართველობის ქვეშ გააერთიანა მთელი ქვეყანა. მონარქიის ინსტიტუტის მთლიანობა თერთმეტი საუკუნის მანძილზე დაირღვა მხოლოდ ერთხელ, 1649-60 წლებში, როცა ხელისუფლება ხელთ ეპყრა ქრომველს.

მონარქს ხალხი შეჰყურებს, არა მარტო როგორც სახელმწიფოს მეთაურს, არამედ ქვეყნის ცოცხალ სიმბოლოსაც, მისი წარსულის, დღევანდელობისა და მომავლის შემაკავშირებელ ძალას. იგი გვევლინება ბრიტანული საზოგადოების სტაბილიზაციის და ქვეყნის ერთიანობის თავისებურ გარანტად, თანამეგობრობის გამაერთიანებელ ძალად და ამავე დროს ბრიტანეთის ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილად.

კანონის ძალით მონარქი, ამჟამად მისი უდიდებულესობა დედოფალი ელისაბედ II სახელმწიფოს მეთაურია, იგი ქვეყნის ნომერ პირველი პიროვნებაა, გამომდინარე აქედან მონარქი აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეშია და საკანონმდებლო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

ტერმინები-სუვერენი (ან მონარქი) და გვირგვინი ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება, თუმცა განსხვავებულია მათი მნიშვნელობა. სუვერენი-ეს არის პიროვნება, რომელიც მეფობს მემკვიდრეობის და კონსტიტუციის კანონის შესაბამისად. გვირგვინი-ისეთი ტერმინია, რომელიც აერთიანებს, როგორც სუვერენს, ასევე მთავრობას და წარმოადგენს უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების სიმბოლოს.

დღეისათვის მონარქს აქვს არა ძალაუფლება, არამედ ვალდებულებანი, სწორედ ამ ვალდებულებებიდან გამომდინარე დგას იგი ქვეყნის, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის ცხოვრების ცენტრში, ხოლო სამეფო გვარი გაერთიანებული სამეფოს

ისთებლიშმენტის უმაღლესი მწვერვალია. პრაქტიკულად სახელმწიფო იმართება მინისტრების მიერ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან თავიანთი მოქმედებით პარლამენტის წინაშე, ასე რომ სამეფოს მართვა ხორციელდება „მისი უდიდებულესობის მთავრობის" მიერ, დედოფლის სახელით; მთავრობის მრავალ მნიშვნელოვან ღონისძიებაში დედოფლის მონაწილეობა აუცილებელია. გაერთიანებული სამეფო პარლამენტური დემოკრატიაა, კონსტიტუციური მონარქიით, სადაც მონარქის მმართველობა ჩვეულებრივ ხორციელდება ცნობილი ფორმულირებით „მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს", რაც ბუნებრივია, შეესაბამება ცივილიზებული დემოკრატიული საზოგადოების პრინციპებს. თუმცა ფორმულირების ასეთი სახე, რა თქმა უნდა, არ აყენებს დედოფალს პასიურ მდგომარეობაში. მონარქის როლი დღეისათვის საუკუნეებმა და ტრადიციებმა ჩამოაყალიბეს და ელისაბედ II, როგორც სახელმწიფოს მეთაური ამ ტრადიციების შემადგენელი ნაწილი, თაყვანისმცემელი და მცველია. როგორც 1867 წელს თეორეტიკოსმა ბეიჯჰოთმა აღნიშნა, მონარქს გააჩნია „რჩევის, თანხმობის და გაფრთხილების უფლება". განსხვავებით სხვა მონარქიულ ქვეყნებისაგან, სადაც მონარქის უფლებები შეზღუდულია მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებით, ბრიტანეთის მონარქი ფორმალურად ძალზედ ფართო ძალაუფლებების მფლობელია.

მონარქი პარლამენტის შემადგენელი ნაწილია (ლორდთა და თემთა პალატასთან ერთად). მისი ბრძანებით ხდება ბრიტანეთის პარლამენტის (და ასევე შოტლანდიის პარლამენტის) მოწვევა, შესვენების გამოცხადება მომდევნო სესიამდე და დათხოვნა. როგორც წესი, მონარქი ხსნის პარლამენტის ახალი სესიის სხდომას (მ.შ. შოტლანდიის პარლამენტის ახალი სესიის სხდომას) თავისი სეფე სიტყვით, სადაც კითხულობს მთავრობის სამომავლო პროგრამას, რომელსაც ტრადიციულად, წერს პრემიერ-მინისტრი. თუ სესიის გახსნა მონარქს არ შეუძლია (ავადმყოფობის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო) მის ფუნქციებს ასრულებს ლორდ-კანცლერი. ნებისმიერ კანონპროექტს, კონსტიტუციური წესით განიხილავს პარლამენტის ორივე პალატა. იმისათვის, რომ მან მიიღოს კანონის ძალა აუცილებელია მონარქის თანხმობა (მონარქის თანხმობა საჭიროა ასევე შოტლანდიის პარლამენტის ნებისმიერი კანონპროექტის კანონად გადაქცევისათვის). სწორედ სამეფო სანქციის გაცემის შემდეგ კანონპროექტი იძენს იურიდიულ ძალას და იწყებს მოქმედებას. ბრიტანეთის მონარქს გააჩნია აბსოლიტური ვეტოს უფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ კანონპროექტი უსიტყვოდ უარყოფილ იქნება მის მიერ. ეს სიტუაცია აღინიშნება ასე: „მეფე მოიფიქრებს"; მონარქის თანხმობა კანონპროექტზე კი ფიქსირდება შემდეგნაირად: „მეფეს

ეს სურს". თუმცა აღსანიშნავია, რომ 1707 წლიდან დღემდე პარლამენტის არცერთი კანონპროექტი ბრიტანეთის არცერთ მონარქს არ უარყვია (ბოლოს ასეთი რამ 1707 წელს დედოფალ ანა სთიუართის მეფობის დროს მოხდა).

დედოფალი ხელმძღვანელობს საიდუმლო საბჭოს, ორგანოს, რომელიც შეიქმნა შუა საუკუნეებში და რომელიც თავისებურ საკონსულტაციო ორგანოს წარმოადგენდა სამეფო კარზე. დღეს მან თავისი პირვანდელი მდგომარეობა დაკარგა, მთელი შემადგენლობით მისი მოწვევა ხდება მხოლოდ ქვეყნის ისტორიის მნიშვნელოვან მომენტში. მისი წევრები ინიშნებიან მონარქის მიერ (ხშირად პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციით). წევრები არიან: სამეფო ოჯახის და უმაღლესი არისტოკრატიული ოჯახების წევრები, სასამართლო მოხელენი, საეკლესიო წრეების წარმომადგენლები, კაბინეტის წევრები, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები და ა.შ.

მისი უდიდებულესობა სასამართლო სისტემის უზენაესი პირია, მის მიერ ინიშნება სასამართლო იერარქიის ყველა უმაღლესი მოხელე (პრემიერ-მინისტრის წარდგენით). მხოლოდ დედოფალს შეუძლია ნებისმიერი დამნაშავის შეწყალება. დედოფალი აცხადებს ომს, საგანგებო მდგომარეობას ქვეყანაში, დებს სამშვიდობო ზავს და სხვადასხვა სახის ხელშეკრულებებს.

დედოფალი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია, სწორედ იგი ნიშნავს (რა თქმა უნდა მთავრობასთან შეთანხმებით) ყველა უმაღლესი რანგის სამხედრო პიროვნებას, მის მიერ ხდება ყველა სამხედრო წოდებაზე წარდგენა და მისი მინიჭება. ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები ფიცს დებენ მხოლოდ მონარქის, ამჟამად დედოფლის წინაშე.

ბრიტანეთის მონარქი ანგლიკანური ეკლესიის მეთაურია. ამ ფორმულირებიდან გამომდინარე დედოფალი ნიშნავს არქიეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებსა და ეკლესიის სხვა მოსამსახურეებს.

დედოფალი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, გაერთიანებული სამეფოს უმაღლეს ტიტულებს, ჯილდოებს, წოდებებს ანიჭებს თავის ქვეშევრდომებს და უცხოელ მოქალაქეებს. ეს პროცედურა ძირითადად ხორციელდება მთავრობის მეთაურთან შეთანხმებით; ქვეყნის ოთხი უმაღლესი ორდენით დაჯილდოვება კი ძირითადად მონარქის პირადი შეხედულებებით ხდება; ესენია: 1. წვივსახვევი ორდენი, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ორდენი. იგი დაარსდა ჯერ კიდევ 1348 წელს ედუარდ III მეფობის დროს; 2. ორდენი „დამსახურებისათვის" ეს ორდენი დააარსა მეფე ედუარდ VII 1902 წელს; 3. ნარშავის ორდენი, უმაღლესი ორდენი შოტლანდიის ჯილდოებს შორის, დაარსდა მეფე ჯეიმს II დროს 1687 წელს; 4. სამეფო ვიქტორიანული

ორდენი, იგი დაარსდა დედოფალ ვიქთორიას მიერ 1896 წელს. დაჯილდოებულთა სპეციალური სიები ქვეყნდება წელინადში ორჯერ: ახალ წელს და ქვეყნის ეროვნულ დღესასნაულზე-დედოფლის დაბადების დღეზე. დედოფალი ან სამეფო ოჯახის სხვა წევრები დედოფლის სახელით წელინადში 20-ჯერ გადასცემენ დაახლოებით 4 ათასამდე სხვადასხვა რანგის ორდენს, მედალს თუ ჯილდოებს. დედოფალი დაჯილდოებას აწარმოებს ასევე თანამეგობრობის ქვეყნებსა და სხვა ქვეყნებშიც.

გამომდინარე სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებიდან ყველა ქვეყნის ელჩები აკრედიტებულნი არის წმინდა ჯეიმსის სასახლეში და რწმუნების სიგელებს გადასცემენ დედოფალს ბაქინჰემის სასახლეში.

დედოფალი ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ინფორმირებული პიროვნებაა. იგი იღებს ნებისმიერ ინფორმაციას, როგორც ქვეყნის საშინაო, ასევე მის საერთაშორისო მდგომარეობაზე. მისი უდიდებულესობა ღებულობს პარლამენტის, კაბინეტის და სამინისტროების მუშაობის შესახებ სრულ ინფორმაციას და ყოველდღიურად ეცნობა მათი მუშაობის სიახლეებს. დედოფალი, როცა იგი ლონდონშია, ყოველ სამშაბათს, საღამოობით, ძირითადად შვიდის ნახევარზე, აუდიენციაზე იღებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, რომელიც ვალდებულია გააცნოს მის უდიდებულესობას მთავრობის საქმიანობის ნებისმიერი ნიუანსი. ამ შეხვედრებს თითქმის სამსაუკუნოვანი ისტორია აქვს და სათავეს რობერთ უოლპოლის დროიდან იღებს, ასე, რომ ყოველი პრემიერი თავის მონარქს თითქმის ყოველ კვირა წარუდგება კვირის მიმოხილვით. ამ ტრადიციას დღესაც აგრძელებს სამეფოს რიგით 53 პრემიერ-მინისტრი, ლეიბორისტური პარტიის ლიდერი თონი ბლერი.

დედოფლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური ფუნქციაა პრემიერ-მინისტრის დანიშვნა (იგი ნიშნავს ასევე შოტლანდიის პირველ მინისტრს, შოტლანდიის პარლამენტის წარდგენით). ამ თანამდებობაზე მისი უდიდებულესობა ნიშნავს იმ პარტიის ლიდერს, რომელსაც აბსოლიტური უმრავლესობა გააჩნია თემთა პალატაში. პარლამენტის ქვედა პალატაში გამარჯვებული პარტიის ლიდერს დედოფალი იღებს ბაქინჰემის სასახლეში და ე.წ. „ხელზე კოცნის" ცერემონიალის შემდეგ, რაც იმას ნიშნავს, რომ მონარქი თანახმაა, მან დაიკავოს ეს პოსტი, პარტიის ლიდერი ხდება ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. მასვე დედოფალი ავალებს მთავრობის ჩამოყალიბებას. დღეს ეს დანიშვნა ძირითადად ფორმალურია, თუმცა ისტორიაში იყო შემთხვევები, როცა მონარქის დამოუკიდებლობის როლი გამოიკვეთა. მაგალითად: მეფე ჯორჯ V 1923 წელს ქვეყნის

პრემიერ-მინისტრად დანიშნა ბოლდუინი, თუმცა კონსერვა-ტორთა უმეტესობა მომხრე იყო ქერზონის კანდიდატურისა, როდესაც 1957 წელს იდენი ავადმყოფობის გამო გადადგა, პარტიის ავანსცენაზე დაწინაურდა ორი კანდიდატურა: მაქმილანი და ბათლერი. ამ დროს დედოფალი კონსულტაციებს მართავს კონსერვატორული პარტიის ორ ცნობილ პოლიტიკურ მოღვა-წესთან ლორდ სოლსბერთან და ჩერჩილთან. პრემიერ მინისტრი გახდა მაქმილანი. 1963 წელს შეიქმნა დაახლოებით იგივე სიტუაცია. ავადმყოფობის გამო გადადგა მაქმილანი, პრემიერად შეირჩა ჰიუმი.

მონარქის მიერ ინიშნება ყველა მინისტრი, პრემიერ-მინისტრის წარდგენითა და რეკომენდაციით. იგივე სიტუაციაა შოტლანდიაში, სადაც დედოფალი შოტლანდიის პირველი მინის-ტრის წარდგენით ნიშნავს შოტლანდიის მინისტრებს.

ქვეყანაში არც პრემიერ-მინისტრი და არცერთი მინისტრი არ ფლობს იმდენ ინფორმაციას ქვეყნის ცხოვრებისა და პოლიტიკის შესახებ, რამდენსაც მისი უდიდებულესობა. ბუნებრივია პრემიერი და მინისტრებიც, როგორც საშინაო ასევე საგარეო პოლიტიკაში მიმდინარე ნიბისმიერი მოვლენის საქმის კურსში არიან, მაგრამ ისინი მაინც არ ფლობენ სრულ, საფუძვლიან ინფორმაციას, მაგალითად: ყოფილი კაბინეტის მუშაობის თაობაზე. უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებს არ აქვთ უფლება, გაეცნონ უკვე ყოფილი მთავრობის და სამინისტროების საქმიანობას, თუ სიტუაცია განსაკუთრებული შესწავლის საგანი არ ხდება. როცა იცვლება მთავრობა, იცვლება მისი ძირითადი შემადგენლობაც, გამომდინარე პარტიული პოზიციებიდან, თუმცა არის გამონაკ-ლისიც. მაგ.: „უცვლელი პოსტი„-საგარეო საქმეთა სამინისტროში არის მინისტრის მოადგილის პოსტი, რომელიც ე.წ. „პოლიტიკის გარეთაა" და არ იცვლება მინისტრის შეცვლისას. სახელმწიფო-ებრივ დონეზე ასეთი უმაღლესი პიროვნებაა მონარქი, რომელიც პოლიტიკაზე და პარტიულ ურთიერთობებზე მაღლა დგას.

დღეში ორჯერ მის უდიდებულესობასთან მიაქვთ ე.წ. „წითელი ყუთი", რომელშიც სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ქაღალდები ინახება. ამ ყუთის ერთი გასაღები დედოფალთან ინახება, მეორე კი იმ მინისტრთან, რომელიც არჩევს და აგზავნის ინფორმაციას სასახლეში. არის შემთხვევები, როდესაც დედოფალი სპეციალურ მიმოწერას აწარმოებს თავის მინისტრებთან და როდესაც აუცილებელი ხდება მონარქისა და პრემიერის შეხვედრა, ამ დროს ეს უკანასკნელი უკავშირდება დედოფლის პირად მდივანს. ისმის კითხვა, ენყობა თუ არა გარდა „ტრადიციული სამშაბათის" შეხვედრისა მონარქისა და მისი პირველი მინისტრის რიგგარეშე შეხვედრები, რა თქმა უნდა ასეთი შეხვედრები შესაძლებელია,

ოღონდ მხოლოდ ექსტრაორდინალურ შემთხვევებში. მაგალითად: როცა ხდება მთავრობის გადადგომა, ხდება არჩევნების შედეგების გაცნობა, ახალი მთავრობის ჩამოყალიბება და ა.შ.

მ. თეთჩერი თავის მემუარებში აღნიშნავს ასეთ შემთხვევას. 1982 წელს, როდესაც ბრიტანეთის შეიარაღებულმა ჯარებმა აღადგინა ლონდონის მმართველობა კუნძულ სამხრეთ ჯორჯიაზე, ფოლქლენდის კონფლიქტის დროს, იმ საღამოსვე პრემიერ-მინისტრი თეთჩერი ენვია უინძორის ციხე-სიმაგრეს, რათა ემცნო ეს სიახლე ელისაბედ II-თვის, როგორც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლისთვის. მონარქისა და მისი პრემიერ-მინისტრის შეხვედრა ტრადიციულად ეწყობა ასევე დედოფლის არდადეგებზე ყოფნისას, ბოლმოროლში, ამ დროს, ძირითადად, სექტემბრის პირველ ნახევარში, პრემიერი მეუღლითურთ სტუმრობს დედოფალს და უიქენდს ატარებს სამეფო ოჯახთან ერთად. ბოლმოროლის შეხვედრები ტრადიციულად ნახევრად ოფიციალური ხასიათისაა. თავისი მეფობის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე დედოფალი იღებს ანგარიშს თავისი მთავრობის ხელმძღვანელისაგან. ბუნებრივია, პრემიერ-მინისტრები უდიდესი პატივისცემით ეპყრობიან მის უდიდებულესობას, არა მარტო იმიტომ, რომ იგი მონარქია, არამედ იმიტომაც, რომ მასში ხედავენ ავტორიტეტულ, კომპეტენტურ, გამოცდილ და ყოველმხრივ ინფორმირებულ სახელმწიფო მოღვაწეს, შეიძლება ითქვას, რომ ელისაბედ II ყველაზე მცოდნე პოლიტიკოსია მსოფლიოში, გამომდინარე მისი ასეთ მაღალ თანამდებობაზე ყოფნის ხანგრძლივობიდან. დღეისათვის მსოფლიო პოლიტიკოსთა შორის არ არსებობს პიროვნება, რომელიც ნახევარსაუკუნეზე მეტი პერიოდით იკავებდეს ისეთ უმაღლეს მდგომარეობას, როგორიც არის გაერთიანებული სამეფოს მონარქი და თანამეგობრობის მეთაური. შეხვედრები პრემიერ-მინისტრსა და მონარქს შორის კონფიდენციალურია. დედოფალი ამ შეხვედრების შესახებ არავის უყვება, არც მეუღლეს და არც ტახტის მემკვიდრეს. შესაძლოა ისინი ფლობდნენ საუბრის თემატიკას, მაგრამ ეს სავარაუდოა. ინფორმაციის გაჟონვა თითქმის არ არსებობს. დედოფალი აუდიენციას უდიდეს ყურადღებას უთმობს და განსაკუთრებულად ემზადება ამ შეხვედრისათვის. ჰ. უილსონი აღნიშნავს, რომ „ნებისმიერი მთავრობის მეთაური, რომელიც მიდის დედოფალთან ანგარიშის ჩასაბარებლად, თუ საკითხებს კარგად არ შეისწავლის, შესაძლოა საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს". მ. თეთჩერი აღნიშნავს „თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს უბრალოდ ფორმალური შეხვედრაა, ის ძლიერ სცდება, შეხვედრები, ყოველთვის განსაკუთრებული საქმიანი ხასიათისაა, მისი

უდიდებულესობა მშვენივრად ერკვევა ყველა მიმდინარე საქმეში და ფლობს უზარმაზარ გამოცდილებას".

საერთაშორისო საკითხთა შორის, როგორც პრემიერ-მინისტრები აღნიშნავენ, მისი უდიდებულესობა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს თანამეგობრობის პრობლემებისათვის და დიდ ყურადღებას უთმობს გაერთიანების ლიდერთა შეხვედრებს. თანამეგობრობისადმი დედოფლის უდიდეს ინტერესს აღნიშნავს ჰ. უილსონი და ედ. ჰითი. წარმოადგენს რა ანგლიკანური ეკლესიის მეთაურს, დედოფალი ქვეყნის პირველ მინისტრებთან შეხვედრისას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს საეკლესიო საკითხების განხილვას.

ბრიტანეთის დაუწერელი კონსიტიტუციის თანახმად თეორიული თვალსაზრისით მონარქს გააჩნია უფლება დაითხოვოს პრემიერ-მინისტრი და მინისტრები. პრაქტიკულად ასეთ პრეცენდენტს ბრიტანეთში ბოლოს ადგილი ჰქონდა 1783 წელს, მეფე ჯორჯ III მეფობის დროს. ამის მაგალითი იყო ასევე ავსტრალიის გენერალ-გუბერნატორის (რომელიც მის უდიდებულესობას წარმოადგენს ამ ქვეყანაში) მიერ პრემიერის და პარლამენტის დათხოვნა 1975 წელს.

საუკუნეების მანძილზე განიცდიდა მონარქის ტიტულები და მანერები განვითარებას და ისინი მნიშვნელოვან წილად დაკავშირებული იყო ქვეყნის ისტორიაში მიმდინარე ცვლილებებთან და მოვლენებთან. ასეთ მოვლენებს შორის აღსანიშნავია მაგალითად შოტლანდიის და ინგლისის სამეფოების გაერთიანება, მათთან ირლანდიის შეერთება, იმპერიის შექმნა, დაშლა და მის ადგილზე თანამეგობრობის წარმოშობა. დედოფლის დღევანდელი ტიტული ჩამოყალიბდა 1953 წელს სპეციალური სატიტულო აქტის საფუძველზე. მისი უდიდებულესობის ტიტული გაერთიანებულ სამეფოში ასეთია: „ელისაბედ მეორე, ღმერთის წყალობით, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს და მისი სხვა სამფლობელოებისა და ტერიტორიების დედოფალი, თანამეგობრობის მეთაური, სარწმუნოების დამცველი". თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში, სადაც დედოფალი სახელმწიფოს მეთაურია, მისი ტიტულები ცვალებადია, ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე, თუმცა ყველა სახის ფორმულირება მოიცავს ფრაზას „თანამეგობრობის მეთაური".

ტახტის მემკვიდრეობის უფლება განისაზღვრება სპეციალური კანონმდებლობით და მემკვიდრეობის საერთო წესით. 1701 წელს მიღებული მემკვიდრეობის კანონის თანახმად, ბრიტანეთის სამეფო ტახტზე მემკვიდრეობის უფლება მიიღეს მხოლოდ პრინცესა სოფიას (მეფე ჯეიმს I 1603-2566. შვილიშვილი) პროტესტანტული რწმენის შთამომავლებმა. ასე რომ კანონის

თანახმად მონარქი აუცილებლად პროტესტანტული რწმენის უნდა იყოს და მას ეკრძალება ქრისტიანული რწმენის სხვა მიმართულებების მქონე პირზე დაქორწინება; კერძოდ კი კათოლიკეზე. მონარქის მემკვიდრე ვაჟს უპირატესობა ენიჭება მის დებთან შედარებით, მონარქის ქალიშვილს კი უპირატესობა აქვს სუვერენის და-ძმებთან შედარებით. თუ მონარქს შვილები არ ჰყავს, გამეფების უფლებას იღებს მისი უფროსი ძმა (თუ მას ძმა არ ჰყავს, ტახტზე ადის მისი უფროსი და). მონარქის ქალიშვილი, რომელიც იღებს გვირგვინს, ხდება დედოფალი, და იძენს იგივე უფლებებს, რომელსაც მეფე. მეფის მეუღლე ატარებს იმავე ტიტულებს და რანგს რასაც მეფე, თუმცა აღნიშნული მდგომარეობა არ ვრცელდება მემკვიდრე დედოფლის მეუღლეზე, შესაძლოა მისი როლი მნიშვნელოვანი იყოს ქვეყნის ცხოვრებაში (შესაძლებელია ზოგიერთი გამონაკლისი).

როდესაც მონარქი გარდაიცვლება, იმ დღესვე წმინდა ჯეიმსის სასახლეში იკრიბებიან საიდუმლო საბჭოს წევრები და ისინი ცნობილი ფრაზის თანახმად, „მეფე მკვდარია, გაუმარჯოს მეფეს" ახალი მონარქის ტახტზე ასვლას ოფიციალურად აცხადებენ, შემდგომ ახალი მონარქი კითხულობს სპეციალურ დეკლარაციას და დებს ფიცს. ელისაბედ II ტახტზე ასვლის დღე 6 თებერვალი ყოველ წელს აღინიშნება სპეციალური ზალპით ჰაიდ პარკსა და ლონდონის თაუერთან.

გამეფების დღიდან გარკვეული ინტერვალის შემდგომ ეწყობა მონარქის მეფედ კურთხევის ცერემონიალი, რომელსაც უძღვება ქენთერბერიის არქიეპისკოპოსი. იგი ტრადიციულად მიმდინარეობს უესთმინსთერის სააბათოში, ისტორიული წესის დაცვით, რომელსაც ძირითადად საფუძვლად უდევს საქსთა მეფის ედგარის ბათში 973 წლის გამეფების ცერემონიალი. ასეთი უმაღლესი რანგის ისტორიულ მომენტს ესწრებიან სახელმწიფოს, სასულიერო თუ სამხედრო რანგის მოხელენი, პრემიერ-მინისტრი, მინისტრები, პარლამენტის წევრები, არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენლები, თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერები, სტუმრები მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოებიდან, მ.შ. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურები და ა.შ.

მონარქის უფროსი ვაჟი, მემკვიდრეობის რიგით პირველი, დაბადებიდანვე ავტომატურად იღებს ქორნუოლის ჰერცოგის, როთზის ჰერცოგის, ქერქის გრაფის, რენფრუს ბარონის, კუნძულების ლორდის, შოტლანდიის პრინცის და დიდი მმართველის ტიტულებს. რაც შეეხება ტიტულებს „უელსის პრინცი" და „ჩესთერის გრაფი"-მათ ტახტის მემკვიდრეს ანიჭებს მონარქი. პრინცმა ჩარლზმა აღნიშნული ტიტულები მიიღო 1958 წელს. მონარქის ყველა შვილი ატარებს ტიტულს „სამეფო

უმაღლესობა". მონარქის მხოლოდ ვაჟის შვილები ატარებენ ასევე აღნიშნულ ტიტულს. მაგალითად: უელსის პრინცის შვილი, პრინცი უილიამი და მისი ძმა ჰენრი, აღნიშნული ტიტულების მქონენი არიან. იგივე ვრცელდება იორქის ჰერცოგის ქალიშვილებზე, მაგრამ მდგომარერბა იცვლება მონარქის ქალიშვილის შვილების მიმართ, მაგალითად, პრინცესა ანას შვილებზე ტიტული „სამეფო უმაღლესობა" არ ვრცელდება.

1917 წლის 17 ივლისს სამეფო ბრძანებულებით ბრიტანეთის სამეფო გვარი საქს-ქობურგ გოთა (გერმანული გვარი, ამ გვარისა იყო დედოფალი ვიქთორიას მეუღლე პრინცი ალბერთი) შეიცვალა უინძორად. სამეფო ოჯახის ეს გადაწყვეტილება უპირველესად გამოწვეული იყო ბრიტანეთ-გერმანიის სამხედრო შეტაკებით (1914-18 წლებში მიმდინარე პირველი მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთი და გერმანია ერთმანეთს ებრძოდნენ). აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში, ორივე სახელმწიფოს სათავეში მდგომი სამეფო ოჯახები სისხლით ნათესაურ კავშირებში იმყოფებოდნენ ერთმანეთთან, როგორც ბრიტანეთის მეფე ჯორჯ V, ასევე გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II იყვნენ ბრიტანეთის დედოფლის ვიქთორიას შვილიშვილები.

ბრიტანეთის მონარქი თანამეგობრობის მეთაურია. ქვეყნების ეს უნიკალური ასოციაცია აერთიანებს მსოფლიოს 54 სუვერენულ სახელმწიფოს, რომლებიც წარსულში შედიოდნენ ბრიტანეთის უზარმაზარ იმპერიაში (მისი კოლონიები, დომინიონები და ა.შ.). თანამეგობრობის ქვეყნებია: ანთიგუა და ბარბუდა, ავსტრალია, ბაჰამის კუნძულები, ბანგლადეში, ბარბადოსი, ბელიზი, ბოთსვანა, გაერთიანებული სამეფო, ბრუნეი, კამერუნი, კანადა, კვიპროსი, დომინიკა, გამბია, განა, გრენადა, გაიანა, ინდოეთი, იამაიკა, კენია, კირიბათი, ლესოთო, მალავი, მალაიზია, მალდივი, მალტა, მავრიკი, ნამბია, ნაურუ, ახალი ზელანდია, ნიგერია, პაკისტანი, პაპუა ახალი გვინეა, სენთ ქითსი და ნევისი, სენთ ლუსია, სენთ ვინსენთი და გრენადინები, სეიშელი, სიერა-ლეონე, სინგაპური, სოლომონის კუნძულები, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, შრი ლანკა, სვაზილენდი, ტანზანია, ტონგა, ტრინიდადი და ტობაგო, ტუვალუ, უგანდა, ვანუატუ, დასავლეთ სამოა, ზამბია, ზიმბამბვე, მოზამბიკი.

აღნიშნული 54 სახელმწიფოდან 16 ქვეყანაში დედოფალი ელისაბედ II სახელმწიფოს მეთაურია; ეს ქვეყნებია: ანთიგუა და ბარბუდა, ავსტრალია, ბაჰამის კუნძულები, ბარბადოსი, ბელიზი, გაერთიანებული სამეფო, კანადა, გრენადა, იამაიკა, ახალი ზელანდია, პაპუა ახალი გვინეა, სენთ ქითსი და ნევისი, სენთ ლუსია, სენთ ვინსენთი და გრენადინები, სოლომონის კუნძულები, ტუვალუ. ამ ქვეყნებში (ბუნებრივია გაერთიანებული სამეფოს

გამოკლებით) მისი უდიდებულესობა წარმოდგენილია გენერალ-გუბერნატორებით, რომელთაც უშუალო კავშირები აქვთ ბაქინჰემის სასახლესთან. თანამეგობრობის ექვს ქვეყანას საკუთარი მონარქი ჰყავს. ესენია: ბრუნეი, ლესოთო, მალაიზია, სვაზილენდი, ტონგა და დასავლეთ სამოა. დანარჩენი ქვეყნები რესპუბლიკური მმართველობისაა.

ყოველ წელს, შობა დღეს, დედოფალი, როგორც თანამეგობრობის მეთაური რადიოთი და ტელევიზიით შობა-ახალ წელს ულოცავს თანამეგობრობის მოსახლეობას მთელს მსოფლიოში. წელიწადში მეორეჯერ, ამჟამად მხოლოდ რადიოს საშუალებით, მისი უდიდებულესობა მიმართავს თანამეგობრობას-თანამეგობრობის დღის აღსანიშნავად-მარტში. დედოფალი ელისაბედ II ოფიციალურად ხსნის და ესწრება თანამეგობრობის ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა უმაღლესი დონის შეხვედრებს, რომლებიც ეწყობა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ თანამეგობრობის რომელიმე ქვეყანაში. გარდა ამისა მისი უდიდებულესობა თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერთათვის აწყობს ბანკეტებს, ხვდება მათ ცალ-ცალკე. იგი როგორც ამ გაერთიანების მეთაური ინფორმირებულია აქ წარმოდგენილი ქვეყნების, როგორც საშინაო ასევე საგარეო პოლიტიკაში მიმდინარე საკითხებზე. თანამეგობრობის ქვეყნები ერთმანეთთან აკრედიტებულნი არიან უმაღლესი კომისრებით და არა ელჩებით. თავისი მეფობის 50 წლის მანძილზე მისი უდიდებულესობა ეწვია თანამეგობრობის ყველა ქვეყანას.

რაც შეეხება ნორმანდიის კუნძულებს საფრანგეთის ნაპირებთან და კუნძულ მენს ირლანდიის ზღვაში, ისინი გაერთიანებულ სამეფოში არ შედიან, თუმცა თავიანთ უზენაესად სცნობენ მის უდიდებულესობას, რომელიც ამ კუნძულებზე წარმოდგენილია ლეიტერნატ-გუბერნატორით.

სამეფო ოჯახის წევრთა ქორწინება ეფუძნება ე.წ. 1772 წელს მიღებულ აქტს სამეფო ქორწინების შესახებ, რომლის თანახმადაც სამეფო ოჯახის ყველა წევრის ქორწინებისათვის სავალდებულოა მონარქის სპეციალური თანხმობა (თანხმობა არ არის საჭირო პრინცესების შვილების ქორწინებაზე უცხოელთა ოჯახის წარმომადგენლებზე). 25 წლის შესრულების შემდეგ ქორწინება შესაძლებელია სამეფო სანქციის გარეშეც, თუ საიდუმლო საბჭო გასცემს თანხმობას ქორწინების შესახებ, თუნდაც ასეთი ქორწინების წინააღმდეგი იყოს პარლამენტიც კი.

დედოფალი და სამეფო ოჯახი ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე შექმნილი ტრადიციების განუყოფელი ნაწილია. გამომდინარე აქედან, მონარქი და მისი უახლოესი ახლობლები სახელმწიფოში მიმდინარე თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ცერემონიალების ცენტრში იმყოფებიან. უდიდეს საერთო ეროვნული

ყურადღების ცენტრში ექცევა ისეთი ისტორიული მოვლენები, როგორიცაა: მონარქების მეფედ კურთხევა, სამეფო ოჯახების ნევრთა ქორწინება, დასაფლავების ამსახველი მოვლენები და ა.შ. მილიონობით ბრიტანელი და უცხოელი ტურისტი ადევნებს თვალყურს მაგალითად პარლამენტის გახსნის საზეიმო ცერემონიალს, როდესაც დედოფალი თავისი ამალით ბაქინჰემის სასახლიდან მიემართება უესთმინსთერში, სეფე სიტყვის წარმოსათქმელად, ანდა უცხოეთის სახელმწიფოს და მთავრობათა ლიდერების სახელმწიფო ვიზიტებს ლონდონში. გასული საუკუნის 80-იან წლებში განსაკუთრებული იყო უელსის პრინცის და პრინცესას „საუკუნის ქორწინება", რომლის ცერემონიალიც მოეწყო სახელგანთქმულ წმინდა პავლეს ტაძარში. ამ ისტორიულ მოვლენას ტელევიზიის საშუალებით მთელს მსოფლიოში უყურა 750 მილიონზე მეტმა ადამიანმა. აღსანიშნავია ასევე 1986 წლის უესთმინსთერის სააბათოში გამართული იორქის ჰერცოგისა და ჰერცოგინიას საქორწინო ცერემონიალი. მათ საქორწინო ცერემონიალს თვალყურს ადევნებდა 500 მილიონზე მეტი ტელემაყურებელი მსოფლიოს ექვსივე კონტინენტზე. მილიონობით ადამიანი ადევნებდა თვალყურს მისი უდიდებულესობის, დედოფალ ელისაბედ II, გამეფების ნახევარსაუკუნოვანი იუბილის „საიუბილეო კვირის" მოვლენებს მთელს მსოფლიოში (როგორც უშუალოდ ცერემონიალზე, ასევე ტელევიზიისა და ინტერნეტის საშუალებით).

როგორც სახელმწიფოს მეთაური, დედოფალი აუდიენციაზე იღებს ბრიტანეთში ოფიციალურ ვიზიტად ჩასულ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს. შეხვედრები ეწყობა როგორც ბაქინჰემის სასახლეში, ასევე უინძორის ციხე-სიმაგრეში და ჰოლირუდის სასახლეში, ედინბურგში. წელიწადში ძირითადად ეწყობა ორი ან სამი უმაღლესი დონის ვიზიტი, რომლის მოსამზადებელი სამუშაოები ეწყობა 6 თვით ადრე. ვიზიტთა უმეტესობა ეწყობა დედაქალაქში, სტუმრები რჩებიან ბაქინჰემის სასახლეში. ვიზიტი გრძელდება სამშაბათიდან პარასკევამდე. უმაღლესი რანგის სტუმარს თვითმფრინავთან ხვდება სამეფო ოჯახის და მთავრობის წევრები, ანდა პრემიერ-მინისტრი. დედოფალი და მისი მეუღლე, სტუმარს ეგებებიან ლონდონის ცენტრში, „ჰოს გადზ პარეიდზე"[1], საიდანაც სტუმარ-მასპინძელი ეტლებით, სამეფო ამალის თანხლებით, მიემართება ბაქინჰემის სასახლისაკენ (თუ სტუმარი უინძორში ჩამოდის, მაშინ მათ მონარქი მეუღლითურთ „ჰოუმ პარქში"[2] ხვდება, საიდანაც ისინი მიემართე-

---

[1] „ჰოს გადზ პარეიდი" – ცხენოსანთა გვარდიის საპარადო მოედანი ლონდონში

[2] „ჰოუმ პარკი" – პარქი უინძორის ციხე-სიმაგრესთან.

ბიან ციხე-სიმაგრეში). ჩამოსული სტუმრის პატივსაცემად ეწყობა სპეციალური ზალპი ჰაიდ პარკში, გრინ პარკსა და ლონდონის თაუერთან. ხანმოკლე „ლანჩის" შემდგომ სასახლეში ეწყობა ოფიციალური საჩუქრების გაცვლა. დღის მეორე ნახევარში სტუმარი მიდის უესთმინსტერის სააბათოში, სადაც ხდება უცნობი ჯარისკაცის საფლავის ყვავილებით შემკობა, შემდგომ წმინდა ჯეიმსის სასახლეში სტუმარს ხვდება უესთმინსტერის მერი, საღამოს კი ბაქინჰემის სასახლის სამეჯლისო დარბაზში მისი უდიდებულესობა და მისი უმაღლესობა სტუმრის პატივსაცემად მართავენ სამეფო ბანკეტს.

ვიზიტის მეორე დღეს სტუმარი კვლავ წმინდა ჯეიმსის სასახლეშია, ამჯერად მას შეხვედრა ელის ბრიტანეთის დედაქალაქში აკრედიტებულ ელჩებსა და უმაღლეს კომისრებთან. ამ შეხვედრას მოსდევს ვიზიტი დაუნინგ სთრითის 10-ში ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან. დღის მეორე ნახევარში მოსალოდნელია სტუმრის პრეს-კონფერენცია ანდა მისი შეხვედრა გაერთიანებულ სამეფოში მცხოვრებ თანამემამულეებთან. ეწყობა ასევე შეხვედრები მინისტრებთან ანდა ოპოზიციის ლიდერებთან. საღამოს კი უმაღლესი რანგის სტუმარს მასპინძლობს გილდჰოლი და ლონდონის სითის მერი, რომელიც სტუმრის პატივსაცემად მართავს ბანკეტს.

მესამე დღეს სტუმარი ატარებს ძირითადად დედაქალაქის ფარგლებს გარეთ, საღამოს კი იგი დედოფლისა და მისი მეუღლის პატივსაცემად აწყობს ბანკეტს ან თავის საელჩოში ანდა რომელიმე მაღალი კლასის სასტუმროში. მეოთხე დღეს სტუმარი ტოვებს ქვეყანას.

ბრიტანეთის ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას უთმობს მისი უდიდებულესობის ოფიციალურ ვიზიტებს საზღვარგარეთ. როგორც ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მეიჯორმა აღნიშნა „დედოფალი ბრიტანეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ელჩიაო". დედოფალი წელიწადში ორ-სამ ოფიციალურ ვიზიტს აწყობს გაერთიანებული სამეფოს ფარგლებს გარეთ. მისი ვიზიტები საზღვარგარეთ შესაძლოა დაიყოს სამ კატეგორიად:

1. დედოფლის ვიზიტები თანამეგობრობის იმ ქვეყნებში, რომლებიც მის უდიდებულესობას აღიარებენ თავიანთი ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურად.
2. დედოფლის ვიზიტები თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში.
3. დედოფლის ვიზიტები თანამეგობრობის ქვეყნების ფარგლებს გარეთ, დანარჩენ მსოფლიოში.

მეფობის 50 წლის მანძილზე დედოფალი ეწვია 125-ზე მეტ ქვეყანას. მსოფლიოს მრავალ კუთხეში ვიზიტებს აწყობს ასევე სამეფო ოჯახის სხვა წევრებიც.

ელისაბედ II სახელმწიფო ვიზიტები მისი გამეფებიდან დღემდე:

-1953-54წწ. ტურნე თანამეგობრობის ქვეყნებში, რომლის დროსაც დედოფალი ენვია ბერმუდას, იამაიკას, ფიჯს, ტონგას, ახალ ზელანდიას, ავსტრალიას, ცეილონს, უგანდას, მალტას და გიბრალთარს.

-1955წ. ივნისი-ვიზიტი ნორვეგიაში.

-1956წ. იანვარი-თებერვალი-სამკვირიანი ვიზიტი ნიგერიაში.
ივნისი-ვიზიტი შვედეთში.

-1957წ. თებერვალი-ვიზიტი პორტუგალიაში
აპრილი-ვიზიტი საფრანგეთში.
მაისი-ვიზიტი დანიაში.
ოქტომბერი-ვიზიტი კანადასა და აშშ

-1958წ. მარტი-ვიზიტი ნიდერლანდებში.

-1959წ. ივნისი-ივლისი-ვიზიტი კანადასა და აშშ.

-1961წ. იანვარი-მარტი-ექვსკვირიანი ვიზიტი კვიპროსზე, ინდოეთში, პაკისტანში, ნეპალში, ირანსა და თურქეთში.
მაისი-ვიზიტი იტალიასა და ვატიკანში.
ნოემბერი და დეკემბერი-ვიზიტი განაში, სიერა-ლეონეში, გამბიასა და ლიბერიაში.

-1962წ. ვიზიტი ნიდერლანდებში.

-1963წ. თებერვალი, მარტი-ვიზიტი ახალ ზელანდიაში, ავსტრალიასა და ფიჯზე.

-1964წ. ოქტომბერი-ვიზიტი კანადაში.

-1965წ. თებერვალი-ვიზიტი ეთიოპიასა და სუდანში.
მაისი-ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მ.შ. დასავლეთ ბერლინშიც.

-1966წ. თებერვალი-მარტი-ვიზიტი კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში.
მაისი-ვიზიტი ბელგიაში.

-1967წ. ვიზიტი კანადაში.
ნოემბერი-ვიზიტი მალტაზე.

-1968წ. ნოემბერი-ვიზიტი ჩილეში, ბრაზილიასა და სენეგალში.

-1969წ. მაისი-ვიზიტი ავსტრიაში.

-1970წ. მარტი, მაისი-ვიზიტი ავსტრალიაში, ახალ ზელანდი-აში, ფიჯსა და ტონგაში.
ივლისი-ვიზიტი კანადაში.

-1971წ. მაისი-ვიზიტი კანადაში.
ოქტომბერი-ვიზიტი თურქეთში.

-1972წ. თებერვალი, მარტი-ვიზიტი ტაილანდში, სინგაპურში, მალაიზიაში, ბრუნეიში, მალდივის კუნძულებზე, სეიშელის კუნძულებზე, მავრიკსა და კენიაში.

მაისი-ვიზიტი საფრანგეთში.
ოქტომბერი-ვიზიტი იუგოსლავიაში.
-1973წ. ივლისი-ვიზიტი კანადაში.
ოქტომბერი-ვიზიტი ავსტრალიაში.
-1974წ. იანვარი, თებერვალი-ტურნე წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში.
მარტი-ვიზიტი ინდონეზიასა და სინგაპურში.
ივნისი-ვიზიტი საფრანგეთში.
-1975წ. თებერვალი-ვიზიტი ბერმუდაზე, ბარბადოსსა და ბაჰამის კუნძულებზე.
თებერვალი, მარტი-ვიზიტი მექსიკაში.
აპრილი-ვიზიტი იამაიკაზე.
მაისი-ვიზიტი იაპონიაში, ჰავაის კუნძულებზე, გუამასა და ჰონქონგში.
-1976წ. მაისი-ვიზიტი ფინეთში.
ივლისი-ვიზიტი ბერმუდაზე, აშშ, კანადაში.
ნოემბერი-ვიზიტი ლიხტენშტეინში.
-1977წ. თებერვალი-ვიზიტი დასავლეთ სამოაში, ფიჯზე, ტონგაში, პაპუა ახალ გვინეაში.
მარტი-ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში.
ივლისი-გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.
ოქტომბერი-კანადაში, ბაჰამის კუნძულებზე, ბარბადოსზე, ანთიგუაზე.

-1978წ. მაისი-ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.
ივლისი, აგვისტო-ვიზიტი კანადაში.
-1979წ. თებერვალი-ვიზიტი საუდის არაბეთში, ქუვეითში, ბაჰრეინზე, კატარში, არაბთა გაერთიანებულ ემირატებსა და ომანში.
მაისი-ვიზიტი დანიაში.
ივლისი, აგვისტო-ვიზიტი ტანზანიაში, მალავსა, ბოთსვანასა და ზამბიაში.
ოქტომბერი-ვიზიტი საფრანგეთში.
-1980წ. აპრილი, მაისი-ვიზიტი შვეიცარიაში.
მაისი-ვიზიტი ავსტრალიაში.
ოქტომბერი-ვიზიტი იტალიაში, ვატიკანში, ტუნისში, ალჟირსა და მაროკოში.
ნოემბერი-ვიზიტი ბელგიაში.
დეკემბერი-ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.
-1981წ. მაისი-ვიზიტი ნორვეგიაში.

სექტემბერი, ოქტომბერი-ვიზიტი ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, შრი ლანკაზე.
-1982წ. აპრილი-ვიზიტი კანადაში.
ოქტომბერი-ვიზიტი ავსტრალიაში, პაპუა ახალ გვინეაში, სოლომონის კუნძულებზე, ნაურუში, კირიბათსა, ტუვალუსა და ფიჯზე.
-1983წ. თებერვალი, მარტი-ვიზიტი იამაიკაზე, კაიმანის კუნძულებზე მექსიკაში, აშშ და კანადაში.
მაისი-ვიზიტი შვედეთში.
ნოემბერი-ვიზიტი კენიაში, ბანგლადეშსა და ინდოეთში.
-1984წ. მარტი-ვიზიტი იორდანიაში.
ივნისი-ვიზიტი საფრანგეთში.
სექტემბერი, ოქტომბერი-ვიზიტი კანადაში
-1985წ. მარტი-ვიზიტი პორტუგალიაში.
ივლისი-ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.
ოქტომბერი, ნოემბერი-ვიზიტი ბელიზში, ბაჰამის კუნძულებზე და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში.
-1986წ. თებერვალი-ვიზიტი ნეპალში.
თებერვალი, მარტი-ვიზიტი ახალ ზელანდიაში.
მარტი-ვიზიტი ავსტრალიაში.
ოქტომბერი-ვიზიტი ჩინეთსა და ჰონქონგში.
-1987წ. მაისი-ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.
ოქტომბერი-ვიზიტი კანადაში.
-1988წ. აპრილი, მაისი-ვიზიტი ავსტრალიაში.
ივლისი-ვიზიტი ნიდერლანდებში.
ოქტომბერი-ვიზიტი ესპანეთში.
-1989წ. მარტი-ვიზიტი ბარბადოსში.
ოქტომბერი- ვიზიტი სინგაპურსა და მალაიზიაში.
-1990წ. ვიზიტი ახალ ზელანდიაში.
ივნისი-ვიზიტი ისლანდიაში.
ივნისი, ივლისი-ვიზიტი კანადაში.
-1991წ. მაისი-ვიზიტი აშშ.
ოქტომბერი-ვიზიტი ნამიბიასა და ზიმბამბვეში.
-1992წ. თებერვალი-ვიზიტი ავსტრალიაში.
მაისი-ვიზიტი მალტაზე.
ივნისი-ვიზიტი საფრანგეთში.
ივნისი, ივლისი-ვიზიტი კანადაში.
ოქტომბერი-ვიზიტი გერმანიაში.
-1993წ. მაისი-ვიზიტი უნგრეთში.
აგვისტო-ვიზიტი ბელგიაში.

ოქტომბერი-ვიზიტი კვიპროსში.
-1994წ. თებერვალი-ვიზიტი კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში.
მაისი-ვიზიტი საფრანგეთში.
ოქტომბერი-ვიზიტი რუსეთში.
აგვისტო-ვიზიტი კანადაში.
-1995წ. მარტი-ვიზიტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.
ნოემბერი-ვიზიტი ახალ ზელანდიაში.
-1996წ. მარტი-ვიზიტი პოლონეთსა და ჩეხეთში.
ოქტომბერი-ვიზიტი ტაილანდში.
-1997წ. ივნისი-ვიზიტი კანადაში.
ოქტომბერი-ვიზიტი პაკისტანსა და ინდოეთში.
-1998წ. სექტემბერი-ვიზიტი ბრუნეასა და მალაიზიაში.
-1999წ. აპრილი-ვიზიტი სამხრეთ კორეაში.
ნოემბერი-ვიზიტი განაში, სამხრეთ აფრიკის
რესპუბლიკასა და მოზამბიკში.
-2000წ. მარტი-ვიზიტი ავსტრალიაში.
ნოემბერი-ვიზიტი ვატიკანსა და იტალიაში.
-2001წ. მაისი-ივნისი-ვიზიტი ნორვეგიაში.
-2002წ. თებერვალი-მარტი-ვიზიტი იამაიკაში, ახალ
ზელანდიასა და ავსტრალიაში.
ოქტომბერი-ვიზიტი კანადაში.

დედოფლის წლის სამუშაო გეგმა, რომელსაც ადგენს მისი პირადი მდივანი პირველ რიგში ითვალისწინებს უკვე ტრადიციულად ქცეულ მთელ რიგ თარიღებს, და აქედან გამომდინარე დგება მისი წლიური სამოქმედო პროგრამის ორგანიზება. ახალ წელს დედოფალი სამეფო ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ატარებს აღმოსავლეთ ინგლისში, ნორფოლქის საგრაფოში, სადაც მდებარეობს ბრიტანეთის მონარქების ზამთრის რეზიდენცია, სანდრინჰემის სასახლე, აქ სახელმწიფოებრივ საქმიანობასთან ერთად შესაძლოა, დროის გატარება ბუნებაში, გართობა ცხენებით და წიგნების კითხვა. კვირაობით კი სამეფო ოჯახი ლოცულობს სანდრინჰემის სამრევლო ეკლესიაში, რომელიც დედოფლის მამულში მდებარეობს.

თებერვალში დედოფალი და ედინბურგის ჰერცოგი ბრუნდებიან ლონდონში.

აღდგომის წინ, დიდ ხუთშაბათს, მისი უდიდებულესობა, მეუღლითურთ, ქვეყნის ერთ-ერთ დიდ ტაძარში (2000წ. ლინქოლნის კათედრალი, 2001წ. უესთმინსთერის სააბათო, 2002წ. ქენთერბერის კათედრალი) წირავს დიდ სამარხულო შესანირს, სააღდგომო არდადეგებს კი სამეფო ოჯახი ატარებს უინძორის ციხე-სიმაგრეში. აპრილში ელისაბედ II არ აღნიშნავს თავის

დაბადების დღეს (თუმცა ეს დღე, 21 აპრილი ზალპით აღინიშნება დედაქალაქში). მონარქის დაბადების დღე, რომელიც ქვეყნის ეროვნული დღესასწაულია, XX საუკუნის დასაწყისიდან აღინიშნება ივნისის პირველ ნახევარში (უფრო ხშირად ივნისის მეორე შაბათს). ამ ტრადიციას საფუძველი ჩაუყარა მეფე ედუარდ VII, რომელიც ნოემბრის თვეში იყო დაბადებული, მაგრამ საზეიმო აღლუმი, რომელიც მიძღვნილი იყო მისი დაბადების დღისადმი აარიდა ნვიმიანი შემოდგომის ლონდონს და გადაიტანა ზაფხულის პირველ თვეს. ეს ტრადიცია შემდგომ არ დაარღვია არც მისმა შთამომავლობამ. გამომდინარე აქედან, დედოფალი თავის დაბადების დღეს ივნისში აღნიშნავს. აპრილის ბოლოს ანდა მაისის პირველ ნახევარში ბადმინთონ-ჰაუსში (ბოფორთის ჰერცოგის მამული) გლოსთეშირში, ეწყობა ყოველწლიური სამდღიანი შეჯიბრი ცხენოსნობაში, რომელსაც ტრადიციულად ესწრება დედოფალი და სამეფო ოჯახის სხვა წევრები. მაისში იმართება ასევე სამეფო უინძორის საცხენოსნო ჩვენება, იგი ხუთი დღის მანძილზე გრძელდება „ჰოუმ პარკში". მაისში ლონდონის ჩელსის რაიონში ეწყობა ტრადიციული ჩელსის ყვავილების გამოფენა. ამ მოვლენების უცვლელი სტუმარია მონარქი თავისი ახლობლებით.

ივნისის მეორე შაბათს გაერთიანებული სამეფო და თანამეგობრობა ოფიციალურად აღნიშნავს მისი უდიდებულესობის დედოფალ ელისაბედ II დაბადების დღეს. ამ თარიღისადმი მიძღვნილი ცერემონიალი ეწყობა უაითჰოლის რაიონში, „ჰოს გადზ პარეიდზე". ეს ცერემონიალი სათავეს იღებს 1755 წლიდან. ზუსტად 10 სთ-სა და 40 წუთზე დედოფალი თავისი ამალით (გამეფების დღიდან 1986 წლამდე დედოფალი აღლუმზე მობრძანდებოდა ცხენზე ამხედრებული) ტოვებს ბაქინჰემის სასახლის ცენტრალურ ჭიშკარს. იგი ზის ღია კარეტაში და მიემართება აღლუმის მისაღებად. ამ მოვლენას ესწრებიან სამეფო ოჯახის წევრები, მთელი მთავრობა, ლონდონში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, არისტოკრატიული ოჯახის წევრები, ათასობით ბრიტანელი და უცხოელი ტურისტი. ზუსტად 12 საათსა და 30 წუთზე სამეფო ამალა ბრუნდება ბაქინჰემის სასახლეში. დედოფალი და სამეფო ოჯახის წევრები ერთად გამოდიან სასახლის აივანზე და იქედან ესალმებიან მოედანზე თავმოყრილ ათასობით გულშემატკივარს. პირველ საათზე იმართება სამეფო საჰაერო ფლოტის აღლუმი. თვითმფრინავები გადაუფრენენ სასახლეს. 1969 წლიდან 1986 წლამდე დედოფალი ცერემონიალზე გამოდიოდა თავისი საყვარელი ცხენით ბემიზით, რომელიც 1990 წელს მოკვდა უინძორში.

ივნისის პირველი რიცხვები „ეპსომ დაუნსის" იპოდრომზე, ლონდონთან ახლოს, ეწყობა სახელგანთქმული დერბი, სამწლიანი

ცხენების ყოველწლიური შეჯიბრება, რომელიც პირველად 1780 წელს მოაწყო დერბის გრაფმა. დედოფალი დერბის სტუმარია.

ივნისში აღინიშნება ასევე ერთ-ერთი უდიდესი სამეფო ისტორიული სანახაობა-წვივსახვევი ორდენით დაჯილდოების ცერემონიალი, რომელიც განსაკუთრებული პომპეზურობით მიმდინარეობს უინძორის ციხე-სიმაგრეში. ორდენის ახალი კავალერი ოფიციალურად ცხადდება წმინდა ჯორჯის დღეს, 23 აპრილს, თუმცა დაჯილდოების ცერემონიალი მონარქის სურვილით იმართება ივნისში, სამეფო ესქოთის[1] კვირის ორშაბათს. დაჯილდოების ცერემონიალი მიმდინარეობს უინძორის ციხე-სიმაგრის სატახტო ოთახში. შემდგომ დედოფალი ორდენის კავალერების თანხლებით შედის „ლანჩზე" ვათერლოოს დარბაზში, ხოლო მოგვიანებით კი მოემართება წმინდა ჯორჯის ეკლესიაში. ხანმოკლე წირვის შემდეგ ისინი ღია კარეტებით და მანქანებით ბრუნდებიან ციხე-სიმაგრის ზედა ნაწილში. 1995 წელს ქვეყნის ამ ერთ-ერთ უმაღლესი ორდენის კავალერი გახდა ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მარგარეთ თეთჩერი. უცხოელ სახელმწიფოს ლიდერთა შორის, რომლებიც ბრიტანეთის ამ უმაღლესი ორდენის კავალერები არიან, უნდა დავასახელოთ ლუქსემბურგის ყოფილი დიდი ჰერცოგი ჟანი, ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი, დანიის დედოფალი მარგარეთ II, ნიდერლანდების დედოფალი ბეატრიკსი, ნორვეგიის მეფე ჰაროლდ V და ა.შ.

ივნისის თვეში იმართება ასევე ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობის მქონე სამეფო დღესასწაული, „სამეფო ესქოთი". ეს ყოველწლიური ოთხდღიანი დღეობა 1711 წლიდან და მართლაც, რომ უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს ბრიტანეთის არისტოკრატიაში. ამ მოვლენის ცენტრშიც, ბუნებრივია, სამეფო ოჯახია. განსაკუთრებული დღეა ოთხშაბათი, რომელიც მიჩნეულია, როგორც „ქალბატონების დღე".

ივლისის პირველ კვირას დედოფალი და მისი მეუღლე ატარებენ შოტლანდიაში, ედინბურგში, სადაც დედოფალი ცხოვრობს ჰოლირუდის სასახლეში. მრავალ შეხვედრებთან ერთად აქ ეწყობა წლის ბაღის პირველი წვეულება. სამი სხვა ასეთი შეხვედრა ეწყობა ბაქინჰემის სასახლის ბაღში. ყოველწლიურად ასეთ მიღებებს ესწრება 40 ათასი კაცი საზოგადოების ყველა ფენიდან. შემდეგ კი მთელ აგვისტოს და სექტემბერს მისი უდიდებულესობა ატარებს შოტლანდიაში, ბოლმოროლის ციხე-სიმაგრეში, ჰაილენდში. სექტემბერში დედოფალი ბრეიმარის თამაშების მუდმივი სტუმარია.

---

[1] ესქოთი – იპოდრომი უინძორთან ახლოს

ოქტომბერში დედოფალი და ედინბურგის ჰერცოგი ბრუნდებიან დედაქალაქში. ოქტომბრის ბოლოს ანდა ნოემბრის დასაწყისში მისი უდიდებულესობა ხსნის პარლამენტის ახალ სესიას სეფე სიტყვით. დედოფლის პარლამენტში მოსვლა განსაკუთრებული პომპეზურობით გამოირჩევა. იგი ბაქინჰემის სასახლიდან ეტლით სამეფო ამალის თანხლებით მოემართება პარლამენტისაკენ. პარლამენტში იგი შედის ვიქთორიას ცნობილი კოშკით, სადაც „რობინგ რუმში"[1] ირთვება სამეფო რეგალიით, იხურავს მსოფლიოში სახელგანთქმულ იმპერიულ სახელმწიფო გვირგვინს (რომელიც ამ მოვლენასთან დაკავშირებით სპეციალურად მოაქვთ თაუერიდან) და შედის ლორდთა პალატაში. დედოფლის სპეციალური წარგზავნილი ე.წ. „ბლექ როდი", მიდის თემთა პალატაში და კარებზე სამჯერ დაკაკუნების შემდეგ პალატის წევრებს იხმობს ლორდთა პალატაში. თემთა პალატის წევრები პრემიერ-მინისტრის და ოპოზიციის ლიდერის მეთაურობით მოემართებიან დედოფლის სიტყვის მოსასმენად. ლორდები მისი უდიდებულესობის სიტყვას მსხდომარენი უსმენენ, ქვედა პალატის წევრები კი ფეხზე დგანან. სეფე სიტყვის დამთავრების შემდეგ დედოფალი ტოვებს პარლამენტის შენობას.

ნოემბერში (ნოემბრის მეორე კვირა) დედოფალი, სამეფო ოჯახის თანხლებით, მონაწილეობს ე.წ. „მოსახსენიებელი კვირის" ცერემონიალზე ალბერთ-ჰოლში და გვირგვინებით ამკობს „სენოუთაფს„[2] უაითჰოლზე. ნოემბრის მეორე ნახევარში მისი უდიდებულესობა ლონდონში, ბაქინჰემის სასახლეში (მიღება ეწყობა ასევე უინძორის ციხე-სიმაგრეში) ანყობს ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების ყოველწლიურ მიღებას. ტრადიცია სათავეს იღებს დედოფალ ვიქთორიას მეფობიდან.

დეკემბრის ერთ-ერთი დღე დედოფალს განკუთვნილი აქვს იმისათვის, რათა ჩაინეროს მისი საშობაო მილოცვა რადიოსა და ტელევიზიაში, რომელიც 25 დეკემბერს გადაიცემა ეთერში ბრიტანეთისა და თანამეგობრობის მოსახლეობისათვის. მონარქის საშობაო მილოცვა ტრადიციულად ეწყობა 1932 ნლიდან, როდესაც მეფე ჯორჯ V შობა-ახალი ნელი მიულოცა თავის ქვეშევრდომებს. 22 დეკემბერს მისი უდიდებულესობა ახლობლებთან ერთად ტოვებს დედაქალაქს და შობა-ახალ ნელს ატარებს სანდრინჰემის სასახლეში.

---

[1] „რობინგ რუმი" – სამეფო მანტიის მოსასხმელი ოთახი პარლამენტში.
[2] „სენოუთაფი" – პირველი და მეორე მსოფლიო ომებში დაღუპულთა ობელისკი ლონდონის ცენტრში უაიტჰოლზე.

სამეფო ოჯახის დანახარჯების 40% ფინანსირდება სახელმწიფოს ბიუჯეტიდან, რომელსაც ამტკიცებს პარლამენტი. ბიუჯეტი აფინანსებს ოფიციალურ ვიზიტებს, დანახარჯებს სამეფო სასახლეებზე, ტრანსპორტზე და ა.შ.

დღეისათვის დედოფლის ფინანსები ძირითადად ოთხი წყაროთი განისაზღვრება.

1. ცივილური ფურცელი;

2. თანხა, რომელსაც პარლამენტი გამოჰყოფს სპეციალურად სამეფო სასახლეების საჭიროებისათვის და სამეფო ოჯახის წევრთა სამოგზაუროდ;

3. დედოფლის „პირადი საფულე", რომელიც ძირითადად ფინანსირდება ლენქასთერის საჰერცოგოდან;

4. დედოფლის პირადი ქონება და შემოსავალი.

ცივილური ფურცელი ძირითადად ჩამოყალიბდა 1760 წელს ჯორჯ II მეფობის პერიოდში. მეფემ შემოსავლები თავისი მამულებიდან (დღეს გვირგვინის მამულები) სახელმწიფოს გადააბარა (ამ მიწების შემოსავლიდან ფინანსირდებოდა ყოველგვარი გადასახადები, როგორც სამთავრობო, ასევე სამეფო ოჯახზე), სანაცვლოდ კი პარლამენტმა დაიწყო ყოველწლიური თანხის გამოყოფა სამეფო კარის შესანახად (გვირგვინის მამულებიდან შემოსავალმა 2000-01 წლებში შეადგინა 148 მილიონი ფუნთი, რომელიც შედის სახელმწიფო ხაზინაში).

1991 წლიდან ცივილურმა ფურცელმა შეადგინა 7,9 მილიონი ფუნთი და იგი უცვლელი იქნება 2010 წლამდე. აღნიშნული თანხის 70% ხმარდება საქმიანობას, რომელიც უშუალოდ უკავშირდება დედოფლის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის საქმიანობას. იგი მოიცავს ხელფასებს იმ პირთათვის, ვინც დედოფლის სამსახურშია, დანახარჯებს, რომლებიც უკავშირდება მიღებებს, შეხვედრებსა და ა.შ. ამ სტატიებიდან იხარჯება ასევე თანხა სამეფო ბაღის წვეულებებისათვის და სხვა.

პარლამენტი გამოყოფს ასევე თანხას, რომელიც საჭიროა სამეფო სასახლეების მოვლა-პატრონობისათვის. ამის თაობაზე პასუხისმგებელია ეროვნული მემკვიდრეობის დეპარტამენტი.

სამეფო ოჯახის წევრები ცხოვრობენ ისეთ ისტორიულ შენობებში, როგორებიცაა ბაქინჰემის სასახლე, უინძორი ციხესიმაგრე, ქენსინგთონის სასახლე, ქლერენსის სასახლე და სხვა. სამეფო სასახლეების (რომლებშიც ცხოვრობენ სამეფო ოჯახის წევრები) საჭიროებისათვის 1999/2000 წლებში დაიხარჯა 15 მილიონი ფუნთი. 2000-01 წლებში სამეფო ოჯახის წევრთა მოგზაურობისას დაიხარჯა დაახლოებით 5,4 მილ. ფუნთი (ეს თანხა

მოიცავს თვითმფრინავებით, ვერტმფრენებითა და სამეფო მატარებლებით მოგზაურობისას განეულ ხარჯებს, რაც შეეხება მსუბუქი ავტომობილების დანახარჯებს, ისინი იფარება ცივილური ფურცლის ფონდებიდან).

დედოფლის „პირადი საფულე" ძირითადად ფინანსდება ლენ-ქასთერის საჰერცოგოს შემოსავლიდან, რომელმაც 1999 წელს შეადგინა დაახლოებით 6,1 მილიონი ფუნთი. ამ საჰერცოგოს ისტორია სათავეს იღებს XII საუკუნიდან და მოიცავს 13600 ჰა-ს. სამეფო ოჯახის ყველა წევრი უელსის პრინცის გამოკლებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს გარკვეულ თანხას. თუმცა სამეფო ოჯახის წევრებზე განეულ სახელმწიფო დანახარჯებს დედოფალი საკუთარი სახსრებიდან უბრუნებს ქვეყნის ბიუჯეტს. მისი უდიდებულესობა აღნიშნულ თანხას ბიუჯეტში დებს ლენქასთერის საჰერცოგოს შემოსავლებიდან (ეს არ ეხება იმ დანახარჯებს, რომელსაც სახელმწიფო იღებს ედინბურგის ჰერცოგისათვის). სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამეფო ოჯახის წევრები 1991-2010 წლებში იღებენ თანხის შემდეგ რაოდენობას:

ედინბურგის ჰერცოგი 359 000 ფუნთი

იორქის ჰერცოგი 249 000 ფუნთი

უესექსის გრაფი 96 000 ფუნთი

პრინცესა ანა 228 000 ფუნთი

პრინცესა ალისა, გლოსთერის ჰერცოგინია 87 000 ფუნთი

გლოსთერის ჰერცოგი და ჰერცოგინია 236 000 ფუნთი

ქენთის ჰერცოგი და ჰერცოგინია 225 000 ფუნთი

პრინცესა ალექსანდრა 225 000 ფუნთი

უელსის პრინცი არავითარ შემოსავალს არ ღებულობს სახ-ელმწიფოს ბიუჯეტიდან. მის ძირითად შემოსავალს შეადგენს ქორნუოლის საჰერცოგოს მამულები, რომლის უდიდესი ნაწილიც ინგლისის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს (დაახლოე-ბით 128 ათასი აკრი). საჰერცოგოს ისტორია იწყება 1337 წლიდან, შავი პრინცის, ქორნუოლის ჰერცოგის დროიდან. 1998 წლის მონა-ცემებით შემოსავალმა აღნიშნული მამულებიდან შეადგინა 6,0 მილიონი ფუნთი.

1993 წლის აპრილიდან ელისაბედ II ნებაყოფლობით იხდის საშემოსავლო გადასახადს პირად ქონებასა და შემოსავალზე.

ელისაბედ II მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ქალია და თავისი ქონების საერთო პოტენციალით შედის მსოფლიოს უმ-

დიდრეს ადამიანთა პირველ ოცეულში. მსოფლიოს მონარქებს შორის იგი სიმდიდრით მეოთხე პიროვნებაა ბრუნეის სულთანის, საუდის არაბეთის მეფისა და ნიდერლანდების დედოფლის შემდეგ. დედოფლის პირადი ქონება 2000 ნელს შეფასებული იყო დაახლოებით 2 მლრდ. ფუნთად. საერთოდ, მისი უდიდებულესობის ქონება შესაძლოა დაიყოს სამ ძირითად კატეგორიად. პირველ კატეგორიაში გაერთიანდება დედოფლის ქონების ის ნაწილი, რომელიც ეკუთვნის მას, როგორც მონარქს და რომელიც მისი პირადი კუთვნილება არ არის. ქონების ეს ნაწილი მოიცავს უინძორის ციხე-სიმაგრეს, ბაქინჰემის სასახლეს, ჰოლირუდის სასახლეს, სამეფო რეგალიას (მ.შ. გვირგვინები, კვერთხები და ა.შ.), სურათებს, წიგნებს, მარკების კოლექციას, უცხოეთის ქვეყნების ლიდერთა საჩუქრებს და სხვა ძვირფასეულობას. ქონების მეორე კატეგორიას ნარმოადგენს ე.წ. „გვირგვინის მამულები" და ლენქასთერის საჰერცოგო. „გვირგვინის მამულები" ოფიციალურად ეკუთვნის მონარქს, როგორც სახელმწიფო მეთაურს, თუმცა იგი დედოფლის პირადი საკუთრება არ არის. აღნიშნული მამულები არის, როგორც ინგლისში, ასევე შოტლანდიასა და უელსში და ჭარბობს 250 ათას აკრს. რაც შეეხება ლენქასთერის საჰერცოგოს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქედან შემოსავალი ხმარდეა დედოფლის პირად ხარჯებს. ქონების მესამე კატეგორიაში ერთიანდება დედოფლის პირადი საკუთრება, რომელიც მოიცავს ბოლმოროლის მამულს (მ.შ. ბოლმოლორის ციხე-სიმაგრე), გრამპიანში, შოტლანდია, 45 ათასი აკრი ფართობით და რომელიც შეფასებულია 50 მილიონი ფუნთ სთერლინგად. ასევე სანდრინჰემის მამულს აღმოსავლეთ ინგლისში, ნორფოლქში. სანდრინჰემის 270 ოთახიანი სახლითურთ, მამულის ფართობი შეადგენს 20 ათას აკრს და შეფასებულია 70 მილიონ ფუნთად. აღნიშნული მამულები დედოფალმა მემკვიდრეობით მიიღო მამისაგან. დედოფლის კუთვნილებაა ასევე სანინგჰილის პარკი, სადაც ამჟამად ცხოვრობს იორქის ჰერცოგი. მნიშვნელოვანია ელისაბედ II პირადი ანაბრები. მისი უდიდებულესობის ხელოვნების ნიმუშთა სამეფო კოლექცია ერთ-ერთი უდიდესია მთელს მსოფლიოში და მოიცავს ძველ ხელოვანთა ნახატებს (დაახლოებით 4 მლრდ ფუნთის ღირებულების), ავეჯს (3,2 მლრდ ფუნთი), სურათებს (3 მლრდ ფუნთი), კერამიკის ნაკეთობებს (620 მლნ ფუნთი), იარაღს და აბჯარ-აბგარსს (400 მლნ ფუნთი), საათების კოლექციას (300 მლნ ფუნთი), სკულპტურებს (100 მლნ ფუნთი), ხალიჩებსა და გობელინებს (75 მლნ ფუნთი), ფაბერჟეს ნაკეთობებს (40 მლნ ფუნთი), წიგნებს, მარკებს და ა.შ.

უდიდეს ინტერესს იწვევს სამეფო კოლექციის სურათები, რომელთა რიცხვიც სჭარბობს 7 ათასს (სამჯერ უფრო მეტი ვიდრე ეროვნული გალერეის კოლექცია). განსაკუთრებით აღსანიშნავია:

რემბრანდთის ნამუშევრები; შეფასებულია-195 მლნ ფუნთად.

ცნობილი სურათებია:

1. The Shipbuilder And His Wife (60 მლნ ფუნთი)

2. Agatha Bas (45 მლნ ფუნთი)

3. Christ And The Magdalen At the Tomb (50 მლნ ფუნთი)

ვან დეიქის ნამუშევრები; შეფასებულია-310 მლნ ფუნთად. აღსანიშნავია შემდეგი სურათები:

1. Three Views of Charles I (50 მლნ ფუნთი)

2. Charles I On Horseback With M de St Antonio (55 მლნ ფუნთი)

3. Charles I And Henrietta Maria With Their Two Eldest Children (15 მლნ ფუნთი)

რუბენსის ნამუშევრები; შეფასებულია-112 მლნ ფუნთად. აღსანიშნავია:

1. The Assumption Of The Virgin (15 მლნ ფუნთი)

2. Landscape With St. George And The Dragon (20 მლნ ფუნთი)

სამეფო კოლექციაში, ასევე მსოფლიოში სახელგანთქმულ ხელოვანთა — ჰოლბეინის, ქანალეთოს, გეინსბოროს და სხვათა არაერთი უნიკალური ქმნილება.

ძველ ხელოვანთა ნახატებს შორისაა მაგალითად მიქელანჯელოს 17 (შეფასებულია 140 მლნ ფუნთად) და ლეონარდო დავინჩის 600-ზე მეტი ნამუშევარი (3,2 მლრდ ფუნთი).

სამეფო კოლექციაში ავეჯის მნიშვნელოვანი ნაწილი ფრანგულია, რომელთა დიდი ნაწილიც სამეფო ოჯახში გამოჩნდა საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ, თუმცა არის საუკეთესო ინგლისური ნაკეთობანიც. საქვეყნოდაა ცნობილი ვერცხლის მაგიდა, რომელიც ენდრიუ მურმა 1700 წელს დაამზადა მეფე უილიამ III-სთვის; ნახევრადწრიული კაბინეტი-უელსის პრინცისათვის (შემდგომ მეფე ჯორჯ IV), დამზადებულია 1781 წელს უილიამ გეითის მიერ; ფრანგული კაბინეტი-დამზადებულია 1775 წელს მართინ ქარლინის მიერ, 1828 წელს იგი შეიძინა მეფე ჯორჯ IV.

სამეფო კოლექციაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ასევე ფაბერჟეს ნაკეთობების კოლექცია, რომელიც მოიცავს 450 ნამუშევარს. სახელგანთქმულია აღდგომის კვერცხების კოლექციაც ინახება ცნობილი Colonnade Egg, რომელიც ნიკოლოზ II აჩუქა მეუღლეს. სკულპტურულ შედევრებს შორის 1400 ქმნილებაა, მ.შ. 550 დამზადებულია მარმარილოსაგან.

ბრიტანეთის ცივილიზაციის მემკვიდრეობის უნიკალურ ნიმუშებს წარმოადგენს სამეფო რეგალია, რომელიც ლონდონის სახ-

ელგანთქმულ თაუერშია დაცული 1327 წლიდან, მეფე ედუარდ II მეფობის პერიოდიდან. 1994 წლის 24 მარტს დედოფალმა გახსნა ახალი საგანძურის სასახლე, თაუერის, ვათერლოოს შენობის პირველ სართულზე, სადაც უფრო ფართო სპექტრით არის ნარმოდგენილი ბრიტანეთის მონარქების სამეფო საგანძური.

სამეფო რეგალიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია წმინდა ედუარდის გვირგვინს, რომელიც დამზადდა სპეციალურად მეფე ჩარლზ II-სთვის 1661 წელს. ამ გვირგვინს იყენებენ იშვიათად, მხოლოდ ახალი მონარქის მეფედკურთხევის ცერემონიალის დროს უესთმინსთერის სააბათოში, დანარჩენ დროს იგი ინახება თაუერში და ტურისტების განკარგულებაშია. გვირგვინი გაკეთებულია ოქროთი, რომელიც მოჭედილია 440 ძვირფასი ქვით და ინონის 2,04 კილოს. საგანძურის ერთ-ერთი უძვირფასესი ნაკეთობაა იმპერიული სახელმწიფო გვირგვინი, რომელიც გაკეთდა სპეციალურად დედოფალ ვიქთორიას მეფედ კურთხევის ცერემონიალისათვის და შემდგომ ნლებში უმნიშვნელო ცვლილებები განიცადა. ეს გვირგვინი შეიცავს 2868 ბრილიანტს, 277 მარგალიტს, 17 საფირონს, 11 ზურმუხტსა და 5 ლალის თვალს. იგი მოიცავს მრავალ ისტორიულ ქვას, რომელთა შორის აღსანიშნავია მსოფლიოში სახელგანთქმული კულინანის ბრილიანტის, სიდიდით მეორე ნატეხი (აფრიკის მეორე ვარსკვლავი), რომელიც 317 კარატს ინონის. კულინანის ბრილიანტი ნაპოვნი იქნა 1905 წლის 26 იანვარს სამხრეთ აფრიკაში და თავიდან ინონიდა 3106 კარატს. მოგვიანებით იგი აჩუქეს მეფე ედუარდ VII დაბადების 66 ნლის აღსანიშნავად. ეს ბრილიანტი დანაწევრებულ იქნა 9 დიდ ნაწილად, რომელთა შორის, ყველაზე დიდი, პირველი ნატეხი (აფრიკის პირველი ვარსკვლავი) ინონის 530 კარატს და მოთავსებულია სამეფო კვერთხში. სიდიდით პირველი ორი ნატეხი, რომელიც ჩასმულია სამეფო კვერთხსა და იმპერიულ სახელმწიფო გვირგვინში სახელმწიფო საკუთრებაშია, დანარჩენი შვიდი დიდი ნატეხი დედოფლის პირადი საკუთრებაა. კულინანის მესამე, მეოთხე და მეხუთე ნატეხებისაგან დამზადებული გულსაბნევები, შესაბამისად ინონის 94,4; 63,6 და 18,8 კარატს. გარდა აფრიკის მეორე ვარსკვლავისა აღნიშნული გვირგვინი მოიცავს ასევე სთიუართების საფირონს, რომელიც 104 კარატისა და 1214 ნლით თარიღდება. აღსანიშნავია ასევე სახელგანთქმული შავი პრინცის ლალის თვალი, რომელიც ისტორიაში პირველად მოიხსენიება 1367 ნლიდან და რომელიც ამ პერიოდისთვის, ალბათ რამოდენიმე ასეული ნლის იყო. გვირგვინზე წარმოდგენილი ოთხი დიდი მარგალიტიდან ერთი წარმოადგენს დედოფალ ელისაბედ I საყურეს. გვირგვინის თავზე მოთავსებულ ჯვარში ჩასმული საფირონი ედუარდ აღმსარებლის დროინდელია.

რეგალიის სხვა გვირგვინებიდან აღსანიშნავია დედოფალ ელისაბედის, დედა დედოფლის გვირგვინი, რომელიც დამზადდა 1937 წელს მეფე ჯორჯ VI მეფედ კურთხევის ცერემონიალისათვის, დედოფალი ელისაბედისათვის, სწორედ ამ გვირგვინშია ჩასმული მსოფლიოში სახელგანთქმული კოჰ-ი-ნორის ბრილიანტი, რომელიც დღეისათვის ინონის 107 კარატს და რომელზე შექმნილი ლეგენდაც 3000 წლოვანია.

ცნობილია ასევე ინდოეთის იმპერიული გვირგვინი, რომელიც სპეციალურად დამზადდა 1911 წელს მეფე ჯორჯ V-თვის, როგორც ინდოეთის მეფე-იმპერატორისათვის. ეს გვირგვინი მოიცავს 6 ათას სხვადასხვა სახის ძვირფას ქვას, რომლებიც სპეციალურად გამოგზავნილ იქნა ამ გვირგვინის გასაკეთებლად ინდოეთიდან. გვირგვინი გამოყენებულ იქნა მხოლოდ ერთხელ-1911 წელს.

გვირგვინებს შორის განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევა დედოფალ ვიქტორიას პატარა გვირგვინი, რომელიც მისი უდიდებულესობისათვის დამზადდა 1870 წელს, ოქროსა და ვერცხლის ნარევისაგან, ინონის 113 გრამს და მოიცავს 1300 ბრილიანტის თვალს. ცნობილია ასევე ჯორჯ IV ბრწყინვალე დიადემა, სადაც ჩასმულია 1333 ბრილიანტი, რომელთა საერთო წონა 325,75 კარატია. დედოფალი ამ დიადემას იყენებს პარლამენტის საზეიმო გახსნის ცერემონიალზე, როცა იგი ბაქინჰემის სასახლიდან მიემართება პარლამენტში და უკან ბრუნდება იმავე მარშრუტით.

სამეფო რეგალიებში შემავალ ბეჭდებს შორის აღსანიშნავია სამი ძვირფასი ბეჭედი. ერთი მათგანი გაკეთებულია სპეციალურად მეფე უილიამ IV-თვის 1831 წელს. ბეჭდის ცენტრში ჩასმულია მსხვილი საფირონის თვალი, რომელსაც ზემოდან დაფარებული აქვს ჯვრის სახით (წმინდა ჯორჯის ჯვარი) ხუთი ლალის თვალი. თავად საფირონი ჩასმულია ბრილიანტის თვლებში (სულ 15 თვალი). ეს ბეჭედი ცნობილია ასევე, როგორც „ინგლისის საქორწინო ბეჭედი". აღნიშნული დროისათვის გაკეთდა ასევე ბეჭედი, უილიამ IV მეუღლისათვის, დედოფალი ადელაიდასათვის. ბეჭდის ცენტრში ზის ლალის თვალი, რომელიც გარშემორტყმულია 15 ბრილიანტის თვლით. დედოფალ ვიქტორიას ბეჭედი დამზადებულ იქნა 1838 წლისათვის და ნააგავს უილიამ IV ბეჭედს, თუმცა ზომით მასზე მცირეა.

სამეფო კვერთხებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კვერთხი, რომელიც ცნობილია, როგორც სამეფო კვერთხი ჯვრით, სწორედ მასშია ჩასმული მსოფლიოში უდიდესი ბრილიანტი, აფრიკის პირველი ვარსკვლავი. კვერთხი ოქროსაგან არის დამზადებული და მისი სიგრძე 91,4 სმ. ცნობილია კვერთხი

ე.ნ. კვერთხი მტრედით, ისიც ოქროსგანაა დამზადებული და 104 სმ. სიგრძისაა. ერთი მხრიდან ბოლოვდება ოქროს სფეროთი და ფრთაგაშლილი მტრედით. სამეფო რეგალიის უმნიშვნელოვანეს ატრიბუტებს წარმოადგენს ასევე ორი სფერო, რომელიც ძვირფასი ქვებით არის მოჭედილი და რომლებზედაც დგას ჯვრები. დიდი სფერო, რომელიც ჩარლზ II მეფედ კურთხევისათვის გაკეთდა სულ ოქროსია, მისი დიამეტრი 165 მმ და იწონის 1,3 კილოს. შედარებით მცირე ზომისაა მეორე ოქროს სფერო, რომელიც დედოფალ მერი II-თვის დამზადდა. აღსანიშნავია ასევე ოქროს სამაჯურები, ხმლები, კოვზი (მოვერცხლილი კოვზი სამეფო რეგალიის უძველესი ნაწილია, რომელიც ალბათ თარიღდება XII საუკუნით, იგი გამოყენებულ იქნა ჯერ კიდევ მეფე ჯონის მეფედკურთხევის დროს 1199 წელს) და სხვა ატრიბუტები.

ელისაბედ მეორის პირადი საგანძური შეფასებულია დაახლოებით 75 მილიონ ფუნთ სტერლინგად (მ.შ. ბრილიანტები, ზურმუხტები, მარგალიტები, ლალი და საფირონები და სხვა საგანძური). საგანძური მოიცავს იმ ძვირფასეულობას, რომლებიც მისმა უდიდებულესობამ მიიღო მემკვიდრეობით ანდა საჩუქრად, ზოგიერთიც შეიძინა საკუთარი სურვილით თავისი მეფობის პერიოდში.

დედოფლის პირად საგანძურში განსაკუთრებული ადგილი უკავია თეარებს, რომელთა შორისაც აღსანიშნავია:

1. ელადიმირის დიდი ჰერცოგინიას რუსული თეარა. ეს თეარა უინძორთა საგანძურში მოხვდა დიდი ჰერცოგინიას სიკვდილის ერთი წლის შემდეგ 1921 წელს. იგი შეიძინა დედოფალმა მერიმ. შედგება ბრილიანტებით მოჭედილი 15 რკალისაგან, რომელთა ცენტრშიც შესაძლოა ჩაისვას, როგორც მარგალიტის, ასევე ზურმუხტის თვლები.

2. დედოფალ ალექსანდრას რუსული თეარა. ეს თეარა გადაეცა საჩუქრად დედოფალ ალექსანდრას თავისი ქორწინების ვერცხლის იუბილეს აღსანიშნავად. გაერთიანებული სამეფოს ქალბატონების სახელით 1888 წელს. თეარა შეიცავს 488 ბრილიანტს.

3. დედოფალი მერის „დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის გოგონების თეარა". ეს თეარა დედოფალ მერის საქორწინო საჩუქარია. თეარა დედოფალ ელისაბედ II გადაეცა თავისი ქორწინების დღეს 1947 წელს.

სხვა თეარებს შორის აღსანიშნავია ბრაზილიის პრეზიდენტის მიერ 1953 წელს ნაჩუქარი ბივრილის, ცისფერი ძვირფასი თვლებისა და ბრილიანტებისაგან 1957 წელს დამზადებული თეარა (ამ თვლებისაგან დამზადებულია ასევე საყურეები და ყელსაბამი), ასევე საფირონის და ბრილიანტების თვლებით მოჭედილი თეარა

(საყურეებთან და ყელსაბამთან ერთად), რომელიც დედოფალს გადასცა მამამისმა, როგორც საქორწინო საჩუქარი და ლალის და ბრილიანტების თვლებიანი თეარა, რომელიც დამზადდა 1973 წელს. ლალის თვლები, რომლითაც შემკულია თეარა ბირმელი ხალხის საქორწინო საჩუქარია დედოფლისადმი.

დედოფლის ყელსაბამებს შორის აღსანიშნავია:

1. დედოფალ ვიქთორიას ყელსაბამი თავისი საყურეებით, ისინი დამზადებულ იქნა 1858 წელს.

2. ქემბრიჯის და დელის ყელსაბამი თავისი საყურეებით.

3. საუდის არაბეთის მეფის ფეისალის ყელსაბამი. საუდის არაბეთის მეფემ ეს ყელსაბამი ელისაბედ II გადასცა თავისი ისტორიული ვიზიტის დროს დიდ ბრიტანეთში 1967 წელს.

დედოფლის გულსაბნევებიდან აღსანიშნავია:

1. პრინც ალბერთის გულსაბნევი. ცენტრში ჩასმულია დიდი საფირონის თვალი, რომლის ირგვლივაც ბრილიანტის 12 თვალია დამაგრებული. იგი დედოფალ ვიქთორიას აჩუქა პრინც ალბერთმა 1840 წლის 9 თებერვალს ბაქინჰემის სასახლეში.

2. კულინანის ბრილიანტის მესამე და მეოთხე ნატეხი. მესამე ნატეხი ინონის 94,4 კარატს, მეოთხე ნატეხი ინონის 63,6 კარატს. ორივე ერთად შეფასებულია 26 მლნ ფუნთად.

3. კულინანის მეხუთე ნატეხი, ცნობილია, როგორც გულისფორმის გულსაბნევი, ცენტრში ჩასმული ბრილიანტი ინონის 18,8 კარატს, რომელიც ირგვლივ მორთულია უფრო პატარა ზომის ბრილიანტებით.

4. უილიამსონის ბრილიანტი ინონის 23 კარატს. ამ ბრილიანტისაგან გაკეთებული გულსაბნევი დედოფალ ელისაბედ II გადასცეს ქორწინების დროს. იგი შეფასებულია 6,6 მლნ ფუნთ სთერლინგად და სხვა.

მისი უდიდებულესობა დედოფალი ელისაბედ II ფლობს ასევე სხვადასხვა დასახელების საუკეთესო სამკაულებს მ.შ. ძვირფას ქამრებს (აღსანიშნავია ინდოეთის ზურმუხტებიანი ქამარი), თეარებს, გულსაბნევებს, საყურეებს, საათებს, სამაჯურებს (მ.შ. დედოფალ მერის, იორქის ვარდის სამაჯური) და ა.შ.

სამეფო ტრანსპორტი მოიცავს თვითმფრინავებს, ვერტმფრენებს, მატარებელს, ავტომობილებს და ეტლებს, სწორედ ტრანსპორტის ამ სახეობების საშუალებით ხდება დედოფლის და სამეფო ოჯახის წევრების მოგზაურობა, როგორც გაერთიანებული სამეფოს შიგნით ასევე საზღვარგარეთაც.

სამეფო ოჯახის ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს სხვადასხვა დანიშნულების მქონე ეტლები, რომელთაც თავისი დიდებით, პომპეზურობითა და მნიშვნელობით სათავეში უდგას მსოფლიოში სახელგანთქმული ოქროს სახელმწიფო ეტლი.

იგი გაკეთდა 1762 წელს მეფე ჯორჯ II-თვის და სამეფო საჯინიბოშია წარმოდგენილი. აღნიშნული წლის 24 ნოემბერს, მეფე ამ ეტლით მობრძანდებოდა პარლამენტის ახალი სესიის გასახსნელად. 1831 წლიდან მოყოლებული ამ ეტლს იყენებენ მხოლოდ მეფედ კურთხევის ცერემონიალისათვის ანდა განსაკუთრებული ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად. ბოლოს იგი გამოყენებულ იქნა 2002 წლის 4 ივნისს, როდესაც ელისაბედ II გამეფების ოქროს იუბილეს აღსანიშნავ სამადლობელო წირვაზე გაემგზავრა ბაქინჰემის სასახლიდან წმინდა პავლეს ტაძარში. ეტლის სიგრძე 7,3 მეტრია, სიგანე 2,5 მეტრი, ხოლო სიმაღლე კი 3,9 მეტრი, ინონის ოთხ ტონას და მასში ებმევა 8 ცხენი. ამ ეტლის აშენება დაჯდა 7,562 ფუნთი სთერლინგი (დღეს 1 მლნ ფუნთი).

ყოველი წლის პარლამენტის ახალი სესიის გახსნის ცერემონიალისათვის მისი უდიდებულესობა ზოგჯერ იყენებს ე.წ. ირლანდიურ სახელმწიფო ეტლს ანდა ავსტრალიურ სახელმწიფო ეტლს. ირლანდიური სახელმწიფო ეტლი აშენდა 1851 წელს დუბლინის მერისათვის, შემდგომ იგი შეიძინა დედოფალმა ვიქთორიამ. აღნიშნული ეტლი არის ძველის ასლი. მას რესტავრაცია გაუკეთდა 1988-89 წლებში. რაც შეეხება ავსტრალიურ სახელმწიფო ეტლს, იგი დედოფალ ელისაბედ II აჩუქეს 1988 წლის 8 მაისს ქანბერაში, ავსტრალიის 200 წლისთავთან დაკავშირებით. აგვისტოდან ეტლი სამეფო საჯინიბოშია. აღნიშნული ეტლი დედოფალმა პირველად გამოიყენა პარლამენტის სესიის გახსნის ცერემონიალზე 1988 წლის 22 ნოემბერს.

სხვა სამეფო ეტლებს შორის აღსანიშნავია შოტლანდიური სახელმწიფო ეტლი, აშენდა 1830 წელს, მეფე უილიამ IV ძმის, ქემბრიჯის ჰერცოგის, დედოფალ მერის ბაბუისათვის. დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ ეს ეტლი აჩუქეს დედოფალ მერის. მან სერიოზული მოდერნიზაცია განიცადა 1968-1969 წლებში. ელისაბედ II იგი პირველად გამოიყენა 1969 წლის 20 მაისს, ედინბურგში, როცა მან გახსნა შოტლანდიის ეკლესიის გენერალური ასამბლეა. სწორედ ამ ეტლიდან მიესალმა მისი უდიდებულესობა უინძორში, თავისი დაბადების დღის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე შეკრებილ ხალხს.

დედოფალ ალექსანდრას სახელმწიფო ეტლი დამზადდა 1865 წელს და დღევანდელი სახე მიიღო 1892 წელს, როცა იგი აჩუქეს უელსის პრინცესას (შემდეგში დედოფალი ალექსანდრა). ამ ეტლს დღეისათვის იყენებენ პარლამენტის საზეიმო გახსნის ცერემონიალისათვის. სწორედ მისი საშუალებით მიაქვთ სამეფო რეგალია ბაქინჰემის სასახლიდან უესთმინსტერის სასახლეში. სახელგანთქმული სარკეებიანი ეტლი გაკეთდა 1881 წელს და იგი

მეფე ჯორჯ V მეფედ კურთხევისათვის იყიდეს 1911 წელს. ამ ეტლს ძირითადად იყენებენ სამეფო ოჯახის წევრთა საქორწინო ცერემონიალისათვის (ეს ეტლი იქნა გამოყენებული პრინცესა ელისაბედის, პრინცესა ანას, პრინცესა დაიანასა და იორკის ჰერცოგინიას, სარას საქორწინო ცერემონიალებზე).

სამეფო საჯინიბოშია არაერთი ლანდო (ღია ეტლი) მ.შ. სახელგანთქმულია 1902 წლის სახელმწიფო ლანდო, რომელიც 1902 წელს გაკეთდა სპეციალურად ედუარდ VII-თვის. მეფემ იგი პირველად გამოიყენა აღნიშნული წლის 25 ოქტომბერს ლონდონის სითში სტუმრობისას. მისი უდიდებულესობა მას იყენებს უცხოეთის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებთან შეხვედრის ცერემონიალებისათვის. ეს ლანდო გამოიყენა უელსის პრინცმა და პრინცესამ ჯვრისწერის ცერემონიალის შემდეგ, როცა ისინი წმინდა პავლეს ტაძრიდან დაბრუნდნენ ბაქინჰემის სასახლეში და იორქის ჰერცოგმა და ჰერცოგინიამ, ქორწინების დღეს გზად უესთმინსთერის სააბათოდან ბაქინჰემის სასახლეში. სამეფო საჯინიბოში არის რვა ლანდო, რომლებსაც დედოფალი და სამეფო ოჯახის სხვა წევრები იყენებენ სხვადასხვა ცერემონიალებზე.

ზემოთ აღნიშნული ყველა ეტლი და ლანდო ინახება ბაქინჰემის სასახლის სამეფო საჯინიბოში.

1987 წლიდან მისი უდიდებულესობა თავისი დაბადების დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე მობრძანდება ფაეტონით, რომელშიც ორი ცხენია შებმული. ეს ფაეტონი შეიქმნა 1842 წელს.

სამეფო ოჯახის ცხოვრებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა მსოფლიოში სახელგანთქმული იახტა „ბრიტანია". ეს გემი 43 წლის მანძილზე სამეფო ოჯახის სამსახურში იყო, და 1997 წლის ნოემბერში დამსახურებულ „პენსიაში" გავიდა. მან თავისი საბოლოო ნავსაყუდელი ედინბურგში ჰპოვა, დღეს მას მილიონობით ტურისტი ათვალიერებს.

სამეფო საჯინიბოში შეგიძლიათ იხილოთ დედოფლის, როგორც სახელმწიფო, ასევე პირადი მანქანები. ოფიციალური სამსახურისათვის გამოიყენება ბრწყინვალე ლიმუზინები, რომელთა შორის ხუთი როლს-როისი და ორი დაიმლერ-ლიმუზინია. მათი შეფერილობა მუქი წაბლისფერია, მათზე რეგისტრირებული არ არის ნომერი. ყველაზე მნიშვნელოვანი როლს-როისი არის „ფანთომ VI", რომელიც მის უდიდებულესობას აჩუქეს გამეფების ვერცხლის იუბილეს აღსანიშნავად 1978 წელს. ამ მანქანის სიგრძე 6,1 მეტრია, სიგანე 2 მეტრი, ხოლო სიმაღლე 1,85 მეტრი. სიჩქარე 150 კმ საათში. ახალი „ფანთომ VI" დედოფალმა შეიძინა ასევე 1987 წელს. მანქანებს შორის უძველესია „ფანთომ IV", რომელიც სამეფო საჰაერო ძალების საქორწინო საჩუქარია დედოფლისათვის. დედოფლისა და მისი მეუღლის განკარგულებაშია ასევე

ორი „ფანთომ V“, რომლებიც ჯერ 1960, ხოლო შემდგომ 1961 წელს გამოჩნდნენ საჯინიბოში.

2002 წელს დედოფალს გამეფების ოქროს იუბილესთან დაკავშირებით ბენთლი მოთორზისგან საჩუქრად გადაეცა „ბენთლის“ ახალი მოდელი, რომელიც შეფასებულია 5 მლნ ფუნთად. მისმა უდიდებულესობამ ახალი მანქანა პირველად გამოიყენა 4 ივნისს, როცა იგი წმ. პავლეს ტაძრიდან გაემართა გილდჰოლში ლანჩზე.

პირადი ინტერესებისათვის დედოფალს ჰყავს დაიმლერ იაგუარი და ვოქსჰოლ ბრეიქი, პრინც ფილიპს კი რეინჯ როვერი და ელექტრო მანქანა ლუქასი. საკუთარი მანქანები მუქი მწვანე ფერისაა. სამეფო ოჯახის წევრებმა პირველად მანქანა ოფიციალურად გამოიყენეს 1904 წლის 19 ოქტომბერს (მეფე ედვარდ VII).

სამეფო საჰაერო ტრანსპორტი შედგება №32 (სამეფო) ესკადრონისაგან, რომელიც შეიქმნა 1995 წლის აპრილში და რომლებიც განლაგებულნი არიან ნორფოლთში, მიდლსექსში.

ესკადრონის შემადგენლობაშია: სამი ოთხძრავიანი BAe 146s (თითოეულს შეუძლია მოემსახუროს 19-26 მგზავრს) და შვიდი ორძრავიანი HS 125s (თითოეული ემსახურება 7 მგზავრს) ტიპის თვითმფრინავები. სამსახურშია ასევე ორი ვერტმფრენი.

სამეფო მატარებელი, რომელიც შედგება 14 ვაგონისაგან, ემსახურება დედოფალს, სამეფო ოჯახის წევრებს და სამეფო კარის მსახურთ (სამეფო მატარებლის პრაქტიკა დაინერგა 1840 წლიდან დედოფალ ვიქთორიას მეფობის დასაწყისიდანვე). დღევანდელი სახით ეს სამსახური ფორმირებულია 1977 წლიდან, სწორედ ამ წელს შეიცვალა 1941 წლიდან არსებული ვაგონები. განსაკუთრებული ადგილი მატარებელში უკავია ორ სალონს-დედოფლის სალონი (2903) და ედინბურგის ჰერცოგის სალონი (2904). სამეფო მატარებელზე დანახარჯებმა 1999 წელს შეადგინა 1 მლნ ფუნთი.

სამეფო კარი თავდაპირველად სახელმწიფო მართვის სისტემის ცენტრში იმყოფებოდა, თუმცა ისტორიული განვითარების შემდეგ სამეფო ოჯახის ბევრი თანამდებობის პირი სახელმწიფო ადმინისტრაციის წევრი გახდა და სრულიად განთავისუფლდა სამეფო კარის სამსახურისაგან. ეს უპირველესად ეხება ლორდ კანცლერს, საბჭოს ლორდ პრეზიდენტს, ბეჭდის მცველ ლორდს და სახელმწიფო მდივანს (ეს თანამდებობები დღეისათვის განაწილებულია მთავრობის მინისტრებს შორის).

სამეფო კარის ორი თანამდებობის პირი-Lord High Steward და Lord High Constable, ამჟამად მხოლოდ მეფედ კურთხევის ცერემონიალზე ინიშნება, ხოლო რაც შეეხება ისეთ თანამდებობას,

როგორიც არის Lord Great Chamberlain-ეს სამსახური მემკვიდრეობითია და განეკუთვნება სამი საგვარეულოს წარმომადგენელს; ესენია: ჩოლმოდლის მარკიზი, ლორდი ქერინგთონი და ენქასთერის გრაფი. ისინი თვითონვე თანხმდებიან, თუ ვინ დაიკავებს აღნიშნულ. თანამდებობას. ეს თანამდებობა თარიღდება მეფე ჰენრი I მეფობის პერიოდიდან. ამ პოსტის მფლობელნი პასუხის მგებელნი არიან იმ დღის წესრიგისა, რომელიც მყარდეა მეფედ კურთხევის ცერემონიალის და დედოფლის პარლამენტში მისვლის დროს.

გრაფ მარშალის (Earl Marshal) სამსახური ფუძნდება მეფე ჰენრი I მეფობის პერიოდიდან. 1672 წლიდან ამ თანამდებობას ფლობს ნორფოლქის ჰერცოგის ოჯახი. პირი, რომელიც ამ სამსახურის სათავეშია, ხელმძღვანელობს ასევე ჰერალდიკის პალატას და ყველა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ცერემონიალს, მ.შ. მეფედკურთხევას, სახელმწიფოებრივ დაკრძალვას და ა.შ. (გრაფი მარშალი იყო პასუხისმგებელი ელისაბედ II მეფედკურთხევის ცერემონიალისა 1953 წელს, მეფე ჯორჯ VI, 1952 წელს და უინსთან ჩერჩილის დაკრძალვის-1965 წ. ცერემონიალისა). მნიშვნელოვანია ასევე Lord Steward-ის სამსახურიც.

დღეისათვის სამეფო კარის მართვის სისტემის სათავეშია ლორდი ხაზინადარი (Lord Chamberlain), რომლის სამსახურიც აერთიანებს ექვს მნიშვნელოვან დეპარტამენტს:

1. პირადი მდივნის განყოფილება, ეს თანამდებობა არსებობს მეფე ჯორჯ II მეფობის დროიდან (ელისაბედ II პირველი პირადი მდივანი იყო სერ ელან ლესელესი, რომელიც დედოფალთან მხოლოდ ერთი წელი მუშაობდა. 1953-72 წლებში ამ ადგილს იკავებდა სერ მაიქლ ედინი, რომელიც შემდგომ შეცვალა სერ მართინ ჩერთერმა (1972-77წწ.). დაახლოებით 9 წლის მანძილზე ამ თანამდებობას იკავებდა სერ ფილიპ მური (1977-86წწ.), მომდევნო ოთხი წელი 1986-90წწ. დედოფლის პირადი მდივანი გახლდათ ავსტრალიელი სერ უილიამ ჰეზელთაინი. 1990-99წწ. აღნიშნულ ადგილზე მუშაობდა სერ რობერთ ფელოუეზი. 1999 წლიდან დღემდე ამ თანამდებობაზეა რობინ ჯენვრინი). მისი ფუნქციები ძირითადად გამოისახება შემდეგი მომენტებით:

ა. მათი საშუალებით ხორციელდება ურთიერთობა მონარქსა და მის მთავრობას შორის, ასევე თანამეგობრობის იმ ქვეყნების მთავრობებთან, სადაც მისი უდიდებულესობა სახელმწიფოს მეთაურია;

ბ. მათი საშუალებით ხორციელდება დედოფლის გამოსვლების, სიტყვების, შეხვედრების მომზადება;

გ. მათი საშუალებით ხორციელდება ასევე მონარქის მიმოწერა გარე სამყაროსთან და ა.შ.

პირადი მდივანი დღის ნებისმიერ დროს უშუალო კავშირში იმყოფება მის უდიდებულესობასთან. ამზადებს მონარქის და მისი პრემიერ-მინისტრის ყოველკვირეულ შეხვედრებს, თუმცა მასში არ მონაწილეობს.

2. დედოფლის „პირადი საფულის" შემნახელი განყოფილება.

3. ლორდ ხაზინადარის სამსახურის განყოფილება.

4. სამეფო კარის მმართველის განყოფილება (იგი ყველაზე დიდი განყოფილებაა სამეფო კარის დეპარტამენტთა შორის, სადაც დასაქმებულია 195 ადამიანი).

5. სამეფო კოლექციის დირექტორი.

6. საჯინიბო განყოფილება.

დედოფლის კარზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფრეილინების სამსახური, რომელსაც სათავეში უდგას მაღალი წრის ქალბატონი, ჩვეულებრივ ჰერცოგინია.

სამეფო გვარდია, დედოფლის პირადი დაცვა, შედგება სამეფო საცხენოსნო გვარდიისა და ქვეითი გვარდიული პოლკისაგან.

სამეფო საცხენოსნო გვარდია შედგება ორი პოლკისაგან: The Life Guards-(მათ აცვიათ წითელი ფორმა, თეთრი პლუმაჟით, შეიქმნა 1600წ.) და The Blues and Royals-გან (მათ აცვიათ ლურჯი ფორმა, წითელი პლუმაჟით, დღევანდელი სახით არსებობს 1969 წლიდან, თუმცა თავდაპირველად შეიქმნა 1661 წელს.).

ქვეითი გვარდია შედგება ხუთი გვარდიული პოლკისაგან:

1. გრენადირთა გვარდიული პოლკი, შეიქმნა 1685წ., მათ აქვთ თეთრი პლუმაჟი და პიჯაკზე თითოეული ღილი;

2. ქოლდსტრიმის გვარდიული პოლკი, შეიქმნა 1650წ., მათ აქვთ წითელი პლუმაჟი და პიჯაკი ორი დაწყვილებული ღილით;

3. შოტლანდიის გვარდიული პოლკი, შეიქმნა 1660წ., მათ არ აქვთ პლუმაჟი, ღილები წყვილდებიან სამ-სამად;

4. ირლანდიის გვარდიული პოლკი, შეიქმნა 1900წ., მათ აქვთ ლურჯი პლუმანჟი, ოთხი წყვილი ღილით.

5. უელსის გვარდიული პოლკი, შეიქმნა 1915 წ. მათ აქვთ თეთრი და მწვანე პლუმაჟი, ხუთი დაწყვილებული ღილით.

მისი უდიდებულესობა დედოფალი ელისაბედ II და ედინბურგის ჰერცოგი ფლობენ ბაქინჰემის სასახლეს ლონდონში, უინძორის ციხე-სიმაგრეს (ეს ციხე-სიმაგრე მდებარეობს ლონდონის ცენტრიდან, დაახლოებით 35 კმ-ის მოშორებით) ჰოლირუდის სასახლეს ედინბურგში (აღნიშნული რეზიდენციები დედოფლის, როგორც სახელმწიფო მეთაურის სამსახურშია და ისინი მის საკუთრებას არ წარმოადგენენ), ბოლმოროლის ციხე-სიმაგრეს, შოტლანდიაში და სანდრინჰემის სასახლეს, აღმოსავლეთ ინგლისში (ეს რეზიდენციები დედოფლის პირადი საკუთრებაა).

ბრიტანეთის მონარქების ოფიციალურ რეზიდენციას სამეფოს დედაქალაქში წარმოადგენს ბაქინჰემის სასახლე, რომელიც 1837 წლიდან, დედოფალ ვიქტორიას გამეფების პერიოდიდან გადაიქცა ბრიტანეთის იმპერიის მონარქების მთავარ რეზიდენციად ლონდონში.

ბაქინჰემის სასახლე მდებარეობს ლონდონის ისტორიული ნაწილის ცენტრში, უესთმინსთერის რაიონში, სასახლის წინა მდებარე მოედანი, რომლის ცენტრშიც აღმართულია დედოფალ ვიქტორიას მონუმენტი, მოლის მწვანეში ჩაფლული პროსპექტით უკავშირდება ბრიტანეთის დედაქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მოედანს თრაფალგარის მოედანს.

სანამ ბაქინჰემის სასახლე გადაიქცეოდა მონარქების მთავარ რეზიდენციად-იგი ჯერ, როგორც ბაქინჰემის სახლი წარმოდგენილი იყო სამეფო ოჯახის სახლად. ამ პერიოდისათვის ოფიციალური რეზიდენცია გახლდათ წმინდა ჯეიმსის სასახლე.

ბაქინჰემის სასახლე დღეს მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმული მისამართია.

აშენდა რა თავდაპირველად 1677 წელს ლორდ ერლინგთონისათვის, ბაქინჰემის სახლმა მოგვიანებით 1702-05 წლებში ჯონ შეფილდისათვის, ბაქინჰემის ჰერცოგისათვის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია და გაფართოება განიცადა არქიტექტორ უილიამ უინდის მიერ. შენობა უფრო მოგვიანებით, 1762 წელს 28 ათას ფუნთად იყიდა მეფე ჯორჯ III თავისი მეუღლის დედოფალ შარლოთასათვის, ოფიციოზის, წმინდა ჯეიმსის სასახლიდან მოშორების და სიმყუდროვის შექმნის მიზნით. შემდგომში ეს სახლი მოიხსენიება, როგორც დედოფლის სახლი. მის საშინაო ადგილსამყოფელად გადაქცევას მოწმობს კიდეც აქ ჯორჯ III მეთოთხმეტე შვილის დაბადება.

1820 წლის დასაწყისში მეფე ჯორჯ IV თხოვა არქიტექტორ ჯონ ნეშს გადაეკეთებინა დედოფლის სახლი სამეფო კარის საცერემონიო ცენტრად. მეფის ამ სურვილს ფრთები შეესხა, ოღონდ მისი სიკვდილის შემდეგ. ნეშმა სერიოზული მუშაობა ჩაატარა სასახლის გაფართოების მიზნით, შენობა გარედან ბათის ქვით დაიფარა, სასახლეზე შეიმჩნა ფრანგული ნეო-კლასიკური გავლენა. 1828-32 წლებში არქიტექტორების ფლექსმენის და ნეშის გადაწყვეტილებით სასახლის წინ დაიდგა მარმარილოს თაღი, რომელიც სასახლეში სამეფო კორტეჟის ცენტრალური შესასვლელი გახდა, მაგრამ 1850 წელს აღნიშნული თაღი გადაიტანეს ჰაიდ პარკის კუთხეში. სამუშაოების ჩატარების შემდეგ ბაქინჰემის სახლმა სასახლის სახე მიიღო. 1846-50 წლებში მწყობრში ჩადგა სასახლის აღმოსავლეთი ფრთა, რომელიც არქიტექტორ ბლორის შედევრია. ამით შენობა ოთხივე კუთხით შეკრული აღმოჩნდა,

ხოლო 1913 წლის სამუშაოებით, რომელსაც სერ ასთონ უები ხელმძღვანელობდა, აღნიშნული მხარე პორთლენდის ქვით დაიფარა. ბაქინჰემის სასახლის გარკვეულ ნაწილს რეკონსტრუქცია გაუკეთდა 60-იანი წლების პირველ ნახევარში (რეკონსტრუქცია შეეხო სასახლის იმ ნაწილს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს დაინგრა, ეს ეხება სასახლის სამლოცველოს, რომლის ადგილზეც აშენდა დედოფლის გალერეა).

ბაქინჰემის სასახლე მხოლოდ დედოფლის საცხოვრებელ რეზიდენციას როდი წარმოადგენს. იგი მრავალრიცხოვანი სამსახურების თავისებური კონგლომერატია, რომელიც დგას ელისაბედ II, როგორც გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფოს და თანამეგობრობის მეთაურის სამსახურში. დედოფალი ცხოვრობს, ძირითადად სასახლის ჩრდილოეთ ნაწილში. სწორედ ბაქინჰემის სასახლეში იღებს მისი უდიდებულესობა ბრიტანეთში სტუმრად ჩამოსულ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებს, ელჩებს, მის მინისტრებს, აქ ეწყობა სამეფო ბანკეტები, მიღებები, შეხვედრები, დაჯილდოების ცერემონიალები და ა.შ. სასახლეში 600 ოთახია, კორიდორების სიგრძე 9 კმ, აქ 19 საპარადო აპარტამენტია, 52 სასტუმრო და სამეფო საწოლი ოთახი, 188 საწოლი ოთახი მომსახურეე პერსონალისათვის, 92 ოფისი, 78 აბაზანა და ტუალეტი. სულ მუშაობს 335 ადამიანი. სასახლეში განლაგებული ხელოვნების ნიმუშთა კოლექცია ერთ-ერთი უმდიდრესია მსოფლიოში.

დიდი შესასვლელი ჰოლი მდებარეობს სასახლის პირველ სართულზე. იგი არქიტექტორ ნეშის მიერ იქნა აღდგენილი, ბაქინჰემის სახლის ძველი ჰოლის მასშტაბებში და წარმოდგენილია გაფერმკრთალებული ნაცრისფერი კარარის მარმარილოს სვეტებით. კედლები და ჭერი შეფერილია მკრთალი სპილოსძვლისფერად და თეთრად. დარბაზის ჩრდილოეთ ნაწილში ჩასმულია ბრწყინვალე ბუხარი, რომელიც 1829 წელს გააკეთა ჯოზეფ თიქსთონმა. ბუხრის ზევით საათია, მის მარჯვენა და მარცხენა კედელზე დაკიდებულია საუკეთესო ფრანგული შუქურები, რომლებიც 1929 წელს გადასცეს დედოფალ მერის. აქ წარმოდგენილი სკამები დამზადებულია 1802 წელს და განკუთვნილი იყო ბრაითონის პავილიონისათვის.

ჰოლიდან სასახლის მეორე სართულზე მიემართება ნეშის სახელგანთქმული კიბე, რომელიც გაკეთდა 1825 წელს. კიბეს მიუყვება ვერცხლის უნიკალური მოაჯირი, რომელიც სამუელ პარქერის ხელობაა. კიბის მიყოლებით დაკიდებულია 10 სამეფო სურათი. საპარადო აპარტამენტებში შესასვლელ კარებთან წარმოდგენილია მეფე უილიამ IV (მხატვარი — სერ თომას ლოურენსი) და დედოფალ ადელაიდას პორტრეტები (მხატვარი სერ

არჩე ში), კიბის თავზე, კარების პირდაპირ დგას ბენვენუთო სელინის ბრინჯაოს ქანდაკება „პერსიუს ენდ მედუზა".

საპარადო აპარტამენტებიდან პირველია მწვანე სასტუმრო ოთახი. იგი სასახლის დასავლეთ ნაწილის ცენტრალური ოთახია. მისი სამი ფანჯარა გადაჰყურებს დიდ შესასვლელს. ოთახის კედლები და ავეჯი დაფარულია მწვანე აბრეშუმის ნაჭრით. აქ წარმოდგენილი ავეჯიდან აღსანიშნავია მეთვრამეტე საუკუნის ორი ფრანგული აბაზონის ხის მასალისაგან დამზადებული კაბინეტი.

დიდებულ სანახაობას წარმოადგენს ბაქინჰემის სასახლის სატახტო დარბაზი, რომლის კედლები წითლად არის შეფერილი. დარბაზში შვიდი ბროლის ჭაღია დაკიდებული. ოთახის ჩრდილოეთ ნაწილში დგას ამაღლებული სამეფო ფიცარნაგი სკამებით, რომლებიც გამოყენებულ იქნა ელისაბედ II მეფედკურთხევის დროს. აღსანიშნავია ე.წ. „საბჭოს სკამი", იგი გაკეთდა მეფე ჯორჯ IV-თვის 1812 წელს. ოთახის ერთ-ერთ კედელში გაკეთებულია ბრწყინვალე ბუხარი, რომლის თავზეც უზარმაზარი სარკეა. ოთახის კედლების ზემო ნაწილში შემოყოლებულ ფრიზზე ასახულია ბრიტანეთის ისტორიის მნიშვნელოვანი მომენტები, მ.შ. სცენები ვარდების ომიდან, თევქსბერის ბრძოლიდან, ჰენრი VII ქორწინებიდან და სხვა. დიდი ოთახი, რომელიც საპარადო აპარტამენტებს ყოფს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად, ცნობილია, როგორც სურათების გალერეა. მისი სიგრძე დაახლოებით 50 მეტრია. ეს ოთახი სამეჯლისო დარბაზის აშენებამდე საბანკეტო ცერემონიალების მოსაწყობ დარბაზს წარმოადგენდა. ამის შემდეგ იგი დედოფალ ვიქტორიას გადაწყვეტილებით დაეთმო სურათებს. დღევანდელი სახე მან მიიღო დედოფალ მერის გადაწყვეტილებით, მეფე ჯორჯ V მეფობის დროს.

წითელ ფერებშია გადაწყვეტილი სახელმწიფო სასადილო ოთახი, რომელმაც საბოლოო სახე მიიღო დედოფალ ვიქტორიას მეფობის პირველ ნახევარში. ეს ოთახი დაგეგმარებულ იქნა ნეშის მიერ და ააშენა ბლორმა. ამ ოთახში დიდი ბანკეტები არ იმართება, აქ იშლება სუფრა მხოლოდ 60 კაცზე. აქ წარმოდგენილი ცნობილი მაგიდა დამზადებულია ესპანური წითელი ხის მასალისაგან.

ბაქინჰემის სასახლის დარბაზებს შორის განსაკუთრებული პომპეზურობით გამოირჩევა ლურჯი სასტუმრო ოათახი. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე მისი ჭერი. იგი მდებარეობს სახელმწიფო სასადილო ოთახსა და სახელგანთქმულ მუსიკალურ ოთახს შორის. აქაურ კედლებსა და ავეჯზე ლურჯი ფერი სჭარბობს. მას ამშვენებს ოთხი დიდი ბროლის ჭაღი. აქ წარმოდგენილია 30 ვარდისფერი მარმარილოსაგან დამზადებული სვეტი. ოთახში დგას ნაპოლე-

ონის, ცნობილი მაგიდა, რომელიც საფრანგეთის მეფემ ლუდოვიკო XVIII 1817 წელს აჩუქა ბრიტანეთის მეფეს ჯორჯ IV. მაგიდაზე გამოსახულია ალექსანდრე დიდის და 12 დიდი სარდლის თავი. დარბაზში წარმოდგენილია ორი ბრწყინვალე სურათი — მეფე ჯორჯ V და დედოფალი მერი.

მსოფლიოშია სახელგანთქმული მუსიკალური დარბაზი, რომელიც სასახლის დასავლეთი ფრთის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. ეს ოთახი ნეშის შედეგრია. მისი მშენებლობა დასრულდა 1831 წელს. იგი თავისი 5 უზარმაზარი ფანჯრებით დასცქერის სასახლის ბაღს, სწორედ ამ დარბაზში 1982 წელს მონათლულ იქნა უელსის პრინცი, ბრიტანეთის მომავალი მეფე, პრინცი უილიამი. დარბაზს განსაკუთრებულ სილამაზეს მატებს 18 მუქი ლურჯი მარმარილოს სვეტი და ბრწყინვალე ჭერი. განსაკუთრებულია თეთრი მისაღები ოთახი, საუკეთესო ჭერით, ავეჯით (რომელიც ყვითელი ფერით არის დაფარული), სარკეებით, ბუხრებით, ხალიჩით. ერთ-ერთი ბუხრის თავზე დაკიდებულია ედუარდ VII მეუღლის, დედოფალ ალექსანდრას საუკეთესო სურათი, რომელიც ფრანსის ფლემენგმა დახატა 1908 წელს.

ბაქინჰემის სასახლის დარბაზებს შორის ყველაზე დიდია სამეჯლისო დარბაზი, იგი მწყობრში ჩადგა 1953-55 წლებში. დარბაზი გაიხსნა 1856 წელს სამეფო ბალით, რომელიც მიეძღვნა ყირიმის ომის დამთავრებას. მისი სიგრძე 37,5 მეტრია, სიგანე 18,3 მეტრი, სიმაღლე 14 მეტრი. დასავლეთ ნაწილში მოთავსებულია სამეფო ტახტი, აღმოსავლეთ ნაწილში მუსიკალური გალერეაა დიდი ორღანით.

დედოფალი სამეჯლისო დარბაზს იყენებს განსაკუთრებული წვეულებების, სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მიღებების, სამეფო ბანკეტების, ბალების და დაჯილდოების ცერემონიალების დროს.

სურათების გალერეის ქვემოთ, პირველ სართულზე, მთელს სიგრძეს გასდევს მარმარილოს ჰოლი, რომლის სიგრძეც 60 მეტრია, იატაკზე დაფენილია წითელი ხალიჩა, კედლები და ჭერი სპილოსძვლისფერადაა შეღებილი. ჰოლში წარმოდგენილ სკულ-პტურებს შორისაა სახელგანთქმული ანტონიო კანოვას ორი უნიკალური ქმნილება „მარს ენდ ვენისი“ და „ფაუნთინ ნიმფ უით პუთო“. სურათებზე გამოსახულია დედოფალი ვიქთორია და მისი ნათესავები, ჭარბობს უინთერჰალთერის ნამუშევრები.

სამეფო საგანძურის გაცნობის მიზნით ფუნქციონირებს ე.ნ. დედოფლის გალერეა, იგი მოქმედებს 1962 წლიდან და ღიაა პუბლიკისათვის. სწორედ აქ ეწყობა ხელოვნების მემკვიდრეობის გამოფენა სამეფო კოლექციიდან. დედოფლის გამეფების „ოქროს იუბილესთან“ დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა

დედოფლის გალერეა, რაც საზოგადოებას უფრო ფართო მასშტაბებით გააცნობს სამეფო საგანძურს.

ბაქინჰემის სასახლეს დასავლეთ ფასადიდან ფართო გასასვლელი აქვს სასახლის ბაღში, რომლის ფართობი 40 აკრია, მ.შ. 4 აკრი მოდის ტბაზე. ბაღში მრავალი ფრინველია. ეგზოტიკური ფრინველებიდან აღსანიშნავია ფლამინგიები. ბაღში 1906 წლიდან დგას 4,5 მეტრის სიმაღლის ვათერლოოს ვაზა, რომელიც დამზადებულია კარარის მარმარილოსაგან და რომელიც მეფე ჯორჯ IV აჩუქეს. სწორედ სასახლის ბაღში ეწყობა ე.წ. „ბაღის წვეულება", რომელიც ბაქინჰემის სასახლის ბაღში წელიწადში სამჯერ იმართება („ბაღის წვეულების" მოწყობის ინიციატივა ეკუთვნის დედოფალ ვიქთორიას 1868 წლიდან).

1993 წლის აგვისტოში სამეფო ოჯახის გადაწყვეტილებით საზოგადოების ფართო ფენებისათვის პირველად გაიხსნა ბაქინჰემის სასახლის საპარადო აპარტამენტები. ეს ნაბიჯი უპირველესად გადადგმულ იქნა უინძორის ციხე-სიმაგრეში მიმდინარე ხანძრის შედეგების სარესტავრაციო სამუშაოების თანხის დასაფარავად. სახელმწიფო აპარტამენტები ღიაა აგვისტოდან ოქტომბრამდე. აღნიშნულ პერიოდს დედოფალი ტრადიციულად შოტლანდიის მამულში ატარებს, მილიონობით ტურისტს ამ პერიოდში საუკეთესო საშუალება აქვს საკუთარი თვალით იხილოს სასახლის სახელმწიფო აპარტამენტები და იქ ნარმოდგენილი უნიკალური ხელოვნების ნიმუშები.

უინძორის ციხე-სიმაგრე უკვე 950 წელია, რაც ინგლისის მეფეების სამეფო რეზიდენციაა. იგი, ალბათ, ბრიტანეთის მონარქიის ინსტიტუტის ყველაზე საუკეთესო სიმბოლოა. ციხე-სიმაგრე აღმართულია მდინარე თემზის ნაპირებთან ახლოს არსებულ კირქვიან მთაზე, მოიცავს 13 აკრს და შედგება 1000-ზე მეტი ოთახისაგან, სადაც ცხოვრობს და მუშაობს 350 ადამიანი.

მისი უდიდებულესობა ციხე-სიმაგრეს იყენებს, როგორც პირადი ინტერესებისათვის (ხშირად აქ ატარებს უიქენდს, ხვდება აღდგომას და ა.შ.), ასევე ოფიციალური სახელმწიფოებრივი ცერემონიალებისათვის (მაგ.: აქ ეწყობა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების უმაღლესი დონის მიღებები). ციხე-სიმაგრის დღევანდელი სტრუქტურები თითქმის ემთხვევა იმ საზღვრებს, რომლებიც თავდაპირველად ააშენა 1070 წელს უილიამ დამპყრობელმა. ჰენრი II მეფობის პერიოდში ციხე-სიმაგრის ხის გალავანი ძირითადად შეიცვალა ქვით; ედუარდ III დროს მნიშვნელოვნად გაფართოვდა სამეფო აპარტამენტები, მ.შ. წმინდა ჯორჯის ჰოლი, რომელიც სპეციალურად შეიქმნა ნვივსახვევის ორდენის დაჯილდოების ცერემონიალისათვის, მანვე გააფართოვა ციხე-სიმაგრის ზემო ნაწილის სამხრეთისა და

აღმოსავლეთის კედლისპირა ოთახები, ააგო ნორმანთა კოშკი და ჭიშკარი. 1475-1528 წლებში აშენდა წმინდა ჯორჯის ეკლესია. მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა სამეფო აპარტამენტებმა ჩარლზ II მეფობისას, მან თავის სამსახურში ჩააყენა იმდროინდელი ხელოვნების ისეთი ცნობილი ვარსკვლავები, როგორებიც იყვნენ ჰიუ მეი, ანთონიო ვერრიო და გრინლინგ გიბონსი. ციხე-სიმაგრის დღევანდელი სახე ძირითადად ჩამოყალიბდა მეფე ჯორჯ IV მეფობის პერიოდში, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, არქიტექტორ სერ ჯეფრი უაითუილის სამუშაოების ჩატარების შემდეგ.

უინძორის ციხე-სიმაგრის თანამედროვე კომპლექსი შეიძლება პირობითად დავყოთ სამ ძირითად ნაწილად: მის ქვედა ნაწილში დომინირებს მსოფლიოში სახელგანთქმული წმინდა ჯორჯის ეკლესია, ცენტრალურ ანუ შუა ნაწილში გაბატონებული ადგილი უკავია მრგვალ კოშკს, ჩრდილოეთი ნაწილი კი წარმოდგენილია სახელმწიფო და პირადი აპარტამენტებით.

ინგლისური არქიტექტურის უნიკალურ ქმნილებას წარმოადგენს წმინდა ჯორჯის ეკლესია, რომლის მშენებლობაც დაიწყო 1475 წელს მეფე ედუარდ IV მეფობის პერიოდში და დამთავრდა 1528 წელს მეფე ჰენრი VIII თიუდორის მეფობის ხანაში. ეკლესია პერპენდიკულარული გოთიკის უნიკალური მაგალითია და უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე, როგორც გარე, ასევე შიგა ინტერიერით. განსაკუთრებულია ეკლესიის დასავლეთი ფანჯარა, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისში შეიქმნა და რომელიც მოიცავს პაპთა, მეფეთა, პრინცთა და წმინდანთა 75 ფიგურას. თავისებური არქიტექტურული სიდიადით მოირჩევა ასევე შენობის ჭერი. ეკლესიაში დაკრძალულია ქვეყნის 10 მონარქი, მ.შ. ჰენრი VI (1471წ.), ედუარდ IV (1483წ.), ჰენრი VIII (1547წ.), ჩარლზ I (1649წ.), ჯორჯ III (1820წ.), ჯორჯ IV (1830წ.), უილიამ IV (1837წ.), ედუარდ VI (1910წ.), ჯორჯ V (1936წ.) და ჯორჯ VI ((1952წ.).

ციხე-სიმაგრის თითქმის ცენტრალურ ნაწილში აღმართულია მრგვალი კოშკი, რომელიც წარმოდგენილია მე-12 საუკუნის სტრუქტურების განახლებული სახით და რომლის სამუშაოებიც ჩაატარა სერ ჯეფრი უაითუილმა XIX საუკუნეში. დღეს აქ სამეფო არქივია მოთავსებული და როდესაც მისი უდიდებულესობა, დედოფალი ელისაბედ II უინძორის ციხე-სიმაგრეშია, სწორედ მრგვალ კოშკზე აღიმართება სამეფო ალამი.

სახელმწიფო აპარტამენტებში ვხვდებით დიდი კიბის საშუალებით. ეს დიდი გოთიკური სტილით ნაგები კიბე გაკეთებულია 1866 წელს ენთონი სოლვინის მიერ. ჰოლი, რომელშიც კიბეს მივყავართ გამოფენილია მე-XVI საუკუნის იარაღი, რომელიც აქ მოტანილია ლონდონის თაუერიდან. კიბის უკან დგას მეფე ჯორჯ

IV ბრნყინვალე ქანდაკება. უინძორის ციხე-სიმაგრის აპარტამენტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სახელგანთქმულ ვათერლოოს დარბაზს. ეს დარბაზი სპეციალურად მიეძღვნა ნაპოლეონზე გამარჯვებას ვათერლოოსთან. აქ წარმოდგენილია ნაპოლეონის ომების პერიოდის ევროპის მონარქების, სახელმწიფოთა და სამხედრო მოღვაწეთა ბრნყინვალე სურათები, რომლებიც შეასრულა სერ თომას ლოურენსმა. სურათებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს: უელინგთონის ჰერცოგის, პაპის პიუს VII, პრემიერ-მინისტრის ლივერპულის, ფელდმარშალის ვონ ბლუაშერის, მეფე ჯორჯ III, ჯორჯ IV და სხვათა სურათები. დარბაზში დაგებული ხალიჩა უდიდესია მსოფლიოში, იგი მოქსოვეს დედოფალ ვიქტორიასთვის პატიმრებმა ინდოეთიდან. დარბაზში ყოველ წელს ვათერლოოს ბრძოლის აღსანიშნავად იმართება ბანკეტი 150 კაცზე. დარბაზის კარებსა და კედლებზე გამოფენილი ხის ჩუქურთმები დამზადებულია გრინლინგ გიბონსის მიერ.

წვივსახვევი ორდენის სატახტო ოთახში, სადაც ეწყობა დედოფლის მიერ ქვეყნის ამ უმაღლესი ორდენით დაჯილდოება გადაკეთებულია მეფე ჯორჯ IV მითითებით უაითუილის მიერ. აქ წარმოდგენილი ბრნყინვალე ხის ჩუქურთმები ასევე დამზადებულია გიბონსის მიერ. კედლებზე გამოფენილია ბრიტანეთის მეფეების საუკეთესო სურათები, დაწყებული ჯორჯ I-დან ელისაბედ II ჩათვლით. ელისაბედ II დახატულია სერ ჯეიმს განის მიერ 1954 წელს.

განსაკუთრებული სიდიდით გამოირჩევა დიდი მისაღები ოთახი, რომელიც მეფე ჯორჯ IV და სერ ჯეფრი უაითუილის ერთობლივი ქმნილებაა. იგი ფრანგული, ლუი XV სტილშია გაკეთებული. სწორედ ამ ოთახიდან იშლება ბრნყინვალე ხედი მდინარე თემზასა და ითონზე. კედლებზე გამოფენილია მე-18 საუკუნის ფრანგული გობელინები, ოთახი მორთულია როკოკოს დეკორაციებით, სწორედ ამ ოთახში მოინახულებთ მალაქიტის ვაზას, რომელიც დედოფალ ვიქტორიას აჩუქა რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა 1839 წელს.

საპარადო აპარტამენტებს შორის უდიდესია წმინდა ჯორჯის ჰოლი, მისი სიგრძე 56 მეტრია, ხოლო სიგანე 10 მეტრი. ჰოლის აღმოსავლეთი ნაწილი ძველი წმინდა ჯორჯის ჰოლის ნანილია, რომელიც ედუარდ III მეფობით თარიღდება, მისი დასავლური ბოლო კი მონარქების ეკლესიის ნაწილია. ისინი ერთ დიდ დარბაზად გაერთიანდა მეფე ჯორჯ IV გადაწყვეტილებით. დარბაზში წარმოდგენილია ბრიტანეთის მეფეების ბრნყინვალე სურათები და სახელმწიფოთა მოღვაწეთა ბიუსტები. სწორედ ამ დარბაზში იმართება სამეფო ბანკეტები უინძორში სტუმრად

ჩამოსული უცხოელ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების პატივსაცემად. ამ დროს აქ იშლება სუფრა 160 კაცზე.

სამწუხაროდ 1992 წლის ცნობილმა ხანძარმა შთანთქა საპარადო აპარტამენტების ნაწილი, მ.შ. დაიწვა დიდი მისაღები ოთახი და წმინდა ჯორჯის ჰოლი. საერთო ზარალი შეფასდა 60 მილიონ ფუნთად. საბედნიეროდ ციხე-სიმაგრის დაზიანებულ ნაწილში განლაგებულ ხელოვნების ნიმუშთა უდიდესი ნაწილი უვნებლად გადარჩა. სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობდა 5 წელი, მასზე დაიხარჯა 40 მლნ. ფუნთი. ძირითადი ნაწილი აღსდგა ძველი სახით. მ.შ. დიდი მისაღები ოთახი. რაც შეეხება უაითუილის ცნობილ ჭერს წმინდა ჯორჯის ჰოლში, იგი შეიცვალა ახლით; მარტო ჰოლის ჭერის გაკეთებას დასჭირდა 300 მუხის ხის მასალა. რესტავრირებული ნაწილი უინძორის ციხე-სიმაგრის მწყობრში ჩადგა 1997 წელს დედოფალ ელისაბედ II და ედინბურგის ჰერცოგის ქორწინების „ოქროს იუბილის" აღსანიშნავ წელს. მისმა უდიდებულესობამ აღნიშნა, რომ რესტავრირებული უინძორის ციხე-სიმაგრე საიუბილეო თარიღის საუკეთესო საჩუქარიაო.

უინძორის ციხე-სიმაგრის საგანძურში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჰიუ მეის მიერ მეფე ჩარლზ II-თვის შექმნილი სამი ბრწყინვალე ოთახი (მეფის სასადილო ოთახი, დედოფლის სააუდენციო ოთახი, დედოფლის ოთახი). ამ ოთახების ჭერი მოხატულია მხატვარ ვერიოს მიერ 1678-80 წლებში, ხოლო ხეში გაკეთებული ჩუქურთმები განეკუთვნება გიბონს. მეფის სასადილო ოთახში ბუხრის თავზე დაკიდებულია დედოფალ შარლოთას, მეფე ჩარლზ II მეუღლის სურათი, რომელიც ეკუთვნის მხატვარ ჯექობ ჰაისმენს. დედოფლის ოთახების კედლებზე წარმოდგენილია ბრწყინვალე ფრანგული გობელინები.

მისი უდიდებულესობის ოფიციალური რეზიდენცია შოტლანდიის დედაქალაქში არის ჰოლირუდის სასახლე. თავდაპირველად სასახლე აშენდა შოტლანდიის მეფის ჯეიმს V სთიუართის და დედოფალ მერისათვის; მაგრამ, როცა ჯეიმს VI გახდა ინგლისის და დიდი ბრიტანეთის მეფე, სამეფო კარი ედინბურგიდან ლონდონში გადავიდა, სასახლემ დაკარგა თავისი მნიშვნელობა. 1650 წელს იგი ოკუპირებულ იქნა ქრომველის ჯარების მიერ, რომელთაც სერიოზული ზარალი მიაყენეს მას. დღევანდელი შენობა თავისი ძველი სტრუქტურებით ძირითადად ჩამოყალიბდა მეფე ჩარლზ II სთიუართის მეფობის პერიოდში, თუმცა მისი დამთავრებული სახით იგი მეფეს არ მოსწრებია. სასახლის აღდგენისა და განახლების სამუშაოებს სათავეში ედგა ცნობილი შოტლანდიელი არქიტექტორი უილიამ ბრუსი. დღეისათვის ბრიტანეთის მონარქების ეს საზაფხულო რეზიდენცია უფრო შუა საუკუნეების ციხე-

სიმაგრეს წააგავს ვიდრე საპარადო სამეფო რეზიდენციას. სასახლის ნაწილის ისტორია მჭიდრო კავშირშია შოტლანდიის სამეფო ოჯახის, სთიუართების ცხოვრებასთან, განსაკუთრებით კი ეს ეხება მერის, შოტლანდიის დედოფალს და მის ახლობლებს.

ჰოლირუდის სასახლე სამეფო ოჯახის სამსახურს დაუბრუნდა 1822 წლის 15 აგვისტოს, როდესაც ედინბურგს ეწვია მეფე ჯორჯ IV ჰანოველი. 1925 წლიდან კი სასახლის ნაწილი ღიაა ფართო საზოგადოებისათვის. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ისტორიული აპარტამენტები, რომელიც მოიცავს ჩრდილოეთის კოშკში მოთავსებულ დედოფალ მერის და მისი მეორე მეუღლის ლორდ დარნლის ოთახებს (მ.შ. საწოლი თუ მისაღები ოთახები) და ბრწყინვალე სახელმწიფო აპარტამენტებს, რომლებიც სასახლის მეორე სართულზეა განლაგებული. აღსანიშნავია 42 მეტრი სიგრძის სურათების გალერეა, სადაც წარმოდგენილია ჰოლანდიელი მხატვრის დე უითის 111 ნახატი, რომლებზეც გამოსახულია შოტლანდიის მონარქები. ეს სურათები სამეფო კოლექციის საკუთრება გახდა 1986 წელს.

დედოფლის საკუთრებაა ბოლმოროლის ციხე-სიმაგრე, შოტლანდიაში. იგი წარმოადგენს სამეფო ოჯახის საზაფხულო რეზიდენციას სამეფოს ამ რაიონში. მას ქვეყნის პირველი ოჯახი ძირითადად იყენებს აგვისტოდან ოქტომბრამდე. სამეფო ოჯახის ინტერესი ბოლმოროლისადმი იწყება ჯერ კიდევ 150 წლის წინ, როდესაც დედოფალი ვიქთორია და პრინცი ალბერთი პირველად სტუმრობდნენ შოტლანდიას 1842 წელს. ისინი ორი წლის შემდეგ კვლავ ეწვივნენ ამ მხარეს და სამი კვირა დაჰყვეს ბლეა ეთოლში. დედოფალს და მის მეუღლეს მოწონებია ჰაილენდის ბუნება და გადაუწყვეტიათ, შეეძინათ მიწები შოტლანდიის ამ მხარეში. 1852 წელს სამეფო წყვილმა შეიძინა კიდეც გარკვეული ტერიტორია. აქ არსებული ციხე-სიმაგრის მშენებლობა დაიწყო 1853 წლის 28 სექტემბერს, როდესაც დედოფალმა ვიქთორიამ შენობის საფუძველში პირველი ქვა ჩადო. სამუშაოები მიმდინარეობდა აბერდინელი არქიტექტორის უილიამ სმითის მიერ, პრინც ალბერთის უშუალო მეთვალყურეობით. 1856 წელს ციხე-სიმაგრის მშენებლობა დასრულდა. იგი აგებულ იქნა ბარონულ სტილში, ადგილობრივი გრანიტის მასალისაგან. შენობა დაგვირგვინებულია 37 მეტრის სიმაღლის მქონე კოშკით, რომელზედაც, როდესაც დედოფალი ელისაბედ II რეზიდენციაშია, ფრიალებს სამეფო ალამი. დედოფალი ვიქთორია უდიდესი სიყვარულით იყო გამსჭვალული ბოლმოროლისადმი და თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან დროსაც ატარებდა, ჩამოდიოდა რა მაისში, მთელს ზაფხულს და შემოდგომის თვეებს აქ იმყოფებოდა. ეს არ ითქმის მის შვილზე, ედუარდ VII, რომელიც ბოლმოროლს მხოლოდ 3-4 კვირას უთ-

მობდა. ბოლმოროლის მამულისადმი უდიდეს ინტერესს იჩენდა მეფე ჯორჯ V და მისი მეუღლე, თუმცა პირველი მსოფლიო ომის დროს მისი უდიდებულესობა ოთხი წლის მანძილზე არ წვევია ბოლმოროლს. ცხოვრების მნიშვნელოვან დროს ატარებდა აქ მეფე ჯორჯ VI. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ ბოლმოროლის საკუთრებისადმი დედოფალი ელისაბედი და ედინბურგის ჰერცოგი. ციხე-სიმაგრის საგანძურში წარმოდგენილ მხატვართა ნამუშევრებს შორის გამოირჩევიან: ლენდსერის, უინთერჰალთერის და ჰააგის შედევრები, უხვადაა სკულპტურები, ვიქთორიანული ავეჯი, ვერცხლის შანდლები და ა.შ.

როდესაც დედოფალი და სამეფო ოჯახის წევრები ბოლმოროლში იმყოფებიან, ისინი კვირაობით ლოცულობენ ქრეთის ეკლესიაში (ეკლესია, რომელშიც სამეფო ოჯახი ლოცულობს, დღევანდელი სახით არსებობს XIX საუკუნის შუა პერიოდიდან. ეკლესიის მშენებლობას საფუძველი ჩაუყარა დედოფალმა ვიქთორიამ 1893 წლის 11 სექტემბერს და ორი წლის შემდეგ მისივე თანდასწრებით გაიხსნა, აშენებულია ადგილობრივი გრანიტის ქვით).

სანდრინჰემის რეზიდენცია ბრიტანეთის სამეფო ოჯახის საკუთრებაშია XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როცა 1861 წელს დედოფალმა ვიქთორიამ და პრინცმა ალბერთმა აღნიშნული ადგილი იყიდეს უელსის პრინცისათვის, შემდგომში მეფე ედუარდ VII. სასახლე, რომელიც დღეს ჩვენს წინაშეა აშენდა 1867-70 წლებში არქიტექტორ ჰამბერთის მიერ და იგი უკვე მზად იყო 1870 წლის 9 ნოემბრისათვის, პრინცის დაბადების 29 წლისთავისათვის. მისი არქიტექტურული სახე ჩამოყალიბდა შუა-ვიქთორიანული ეპოქისათვის დამახასიათებელი ფორმებით.

უელსის პრინცს გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი 50 წლისთავის სანდრინჰემში აღენიშნა, მაგრამ 1891 წლის ნოემბერში სასახლეს ცეცხლი გაუჩნდა და მეორე სართულის 14 ოთახი დაიწვა. მოგვიანებით რეზიდენციას მნიშვნელოვანი რესტავრაცია ჩაუტარდა. სასახლემ ცვლილებები განიცადა გასული საუკუნის 70-იანი წლების პირველ ნახევარში. დღეს აქ წარმოდგენილია 290 ოთახი. დედოფალი და სამეფო ოჯახი შობა-ახალ წელს და იანვრის თვეს ატარებს სწორედ სანდრინჰემში, ბრიტანეთის მეფეების საზამთრო რეზიდენციაში. ისინი აქ რჩებიან თებერვლამდე. ფართო საზოგადოებისათვის სასახლის კარები გაიღო 1977 წლიდან, დედოფლის გამეფების „ვერცხლის იუბილესთან“ დაკავშირებით. მეფე ჯორჯ V აღნიშნავდა: „ლონდონში მე მაქვს სასახლე, ნორფოლქში კი მე მაქვს სახლიო“, მასვე ეკუთვნის სიტყვები „ძვირფასი ძველი სანდრინჰემი, ადგილი, რომელიც ყველაზე მეტად საყვარელია ჩემთვის მთელს მსოფლიოში“. მისი შვილი მეფე ჯორჯ VI

კი აღნიშნავდა: „მე ყოველთვის ბედნიერი ვიყავი აქ და მე მიყვარს ეს ადგილი".

აღსანიშნავია, რომ მეფე ჯორჯ V და ჯორჯ VI ორივე გარდაიცვალნენ სანდრინჰემში.

სახლის ოთახებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სალონი, რომელიც ფართობით უდიდესია რეზიდენციაში. იგი ორი სართულის სიმაღლისაა და მას იყენებენ არა მარტო, როგორც შესასვლელ ჰოლს, არამედ, როგორც მისაღებ ოთახსაც. სწორედ აქ ატარებს სამეფო ოჯახი და მისი სტუმრები საღამოს სადილის შემდეგ. ერთ-ერთი ბუხრის თავზე გაკეთებულია ბრწყინვალე ხის ჩუქურთმებით მორთული მაღალი თარო, რომელზეც დაწყობილია ჰოლანდიური და ნყვილი ინგლისური მრგვალი თეფშები. აქვე კედელზე დაკიდებულია დედოფალ ვიქტორიას საყვარელი მხატვრის ვონ ანჯელის ბრწყინვალე სურათი, რომელზეც გამოსახულია ალბერთ-ედუარდი, უელსის პრინცი (შემდგომ მეფე ედუარდ VII) თავის მეუღლესთან პრინცესა ალექსანდრასთან და მათ ორ შვილთან ერთად. ოთახში ნარმოდგენილია ასევე ორი სურათი, რომლებიც დახატულია ასევე დედოფალ ვიქტორიას საყვარელი მხატვრის უინთერჰალთერის მიერ. ერთ სურათზე წარმოდგენილია დედოფალი ვიქტორია 26 ნლის ასაკში, ხოლო მეორე სურათზე დახატულია პრინცი ალბერთი 31 ნლის ასაკში. დედოფალ ვიქტორიას სურათთან ახლოს დაკიდებულია პატარა გობელინი, რომელზეც გამოსახულია სანდრინჰემის ხედი, იგი სპეციალურად მოქსოვა ლედი ოლგერნონ გორდონ-ლენოქსმა მეფე ჯორჯ V-თვის. ოთახში სამი დიდი გობელინია, რომლებზეც ასახულია რომის იმპერატორის კონსტანტინეს ცხოვრების ეპიზოდები, ისინი დამზადებულია მე-17 საუკუნეში, ბრიუსელში.

სამეფო ოჯახი და სტუმრები სადილის ნინ იკრიბებიან მთავარ სასტუმრო ოთახში, რომელიც მთლიანად სპილოსძვლისფერია. ყურადღებას იქცევს ოთახში წარმოდგენილი ხუთი ვიტრინა, რომლებშიც დაცულია ჩინური, რუსული და ინგლისური სხვადასხვა ზომის ხელოვნების ნიმუშები, დამზადებული ფაიფურისაგან, ვერცხლისაგან და ა.შ. სურათებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ბუხრის თავზე ჩასმულ უზარმაზარ სურათს, რომელზედაც დახატულია დედოფალი ალექსანდრა, როდესაც იგი იყო უელსის პრინცესა. ნახატი ეკუთვნის ჰიუს.

როდესაც სამეფო ოჯახი სანდრინჰემის სასახლეში იმყოფება, ისინი სალოცავად დადიან წმინდა მერი მაგდოლენის სამრეველო ეკლესიაში. ეს ეკლესია თარიღდება 1321 ნლით, მისი აღდგენა მოხდა XVI საუკუნეში და მნიშვნელოვანი განახლება განიცადა XIX საუკუნეში.

საერთოდ, სამეფო სასახლეები ქვეყანაში იყოფა ორ ნაწილად: სამეფო სასახლეები, რომლებიც დაკავებულია დედოფლის და სამეფო კარის მიერ, ესენია: ბაქინჰემის სასახლე, უინძორის ციხე-სიმაგრე, ჰოლირუდის სასახლე, წმინდა ჯეიმსის სასახლე, ქენსინგთონის სასახლე (სახელმწიფო აპარტამენტების გამოკლებით) და ქლერენსის სასახლე.

სასახლეთა მეორე ნაწილს წარმოადგენს ისტორიული სამეფო სასახლეები, რომლებსაც დიდი ხანია მონარქი აღარ იყენებს, როგორც რეზიდენციას, ესენია: ჰემთონ ქორთი, ლონდონის თაუერი, ქენსინგთონის სასახლის სახელმწიფო აპარტამენტები, საბანკეტო სასახლე-უაითჰოლზე, ქიუს სასახლე და დედოფალ შარლოთას კოტეჯი.

სამეფო გერბი

დღევანდელი სამეფო გერბი ასეთია: ცენტრშია ფარი, რომელზეც წარმოდგენილია გაერთიანებული სამეფოს სხვადასხვა სიმბოლო. ფარი გაყოფილია ოთხ ნაწილად. ზემოთ მარცხენა და ქვემოთ მარჯვენა მხარეზე, წითელ ფონზე არის სამ-სამი ოქროსფერი ლომი, ეს გერბის ყველაზე ძველი ნაწილია, რომელიც XII საუკუნიდან, რიჩარდ ლომგულის დროიდან, წარმოადგენდა ინგლისის სამეფო გერბს. ფარის ზედა მარჯვენა მხარეზე ოქროსფერ ფონზე წითელი ლომია-შოტლანდიის სიმბოლო, ხოლო გერბის ქვემო მარცხენა მხარეზე ლურჯ ფონზე ოქროსფერი არფაა, ირლანდიის სიმბოლო. ფარი გარშემორტყმულია ლენტით, რომელსაც აწერია წვივსახვევი ორდენის დევიზი: „სირცხვილი მას, ვინც ცუდ რამეს ფიქრობს ამაზე". ფარის ქვემოთ ინგლისის, ირლანდიის და შოტლანდიის ეროვნული ყვავილებია: ვარდი, სამყურა და ნარშავი. მცენარეების ქვეშ ლენტია ლათინური წარწერით: „უფალი და ჩემი სამართალი". ფარის მარცხნივ დგას ოქროსფერი ლომი (ინგლისის სიმბოლო), მარჯვნივ კი ერთრქა ცხენი (შოტლანდიის სიმბოლო). ფარს ზემოდან ადგას გვირგვინი და ლომი, მონარქის სიმბოლო.

სამეფო ალამი

სამეფო ალამი წარმოადგენს სუვერენს და გაერთიანებულ სამეფოს ერთად.

სამეფო ალამი შედგება ოთხი ნაწილისაგან. მის ზედა მარცხენა და ქვედა მარჯვენა ნაწილში, წითელ ფონზე სამ-სამი ოქროსფერი ლომია გამოსახული, (ინგლისის სიმბოლოები), ზედა მარჯვენა მხარეს ყვითელ ფონზე წითელი ფერის ლომია (შოტლანდიის სიმბოლო), ხოლო ქვემო მარცხენა მხარეს ლურჯ ფონზე ოქროსფერი არფაა გამოსახული, ირლანდიის სიმბოლო.

სამეფო ალამი ფრიალებს სამეფო სასახლეების თავზე (ბაქინ-ჰემის სასახლე, უინძორის ციხე-სიმაგრე, ჰოლირუდის სასახლე, ბოლმოროლის ციხე-სიმაგრე, სანდრინჰემის სასახლე), როდესაც მისი უდიდებულესობა სასახლეშია. ეს დროშა ფრიალებს ასევე მანქანებზე, გემზე ანდა თვითმფრინავზე, სადაც დედოფალი იმყოფება. სამეფო ალამის დაშვება არ შეიძლება (თუნდაც მონარქის გარდაცვალების გამო). ალმის ზომებია: 360სმX180სმ.

დედოფლის პირადი ალამი

შეიქმნა 1960 წელს. იგი წარმოადგენს მისი უდიდებულესობის დედოფალ ელისაბედ II პირად ალამს. პირველად ალამი გამოყენებულ იქნა 1961 ნლის 21 იანვარს, დედოფლის ინდოეთში ვიზიტის დროს. დედოფლის პირად ალამს, ძირითადად გამოიყენებენ მისი უდიდებულესობის თანამეგობრობის ქვეყნებში მოგზაურობისას. ალამი ლურჯი ფონისაა, რომლის ცენტრშიც ვარდების ნნულის წრეა. წრეში აღნიშნულია ასო E თავზე სამეფო გვირგვინით (სიმბოლოები ოქროსფერშია წარმოდგენილი).

2003 წლისათვის ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეთა ძირითადი სია ასე გამოიყურება:

1. უელსის პრინცი, დ.1948 წ. დედოფალ ელისაბედ II უფროსი ვაჟი;
2. პრინცი უილიამი, დ.1982 წ. უელსის პრინცის უფროსი ვაჟი;
3. პრინცი ჰენრი, დ.1984 წ. უელსის პრინცის უმცროსი ვაჟი;
4. იორქის ჰერცოგი, დ.1960 წ. დედოფალ ელისაბედ II მეორე ვაჟი;
5. პრინცესა ბეატრიქსი, დ.1988 წ. იორქის ჰერცოგის უფროსი ქალიშვილი;
6. პრინცესა ევგენია, დ.1990 წ. იორქის ჰერცოგის უმცროსი ქალიშვილი;
7. უესექსის გრაფი, დ.1964 წ. დედოფალ ელისაბედ II მესამე ვაჟი;
8. პრინცესა ანა, დ.1950 წ. დედოფალ ელისაბედ II ერთადერთი ქალიშვილი;
9. პეთერ ფილიპსი, დ.1977 წ. პრინცესა ანას ვაჟი;
10. ზარა ფილიპსი, დ.1981 წ. პრინცესა ანას ქალიშვილი;

გასული საუკუნის ბოლო ათნლედის პირველ ნახევარში მომხდარმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად ჩრდილში დააყენა მონარქიის ინსტიტუტი, თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ ამ ათასნლოვან ინსტიტუტს რაიმე საფრთხე ემუქრება. როგორც გაზეთ „თაიმსის" ყოფილმა რედაქტორმა ლორდმა რის მოგმა აღნიშნა, მონარქიაზე უარის თქმის ცდამაც კი შესაძლოა ქვეყანა სამოქალაქო ომის

ქარცეცხლში გაახვიოსო. მონარქიის ერთგულია ბრიტანეთის ახალი ლეიბორისტული ხელისუფლება, რომელიც დაუნინგ სტრითზე 1997 წლის მაისის არჩევნების შემდეგ მოვიდა. როგორც ლორდ ბლეიქი აღნიშნავს: „მონარქიამ გადაიტანა საკმაოდ რთული პერიოდი არაპოპულარობისა, რომელიც ძირითადად გამონვეული იყო სამეფო ოჯახის უმცროსი წარმომადგენლების მოქმედებით", მაგრამ მონარქიის ინსტიტუტის ათასწლოვანი გამძლეობის მიზეზი სწორედ ის არის, რომ მას აქვს ახალ სიტუაციებთან ადაპტირების და საჭირო შემთხვევაში გარკვეული ცვლილებების უნარი, რა თქმა უნდა, მოსახლეობის უმრავლესობის თანხმობითა და სურვილით".

გარკვეულ წრეებში დღეს სერიოზულად მიიჩნევენ, რომ საჭიროა მონარქიის რეფორმა, რომ სასურველია ბრიტანეთის მონარქიის ევროპული სამეფო ოჯახების ყაიდაზე გადასვლა. რეფორმის წინააღმდეგი არც ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრები არიან; ბუნებრივია, კანონებმა და წეს-ჩვეულებებმა, რომლებმაც საუკუნეებს გაუძლეს გარკვეულ წილად სერიოზულ მოდერნიზაციას მოითხოვს. საკითხთა შორის, რომლებსაც, ალბათ ცვლილებები მოელის არის 1701 წლის ცნობილი აქტი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ, რომელიც სამეფო გვირგვინისაკენ გზას უხსნის მხოლოდ პროტესტანტებს და კრძალავს ქორწინებას კათოლიკეებზე; რა თქმა უნდა აღნიშნული სერიოზული დარტყმაა ბრიტანელი კათოლიკეებისათვის, რომლებიც ასეთ მდგომარეობას შეურაცხყოფად და ანარქიზმად მიიჩნევენ. 1995 წელს დედოფალმა უპრეცენდენტო ნაბიჯი გადადგა კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობაში. იგი უესთმინისტერის ტაძარში დაესწრო კათოლიკურ წირვას და პირველად დანიშნა კათოლიკე მღვდელი. ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრის პრინც ჩარლზის პოზიციით მონარქი უნდა იყოს არა მარტო პროტესტანტული, არამედ იმ ყველა სარწმუნოების მცველი, რომელთაც განეკუთვნებიან ბრიტანეთის ქვეშევრდომები. განსჯის საკითხად რჩება ასევე მონარქის ანგლიკანური ეკლესიის მეთაურად არსებობა. განსახილველ პრობლემათა შორის აღსანიშნავია სამეფო ოჯახის წევრთა ოფიციალური რაოდენობა (მომავალში მოელიან მათი ოფიციალური რაოდენობის მნიშვნელოვან შემცირებას) და მემკვიდრეობის მიღების საკითხი (მამრობითი სქესის უპირატესობის უარყოფა). სერიოზულ განსჯას მოითხოვს მონარქიის ინსტიტუტის დაფინანსება. ცნობილ „ცივილურ ფურცელზე" უარის თქმა, თანხა, რომელსაც პარლამენტი გამოჰყოფს მონარქიის შესანახად, ბუნებრივია, დღის წესრიგში დააყენებს წარსულში სამეფო ოჯახის კუთვნილი მიწების ე.წ. „გვირგვინის მამულების" მონარქისადმი დაბრუნებას. აღნიშნული მამულებიდან შემოსავალი (2000/01 წ.-

148 მლნ ფუნთი) უზარმაზარი თანხაა და ბევრად აღემატება იმ ფულად სახსრებს, რომელსაც ითვალისწინებს „ცივილური ფურცელი".

მიუხედავად იმ სერიოზული პრობლემებისა, რომლის წინაშეც გარკვეულ პერიოდში აღმოჩნდა სამეფო გვარი, ბოლო წლებში ჩატარებულმა არა ერთმა გამოკითხვამ ნათლად აჩვენა, რომ გაერთიანებული სამეფოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მონარქიის ინსტიტუტის მომხრეა.

ელისაბედ II ნახევარსაუკუნოვანი წარმატებული მეფობის თავისებურ კულმინაციას წარმოადგენდა საიუბილეო წლის არა ერთი ცერემონიალის ტრიუმფალურად დაგვირგვინება, რამაც ნათელყო მონარქიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა.

ცოტა რამ ისტორიიდან

1066 წელი განსაკუთრებულია სამეფოს ისტორიაში. ეს თარიღი ისეთი ისტორიული მოვლენებით ხასიათდება, რომელთაც უდიდესი გავლენა იქონიეს ბრიტანული ცივილიზაციის შემდგომ განვითარებაზე. აღნიშნული წლის 5 იანვარს დასრულდა ედუარდ აღმსარებლის 23 წლიანი მმართველობა ქვეყნის ისტორიაში. მართალია, მას არ ჰყოლია შვილები, მაგრამ მან შთამომავლობას დაუტოვა უესთმინსთერის სააბათო, რომელიც მრავალი გადაკეთების შემდეგ, მართლაც, რომ განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს მილიონობით მნახველზე და რომლის გარეშეც, ალბათ წარმოუდგენელია ლონდონის ისტორიული ცენტრი დღეს.

ედუარდ აღმსარებლის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ცოლის ძმა, ჰაროლდი, რომელმაც მხოლოდ 283 დღე იმეფა. გვირგვინზე პრეტენზია განაცხადა ნორმანდიის ჰერცოგმა უილიამმა, ედუარდის ბიძაშვილის უკანონო შვილმა. მან არ სცნო ჰაროლდის ხელისუფლება და ჯარი გადმოსხა ინგლისში. ჰეისთინგთან გამართული ბრძოლა საბედისწერო აღმოჩნდა ჰაროლდისათვის. იგი მტრის მიერ ნასროლმა ისარმა ბრძოლის ველზე განგმირა, ამით კი წერტილი დაესვა ანგლო-საქსების 600 წლიან მმართველობას ქვეყნის ისტორიაში.

1066 წლის 25 დეკემბერს უესთმინსთერის სააბათოში ინგლისის მეფედ ეკურთხა უილიამი, დამპყრობლად წოდებული, რომლის გვარის ხუთი წარმომადგენელიც ქვეყანას 88 წელი მართავდა მ.შ. ყველაზე ხანგრძლივად იმეფა ჰენრი I-35 წელი, ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდა მისი ქალიშვილის მათილდას შვიდთვიანი მეფობა. 1153 წლის უილინგფორდის შეთანხმებით ინგლისის სამეფო გვირგვინი მათილდას მემკვიდრეებს ხვდა წილად. ტახტზე ავიდა მისი ვაჟი (ჰენრი II), რომელიც პლანთაგენეთების სახლის პირველი წარმომადგენელი იყო და რომლის რვა შთამომავალმაც 245 წლის მანძილზე უხელმძღვანელა ინგლისს. ამ დინასტიის მონარქთა შორის ყველაზე დიდ ხანს ქვეყანას სათავეში ედგა ჰენრი III-56 წელი, ყველაზე მოკლე პერიოდით იმეფა რიჩარდ I ლომგულად წოდებულმა-9 წელი. სერიოზული შიგა დაძაბულობა სუფევდა ქვეყანაში, რიჩარდ ლომგულის ძმის ჯონის მმართველობისას. 1215 წლის 15 ივნისს იგი იძულებული იყო მიეღო ბარონთა პრეტენზიები და უინძორთან ახლოს, რანიმედის ველზე ხელი მოეწერა „თავისუფლების დიდი ქარტიისათვის", რომლის 39-ე პარაგრაფმა განსაკუთრებით გაითქვა სახელი, ხოლო თავად ქარტია ბრიტანული დაუწერელი კონსტიტუციის თითქმის საფუძველი გახდა. მნიშვნელოვანი პოლიტიკური კრიზისი არსებობდა ქვეყანაში ჯონის მემკვიდრის, ჰენრი III მეფობისას. მეფის ოპოზიციას სა-

თავეში ჩაუდგა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ლესთერის გრაფი სიმონ დე მონფორი. სწორედ ამ პერიოდიდან გაჩნდა პარლამენტიც, რომელიც პირველად 1265 წელს მოინვიეს და რომელიც შემდეგ ქვეყნის დემოკრატიული განვითარების აკვანიც გახდა.

„ასწლიანი ომი" საფრანგეთთან, რომელიც ედუარდ III მეფობის დროს დაიწყო თავდაპირველად ინგლისელების მნიშვნელოვანი წარმატებებით მიმდინარეობდა, მაგრამ საბოლოოდ ომი მათ წააგეს და მნიშვნელოვანი პოზიციებიც დათმეს კონტინენტზე. ედუარდ III მეფობის დროს 1348 წელს დამკვიდრდა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ორდენი-ნვივსახვევი ორდენი. მისი ვაჟის რიჩარდის ფონთეფრექთის ციხე-სიმაგრეში მოკვლის შემდეგ გვირგვინისათვის ერთმანეთს შეეჯახა პლანთაგენთების სახლის ორი შტო-ლენქასთერები და იორქები. ეს სამოქალაქო ომი ინგლისის ისტორიაში ცნობილია, როგორც ვარდების ომი, რადგან ლენქასთერების სახლის სიმბოლოს წითელი, ხოლო იორქების სახლის სიმბოლოს თეთრი ვარდი წარმოადგენდა. დროებით გამარჯვებას იორქებმა მიაღწიეს, მათი უკანასკნელი წარმომადგენლის რიჩარდ III მეფობა კი დასრულდა ბოსუორის ბრძოლისას 1485 წლის 22 აგვისტოს, როდესაც იგი ბრძოლის ველზე დაეცა ჰენრი თიუდორთან შეჯახებისას.

ინგლისის სამეფო გვირგვინი თავზე დაიდგა უელსური წარმოშობის თიუდორთა წარმომადგენელმა ჰენრი VII. მან ელისაბედ იორქელზე ქორწინებით წერტილი დაუსვა დინასტიათა შორის არსებულ შუღლს ქვეყანაში. თიუდორები ინგლისს 118 წელი მართავდნენ. განსაკუთრებული კი ჰენრი VIII და მისი ქალიშვილის ელისაბედ I-ის მეფობის პერიოდები იყო. ჰენრი VIII-მ ექვსჯერ იქორწინა. ორ მეუღლეს მეფე გაშორდა, ორსაც ცოლ-ქმრული ღალატისათვის თავი მოჰკვეთა, ერთი მშობიარობას გადაჰყვა, ხოლო ბოლო მეუღლე ჰენრის სიკვდილის შემდეგ გარდაიცვალა. ჰენრი უდიდეს ინტერესს იჩენდა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის, ზრუნავდა ქვეყნის გაძლიერებისათვის. მან შექმნა იმ დროისათვის ერთ-ერთი უდიდესი საზღვაო ფლოტი. მეფე სათავეში ჩაუდგა რეფორმაციას ინგლისში, განყვიტა კავშირი რომთან და ანგლიკანური ეკლესიის უზენაესად თავისი თავი გამოაცხადა. მანვე ინგლისს დაუმორჩილა უელსი და ირლანდია. მისი გარდაცვალების შემდეგ რიგ-რიგობით მეფობდნენ მისი შვილები: ექვსი წელი მეფობდა ედუარდი, ერთი წლით ნაკლები აღმოჩნდა მისი ნახევარდის „სისხლიანი მერის" მეფობა, რომლის უდიდესი სურვილიც იყო კათოლიზმის აღდგენა. ქვეყნის ისტორიაში განსაკუთრებული იყო ელისაბედ I-ის მეფობის ხანა. ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში არსებულ პრობლემებს

მონარქი გაწონასწორებული და წინდახედული პოლიტიკით პასუხობდა და წარმატებებსაც აღწევდა. თუ შინ მან განამტკიცა ანგლიკანური ეკლესიის პოზიციები, საგარეო პოლიტიკის ტრიუმ-ფად უნდა ჩაითვალოს შოტლანდიასთან მიღწეული ნარმატებები და ესპანეთის „უძლეველი არმიის" განადგურება. მემკვიდრეობის გარეშე დარჩენილი ელისაბედის გარდაცვალების შემდეგ ინგ-ლისის სამეფო გვირგვინს მისი ჩრდილოეთელი მეზობლის სთიუართების გვარი დაეპატრონა, ასეთი სურვილი იყო თავად თიუდორების უკანასკნელი მონარქისა. სთიუართების ლონდონში ჩამოსვლით უსისხლოდ გაერთიანდა ინგლისის და შოტლანდიის სამეფოები და სთიუართების პირველმა ინგლისის მეფემ ჯეიმს I დიდი ბრიტანეთის მეფის ტიტული მიიღო. სთიუართების განსა-კუთრებულ ნაკლს, როგორც ჩანს ქვეყნის აბსოლუტური ძალაუ-ფლებით მმართველობის სურვილი ნარმოადგენდა, მათმა პირ-ველმა მონარქებმა არა ერთხელ დაითხოვეს პარლამენტი და უარი თქვეს ბურჟუაზიის მიერ შემოთავაზებულ მმართველობის დე-მოკრატიულ პრინციპებზე. პრობლემები იყო ეკლესიასთანაც. ყოველივემ კი ქვეყანა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გაახვია.

1649 წლის 30 იანვარს მეფე ჩარლზ I თავი მოჰკვეთეს. ეს იყო უპრეცენდენტო მოვლენა ქვეყნის ისტორიაში. ინგლისი რეს-პუბლიკად გამოცხადდა ქრომველის ხელმძღვანელობით. მაგრამ რესპუბლიკურმა მმართველობამ მხოლოდ 11 წელი გასტანა და ინგლისში კვლავ მონარქია აღსდგა. ტახტზე ავიდა ჩარლზ II, რომლის შემდეგაც მეფობდა ჯეიმს II, იგი დაუფარავად აპირებდა ქვეყანაში კათოლიციზმის აღდგენას. ბოლოს და ბოლოს მისმა მე-ფობამ ვერ გაამართლა, მეფემ ქვეყანა დატოვა და თავი სა-ფრანგეთს შეაფარა. ლონდონში კი გვირგვინი ჯეიმს II პროტეს-ტანტ ასულს მერის და მის ჰოლანდიელ მეუღლეს გადასცეს. 1688 წელს მომხდარ სახელმწიფო გადატრიალებას ისტორიაში „სახ-ელოვანი რევოლუციის" შეფასება მისცეს. ჯერ ერთი არავითარი შეიარაღებული დაპირისპირება არ ყოფილა და მეორეც, ყოველივე გაკეთდა მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ჩარევის გარეშე. 1689 წელს მიღებულმა კანონმა „უფლებათა ბილის შესახებ", ბრიტა-ნეთის მონარქია საბოლოოდ აქცია კონსტიტუციურ მონარქიად. ამიერიდან მთელი რიგი ძალაუფლებები მონარქიის ინსტიტუტი-დან პარლამენტის საქმედ გადაიქცა. 1701 წელს ბრიტანეთის პარლამენტმა კიდევ ერთი ცნობილი კანონი მიიღო-აქტი „ტახტის მემკვიდრეობის შესახებ", რომლის ძალითაც ბრიტანეთის მეფე უნდა ყოფილიყო მხოლოდ პროტესტანტი. სთიუართების უკანასკ-ნელი მონარქი იყო ანა, რომელსაც მიუხედავად არა ერთი ფეხმძი-მობისა შთამომავლობა არ დაუტოვებია. სთიუართების შემდეგ ბრიტანეთის სამეფო გვირგვინს დაეპატრონა გერმანული წარმო-

შობის ჰანოვერების სახლი. გამეფდა ჯორჯ I, რომელიც ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა სთიუართებთან. მისი მამა იყო ერნესთ აუგუსთუსი, ჰანოვერების პირველი მთავარი. ჰანოვერთა პირველი მონარქები არც ინგლისურად ლაპარაკობდნენ და არც ინგლისის საქმეებით ინტერესდებოდნენ. ბურჟუაზიამ მონახა ისეთი მონარქები, რომლებიც „მეფობენ, მაგრამ არ მართავენ". ჯორჯ III იყო ჰანოვერების ის პირველი მონარქი, რომელიც დაიბადა ინგლისში და ინგლისურსაც თავისუფლად ფლობდა. მისი მეფობა ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა ქვეყნის ისტორიაში დედოფალ ვიქთორიას მეფობის შემდეგ-59 წელი. ამ პერიოდში ბრიტანეთი გადაიქცა მონინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. 1801 წელს ჯორჯ III-მ მიიღო დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მონარქის ტიტული. 1783 წლის სექტემბრის ვერსალის სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველზე ბრიტანეთმა სცნო აშშ-ის დამოუკიდებლობა, ხოლო ორი წლის შემდეგ მეფე ჯორჯ III წმინდა ჯეიმსის სასახლეში მიიღო აშშ-ის პირველი ელჩი ჯონ ადამსი. მართალია მესამე ჯორჯის მეფობის პერიოდში ბრიტანეთმა დაკარგა 13 ამერიკული კოლონია, მაგრამ დამკვიდრდა ავსტრალიაში, კანადასა და მსოფლიოს მრავალ რაიონში. ბრიტანეთი მონაწილეობას იღებს ნაპოლეონის ომებში, რომელიც ლონდონის ინტერესების წარმატებით დასრულდა.

ჯორჯ III თავის სიცოცხლის ბოლო ათი წელი იყო ყრუ, ბრმა და გაგიჟებულიც კი. იგი 1820 წლის 29 იანვარს გარდაიცვალა 82 წლის ასაკში უინძორში. ბრიტანეთის მეფე გახდა 54 წლის ჯორჯი, უელსის პრინცი, რომელიც 1811 წლის თებერვლიდან ასრულებდა რეგენტის მოვალეობას მამამისის ავადმყოფობის გამო. მართალია მეფე მაინც და მაინც არ ინტერესდებოდა მისი კონსტიტუციური მოვალეობებით და არც მისი პირადი ცხოვრება იყო მისაბაძი; მაგრამ იგი უდიდეს ყურადღებას უთმობდა კულტურის აღორძინებაგანვითარებას. სწორედ მისი ძალისხმევით მიიღო დღევანდელი სახე უინძორის ციხე-სიმაგრემ, სადაც განსაკუთრებული იყო მეფის არქიტექტორის ჯეფრი უაითვილის საქმიანობა. ამავე პერიოდში აშენდა მსოფლიოში სახელგანთქმული ბრაითონის პავილიონი. ჯორჯ IV პირდაპირი მემკვიდრე არ დაუტოვებია; 65 წლის ასაკში გამეფდა მისი ძმა, ქლერენსის ჰერცოგი, უილიამი, რომლის მეფობის დროსაც ძალაში შევიდა 1832 წლის ცნობილი საპარლამენტო რეფორმა. არც უილიამ IV არ ჰყოლია ტახტის პირდაპირი მემკვიდრე, ამიტომ მისი გარდაცვალების შემდეგ ბრიტანეთის გვირგვინი დაადგეს მის ძმის შვილს პრინცესა ვიქთორიას.

დედოფალი ვიქთორია დაიბადა 1819 წლის 24 მაისს დილით 4 საათსა და 15 წუთზე ქენსინგთონის სასახლეში, ლონდონში. მამამისი იყო პრინცი ედუარდი, ქენთის ჰერცოგი, მეფე უილიამ IV-ის

უმცროსი ძმა, ხოლო დედამისი-ვიქთორია, ქენთის ჰერცოგინია, ფრანსის, ფრედერიქ საქს-ქობურგ-სოლფელდის ჰერცოგის ქალიშვილი და ლეინინგენის პრინცის ქვრივი, ასევე პრინც ლეოპოლდ საქს-ქობურგის და, რომელიც 1831 წელს გახდა ბელგიის მეფე ლეოპოლდ I. ქენთის ჰერცოგის ქორწინება ვიქთორიაზე მოხდა 1818 წლის ივლისში ქიუში. ქორწინებისას ჰერცოგი იყო 52 წლის, ხოლო მისი მეუღლე 31 წლის. ისინი ცხოვრების უდიდეს ნაწილს ატარებდნენ გერმანიაში, ქენთის ჰერცოგინიას მშობლიურ ციხე-სიმაგრეში, თუმცა პრინცესა ვიქთორიას (შემდგომში დედოფალი ვიქთორია) გაჩენამდე ერთი თვით ადრე ისინი ინგლისში ჩამოვიდნენ. პრინცესა ვიქთორიას დაბადებიდან რამოდენიმე თვის შემდეგ მამამისი, ქენთის ჰერცოგი 54 წლის ასაკში ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია უინძორის ციხე-სიმაგრეში, წმინდა ჯორჯის ეკლესიაში, ვიქთორიას დედა კი გარდაიცვალა 74 წლის ასაკში 1861 წლის 16 მარტს.

ათი წლის პრინცესას მისი აღმზრდელის ბარონესა ლუიზა ლეზენის მეთვალყურეობით დაუწყეს ისტორიის გაკვეთილების სწავლება. როდესაც მას აჩვენეს ინგლისის მონარქების გენეალოგია, მან თქვა: „მე ეს ჯერ არასოდეს არ მინახავსო". გაეცნო რა ყოველივეს, პრინცესამ განაცხადა, რომ „მე ბევრად ახლოს ვარ ტახტთან, ვიდრე ვფიქრობდიო". 1830 წლის 11 მაისი დაუვიწყარი იყო პრინცესას ცხოვრებაში. ბარონესა ლეზენის გადმოცემით პრინცესას პირველად უთხრეს, რომ იგი ბრიტანეთის სამეფო ტახტის პირდაპირი მემკვიდრეა, რაზეც პრინცესამ წამოიძახა „მე კარგი ვიქნებიო".

ცამეტი წლის ვიქთორია უკვე მოგზაურობს ბრიტანეთის მრავალ კუთხეში. პრინცესა ვერ მალავს აღშფოთებას უელსისა და მიდლენდის სამრეწველო კვარტლების დათვალიერების შემდეგ. ნახშირის მომპოვებელი ერთ-ერთი რაიონის დათვალიერების შემდეგ იგი წერდა: „სახლები სულ შავია", რითაც ხაზს უსვამდა ცხოვრების დაბალ დონეს, იმდროინდელ სამრეწველო რაიონებში.

ვიქთორიამ განათლება სასახლის კარზე მიიღო. აქ ეზიარა იგი რელიგიურ განათლებას. შეისწავლა ლათინური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, გეოგრაფია, მათემატიკა. პრინცესა გატაცებული იყო მუსიკით, მას კარგი ხმა ჰქონდა. ხატავდა, იტაცებდა ბალეტი და თეატრი, ფლობდა თოჯინების უნიკალურ კოლექციას.

ვიქთორია დედოფალი გახდა 1837 წლის 20 ივნისს. ქენთერბერიის არქიეპისკოპოსი და ლორდი ხაზინადარი 1837 წლის 20 ივნისს დილით 5 საათზე ეწვივნენ პრინცესას ქენსინგთონის სასახლეში და მოახსენეს მას მეფის გარდაცვალება და მისი დედოფლად გახდომის ამბავი. იმ დღესვე დილით 9 საათზე ვიქთორიას სასახლეში ეწვია ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ლორდი

მელბურნი. ვიქთორია პრემიერს შეხვდა, როგორც დედოფალი, შედგა საუბარი, დედოფლის მოთხოვნით ერთი ერთზე. მელბურნი დედოფალზე 40 წლით უფროსი გახლდათ, იგი ვიქთორიას ეპყრობოდა, როგორც მამა მის ქალიშვილს. ლორდი უკითხავდა მას ლექციებს ისტორიაში, სახელმწიფო სამართალში, აცნობდა კონსტიტუციურ მმართველობას და ა.შ. გამეფებისას ვიქთორია იყო 18 წლის. 1837 წლის 21 ივნისს იგი ოფიციალურად გამოცხადდა დედოფლად, წმინდა ჯეიმსის სასახლეში. მისი მონარქად კურთხევის ცერემონიალი მოეწყო 1838 წლის 28 ივნისს უესთმინსთერის ისტორიულ სააბათოში. ამ დღესთან დაკავშირებით ლონდონს სტუმრად ეწვია ოთხასი ათასი სტუმარი მსოფლიოს მრავალი კუთხიდან. დედოფალმა აღნიშნა, რომ ეს დღე საამაყო დღეა მის ცხოვრებაში. ხუთ საათიანი მეფედკურთხევის ცერემონიალი და მილიონი მოზეიმე ხალხი ლონდონის ქუჩებში თავბრუდამხვევი იყო ახალგაზრდა დედოფლისათვის.

მომავალ მეუღლეს, პრინც ალბერთს, დედოფალი ვიქთორია პირველად შეხვდა 1836 წლის მაისში, ინგლისში. იგი იყო მისი ბიძაშვილი, პრინცი ფრანც აუგუსთ ჩარლზ ალბერთ ემანუელი, ერნესთის, საქს-ქობურგ სოლფელდის ჰერცოგის უფროსი ვაჟი. ვიქთორიას და ალბერთის ბიძის, ბელგიის მეფის, ლეოპოლდ I დიდი მონდომებით ისინი დაქორწინდნენ. ქორწინება მოეწყო 1840 წლის 10 თებერვალს წმინდა ჯეიმსის სასახლის ეკლესიაში. სამეფო წყვილი ამ დროისათვის გახლდათ 20 წლის. მათ თაფლობის დღეები გაატარეს უინძორში. ვიქთორია უსაზღვროდ იყო შეყვარებული ალბერთზე. დედოფალი ბიძამისს, ბელგიის მეფე ლეოპოლდს წერდა „იგი ანგელოზია, ვფიქრობ, რომ არავინ არ არის ისეთი ბედნიერი, როგორც მე“.

ქორწინების შემდეგ დედოფალ ვიქთორიას და პრინც ალბერთს შეეძინათ 9 შვილი:

მათი პირველი შვილი იყო პრინცესა ვიქთორია, რომელიც დაქორწინდა გერმანიის იმპერატორ ფრედერიქ III-ზე. მათი შვილი იყო გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II.

მეორე შვილი იყო პრინცი ედუარდი, შემდგომში ბრიტანეთის მეფე ედუარდ VII, რომელიც დაქორწინდა დანიის პრინცესა ალექსანდრაზე, დანიის მეფის ქრისთიან IX ქალიშვილზე. მათი შვილის შვილიშვილი არის ნორვეგიის დღევანდელი მეფე ჰაროლდ V.

მესამე შვილი იყო პრინცესა ალისა, რომელიც დაქორწინდა ლუდვიგ IV-ზე, ჰესის დიდ ჰერცოგზე. მათი ქალიშვილი იყო რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ II მეუღლე. პრინცესა ალისას და ლუდვიგ IV შვილისშვილის შვილია დღევანდელი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II-ის მეუღლე, ედინბურგის ჰერცოგი, ფილიპე II.

მათი მეოთხე შვილი იყო პრინცი ალფრედი, ედინბურგის ჰერცოგი, რომელიც დაქორწინდა მარიაზე, დიდ ჰერცოგინიაზე, რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II ქალიშვილზე.

მეხუთე შვილი იყო პრინცესა ელენე, რომელიც დაქორწინდა პრინც ქრისთიანზე, ქრისთიანის, შლეზვინგ-ჰოლშთეინის ჰერცოგის უმცროს ვაჟზე.

მეექვსე შვილი იყო პრინცესა ლუიზა, რომელიც დაქორწინდა ჯონ ქემპბელზე, ლორნის მარკიზზე, რომელიც 1900 წელს გახდა არგაილის მეცხრე ჰერცოგი.

მეშვიდე შვილი იყო პრინცი ართური ქონოთის ჰერცოგი, იგი დაქორწინდა პრინცესა ლუიზაზე, პრუსიის პრინცესაზე, მათი შვილისშვილის შვილია შვედეთის დღევანდელი მეფე კარლ XVI გუსთავი.

მერვე შვილი იყო პრინცი ლეოპოლდი, ოლბანის ჰერცოგი, იგი დაქორწინდა ვოლდეკ-პიმონთის პრინცესა ელენეზე.

მეცხრე შვილი იყო პრინცესა ბეატრიქსი, რომელიც დაქორწინდა პრინც ჰენრი ბათენბერგზე, მათი შვილისშვილის შვილია ესპანეთის დღევანდელი მეფე ხუან კარლოს I.

დედოფალი ვიქტორია ბედნიერი მეუღლე, დედა და ბებია იყო, თუმცა მისი ბედნიერი ცხოვრება მეუღლესთან, პრინც ალბერთთან, რომელსაც დედოფალმა პრინც კონსორდის ტიტული უბოძა, გაგრძელდა მხოლოდ 21 წელი. პრინცი გარდაიცვალა 1861 წლის 14 დეკემბერს, საღამოს დაახლოებით 11 საათზე, უინძორის ციხესიმაგრის ლურჯ ოთახში, როდესაც მას თავზე ადგა დედოფალი და თავისი ხუთი შვილი. პრინცი გარდაიცვალა მუცლის ტიფით. დედოფლის მეუღლე დაკრძალეს ფროგმორის სამეფო მავზოლეუმში, უინძორში.

მეუღლის გარდაცვალებამ მნიშვნელოვნად შეცვალა მისი უდიდებულესობის დედოფალ ვიქტორიას ცხოვრება. დედოფალმა დაკარგა არა მარტო ერთგული და უსაყვარლესი მეუღლე, არამედ უდიდესი თანამოაზროვნე და მრჩეველი. დედოფლის ცხოვრება ერთფეროვანი და უხალისო გახდა. მისი უდიდებულესობა ხშირად არიდებდა თავს საზოგადოებაში გამოსვლებს და მეუღლისადმი ერთგულების ნიშნად მას სიკვდილის ბოლომდე შავები არ გაუხდია. იგი გაურბოდა ლონდონში ყოფნას და იშვიათად ჩნდებოდა ბაქინჰემის სასახლეში. ბოლო 39 წლის მანძილზე დედოფალმა მხოლოდ შვიდჯერ გახსნა პარლამენტის საზეიმო სხდომა.

თუმცა ეს ყოველივე როდი ნიშნავდა მონარქის როლის შესუსტებას ქვეყანაში. დედოფალი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა კეთილსინდისიერად და დროულად შეესრულებინა მასზე დაკისრებული ყოველგვარი კონსტიტუციური მოვალეობა.

თავისი მეფობის 63 წლის მანძილზე დედოფალ ვიქთორიაზე 7-ჯერ განხორციელდა თავდასხმა მისი სიცოცხლის ხელყოფის მიზნით. პირველი 1840 წელს დედაქალაქში ბაქინჰემის სასახლესთან ახლოს, ბოლოს კი 1882 წელს, უინძორში. დედოფალ ვიქთორიას პერიოდში ქვეყნის პრემიერ-მინისტრები იყვნენ:

1. მელბურნის ვისქონთი – 1835-1841წწ.

2. სერ რობერთ პილი – 1841-1846წწ.

3. ლორდ ჯონ რასელი – 1846-1852წწ.

4. დერბის გრაფი – 1852წ.

5. აბერდინის გრაფი – 1852-1855წწ.

6. პოლმერსონის ვისქონთი – 1855-1858წწ.

7. დერბის გრაფი – 1858-1859წწ.

8. პოლმერსონის ვისქონთი – 1859-1865წწ.

9. რასელის გრაფი – 1865-1866წწ.

10. დერბის გრაფი – 1866-1868წწ.

11. ბენჯამინ დიზრაელი – 1868წ.

12. უილიამ გლადსთონი – 1868-1874წწ.

13. ბენჯამენ დიზრაელი – 1874-1880წწ.

14. უილიამ გლადსთონი – 1880-1885წწ.

15. სოლსბერის მარქიზი – 1885-1886წწ.

16. უილიამ გლადსთონი – 1886წ.

17. სოლსბერის მარქიზი – 1886-1892წწ.

18. უილიამ გლადსთონი – 1892-1894წწ.

19. როზბერის გრაფი – 1894-1895წწ.

10. სოლსბერის მარკიზი – 1895-1902წწ.

დედოფალ ვიქთორიას ხანგრძლივმა მეფობამ განსაკუთრებულ სიმაღლეზე აიყვანა და ავტორიტეტი შესძინა მონარქიის ინსტიტუტს. მისმა უდიდებულესობამ ზარ-ზეიმით აღნიშნა გამეფების 50-ე წლისთავი, 1887 წლის ივლისში. ხოლო ათი წლის შემდეგ განსაკუთრებული პომპეზურობით აღინიშნა დედოფალ ვიქთორიას ბრილიანტის იუბილე-მეფობის 60 წლისთავი. დედო-

ფალი ვიქთორია გახლდათ ბრიტანეთის ისტორიაში ერთადერთი მონარქი, რომელმაც აღნიშნა მეფობის „ბრილიანტის“ იუბილე-60 წელი. ამ მოვლენის აღსანიშნავად იმპერიის დედაქალაქს მსოფლიოს მრავალი კუთხიდან ეწვია მაღალი რანგის სტუმარი. სპეციალური ცერემონიალი გაიმართა წმინდა პავლეს ტაძარში. ვიქთორიას მეფობის პერიოდში ბრიტანეთის იმპერიამ თავისი დიდების ზენიტს მიაღწია. „იუნიონ ჯექი“ ფრიალებდა ხმელეთის 20%-ზე, სადაც ცხოვრობდა მსოფლიო მოსახლეობის 24%. ბრიტანეთი მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყანას წარმოადგენდა. 1876 წლიდან დედოფალი ვიქთორია ატარებდა ინდოეთის იმპერატორის ტიტულს, ტიტულს, რომელსაც მისი შთამომავლობა ინარჩუნებდა 1947 წლის 22 ივლისამდე. დედოფალმა ვიქთორიამ თავისი მეფობის პირველი დღიდანვე თავისი ლონდონის ოფიციალურ რეზიდენციად აირჩია ბაქინჰემის სასახლე; ვიქთორიამ და ალბერთმა გასული საუკუნის 50-იან წლების დასაწყისში შეიძინა ბოლმოროლის მამული. პრინცისა და დედოფლის უსაყვარლეს სასახლეს წარმოადგენდა ოსბორნის სასახლე კუნძულ უაითზე, ინგლისის არხში. ცხოვრების უდიდეს ნაწილს ქვრივი დედოფალი ატარებდა უინძორის ციხე-სიმაგრეში.

დედოფალ ვიქთორიას მეფობა, რომელიც 63 წელი გაგრძელდა ჯერჯერობით ყველაზე ხანგრძლივია ბრიტანეთის ისტორიაში. მისი უდიდებულესობა ვიქთორია გარდაიცვალა 81 წლის ასაკში 1901 წლის 22 იანვარს, საღამოს 7-ის ნახევარზე, ოსბორნის სასახლეში, დამთავრდა ვიქთორიას ერა ბრიტანეთის ისტორიაში, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა არა მარტო ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორიაში.

ბრიტანეთის ტახტზე ავიდა ვიქთორიას უფროსი ვაჟი, ედუარდი.

ედუარდ VII გახლდათ დედოფალ ვიქთორიას და პრინც ალბერთის მეორე შვილი და პირველი ვაჟი. იგი დაიბადა 1841 წლის 9 ნოემბერს დილით 10 საათსა და 48 წუთზე ბაქინჰემის სასახლეში. ეს იყო პირველი შემთხვევა ინგლისის ისტორიაში, როცა მონარქმა დედოფალმა გააჩინა ბიჭი და ტახტის მემკვიდრე. 1841 წლის დეკემბერში ერთი თვის ჩვილი აკურთხეს უელსის პრინცად და მომდევნო წლის 25 იანვარს კი მონათლეს უინძორში, წმინდა ჯორჯის ეკლესიაში. პრინცი ედუარდი ახლობლებში ცნობილი იყო როგორც-ბერთი.

ბერთი საზოგადოების წინაშე პირველად გამოჩნდა 1849 წლის მაისში, როდესაც იგი თავის უფროს დას, ვიქისთანს (ვიქთორია) ერთად ახლდა მამამისს, პრინც ალბერთს ლონდონში, ნახშირის ახალი ბირჟის გახსნის ცერემონიალზე. პრინცის ცხოვრებისეული დამოუკიდებელი ნაბიჯი იყო, ის რომ მან ჯერ კიდევ 17 წლის

ასაკში, საცხოვრებლად აირჩია „უაით ლოჯი", რიჩმონდის პარკში და შემდგომ დამოუკიდებლად გაემგზავრა ვიზიტად თავის დასთან-ვიქისთან ბერლინში სამი კვირით.

დედოფალი ვიქთორია და პრინცი ალბერთი ცდოლობდნენ საუკეთესო განათლება მიეცათ მომავალი მეფისათვის, მაგრამ პრინცი სწავლისადმი განსაკუთრებულ სწრაფვას არ იჩენდა. როგორც ტახტის მემკვიდრემ, მან მცირე პერიოდი იმსახურა სამხედრო სამსახურში, ხოლო შემდეგ სწავლა დაიწყო ოქსფორდის უნივერსიტეტის ქრაისთ ჩერჩის კოლეჯში (დაარსდა 1525წ.), მოგვიანებით კი სწავლა გააგრძელა ქემბრიჯის უნივერსიტეტის თრინითი კოლეჯში (დაარსდა 1546წ.). უნივერსიტეტში სწავლებისას ედუარდი არდადაგებზე მოგზაურობს კანადაში, რომლის დროსაც იგი მონრეალში ხსნის ვიქთორიას სახელობის ხიდს და საძირკვლის ქვას დებს ოტავაში, კანადის დედაქალაქს პარლამენტის შენობის საფუძველში. ამავე დროს პრინცი ენვია აშშ-ს. პრინცი ედუარდი გახლდათ ბრიტანეთის ისტორიაში ქვეყნის ტახტის პირველი მემკვიდრე, რომელმაც გადალახა ატლანტის ოკეანე. ჩრდილოეთ ამერიკაში გამგზავრებამდე დედოფალმა მის უფროს ვაჟს უბოძა ნვივსახვევი ორდენი, 1867 ნელს პრინცი ხდება ნარშავის, ხოლო 1868 ნელს ნმინდა პათრიქის ორდენის კავალერი (დაარსდა 1783წ.).

1861 ნლის 24 სექტემბერს ედუარდი სამხრეთ გერმანიაში პირველად შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს, დანიის მეფის ქალიშვილს, პრინცესა ალექსანდრას. ორი ნლის შემდეგ კი ენყობა მათი ქორწინება უინძორის ციხე-სიმაგრეში, ნმინდა ჯორჯის ეკლესიაში. ქორწინების შემდეგ პრინცის და პრინცესას რეზიდენცია გახდა მალბოროს სასახლე, ხოლო 1862 ნელს პრინცის მიერ შეძენილი სანდრინჰემის სასახლე, ნორფოლქში (აღმოსავლეთ ინგლისი), გადაიქცა მათ საგარეუბნო რეზიდენციად. შოტლანდიაში კი მათი დასასვენებელი ადგილი იყო ბოლმოროლის მამული ჰაილენდში.

ქორწინების შემდეგ უელსის პრინცს და პრინცესას შეეძინათ ხუთი შვილი:

მათი პირველი შვილი გახლდათ პრინცი ალბერთ ვიქთორი, რომელიც ახლობლებში, ცნობილი იყო, როგორც ედი. იგი არ დაქორწინებულა. ქორწინებამდე რამოდენიმე კვირით ადრე გარდაიცვალა (1892წ.), მეორე შვილი გახლდათ პრინცი ჯორჯი, შემდგომში მეფე ჯორჯ V, იგი დაქორწინდა ვიქთორია მერი თექზე, 1893 ნელს. მესამე შვილი გახლდათ პრინცესა ლუიზა, რომელიც დაქორწინდა ალექსანდრე დაფზე, ფაიფის მეექვსე ჰერცოგზე 1889 ნელს. უელსელების ოჯახის მეოთხე შვილი პრინცესა ვიქთორია არ გათხოვილა, ხოლო მათი მეხუთე შვილი,

პრინცესა მაუდი დაქორწინდა დანიის პრინც ჩარლზზე 1896 წელს (რომელიც მოგვიანებით გახდა ნორვეგიის მეფე ჰააკონ VII).

დედოფალ ვიქთორიასა და მის მემკვიდრეს შორის ურთიერთობა ყოველთვის დაძაბული იყო, იგი მემკვიდრეს ადანაშაულებდა კიდეც, პრინც ალბერთის, მისი მეუღლის ადრეულ სიკვდილში. მისი უდიდებულესობა დედოფალი და პრინცი ალბერთი არ იწონებდნენ ახალგაზრდა პრინცის თავისუფალ ცხოვრებას, რომელიც მომავალი მონარქისადმი შეუფერებლად მიაჩნდათ. პრინცი ქალების დიდი მოყვარული ყოფილა, მას იტაცებდა აზარტული თამაშები, ცხენოსნობა, ნადირობა და სხვა. ყოველივე ეს კი მშობლების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

დედოფალი ყოველთვის წინააღმდეგი იყო პრინცს მისი უდიდებულესობა ოფიციალურად წარედგინა საზოგადოებაში. პრემიერ-მინისტრებიც ერიდებოდნენ ტახტის მემკვიდრესთან ახლო კონტაქტებს. ვიქთორიამ მხოლოდ მისი მეფობის ბოლო 15 წლის მანძილზე მოხსნა შეზღუდვები მომავალ მეფეზე. გამომდინარე ზემოხსენებულიდან, პრინცის ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო საზოგადოებრივი საქმიანობისაკენ. იგი ბრწყინვალე ორატორი იყო, პრინცი გახდა ხელოვნების სამეფო აკადემიის პრეზიდენტი და 80-იან წლებში უდიდესი დახმარება გასწია იმისათვის, რომ შექმნილიყო სამეფო მუსიკალური კოლეჯი. 1887 წელს დედოფალ ვიქთორიას მეფობის „ოქროს იუბილის" წელს პრინცი იყო ერთ-ერთი ინიციატორი საიმპერიო ინსტიტუტის შექმნისათვის. ედუარდი ინტერესდება სამედიცინო დარგის შემდგომი განვითარების პერსპექტივით და 1897 წელს, როდესაც ქვეყანა ზეიმობდა დედოფლის გამეფების „ბრილიანტის იუბილეს", მან შექმნა პრინც უელსის საავადმყოფო ფონდი ლონდონისათვის (შემდგომ მეფის ფონდი). შესაძლებლობის მიხედვით პრინცი დიდ ინტერესს იჩენდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებისადმი.

1901 წლის იანვარში 59 წლის ასაკში პრინცი ედუარდი გახდა დიდი ბრიტანეთის და ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მეფე. გამეფების პერიოდში პრინცი ედუარდი თავისი ასაკით ქვეყნის ისტორიაში ჩამორჩებოდა მხოლოდ უილიამ IV, რომელიც მეფე გახდა 64 წლის ასაკში. მეფედკურთხევის ცერემონიალი დანიშნული იყო 1902 წლის 26 ივნისს, მაგრამ იგი გადაიდო, მეფეს დაჭირდა უეცარი ოპერაცია. მეფედკურთხევის ცერემონიალი გაიმართა 9 აგვისტოს უესთმინსთერის სააბათოში.

1902 წლის 12 თებერვალს მეფემ, ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი ორდენი-წვივსახვევი ორდენი გადასცა თავის მეუღლეს დედოფალ ალექსანდრას. ამავე წლის ივნისში იგი ამკვიდრებს

ორდენს „დამსახურებისათვის“, რომელიც გადაეცემა ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პიროვნებას.

განსხვავებით დედოფალ ვიქთორიასაგან, რომელიც თავისი მეფობის პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქვეყნის საშინაო საქმეებს და იმპერიის საქმიანობას, მეფის ყურადღება ძირითადად გადატანილი იყო საგარეო პოლიტიკაზე (თუმცა იგი ასევე დიდად ინტერესდებოდა იმპერიის შიგნით მიმდინარე პრობლემებით).

ევროპაში მეფე ცნობილი იყო, როგორც „ევროპის ბიძა“. განსხვავებით დედამისისაგან იგი ბევრს მოგზაურობდა საზღვარგარეთ. თავისი მეფობის 9 წლის მანძილზე მისი უდიდებულესობა შეხვდა ყველა ევროპის მონარქს, გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ სერბიისა და რუმინეთის მეფეები. იგი ასევე აუდიენციაზე იღებს ბრიტანეთში სტუმრად ჩამოსულ ყველა მაღალი რანგის სტუმრებს. მეფე განსაკუთრებული სიყვარულით გამოირჩეოდა საფრანგეთისადმი, რისი შედეგიც იყო 1903 წლის ბრწყინვალედ დაგვირგვინებული ვიზიტი პარიზში, რომელმაც ხელი შეუწყო ანტანტის ქვეყნების შემდგომ დაახლოებას. ედუარდი იყო ბრიტანეთის პირველი მონარქი, რომელიც ეწვია რუსეთის იმპერიას (იგი ეწვია ტალინს, თუმცა მას რუსეთის მიწაზე ფეხი არ დაუდგამს). მისი უდიდებულესობა ინგლისის პირველი მეფეა, რომელიც მეფე ეთელვულფის, მეფე ალფრედ დიდის მამის შემდეგ, პირველად ეწვია რომს. იგი ანგლიკანური ეკლესიის პირველი მეთაურია, რომელიც 1903 წლის აპრილში შეხვდა რომის პაპს.

მეფე ედუარდ VII-ის მეფობის პერიოდში ქვეყნის ისტორიაში მოხდა ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა. 1906 წლის არჩევნების შედეგად, პირველად მთავრობის სათავეში მოვიდნენ ლიბერალები და მნიშვნელოვანი ცვლილებების წინაშე დადგა ლორდთა პალატა. საგარეო პოლიტიკა კი აღინიშნა სახელგანთქმული „ბრწყინვალე იზოლაციის“ დასასრულით. ბრიტანეთი სამოკავშირო ხელშეკრულებებს დებს 1902 წელს იაპონიასთან, 1904 წელს საფრანგეთთან, ხოლო 1907 წელს რუსეთის იმპერიასთან. განსაკუთრებული იყო მეფის საგარეო პოლიტიკური საქმიანობა ევროპაში „ანტანტის“ გაძლიერების და სრულყოფის მიზნით, რის გამოც მეფეს ევროპაში „მშვიდობის დამმყარებელი“ უწოდეს.

ედუარდ VII მეფობის პერიოდში ქვეყანას მართავდნენ შემდეგი პრემიერ-მინისტრები:

1. სოლსბერის მარქიზი – 1895-1902წწ.

2. ართურ ბოლფორი – 1902-1905წწ.

3. სერ ჰენრი ქამპბელ-ბანერმანი – 1905-1908წწ.

4. ჰერბერთ ასქუითი – 1908-1916წწ.

მისი უდიდებულესობა მეფე ედუარდ VII გარდაიცვალა 1910 წლის 6 მაისს ლონდონში, ბაქინჰემის სასახლეში. იგი დაკრძალულია უინძორის ციხე-სიმაგრეში, წმინდა ჯორჯის ეკლესიაში. გამეფდა მისი მეორე ვაჟი, პრინცი ჯორჯი.

მისი უდიდებულესობა მეფე ჯორჯ V გამეფდა მამამისის გარდაცვალების შემდეგ, როცა იგი იყო 45 წლის. პრინცი ჯორჯ, ფრედერიქ, ერნესთ, ალბერთი იყო უელსის პრინცის და პრინცესას (შემდგომ მეფე ედუარდ VII და დედოფალი ალექსანდრა) მეორე ვაჟი, რომელიც დაიბადა 1865 წლის 3 ივნისს. იგი მონათლულ იქნა უინძორის ციხე-სიმაგრეში. პრინცმა განათლება მიიღო სასახლის კარზე. იგი პატარაობიდანვე უდიდეს ინტერესს იჩენდა სპორტისადმი.

როგორც მეფის მეორე ვაჟი, პრინცი მსახურობდა საზღვაო ფლოტში და 1877 წელს თავის უფროსს ძმასთან ერთად ხდება სამხედრო სასწავლებლის კურსანტი, მოგვიანებით იგი სწავლას განაგრძობს გრენიჯის სამეფო საზღვაო კოლეჯში. სწორედ ზღვასთან კავშირში იწყება მისი დღიურების შედგენა 1880 წლის 3 მაისიდან. მეფემ ისინი სიკვდილამდე სამი დღით ადრე დაასრულა. 1886-88 წლებში პრინცი ხმელთაშუა ზღვის ფლოტში მსახურობს, რომლის მთავარსარდალიც ბიძამისი, პრინცი ალფრედი, ედინბურგის ჰერცოგი იყო და რომლის დახმარებითაც პრინცი იწყებს თავისი მარკების ცნობილი კოლექციის შეგროვებას. მაგრამ 1892 წლის იანვარში პრინცის საზღვაო კარიერა მოულოდნელად შეწყდა, მისი უფროსი ძმის პრინც ალბერთ ვიქთორის უეცარი სიკვდილის გამო და პრინცი ჯორჯი ბრიტანეთის ტახტის უშუალო, პირდაპირი მემკვიდრე აღმოჩნდა.

1892 წლის 24 მაისს პრინცი იღებს იორქის ჰერცოგის ტიტულს, ხოლო 1893 წლის 3 მაისს ოფიციალურად ცხადდება ნიშნობა პრინცესა ვიქთორია მერი თექზე, მისი გარდაცვლილი ძმის საცოლეზე. ქორწინება შედგა 1893 წლის 6 ივლისს წმინდა ჯეიმსის სასახლის ეკლესიაში, ხოლო თაფლობის თვე მათ გაატარეს „იორქის კოთეჯში“ სანდრინჰემში. ქორწინების შედეგად მათ შეეძინათ 6 შვილი.

მათი პირველი შვილი გახლდათ პრინცი ედუარდი, შემდგომში, მეფე ედუარდ VIII, უინძორის ჰერცოგი, რომელიც დაქორწინდა 1937 წელს უოლის სიმპსონზე. სწორედ მასზე მომავალი ქორწინება გახდა მეფის ტახტიდან გადადგომის მიზეზი.

მათი მეორე შვილი პრინცი ალბერთი, შემდგომში მეფე ჯორჯ VI, რომელიც 1923 წელს დაქორწინდა ელისაბედ ბოუს-ლაიონზე.

მესამე შვილი იყო პრინცესა მერი, რომელიც დაქორწინდა ჰენრი ლესელესზე, ჰერვუდის მეექვსე გრაფზე.

მათი მეოთხე შვილი პრინცი ჰენრი, გლოსთერის ჰერცოგი იყო, რომელიც დაქორწინდა ალისა მონთე დუგლას სქოთზე 1935 წელს.

მეხუთე შვილი-პრინცი ჯორჯი, ქენთის ჰერცოგი დაქორწინდა საბერძნეთის პრინცესა მარინაზე, 1934 წელს.

მეექვსე შვილი-პრინცი ჯონი, 1919 წელს 14 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მისი უდიდებულესობა მეფე საუკეთესო მამა და ბაბუა გახლდათ თავისი შთამომავლობისათვის. მეფე ჯორჯ V დედოფალთან ერთად ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა მთელს ქვეყანაში.

ბებიამისის, დედოფალ ვიქთორიას სიკვდილის შემდეგ პრინცი მამამისის გვერდით იდგა უკვე საიდუმლო საბჭოს პირველ შეკრებაზე წმინდა ჯეიმსის სასახლის საბანკეტო დარბაზში. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს და პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ ყველა სახელმწიფოებრივ მოვალეობას. 1901 წლის მაისში პრინცი საზეიმო ვითარებაში ხსნის ავსტრალიის კავშირის პირველ სესიას. ეწვია ახალ ზელანდიას, სამხრეთ აფრიკას და კანადას. საიმპერიო ტურნეს დამთავრების შემდეგ იგი 1901 წლის 9 ნოემბერს იღებს უელსის პრინცის ტიტულს და საცხოვრებლად გადადის მალბოროს სასახლეში. ჯერ კიდევ გამეფებამდე პრინცი ვიზიტად იმყოფებოდა გერმანიაში (1902წ.), ავსტრია-უნგრეთში (1904წ.), ინდოეთსა და ბირმაში (1905-06 წლებში).

მეფე ჯორჯ V მეფედკურთხევის ცერემონიალი მოეწყო 1911 წლის 22 ივნისს უესთმინსთერის სააბათოში. სნორედ ამ დროს პირველად გადაუღეს სურათები ბრიტანეთის მონარქების მეფედკურთხევის ცერემონიას სააბათოს შიგნით. სურათები გადაიღო სერ ბენჯამენ სთოუნმა. აღნიშნული წლის ზამთარში მეფე დედოფალთან ერთად ეწვია დელს, სადაც მოეწყო მათი მეფედკურთხევა, როგორც მეფე-იმპერატორისა, რომელიც პირველად ეწვია ინდოეთს. მისი უდიდებულესობის მეფობის 25 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა, როგორც ბრიტანეთის უზარმაზარ იმპერიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. 1911 წლის უესთმინსთერის აქტით პარლამენტმა დაამტკიცა ლორდთა პალატის შესახებ კიდევ ერთი აქტი, ლორდებს საბოლოოდ აეკრძალათ ქვეყნის საფინანსო საქმეებში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. ეს პრობლემა ამიერიდან პარლამენტის ქვედა პალატის პრეროგატივა გახდა. სერიოზული ცვლილებები მოხდა ირლანდიაშიც. 1921 წლის ხელშეკრულების თანახმად, ირლანდიის ტერიტორიის უდიდესმა ნაწილმა დამოუკიდებლობა

მიიღო, თუმცა კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთი, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი პროტესტანტული იყო, დარჩა გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში. ირლანდიის დამოუკიდებელი ნაწილი, მიუხედავად სრული სუვერენიტეტისა, კვლავინდებურად ცნობდა ბრიტანეთის მონარქს უზენაესად. ეს სიტუაცია გაგრძელდა 1949 წლამდე. 1949 წელს ირლანდია რესპუბლიკად გამოცხადდა. 1921 წლის 22 ივნისს მეფე ჯორჯ V გახსნა ჩრდილოეთ ირლანდიის პარლამენტის ახალი სესია. განსაკუთრებული იყო ქვეყნის ისტორიაში 1924 წელი, როცა საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება პირველად მოიპოვა ლეიბორისტებმა და მეფემ რამსეი მაქდონალდს დაავალა ქვეყნის ისტორიაში პირველი ლეიბორისტული მთავრობის ჩამოყალიბება. იმპერიის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი იყო ბრიტანეთის პარლამენტის მიერ ცნობილი „უესთმინსთერის აქტის“ მიღება, რომლის ძალითაც უესთმინსთერმა დაკარგა ყოველგვარი ზეგავლენა დომინიონებზე.

პირველმა მსოფლიო ომმა სერიოზული განსაცდელის წინაშე დააყენა იმპერია. ბრიტანეთი საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქვეყანასთან, რომლის სამეფო ოჯახიც სისხლით ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა ბრიტანეთის სამეფო ოჯახთან. იმდროინდელი გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II იყო ბრიტანეთის მეფის, ჯორჯ V-ის მამიდაშვილი. ომის დაწყებამდე სულ რაღაც სამი წლის წინ ორივე მონარქმა (მეფე ჯორჯ V და იმპერატორი ვილჰელმ II) საზეიმო ვითარებაში გახსნეს თავიანთი ბებიის, დედოფალ ვიქთორიას ძეგლი ბრიტანეთის მონარქების ლონდონის რეზიდენციის, ბაქინჰემის სასახლის წინ.

მეფე ჯორჯ V ბრძანებით, მთელს ქვეყანაში შეიცვალა ყოველგვარი გერმანული ტიტულები, ხოლო 1917 წლის 17 ივლისს სპეციალური სამეფო განკარგულებით, ბრიტანეთის სამეფო დინასტია, რომელიც პრინც ალბერთის, დედოფალ ვიქთორიას მეუღლის გვარს საქს-ქობურგ-გოთას ატარებდა, შეიცვალა უინძორად. ომის პერიოდში მისი უდიდებულესობა დაუღალავად შრომობდა პრემიერ-მინისტრებთან ჰერბერთ ასქუითთან და ლოიდ ჯორჯთან. მეფე 450-ჯერ ეწვია ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს და 300-ჯერ საავადმყოფოებს, მის მეუღლესთან ერთად, სადაც სამეფო წყვილი ხვდებოდა ომის ფრონტზე დაჭრილ მათ ქვეშევრდომებს.

განსხვავებით მამამისისაგან, მეფე ედუარდ VII-გან ჯორჯ V-ს არ უყვარდა საზღვარგარეთ ვიზიტების მოწყობა. მის მიერ ჩატარებულ იშვიათ ვიზიტთთაგან აღსანიშნავია მეფის ვიზიტი ინდოეთსა (იგი გახდა ბრიტანეთის პირველი მონარქი, რომელიც ეწვია ამ ქვეყანას) და იტალიაში.

მეფე ჯორჯ V იყო ის სახელმწიფო მეთაური, რომელმაც რადიოს საშუალებით პირველად მიულოცა შობა-ახალი წელი 1932 წელს ქვეშევრდომებს მთელს იმპერიაში. მეფობის ბოლო პერიოდში მისი უდიდებულესობა და მთელი სამეფო ოჯახი სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა ბრიტანეთის სამეფო გვირგვინის მომავალთან დაკავშირებით. მიზეზი გახლდათ უელსის პრინცის სასიყვარულო რომანი ამერიკელ ქალბატონ უოლის სიმპსონთან.

თავის ბოლო პრემიერ-მინისტრთან ერთ-ერთ შეხვედრისას მეფემ განაცხადა „ჩემი სიკვდილიდან 12 თვის შემდეგ ჩემი ბიჭი გადადგებაო". მეფის სიტყვები მართლაც გამართლდა.

მისმა უდიდებულესობამ ჯორჯ V და დედოფალმა მერიმ 1935 წლის 6 მაისს აღნიშნეს თავიანთი გამეფების „ვერცხლის იუბილე". ამ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით სახელგანთქმულ წმინდა პავლეს ტაძარში გაიმართა სამადლობელო წირვა. მეფეს უკვე სერიოზულად აწუხებდა ავადმყოფობა ბრონხიტი, რის საფუძველზეც იგი გარდაიცვალა 1936 წლის 20 იანვარს სანდრინჰემის სასახლეში. მეფე დაკრძალულია უინძორის ციხე-სიმაგრეში, წმინდა ჯორჯის ეკლესიაში.

ჯორჯ V მეფობის პერიოდში ქვეყანას მართავდნენ შემდეგი პრემიერ-მინისტრები:

1. ჰერბერთ ასქუითი – 1908-1916წწ.
2. დეივიდ ლოიდ ჯორჯი – 1916-1922წწ.
3. ენდრიუ ბონარ ლოუ – 1922-1923წწ.
4. სთენლი ბოლდუინი – 1923-1924წწ.
5. რამსეი მაქდონალდი – 1924წ.
6. სთენლი ბოლდუინი – 1924-1929წწ.
7. რამსეი მაქდონალდი – 1929-1935წწ.
8. სთენლი ბოლდუინი – 1935-1937წწ.

პრინცი ედუარდ, ალბერთ, ჯორჯ, ენდრიუ, დეივიდ იორქის ჰერცოგის და ჰერცოგინიის (შემდგომში მეფე ჯორჯ V და დედოფალი მერი) უფროსი ვაჟი დაიბადა 1894 წლის 23 ივნისს „უაით ლოჯში", რიჩმონდში, სურეიში. მისი ბავშვობა არ იყო მაინც და მაინც ბედნიერი, მას არ ჰყოლია ბევრი მეგობარი და იზრდებოდა მკაცრი მამის განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ. დაწყებითი განათლება მიიღო სასახლის კარზე ჰენრი ჰენსელის ხელმძღვანელობით. მამამისის, მეფე ჯორჯ V გადაწყვე-

ტილებით, მისი ორი უფროსი ვაჟი იღებს საზღვაო განათლებას. 1907 წელს პრინცი ხდება ოსბორნის საზღვაო კოლეჯის სტუდენტი, მოგვიანებით კი 1909 წელს სწავლას აგრძელებს დარტმოთის ბრიტანეთის სამეფო საზღვაო კოლეჯში.

მამამისის ტახტზე ასვლის შემდეგ პრინცი ავტომატურად გახდა ქორნოულის ჰერცოგი, ხოლო როცა თექვსმეტი წელი შეუსრულდა, მიიღო უელსის პრინცის და ჩესთერის გრაფის ტიტულებიც. უელსის პრინცად კურთხევის ცერემონიალი მოეწყო 1911 წლის 13 ივლისს, ქარნარვონის ციხე-სიმაგრეში, ჩრდილოეთ უელსში. უმაღლეს განათლებას მომავალი მეფე იღებს ოქსფორდის უნივერსიტეტში, მაგდონელის კოლეჯში, სადაც ისწავლა კონსტიტუციური სამართალი, ისტორია, ფრანგული და გერმანული. თუმცა პრინცს სრული უმაღლესი განათლება ბოლომდე არ მიუღია.

1914-18 წლებში ბრიტანეთი მონაწილეობს პირველ მსოფლიო ომში, მიუხედავად პრინცის დიდი მონდომებისა, მას, როგორც ტახტის მემკვიდრეს, უარი უთხრეს უშუალო მონაწილეობა მიეღო საბრძოლო ოპერაციებში, მაგრამ იგი ომის პერიოდში მაინც ახერხებს იმოგზაუროს იტალიაში, საფრანგეთსა და ეგვიპტეში.

1919 წლის ივლისში პრინცი საცხოვრებლად გადადის საკუთარ სახლში-იორქის სასახლეში, წმინდა ჯეიმსის სასახლის კომპლექსში, მოგვიანებით კი მკვიდრდება თავის ქალაქგარეთ რეზიდენციაში ფორთ ბელვედერში. სწორედ ეს სახლი ხდება პრინცის უსაყვარლესი ადგილი მომავალში.

1919-31 წლებში უელსის პრინცი აწყობა არა ერთ ტურნეს საზღარგარეთ: კანადაში (1919, 1923, 1924, 1927 წლებში), ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში (1920წ.) და აფრიკის კონტინენტზე (1925, 1928 და 1930 წწ.). პრინცი ეწვია ასევე აშშ (1919, 1924წწ.) და სამხრეთ ამერიკას (1931წ.).

მომავალი მეფე ხშირად მოგზაურობს ასევე გაერთიანებული სამეფოს სხვადასხვა რეგიონში, იგი ვერ მალავდა თავის აღშფოთებას ქვეყნის ზოგ კუთხეში ცხოვრების დაბალი დონის არსებობით. პრინცი ხშირად დადიოდა მაღაროელთა რაიონებში, ინტერესდებოდა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობით. ხშირად გამოდიოდა რა ფართო აუდიტორიის წინაშე, თავისი სიტყვით ყოველთვის მხარს უჭერდა და უთანაგრძნობდა მოსახლეობის ფართო მასებს, რომელთაც საკმაოდ მძიმე შრომის პირობები ჰქონდათ. მისი ასეთი პოზიცია კი მნიშვნელოვნად არღვევდა არსებულ ტრადიციებს. პრინცს სურდა წამოეწია მონარქიის ფუნქციები საზოგადოებრივ ცხოვრებაში და უფრო აქტიური გაეხადა მისი როლი ქვეყნის საქმიანობაში.

მამამისის, მეფე ჯორჯ V, სიკვდილის შემდეგ გამეფდა მისი ვაჟი, ედუარდ VIII-ის სახელით, რომელმაც იმეფა სულ 325 დღე და რომლის მეფედკურთხევის ცერემონიალი არ შემდგარა. ყოველივეს მიზეზი კი გახდა დაუქორწინებელი მეფის (გამეფების დროს იგი იყო 41 წლის) სასიყვარულო რომანი ქალბატონ უოლის სიმპსონთან, რომელიც მეფეზე ორი წლით უმცროსი იყო. ქალბატონი უოლისი დაიბადა და ბავშვობა გაატარა აშშ-ში. 1914 წელს ფლორიდაზე ვიზიტის დროს იგი შეხვდა თავის პირველ მეუღლეს, რომელზეც 1916 წელს დაქორწინდა. მაგრამ მათი ურთიერთობა ქორწინების პირველივე დღიდანვე არასტაბილური აღმოჩნდა, მეუღლის ცუდი ხასიათიდან გამომდინარე, რის გამოც ქალბატონი უოლისი მას გაშორდა 1927 წელს. მოგვიანებით იგი დედამისთან ერთად საცხოვრებლად გადადის ინგლისში. აქ იგი შეხვდა ამერიკული წარმოშობის ბიზნესმენს ბატონ ერნესთ სიმპსონს, ისინი, დაქორწინდნენ 1928 წელს. მაგრამ, მალე 1930 წელს უკვე ქალბატონი უოლის სიმპსონი პირველად ხვდება ბრიტანეთის მომავალ მეფეს, შემდგომ ეს ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა და მეფეს ტახტად დაუჯდა. ედუარდ VIII-ის ასეთი სიყვარული მიუღებელი იყო მონარქისათვის, რომელიც ანგლიკანური ეკლესიის მეთაურია. ორჯერ განქორწინებული დედოფალი ასევე მიუღებელი იყო ბრიტანეთის უმაღლესი საზოგადოებისათვის. მეფის ქორწინებას უოლის სიმპსონზე განსაკუთრებულ წინააღმდეგობას უწევდა ბრიტანეთის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი ბოლდუინი და, როდესაც მეფეს საბოლოოდ შესთავაზეს წინადადება ან სიმპსონის სიყვარული ანდა სამეფო გვირგვინიო, მისი უდიდებულესობა სიყვარულის ერთგული აღმოჩნდა და 1936 წლის 10 დეკემბერს დილის თერთმეტის ნახევარზე სამეფო სანქცია დაადო მისი ტახტიდან გადადგომის აქტს. მეფე გადადგა ტახტიდან თავისი უმცროსი ძმის, პრინც ალბერთის სასარგებლოდ, რომელიც 1937 წელს ეკურთხა ბრიტანეთის მეფედ-ჯორჯ VI.

1936 წლის 11 დეკემბერს უკვე ყოფილი მეფე ედუარდ VIII ტოვებს ქვეყანას და საცხოვრებლად გადადის საფრანგეთში. 1937 წლის 8 მარტს კი მეფე ჯორჯ VI ძმას უბოძებს უინძორის ჰერცოგის ტიტულს. აღნიშნული წლის მაისში კი უოლის სიმპსონმა ოფიციალურად გააფორმა განქორწინება მის მეორე მეუღლესთან, რამაც მწვანე შუქი აანთო მისი მესამე ქორწინებისაკენ, ამჯერად ბრიტანეთის ყოფილ მონარქზე. მათი ქორწინება შედგა 1937 წლის 3 ივნისს ქონდეს სასახლეში, ტურთან ახლოს, საფრანგეთში. მათ შეუღლების შემდეგ შვილი აქ ჰყოლიათ.

უინძორის ჰერცოგის სიმპათიები ჰიტლერისადმი აშკარა გახდა 1937 წლის ოქტომბერში, როცა იგი მეუღლითურთ

ოფიციალურ ვიზიტად ეწვია ფაშისტურ გერმანიას და შეხვდა კიდეც ჰიტლერს.

1940-45 წლებში უინძორის ჰერცოგი იყო ბაჰამის კუნძულების გენერალ-გუბერნატორი.

მეფე ედუარდ VIII გარდაიცვალა 1972 წლის 28 მაისს კიბოთი. იგი დიდი პატივით დაკრძალეს უინძორში. 1986 წლის 24 აპრილს ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა უოლის სიმპსონი, რომელიც დაკრძალულ იქნა თავისი მეუღლის გვერდით უინძორში.

მეფე ჯორჯ V და დედოფალი მერის ვაჟი პრინცი ალბერთ, ფრედერიქ, ართურ, ჯორჯი დაიბადა 1895 წლის 14 დეკემბერს სანდრინჰემში. პატარა პრინცი მონათლულ იქნა სახელრინჰემის წმინდა მერის მაგდოლენის ეკლესიაში. ახლობლებში იგი ცნობილი იყო, როგორც ბერთი. ბავშვობაში იგი იყო მორცხვი, მორიდებული და თავმდაბალი, ხშირად ავადმყოფობდა, აწუხებდა ფეხები. არ ჰქონდა გამართული მეტყველება. მომავალი მეფე თავისი ბავშვობის უდიდეს დროს თავის უფროს ძმასთან ერთად ატარებდა მეფეების საზამთრო რეზიდენციაში-სანდრინჰემში, სადაც მიიღო დაწყებითი განათლება ჰენრი ჰენსელის მეთვალყურეობით.

1909 წელს პრინცი ალბერთი 14 წლის ასაკში ხდება ოსბორნის სამეფო საზღვაო კოლეჯის სტუდენტი, ხოლო ორი წლის შემდეგ კი სწავლას აგრძელებს დართმოთის ბრიტანეთის სამეფო საზღვაო კოლეჯში, რომელსაც 1912 წელს ამთავრებს და 6 თვეს პრინცი ატარებს გემ „ქამბერლენდის" კრუიზში. 1913 წელს იგი სამხედრო წოდებას იმაღლებს და სამსახურს აგრძელებს საბრძოლო ხომალდზე „ქოლინგვუდზე", რომელზედაც მსახურობდა პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე. 1916 წლის მაისში იგი უშუალოდ იღებს მონაწილეობას იუტლანდიის ბრძოლებში. როდესაც პრინცს შეუსრულდა 21 წელი, იგი გახდა ბრიტანეთის ერთ-ერთი უმაღლესი ორდენის, წვივსახვევი ორდენის კავალერი. 1918 წელს პრინცი იწყებს ქრენუელის სამეფო საზღვაო-საჰაერო ძალებში მსახურს, ეუფლება ფრენის ხელოვნებას და ხდება ისტორიაში პირველი მონარქი, რომელიც იღებს მფრინავის ლიცენზიას. პრინცი ახალგაზრდობაში უდიდეს ინტერესს იჩენს ცხენოსნობისადმი, გოლფისა და ტენისისადმი. სპორტის ამ სახეობებში მან სერიოზულ წარმატებებსაც კი მიაღწია.

1919 წელს პრინცი აგრძელებს სნავლას, ამჯერად მის უმცროს ძმასთან, პრინც ჰენრისთან ერთად (შემდგომში გლოსთერის ჰერცოგი) ქემბრიჯში, თრინითი კოლეჯში, სადაც ეუფლება ისტორიას, ეკონომიკას და სამართალს.

განსაკუთრებული იყო პრინცისათვის 1920 წელი. 3 ივნისს, იგი იღებს იორქის ჰერცოგის ტიტულს და იკავებს ადგილს ლორდთა

პალატაში, ხოლო ერთი თვით ადრე კი მეორედ ხვდება (მათი პირველი შეხვედრა შედგა ბავშვობისას 1905 წელს) მომავალ მეუღლეს ლედი ელისაბედ ბოუს-ლაიონს. მათი ქორწინება შედგა 1923 წლის 26 აპრილს უესთმინსთერის სააბათოში. ქორწინების დღეს იორქის ჰერცოგი გახდა ნარშავის ორდენის კავალერი. ჰერცოგმა და ჰერცოგინიამ თაფლობის თვე გაატარეს პოლესდენ ლესში, დორქინგთან ახლოს და ასევე გლამსში და ფროგმორის სასახლეში. ახლად დაქორწინებულების პირველ რეზიდენციას წარმოადგენდა „უაით ლოჯი", რიჩმონდის პარკში, მოგვიანებით კი ისინი საცხოვრებლად გადავიდნენ პიქადილიის 145. 1931 წელს კი მათი საგარეუბნო რეზიდენცია გახდა „როიალ ლოჯი", უინძორის დიდ პარკში. სწორედ აქ პრინცი უდიდეს ინტერესს იჩენდა მებაღეობისადმი.

ქორწინების შემდეგ იორქის ჰერცოგს და ჰერცოგინიას შეეძინათ ორი ქალიშვილი. 1926 წლის აპრილში ქვეყანას მოევლინა პრინცესა ელისაბედი, ბრიტანეთის დღევანდელი დედოფალი, ხოლო ოთხი წლის შემდეგ 1930 წლის აგვისტოში, შოტლანდიაში გაჩნდა მათი მეორე ქალიშვილი, პრინცესა მარგარითა.

მიუხედავად სერიოზული პრობლემებისა (მეტყველებასთან დაკავშირებით) ჰერცოგი უდიდესი მონდომებით ცდილობდა შეესრულებინა მასზედ დაკისრებული სამეფო მოვალეობანი, იგი თავის მეუღლესთან ერთად ბევრს მოგზაურობდა, როგორც ბრიტანეთში, ასევე საზღვარგარეთაც. 1923 წელს იგი ეწვია ბალკანეთს, 1924-25 წლების ზამთარში იგი სტუმრობს აფრიკას. 1927 წელს კი იორქის ჰერცოგი და ჰერცოგინია მოგზაურობენ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. ავსტრალიაში ყოფნისას ჰერცოგმა საზეიმო ვითარებაში გახსნა პარლამენტის სესია, დომინიონის ახალ დედაქალაქ ქანბერაში. სამეფო ოჯახში 30-იანი წლების შუა პერიოდში მიმდინარე მოვლენებმა უშუალო გავლენა მოახდინა ჰერცოგის მომავალზე. 20 იანვარს გარდაიცვალა მეფე ჯორჯ V, ბრიტანეთის ტახტი დაიკავა უელსის პრინცმა, რომელსაც ერთი წელიც არ უმეფია. 1936 წლის 10 დეკემბერს გამეფდა პრინცი ალბერთი, რომელიც ქვეყნის ისტორიაში შევიდა, როგორც მეფე ჯორჯ VI. მისი მეფედკურთხევის ცერემონიალი შედგა 1937 წლის 24 მაისს ისტორიულ უესთმინსთერის სააბათოში.

მეფე ჯორჯ VI რთულ საერთაშორისო ვითარებაში მოუხდა მეფობა. ომის წინა პერიოდში მეფე აწყობს რამოდენიმე მნიშვნელოვან ვიზიტს საზღვარგარეთ. 1938 წლის ივლისში მეფე და დედოფალი ოფიციალურ ვიზიტად ეწვივნენ საფრანგეთს, ხოლო ერთი წლის შემდეგ ისინი აწყობენ ისტორიულ ვიზიტს კანადასა და აშშ-ში. ჯორჯ VI პირველი ბრიტანელი მონარქი გახლდათ, რომელმაც პირველად დაადგა ფეხი ჩრდილოეთ ამერიკის

მიწას. მეფემ სეფე სიტყვით მიმართა კანადის პარლამენტს. 8 ივლისს მისი უდიდებულესობა თეთრ სახლში, ვოშინგთონში შეხვდა აშშ-ის პრეზიდენტს, რუზველთს. მოგვიანებით იგი ეწვია ნიუ-იორქის საერთაშორისო გამოფენას, შემდგომ კვლავ შეხვდა პრეზიდენტ რუზველთს, პრიზიდენტის საგარეუბნო სახლში, ნიუ-იორქთან, სადაც ორი ანგლო-საქსური სახელმწიფოს მეთაური განიხილავდნენ ბრიტანეთ-აშშ-ის ურთიერთობას და გამწვავებულ საერთაშორისო სიტუაციას, რომელიც წარმოიშვა 30-იანი წლების ბოლოს მსოფლიოში.

პარიზის დაცემის შემდეგ ბრიტანეთი პირდაპირ აღმოჩნდა გერმანიის სამხედრო მანქანის წინაშე. ფაშისტური ავიაცია ექვსი თვის მანძილზე საშინლად ბომბავდა ქვეყნის ინდუსტრიულ ცენტრებს. მეფე და დედოფალი მთელ ხალხთან და ქვეყანასთან ერთად იტანდა იმ გასაჭირს, რომელიც გამოწვეული იყო ომის შედეგებით. მეფემ კატეგორიულად უარყო წინადადება იმის შესახებ, რომ უშიშროების მიზნით მისი ქალიშვილები გამგზავრებულიყვნენ კანადაში. 1940 წლის სექტემბერში ბომბი 6-ჯერ მოხვდა ბაქინჰემის სასახლეს, ბრიტანეთის მეფეების ლონდონის რეზიდენციას. მ.შ. ორი ბომბი მოხვდა იმ ადგილს, საიდანაც 72 მეტრის მოშორებით ოთახში იმყოფებოდნენ მეფე და დედოფალი. მსოფლიო ომის პერიოდში მეფე ბევრს მოგზაურობდა თავის ჯარებთან საზღვარგარეთ-ჩრდილოეთ აფრიკაში, მალტაზე, საფრანგეთში.

...და ბოლოს, 1945 წლის 8 მაისს მეფე, სამეფო ოჯახთან და მთელს ქვეყანასთან ერთად ზეიმობად გამარჯვებას ფაშისტურ გერმანიაზე. მან მიიღო გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი აღლუმი ლონდონში და მონაწილეობდა სპეციალურ სამადლობელო წირვაში, რომელიც გაიმართა 13 მაისს ლონდონის წმინდა პავლეს ტაძარში და 16 მაისს წმინდა ჯაილზის კათედრალში, ედინბურგში.

1947 წელს ეწყობა მეფის ვიზიტი სამხრეთ აფრიკაში. ეს გახლდათ პირველი შემთხვევა, როცა მონარქს საზღვარგარეთ მოგზაურობისას თან ახლდნენ მისი ოჯახის უახლოესი წევრები-დედოფალი ელისაბედი და მისი ორივე ქალიშვილი. 21 თებერვალს მეფემ გახსნა ქეიფ თაუნში პარლამენტის სესია, ოქტომბერში კი მეფე გულწრფელად ულოცავს მის უფროს ქალიშვილს ქორწინებას ფილიპე მაუთბეთენზე. ხუთი თვის შემდეგ ჯორჯ VI და დედოფალი ელისაბედი წმინდა პავლეს ტაძარში ზეიმობენ თავიანთ ქორწინების ვერცხლის იუბილეს. 1948 წლის ნოემბერში მეფე ხდება ბაბუა, როცა პრინცესა ელისაბედს შეეძინა მემკვიდრე, პრინცი ჩარლზი, მაგრამ ბოლო პერიოდში იგი ხშირად

ავადმყოფობდა, მას სერიოზული პრობლემები ჰქონდა ფილ-ტვებში, რომლის კიბოთიც იგი გარდაიცვალა.

თავის მეფობის 16 წლის მანძილზე მეფე ჯორჯ V მუშაობა მოუხდა ოთხ პრემიერ-მინისტრთან:

1. სთენლი ბოლდუინთან – 1935-1937წწ.

2. ნევილ ჩემბერლენთან – 1937-1940წწ.

3. უინსენთ ჩერჩილთან – 1940-1945წწ;
1951-1955წწ.

4. ქლემენთ ეთლისთან – 1945-1951წწ.

1952 წლის 31 იანვარს მეფემ და დედოფალმა ჰოთროუს აეროპორტში გააცილეს პრინცესა ელისაბედი და ედინბურგის ჰერცოგი აფრიკაში და შემდგომ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში სამოგზაუროდ. ჯორჯ VI გარდაიცვალა 6 თებერვალს სანდრინჰემის სასახლეში, დილით ადრე, ძილში. მეფე დაკრძალულ იქნა უინძორის ციხე-სიმაგრეში, წმინდა ჯორჯის ეკლესიაში. ბრიტანეთის ტახტზე ავიდა მისი უფროსი ქალიშვილი, პრინცესა ელისაბედი.

მისი უდიდებულესობა დედოფალი

თავი I

მისი უდიდებულესობა დედოფალი ელისაბედ II დაიბადა 1926 წლის 21 აპრილს, ლონდონში, დედამისის მშობლების, ლორდ და ლედი სთრეთმორების ოჯახში, ბრუთონ სთრითის 17-ში, არც თუ შორს ბაქინჰემის სასახლიდან, მეიფეას რაიონში, ბონდ სთრითსა და ბერქლის მოედანს შორის და არა ბაბუამისის რომელიმე სასახლეში. სახლი, რომელშიც პატარა პრინცესა დაიბადა, ნარმოადგენდა დედის მშობლების ლონდონის რეზიდენციას. იგი იყო XVIII საუკუნეში ნაგები ხუთსართულიანი შენობა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს დაინგრა და დღეს, რესტავრაციის შემდეგ, კვლავ არსებობს. სახლის კედელზე აღნიშნულია, რომ აქ დაიბადა ბრიტანეთის დღევანდელი დედოფალი. მშობიარობა საკმაოდ სერიოზული იყო. პატარა პრინცესა დაიბადა წითური თმებითა და ცისფერი თვალებით აპრილის 21-ში, შუალამის 2 საათსა და 40 წუთზე ლონდონის დროით, ბუნებრივია, ქვეყნის საუკეთესო ქირურგების განსაკუთრებული მეთვალყურეობით. დაბადებისას იგი მემკვიდრეობის ხაზით მხოლოდ მესამე იყო ბიძამისის, უელსის პრინცისა და მამამისის, იორქის ჰერცოგის შემდეგ. პრინცესა ელისაბედი იყო მეფე ჯორჯ V უფროსი შვილიშვილი, იორქის ჰერცოგის (შემდგომ მეფე ჯორჯ VI) და იორქის ჰერცოგინიას (შემდგომ დედოფალი ელისაბედი, დედა დედოფალი) უფროსი ქალიშვილი. დაბადებისას მხოლოდ ერთმა გაზეთმა „დეილი მეილმა" გამოთქვა ასეთი აზრი: „ახალშობილი, რომელიც გუშინ სამეფოში საუბრის მთავარი თემა იყო, შესაძლოა გახდეს ინგლისის დედოფალი".

პატარა პრინცესა მონათლულ იქნა, როგორც ელისაბედ (დედამისის სახელი) ალექსანდრა (დიდი ბებიის სახელი, დედოფალი ალექსანდრა, მეფე ედუარდ VII-ის მეუღლე) მერი (ბებიას სახელი, დედოფალი მერი, მეფე ჯორჯ V მეუღლე) 1926 წლის 29 მაისს ბაქინჰემის სასახლის ეკლესიაში იორქის არქიეპისკოპოსის ქოსმო გორდონ ლენგის მიერ მდინარე იორდანის წყლით, რომელიც სპეციალურად ჩამოიტანეს პალესტინიდან, ქრისტიანობის სამშობლოდან. ნათლობის დღეს პატარას ტანთ ემოსა თეთრი სატინის სპეციალური სამეფო მანტია, რომელიც შეკერილი იყო 1840 წელს დედოფალ ვიქთორიას უფროსი ქალიშვილის ვიქთორიასთვის და რომელიც შემდგომ გახდა გერმანიის იმპერატორის დედა. მისი ნათლიები იყვნენ ბებიები და ბაბუები (ორივე მხრიდან), მამიდა, პრინცესა მერი, დეიდა, ლედი მერი ბოუს ლაიონი (დედო-

1.

3.

4.

5.

6.

7.

8.

9.

10.

11.

12.

13.

14.

15.

16.

17.

18.

19.

20.

21.

23.

24.

25

26.

27.

28.

29.

30.

31.

32.



33.

34.

35.

36.

37.

38.

39.

40.

ფალ ელისაბედის და) და ქონოთის ჰერცოგი, პრინცი ართური (დედოფალ ვიქთორიას მესამე ვაჟი და ერთადერთი ცოცხალი შვილი იმჟამად), რომელიც ამ დროს 70 წლის იყო. იგი შემობრუნდა ახალშობილის მშობლებისაკენ და მიმართა მათ: „თქვენ ნახავთ მას გაზრდილს, მე კი — უკვე ვერაო". პატარა პრინცესასთვის დაერქმიათ ელისაბედი, უდიდესი სურვილი იყო მამამისისა. მას სურდა, რომ მის ქალიშვილს ეტარებინა დედის სახელი. სახელის არჩევა არაფრით ყოფილა დაკავშირებული ელისაბედ I მეფობის მემკვიდრეობასთან, თუმცა პირველად იყო ცდა მისთვის ვიქთორიას სახელის ბოძებისა.

მეფე ჯორჯ V და დედოფალი მერი პრინცესას დაბადების დღეს უინძორის ციხე-სინაგრეში იყვნენ, სადაც ტელეფონით გაიგეს ეს სასიხარულო ამბავი. აღსანიშნავია, რომ როცა მეფემ და დედოფალმა ეს სიახლე შეიტყვეს, მათთან სტუმრად იმყოფებოდნენ პრინცესა ელისაბედის მომავალი მეუღლის, პრინც ფილიპეს დედა და ბებია.

1927 წლის 6 იანვარს იორქის ჰერცოგი და ჰერცოგინია, მეფის დავალებით, ექვსთვიან კრუიზში მიემგზავრებიან შორეულ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. პატარა ლილიბეთი, როგორც მას ახლობლები ეძახდნენ, დარჩა ბებიასთან და ბაბუასთან ერთად ბრიტანეთში. ფართო საზოგადოების წინაშე პრინცესა პირველად გამოდის მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მშობლები ბრუნდებიან წარმატებული ვიზიტიდან 1927 წლის 27 ივნისს. იმ წვიმიან დღეს პატარა პრინცესა ქოლგის ქვეშ ხელში ეკავა ბებიამისს, დედოფალ მერის ბაქინჰემის სასახლის აივანზე.

იორქის ჰერცოგინიამ თავისი ქალიშვილის ძიძობა სთხოვა თავისივე გამზრდელს ქლარა ნაითს, ჰერეფორდშირის ფერმერის ქალიშვილს, რომელიც ცნობილი იყო, როგორც „ალაპ". მას მომავალი დედოფლის აღზრდაში ეხმარებოდა ასევე მარგარეთ მაქდონალდი, მეტსახელად „ბობო"; პატარა პრინცესა განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით იყო გამსჭვალული „ბობოსადმი". პრინცესას თერთმეტ წლამდე მასთან ეძინა ერთ ოთახში. ისინი ერთად უყურებდნენ ბაქინჰემის სასახლის ფანჯრებიდან მეფე ჯორჯ V მეფედკურთხევის დღეს ათასობით ადამიანს, თავშეყრილთ სასახლისწინა მოედანზე. „ბობო" ელისაბედის გვერდით იყო და ანუგეშებდა მას კენიაში, როდესაც პრინცესამ მამამისის სიკვდილის ცნობა მიიღო ლონდონიდან.

ელისაბედმა განათლება სასახლის კარზე მიიღო. როდესაც მას შვიდი წელი შეუსრულდა, სასახლეში სერიოზულად დაიწყეს ფიქრი პრინცესას მომავალი განათლების შესახებ. მშობლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ პატარა სკოლაში გაეგზავნათ, მაგრამ ბაბუამისის, ჯორჯ V, კატეგორიული მოთხოვნით, მან განათლება

სასახლეში მიიღო. პიქადილის 145-ში საკლასო ოთახი მდებარეობდა ჰერცოგინიას მისაღებ ოთახთან ახლოს. ოთახში იდგა მერხი და დაფა. კედელზე ეკიდა რუკა. გაკვეთილები 9 საათსა და 15 წუთზე იწყებოდა. 11 საათზე კი ნახევარსაათიანი დასვენება იყო. 1 საათსა და 15 წუთზე სწავლა მთავრდებოდა და პრინცესა ლანჩს მიირთმევდა თავის მშობლებთან ერთად. მეფეს უდიდესი სიყვარული ჰქონდა პატარა პრინცესასადმი, სწორედ მან შეარქვა მომავალ დედოფალს სახელი ლილიბეთი. სასახლის ეთიკეტს პატარა ძირითადად დედამისისაგან, იორქის ჰერცოგინიაგანა სწავლობდა. უპირველესად მას ასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა მისალმებოდა უფროსებს — დედა შემოდიოდა ოთახში და მიმართავდა: „მე ქენთერბერის არქიეპისკოპოსი ვარ. როგორ უნდა მომესალმო?". შემდეგ იგი კვლავ აღებდა ოთახის კარს და კვლავ მიმართავდა პატარას: „მე შენი ბებია ვარ", შემდეგ „მე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ვარ". წერა-კითხვა პატარა ლილიბეთმა მშობლებისაგან ისწავლა. ელისაბედის განათლებას თავდაპირველად უძღვებოდა მერიონ ქრეუფორდი. მან სამეფო ოჯახთან სამსახური დაიწყო მაშინ, როდესაც ლილიბეთი მხოლოდ 6 წლის იყო. მისი ურთიერთობა სამეფო ოჯახთან გაგრძელდა პრინცესას გათხოვებამდე. მოგვიანებით ქრეუფორდმა გამოაქვეყნა წიგნი და სტატიები, რითაც უდიდესი გულისწყრომა გამოიწვია მისი უდიდებულესობის ახლობლებს შორის.

ორი წლის იყო პატარა პრინცესა, როცა იგი შოტლანდიის მეფეების რეზიდენციაში პირველად ინახულა უინსთონ ჩერჩილმა. მან თავის მეუღლეს მიმართა: „გოგონა თავისებური ხასიათისაა. თავი მას ჭკვიანურად და ღირსეულად უჭირავს, თუმცა ჯერ სულ პატარაა". პრინცესა ელისაბედი ოთხი წლის იყო, როცა 1930 წლის აგვისტოში მის მშობლებს შოტლანდიაში, სთრეთმორების რეზიდენციაში, გლამზის ციხე-სიმაგრეში შეეძინათ პრინცესა მარგარითა. ამ დღიდან მოყოლებული პრინცესები განსაკუთრებული მზრუნველობით იზრდებოდნენ ერთად.

პრინცესები საზოგადოების თვალსანიერში იშვიათად ხვდებოდნენ. მათ სურათებს უღებდნენ მშობლებთან ერთად, როდესაც პატარები თან ახლდნენ იორქის ჰერცოგს და ჰერცოგინიას სანდრინჰემში, ნორფოლქის მამულში ანდა ჰაილენდში, შოტლანდიაში, ბოლმოროლის მამულში. პრინცესა ელისაბედის ფოტოსურათი ამერიკულ ჟურნალ „თაიმსში" პირველად გამოქვეყნდა 1929 წლის აპრილში, პატარა ლილიბეთის დაბადების სამი წლის თავზე. 1934 წელს პრინცესა ელისაბედი ბიძამისის, ჯორჯის, ქენთის ჰერცოგისა და პრინცესა მარინას მეჯვარეა. ერთი წლის შემდეგ იგი მისი მეორე ბიძის, ამჯერად ჰენრის, გლოსთერის ჰერცოგის და ლედი ალისა მონთეგიუ-დუგლას სქოთის მეჯვარეც ხდება.

1935 წელს პატარა პრინცესები, მშობლებთან ერთად, მონანილეობენ ნმინდა პაულეს ტაძარში გამართულ მეფე ჯორჯ V გამეფების ვერცხლის იუბილისადმი მიძღვნილ ცერემონიალში.

ბავშვობის ნლები პატარა პრინცესებმა გაატარეს პიქადილის 145-ში, ასევე „უაით ლოჯში", რიჩმონდის დიდ პარკში. ლილიბეთი იყო მხოლოდ 6 ნლის, როცა მას უელსის მოსახლეობისაგან საჩუქრად გადაეცა „პატარა კოტეჯი", რომელიც დაიდგა უინძორში.

მალე სიტუაცია სამეფო ოჯახში შეიცვალა. 1936 ნლის 20 იანვარს, ღამის 11 საათსა და 55 ნუთზე სანდრინჰემის სასახლეში გარდაიცვალა ბრიტანეთის მეფე, მისი უდიდებულესობა ჯორჯ V. სამეფო ტახტზე ავიდა უელსის პრინცი დეივიდი, მეფე ედუარდ VIII სახელით. პრინცესა ელისაბედმა კი მემკვიდრეობის ხაზით მეორე ადგილზე გადაინაცვლა. გამეფების პერიოდში ბიძამისი უცოლშვილო იყო. სამწუხაროდ, ედუარდ VIII მეფობა ხანგრძლივი არ აღმოჩნდა, მან მხოლოდ 325 დღე გასტანა. ორჯერ გათხოვილ უოლის სამპსონთან სასიყვარულო რომანის გამო მეფემ ტახტი დატოვა. ეს მოხდა 1936 ნლის 10 დეკემბერს. ამ დროისათვის პრინცესა ელისაბედი მხოლოდ 10 ნლის იყო. მოგვიანებით პრინცესა ელისაბედმა თავის დას გააგებინა, რომ მათი ბიძა დეივიდი გადადგა ტახტიდან და მამა გამეფდა. ექვსი ნლის მარგარეთმა ელისაბედს ჰკითხა: „ეს ნიშნავს, რომ შენ მომავალი დედოფალი ხარ?". „დიახ", უპასუხა ლილიბეთმა. „ო, შე საცოდაო", მიუგო უმცროსმა დამ მომავალ დედოფალს. სასახლის კარზე მომხდარმა ასეთმა ცვლილებებმა ძირფესვიანად შეცვალა ელისაბედის მომავალი. იგი ტახტის მემკვიდრე აღმოჩნდა და უკვე 1937 ნლის 12 მაისს პატარა პრინცესები ბებიამისის, დედოფალ მერის თანხლებით მიაბიჯებდნენ ისტორიულ უესთმინსტერის საბათოში მამამისის, მეფე ჯორჯ VI მეფედკურთხევის ცერემონიალზე.

პრინცესა ელისაბედი გახდა ცამეტისა, ხოლო მისი და მარგარეთი ათი ნლისა, როდესაც დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ამ დროს პატარები შოტლანდიაში, ბოლმოროლში იმყოფებოდნენ. მალე ისინი სამხრეთში, უინძორის ციხე-სიმაგრეში დააბრუნეს. მიუხედავად არაერთგზის რჩევისა, მეფე და დედოფალი კატეგორიულად ენინააღმდეგებოდნენ მათი ქალიშვილების თავდაცვის მიზნით კანადაში გაგზავნას. დედოფალმა ელისაბედმა განაცხადა: „ბავშვებს არ სურთ ჩემს გარეშე ნასვლა, მე არ მსურს მეფის დატოვება, ხოლო მეფე არასოდეს დატოვებს ქვეყანას". როდესაც ფაშისტები ლონდონს ბომბავდნენ, რამდენიმე ბომბი მოხვდა ბაქინჰემის სასახლეს. დედა დედოფალმა, იმჟამად დედოფალმა ელისაბედმა, აღნიშნა: „მოხარული ვარ, რომ ჩვენც დავიბომბებით. მე კმაყოფილი ვარ, ახლა შემიძლია, ვუყურო ისტ ენდს სახეში". პრინცესა ელისაბედი ხშირად თან ახლავს მშობლებს, როცა ისინი ქვეყნის

დანგრეულ რაიონებს ათვალიერებენ. ომის წლებს პრინცესა ელისაბედი, ძირითადად, უინძორში ატარებს, სადაც აგრძელებს სწავლას, ამჯერად სახელგანთქმული ითონის ვიცე-რექტორის სერ ჰენრი მერთენის უშუალო ხელმძღვანელობით. მან შეისწავლა სამართალი, ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა. როგორც ინგლისელი მკვლევარი დ. ლივეისიჯი აღნიშნავს: „არასოდეს ბრიტანეთის მონარქიის ისტორიაში ტახტის მემკვიდრე ასე ღრმა ინტერესს არ იჩენდა მეცნიერებისადმი, როგორც პრინცესა ელისაბედი". იგი განსაკუთრებით ინტერესდებოდა ფრანგული ენით. დიდი იყო პრინცესას სიყვარული სპორტისადმი, განსაკუთრებით ცხენოსნობისა და ცურვისადმი. ლილიბეთი მხოლოდ სამი წლის იყო, როცა მას პირველი გაკვეთილები ჩაუტარდა ცხენოსნობაში. მისი პირველი ცხენი იყო შოტლანდიური პონი, რომელიც აჩუქეს 1929 წლის შობა დღეს. 13 წლის ასაკში პრინცესა სპეციალურ საბავშვო პრიზსაც კი იღებს ლონდონის საცურაო კლუბში ცურვაში მიღწეული წარმატებებისათვის. განსაკუთრებით იტაცებს მას თეატრის სცენა, სადაც თავის პატარა დასთან ერთად არაერთი როლი შეასრულა. ცხენებისადმი განსაკუთრებული ყურადღება და სიყვარული სწორედ ბავშვობის ასაკიდან მოდის. უდაოდ დიდია აქ მშობლების როლი. ცხენოსნობა ხომ სამეფო ოჯახის ერთ-ერთი უმთავრესი საქმიანობაა. დღეს მისი უდიდებულესობის მთავარი საჯინიბოებია სანდრინჰემსა და ვოლფერთონში (ნორფოლკი), ასევე პოლჰამპთონში (ჰემპშირი). საჯინიბოებში წარმოდგენილი ცხენები და კვიცები საკმაოდ ძვირადღირებულნი არიან. დედოფლის ცხენი „ჰაით ოვ ფეშნ", მაგ., 1982 წელს გაიყიდა 1,2 მლნ ფუნტად. ცხენები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში, როგორც გაერთიანებულ სამეფოში, ასევე აშშ-ში, საფრანგეთში და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევენ. აღსანიშნავია, რომ დედოფლის ცხენებს გამარჯვება აქვთ მოპოვებული ყველა სახის შეჯიბრებებში, გარდა დერბისა. მისი უდიდებულესობა ცხენოსნობის არა მარტო მოყვარული, არამედ ამ საქმიანობის აღიარებული ექსპერტიცაა. პატარაობიდანვე იქცევენ ლილიბეთის ყურადღებას ძაღლებიც. განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის ლაბრადორის და ქორგის (Corgi) ჯიშის ძაღლებს. დღევანდელი ქორგების წინაპრები სამეფო ოჯახში გამოჩნდნენ 1933 წელს, როდესაც პირველი ძაღლი 1933 წელს იყიდა იოქრის ჰერცოგმა. მისი სახელი იყო დუქი. პრინცესა ელისაბედს პირველი ქორგის ჯიშის ძაღლი აჩუქეს დაბადების 18 წელს, 1944 წელს — სუზანა (1944-1959 წწ.).

40-იანი წლების დასაწყისიდანვე პრინცესა ელისაბედი მონაწილეობს მთელ რიგ სახელმწიფო ცერემონიალებში. 1940 წლის 13 ოქტომბერს ელისაბედი პირველად გამოდის რადიოთი ბი-

ბი-სის გადაცემაში „საბავშვო საათი“, როდესაც მან მიმართა თანაგობრობას: „ჩვენ, ყოველმა ჩვენგანმა იცის, რომ ბოლოს ყველაფერი კარგად იქნება“. 1942 წლის დასაწყისში მას მიენიჭა გრენადირთა გვარდიის პოლკოვნიკის წოდება. 16 წლის ასაკიდან კი მან დაიწყო მთელი რიგი საზოგადოებრივი დავალებების შესრულება, მ.შ. პოლკის ინსპექტირება. მოგვიანებით მისი საზოგადოებრივი ფუნქციები იზრდება. განსაკუთრებით ეს ეხება ბავშვებზე ზრუნვის საკითხებს. იგი გახდა ჰოკინში დედოფალ ელისაბედის ბავშვთა საავადმყოფოს და ბავშვთა წინააღმდეგ ძალადობის თავიდან აცილების ეროვნული საზოგადოების პრეზიდენტი. როდესაც პრინცესასა შეუსრულდა 18 წელი, იგი დაინიშნა სახელმწიფოს მრჩევლის თანამდებობაზე (იმ დროს, როცა მამამისი, მეფე ჯორჯ VI იმყოფებოდა იტალიაში ბრძოლის ველზე). პრინცესას პირველი სოლო ოფიციალური ცერემონიალი შედგა 1944 წლის აგვისტოში, როცა იგი დაესწრო ლანჩს გრინოქში, გემ „ვენგადზე“. პირველად კი პრინცესა ელისაბედი საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდა 1944 წლის 23 მაისს დედოფალ ელისაბედის საბავშვო საავადმყოფოში. აღნიშნულ პერიოდში პრინცესა თანამშრომლობს დამხმარე ტერიტორიულ სამსახურთან, სადაც ეუფლება მძღოლ-მემანქანის სპეციალობას, შემორჩენილია კიდეც სურათი, როდესაც პრინცესა საბურავს უცვლის სატვირთო ავტომობილს ინსტრუქტორის მეთვალყურეობით.

გამარჯვების დღეს, 8 მაისს, როცა საერთო სახალხო ზეიმის ცენტრი ბაქინჰემის სასახლე და მის წინ მდებარე მოედანი გახდა, პრინცესა ელისაბედი მშობლებთან, თავის დასთან და ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან, უინსთონ ჩერჩილთან ერთად სასახლის აივნიდან ათასობით თავშეყრილ ადამიანს ფაშიზმზე გამარჯვებას ულოცავდა. ამ დროს პრინცესა ელისაბედი იყო 19 წლის.

ომის დამთავრების შემდეგ მომავალი მონარქის საზოგადოებრივი ვალდებულებანი სულ უფრო იზრდებოდა.იგი ხშირად მოგზაურობდა სამეფოს სხვადასხვა რაიონში. პრინცესას პირველი ოფიციალური ვიზიტი საზღვარგარეთ შედგა 1947 წლის თებერვალში, როცა თავის მშობლებს ახლდა ოთხთვიანი ვიზიტით სამხრეთ აფრიკაში. ვიზიტის დროს მას შეუსრულდა 21 წელი და ქვეყნის ისტორიაში გახდა პირველი ტახტის მემკვიდრე, რომელმაც დაბადების დღე აღნიშნა თანამეგობრობის ქვეყანაში. ამ დღეს ქეიფთაუნში სამხრეთ აფრიკის პრემიერ-მინისტრმა ჯენ სმუთსმა შეკრიბა მთელი კაბინეტი სპეციალური მიღებისათვის. პრინცესამ ინსპექტირება ჩაატარა სამხრეთ აფრიკის ჯარებისა, რომლებმაც მონანილეობა მიიღო მისი დაბადების დღის აღსანიშნავ პარადში, საღამოს კი მოეწყო ორი დიდი წვეულება. 21 აპრილს პრინცესამ

ქეიფთაუნის რადიოს საშუალებით მიმართა თანამეგობრობის მოსახლეობას. სულ მალე სამხრეთ აფრიკის ტურნეს დამთავრების შემდეგ მსოფლიოს ემცნო პრინცესა ელისაბედის ნიშნობის თაობაზე. მომავალი მეუღლეების — პრინცი ფილიპეს და პრინცესა ელისაბედის პირველი შეგნებული შეხვედრა მოენყო 1939 წლის 22 ივლისს (თუმცა ისინი ბავშვობაშიც ხვდებოდნენ ერთმანეთს. კერძოდ, 1934 წელს სასახლეში ბავშვებისათვის მოწყობილ სპეციალურ შეხვედრაზე, შემდგომ მათ ისაუბრეს მეფე ჯორჯ VI მეფედკურთხევის ცერემონიალზე), როცა მომავალი დედოფალი მამამისს ახლდა დართმოთში, სამხრეთ ინგლისში. ფილიპე მაუნთბეთენი და ელისაბედ უინძორი სისხლით ნათესავები არიან, ორივე მისი უდიდებულესობა დედოფალ ვიქთორიას შთამომავალია. პრინცი ფილიპე დედის მხრივ დედოფალ ვიქთორიას მეორე ქალიშვილის, პრინცესა ალისას შვილიშვილის შვილია, პრინცესა ალისასა და საბერძნეთის პრინც ენდრიუს ვაჟი. თავად პრინცესა ალისა, პრინც ფილიპეს დედა, დედოფალ ვიქთორიას შვილის, პრინცესა ალისას ქალიშვილის, ვიქთორიას და ლუის ბათენბერგის, მილფორდ ჰეივენის პირველი მარქიზის ქალიშვილია. პრინცი მამის მხვივ დაკავშირებულია დანიისა და საბერძნეთის სამეფო ოჯახებთან. მამაისი, პრინცი ენდრიუ, იყო საბერძნეთის მეფის გიორგი I-ის უმცროსი ვაჟი, თავის მხრივ საბერძნეთის მონარქი, გიორგი I დანიის მეფის ქრისთიან IX-ის ვაჟი და ბრიტანეთის მეფის ედუარდ VII-ის (1901-1910 წწ.) მეუღლის, დედოფალ ალექსანდრას ძმა იყო. პრინცი ფილიპე ატარებს დედამისის, პრინცესა ალისა ბათენბერგის გვარს — მაუნთბეთენს. გვარი ბათენბერგი 1917 წელს პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს, ისე როგორც სხვა გერმანული გვარები და ტიტულები, პატრიოტული მოტივებით გადაიქცნენ ინგლისურ გვარებად. ბათენბერგები გახდნენ მაუნთბეთენები. პრინც ფილიპეს მშობლები— პრინცი ენდრიუ და პრინცესა ალისა — დაქორწინდნენ 1903 წლის 7 ოქტომბერს დარმსთედში. ქორწინების შემდეგ ისინი საცხოვრებლად დაბრუნდნენ საბერძნეთში. მათ შეეძინათ ხუთი შვილი, ოთხი ქალიშვილი და ერთი ვაჟი — პრინცი ფილიპე. პრინც ფილიპეს მამა გარდაიცვალა 1944 წელს მონტე-კარლოში, დაკრძალულია ათენში.

პრინცი ფილიპე დაიბადა 1921 წლის 10 ივნისს კუნძულ ქორფუზე, საბერძნეთში. იგი 1934 წელს გადის დიდ ბრიტანეთში სასწავლებლად. ჯერ კიდევ ბრიტანეთში ჩასვლამდე ფილიპე სწავლობდა გერმანიაში, ფაშისტური დიქტატურის პირობებში, თუმცა, როგორც უცხოელი, იგი განთავისუფლებული იყო ნაცისტურ ახალგაზრდულ ორგანიზაციებში მონაწილეობისაგან. მან თავისი თვალით ნახა ფაშისტური სახელმწიფო და შეძლებისდაგვარად

ენინააღმდეგებოდა მას. თავდაპირველად იგი სწავლას იწყებს ჩიმის სკოლაში, შემდეგ კი სწავლობს გორდონსტოუნსა[1] და დარტმოთში. მსახურობს ფლოტში. პრინცი იბრძვის მეორე მსოფლიო ომის ფრონტზე.

პრინცესა ელისაბედის და პრინც ფილიპის რომანს თავიდან არც მეფე და არც დედოფალი დიდი სიხარულით არ შეხვდნენ. 1944 წლის მარტში მეფე ჯორჯ VI აღნიშნავდა: „ჩვენ (მეფე და დედოფალი), ორივე ვფიქრობთ, რომ ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, რომ იგი არასოდეს შეხვედრია ახალგაზრდა კაცს. ფილიპე მე მომწონს, ის ჭკვიანი და გონებამახვილია, ყოველთვის რეალურად აფასებს თავის თავს“. საზოგადოების მაღალი ფენები ქვეყანაში არ ემხრობოდნენ პრინცესას ქორწინებას. ბევრს მოტივად მოჰყავდა პრინცის გერმანული წარმომაელობა, რაც ჩრდილში დააყენებდა არა მარტო პრინცს, არამედ ბრიტანეთის მონარქიას. მართალია, წარსულში დედოფალი ვიქთორია თავად გაჰყვა გერმანელ პრინცს და თავისი ექვსი ქალიშვილი მიათხოვა გერმანელებს, მაგრამ ამჟამად სიტუაცია შეიცვალა. ჯერ კიდევ პრინცის ფლოტში სამსახურისას, დაგეგმილი იყო მისი ვიზიტი გერმანიაში, ნათესავების მონახულების მიზნით, მაგრამ ეს შეხვედრა არ შედგა ბრიტანეთში საზოგადოებრივი აზრის უკმაყოფილების ზრდასთან დაკავშირებით. საერთოდ, საზოგადოების უდიდესი ნაწილი მიესალმა ახალგაზრდა წყვილის ქორწინებას, რომელიც პირველი საერთო ეროვნული ზეიმი იყო ქვეყნისა, რომელიც ექვსწლიანი ომის ჭრილობებს იშუშებდა.

პრინცესა ელისაბედის ნიშნობა ლეიტენანტ ფილიპე მაუნთბეთენზე ოფიციალურად გამოცხადდა 1947 წლის 10 ივლისს (ფილიპემ მეფეს ქალიშვილის ხელი ოფიციალურად სთხოვა 7 ივლისს), ქორწინება კი შედგა ამავე წლის 20 ნოემბერს სახელგანთქმულ უესთმინსთერის სააბათოში. აღსანიშნავია, რომ ქორწინება კინაღამ გადაიდო, პრინცი ავარიაში მოყვა, მისი მანქანა ხესა დეჯახა, მაგრამ ფილიპე არ დაშავებულა, მან უმალ დაურეკა პრინცესას, ამცნო შემთხვევა და განუცხადა, რომ არ დაშავებულა. ქორწინებისას ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე იყო 21 წლის, ხოლო მისი მეუღლე 26-ის. ქორწინების დღეს მეფე ჯორჯ VI თავის სიძეს უბოძა გრენიჯის ბარონის, მერიონეთის გრაფის და ედინბურგის ჰერცოგის ტიტულები. პრინცი გახადა ასევე ნვივსახვევი ორდენის კავალერი.

ზუსტად 11 საათსა და 15 წუთზე პრინცესამ, რომელსაც გვერდით ეჯდა მამა, ირლანდიური სახელმწიფო ეტლით დატოვა ბაქინჰემის სასახლე და სამეფო ამალის თანხლებით გაემართა

---

[1] *დაარსდა 1934 წ.*

უესთმინსთერის საბაბათოსაკენ. ჯვრისწერის ცერემონიალს, რომელსაც 2500 კაცი ესწრებოდა (სტუმრებს შორის იყო 5 მეფე და 6 დედოფალი, 24 პრინცი და პრინცესა და ასევე მრავალი ქვეყნის მთავრობისა და სახელმწიფოს მეთაური, წარმომადგენლები თანამეგობრობის ქვეყნებიდან და ა.შ.) უძღვებოდა ქენთერბერის არქიეპისკოპოსი ჯეფრი ფიშერი. ცერემონიალზე პრინცესას ტანთ ემოსა ნორმან ჰართნერის მიერ შეკერილი თეთრი კაბა, რომელიც მორთული იყო მარგალიტებით და ბროლის ქვებით. საქორწინო შლეიფის სიგრძე 5 მეტრს უტოლდებოდა. პრინცესას თავზე ეკეთა მეფე ჯორჯ III ბრილიანტებიანი თეარა, რომელიც 1830 წელს გაკეთდა. ხელში ეჭირა თეთრი ორქიდეების დიდი თაიგული. უხვად იყო საჩუქრებიც (საჩუქრები შეფასდა 500000 ფუნთად) მთელი მსოფლიოდან. ნაულის ბენვის გრძელი პალტო კანადიდან, ბრილიანტის საათი შვეიცარიის მთავრობისაგან, რომელიც დამზადდა ჟენევაში საათების უძველეს ქარხანაში, ყავის ოქროს ჭურჭელი ტრანსიორდანიის ემირისაგან; შაჰმა პრინცესას აჩუქა საუკეთესო ხალიჩა, ხოლო მეფე ფარუკმა ძველი ეგვიპტური ყელსაბამი, ბირმელი ხალხის სახელით პრინცესას გადაეცა 96 ლალის თვალი, ჰაიდარაბადის ნაზიმმა პრინცესას აჩუქა ბრილიანტის თეარა და ყელსაბამი, ლონდონში აკრედიტებულმა დიპლომატიურმა კორპუსმა მის უმაღლესობას გადასცა ვერცხლის ჭურჭელი, რომელიც 30 ნაწილისაგან შედგებოდა. მშობლებმა თავიანთ ქალიშვილს საჩუქრად გადასცეს მარგალიტის, ლალისა და ბრილიანტებიანი თეარა, სამაჯური და გულსაბნევი. დედამთილმა თავის რძალს აჩუქა ბრილიანტების ბერძნული თეარა. პრინც ფილიპის ნიშნობის ბეჭედი პლატინაში ჩასმული ბრილიანტის თერთმეთვლიანი ბეჭედია. ქორწინებაზე კი პრინცმა თავის მეუღლეს უსახსოვრა განიერი ბრილიანტებიანი პლატინის სამაჯური. საქორწინო სუფრა გაიშალა ბაქინჰემის სასახლეში 150 კაცზე. ამ დღისადმი მიძღვნილი ტორტი იწონიდა 227 კგ. თაფლობის თვე ახლადდაქორწინებულებმა ჯერ ბროუდლენდში, ჰემპშირში, ლორდ მაუნთბეთენის სახლში, ხოლო შემდეგ ბირქჰოლში, ბოლმოროლში გაატარეს. ლონდონში დაბრუნების შემდეგ სამეფო წყვილი ჯერ ცხოვრობდა ბაქინჰემის სასახლეში, შემდეგ კი ქლერენსის სასახლეში, სადაც ისინი გამეფებამდე დარჩნენ საცხოვრებლად.

ქორწინების შემდეგ პრინცი ფილიპე აგრძელებს სამსახურს საზღვაო ფლოტში, რის გამოც ახალგაზრდა წყვილს ცხოვრება უხდება როგორც ბრიტანეთში, ასევე მალტაზე. ახლადდაქორწინებულები სახელმწიფო ხაზინიდან იღებდნენ დაახლოებით 50 ათას ფუნთ სთერლინგს (პრინცესა ელისაბედი გათხოვებიდან გამეფებამდე სახელმწიფო ხაზინიდან იღებდა 40 ათას ფუნთს).

1948 წლის 26 აპრილს ქვეყანამ ზეიმით აღნიშნა მეფის და დედოფლის ქორწინების „ვერცხლის იუბილე". გავიდა 25 წელი მას შემდეგ, რაც იორქის ჰერცოგი (შემდგომ მეფე ჯორჯ VI) დაქორწინდა ლედი ელისაბედ ბოუს ლაიონზე. ეს იყო 1923 წლის 26 აპრილს. ამ თარიღის აღსანიშნავი ცერემონიალი მიმდინარეობდა წმინდა პავლეს ტაძარში. დედოფალი ელისაბედი, დედა დედოფალი, დაიბადა 1900 წლის 4 აგვისტოს, ლონდონში. იგი გახლდათ სთრეთმორების გრაფის მეცხრე შვილი (მეოთხე ქალიშვილი). მისი გვარი ბოუს ლაიონი ერთ-ერთი უძველესი გვარია ქვეყანაში, რომელსაც ნათესაური კავშირები ჰქონდა შოტლანდიის სამეფო ოჯახთან. მათ საგვარეულო რეზიდენციას წარმოადგენს შოტლანდიაში გლამზის ციხე-სიმაგრე. განათლება პატარა ელისაბედმა სახლში მიიღო, წერა-კითხვას მას დედა ასწავლიდა. 12 წლიდან იგი სწავლობდა ჩელსის ერთ-ერთ სკოლაში, ეუფლებოდა ფრანგულს. პირველი მსოფლიო ომის წლები მან შოტლანდიაში გაატარა, მამისეულ მამულში, რომელიც ამ პერიოდში ჰოსპიტლად გადაიქცა. იგი აქ უდიდეს დახმარებას უწევს ომში დაჭრილებს. ომის შემდგომ წლებს ელისაბედი ატარებს ლონდონში, სადაც 1920 წლის მაისში ერთ-ერთ წვეულებაზე შეხვდა თავის მომავალ მეუღლეს, მეფე ჯორჯ V მეორე ვაჟს (ეს იყო მათი მეორე შეხვედრა. პირველი შეხვედრა შედგა ბავშვობისას, 1905 წელს). მათი ნიშნობა მსოფლიოს ემცნო 1923 წლის 15 იანვარს. ამ დროიდან მოყოლებული ლედი ელისაბედი, შემდგომ დედოფალი ელისაბედი, მეფის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მას გვერდით ედგა და მასთან ერთად იყოფდა ოჯახისა და ქვეყნის ჭირ-ვარამს.

„ედინბურგელებს" (ედინბურგის ჰერცოგს და პრინცესა ელისაბედს) შეეძინათ ოთხი შვილი — სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. 1948 წლის მაისში „ედინბურგელებმა" მოანყვეს პირველი ერთობლივი ოფიციალური ვიზიტი საზღვარგარეთ. მათ მასპინძლობდა საფრანგეთი. პრინცესამ პარიზში გახსნა ბრიტანეთის ცხოვრების ამსახველი გამოფენა. ვერსალში, დიდი ტრიანონის სასახლეში, მათ პატივსაცემად მოეწყო ბანკეტი. გრანდიოზული მიღება მოაწყო ბრიტანეთის საელჩომ პარიზში. ისინი ეწვივნენ ფონტენბლოოს, ხოლო საღამო კი გაატარეს პარიზის სახელგანთქმულ ოპერაში. ფრანგები მოხიბლულნი დარჩნენ პრინცესას ფრანგულით. ვიზიტმა ტრიუმფალურად ჩაიარა.

1951 წლის მაისში მისმა უდიდებულესობამ მეფე ჯორჯ VI საზეიმო ვითარებაში გახსნა „ბრიტანეთის ფესტივალი" ლონდონის საუთბენქის რაიონში. მეფე უკვე სუსტად და ავადმყოფურად გამოიყურებოდა. მას აწუხებდა ფილტვების კიბო, რაც მისთვის არასოდეს უთქვამთ, თუმცა მისი ოჯახისათვის ყოველივე კარგად იყო ცნობილი.

1951 წლის შემოდგომაზე პრინცესა ელისაბედი მეუღლითურთ ტურნეს ანყობს ჩრდილოეთ ამერიკაში, რომლის დროსაც ისინი ეწვივნენ კანადის ყველა პროვინციას და აშშ-ის პრეზიდენტის თრუმენის მიწვევით იმყოფებოდნენ ვოშინგთონში. ვიზიტს აშუქებდა 2000 ჟურნალისტი და ფოტოკორესპონდენტი. თრუმენმა პრინცესა და მისი მეუღლე უდიდესი პატივითა და სიყვარულით მიიღო. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ელისაბედი მისი საბავშვო წიგნებიდან გაცოცხლებული ზღაპრული ფერია იყო. პრინცესამ პრეზიდენტს მეფე ჯორჯ VI საჩუქარი — ანტიკვარული შანდლები და მოოქროვილი სარკე გადასცა თეთრი სახლისათვის. ჯორჯ VI-სთვის გაგზავნილ წერილში აშშ-ის პრეზიდენტი აღნიშნავდა: „ჩვენთან სტუმრობდნენ მომხიბვლელი ახალგაზრდა ლედი და მისი სიმპატიური მეუღლე. აშშ-ის მოქალაქეებმა ისინი თბილად მიიღეს, როგორც მამა მამას გწერთ, რომ ჩვენ ორივეს გაგვიმართლა, რომ კარგი ქალიშვილები გვყავს, თქვენ უფრო, ვიდრე მე, რადგან თქვენ ორი ქალიშვილი გყავთ".

კანადასა და აშშ-ში ვიზიტის ბრწყინვალედ დაგვირგვინების შემდეგ, მისი უდიდებულესობა მეფე ჯორჯ VI თავის ქალიშვილს და სიძეს სთხოვს მოგზაურობას ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში.

1952 წლის 30 იანვარს მეფემ და დედოფალმა ჰითროუს აეროპორტში გააცილეს პრინცესა ელისაბედი და ედინბურგის ჰერცოგი თანამეგობრობის ტურნეში — ჯერ აღმოსავლეთ აფრიკაში, ხოლო შემდეგ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. 5 თებერვალს საღამოთი ჯორჯ VI ოჯახურ წრეში კითხულობდა გაზეთებს და მიირთმევდა ჭიქა ყავას. იგი თერთმეტის ნახევარზე დასაძინებლად შევიდა თავის სანოლ ოთახში. მეორე დღეს დილით, როცა მისი მოახლე შევიდა რვის ნახევარზე მეფის ოთახში, მან შენიშნა, რომ მისი უდიდებულესობა გარდაცვლილია. ამ დროს ჯორჯ VI გახლდათ მხოლოდ 56 წლის.

მეფის გარდაცვალებისას პრინცესა ელისაბედი და მისი მეუღლე იმყოფებოდნენ სამშობლოდან 3000 მილის მოშორებით კენიაში, ებერდერის ტყეში, მდინარე საგანას ნაპირებზე, ლეღვის ხეზე მათთვის სპეციალურად მოწყობილ აივანზე, საიდანაც ისინი აკვირდებოდნენ გარეულ ცხოველებს. ამ მომენტთან დაკავშირებით აღნიშნა: „მსოფლიოს ისტორიაში პირველად ერთ დღეს ახალგაზრდა ქალი ავიდა ხეზე როგორც პრინცესა და ხიდან ჩამოვიდა შემდეგ დღეს როგორც დედოფალი — ღმერთმა დალოცოს იგი". ბრიტანეთის დროით 11 საათსა და 45 წუთზე პრინცმა ფილიპემ თავის მეუღლეს განუცხადა, რომ იგი დედოფალი გახდა. როდესაც მისმა პირადმა მდივანმა სერ მართინ ჩერთერმა ჰკითხა მას, თუ რომელ სახელს აირჩევდა იგი სამომავ-

ლოდ, დედოფალმა უპასუხა: „ოჰ, რა თქმა უნდა, ჩემ საკუთარ სახელს, სხვას რას — ელისაბედს". 7 თებერვალს ლონდონში დაბრუნდა უკვე ელისაბედ II. ტრადიციის თანახმად — „მეფე მკვდარია, გაუმარჯოს მეფეს!" — ბრიტანეთის ტახტი დაიკავა ჯორჯ VI უფროსმა ქალიშვილმა, დედოფალმა ელისაბედ უინძორმა. ჰოთროუს აეროპორტში 26 წლის პრინცესას დახვდნენ ქვეყნის პრემიერ მინისტრი და კონსერვატორული პარტიის ლიდერი უინსთონ ჩერჩილი, ოპოზიციის ლიდერი ქლემენთ ეთლი, ბრიტანეთის მთავრობის და სამეფო ოჯახის წევრები. ქლერენსის სასახლეში ერთ-ერთი, ვინც პირველი შეხვდა დედოფალს, იყო მისი ბებია, დედოფალი მერი, რომელმაც მის შვილიშვილს უთხრა: „შენი მოხუცი ბებია, შენი ქვეშევრდომი, უნდა იყოს პირველი, რომელიც აკოცებს შენს ხელს, ხელს დედოფლისას!. სნორედ დედოფალი მერი იყო ბრიტანეთის ისტორიაში ერთადერთი დედოფალი, რომელიც მოესწრო თავისი შვილიშვილის გამეფებას. აღსანიშნავია, რომ ამ დროს ქვეყანაში იყო სამი დედოფალი: დედოფალი მერი (მეფე ჯორჯ V მეუღლე), დედოფალი ელისაბედი (მეფე ჯორჯVI მეუღლე), დედოფალი ელისაბედ II და არცერთი მეფე. ასე დაინყო მეორე ელისაბედის ერა ქვეყნის ისტორიაში, დედოფალ ელისაბედ I მეფობის დასრულებიდან დაახლოებით 350 წლის შემდეგ. ბოლო ორი საუკუნის მანძილზე მხოლოდ დედოფალი ვიქტორია გახლდათ გამეფებისას ელისაბედ II უფრო ახალგაზრდა, 18 წლის, მაშინ როცა ჯორჯ IV გამეფებისას იყო 57 წლის, უილიამ IV — 65, ედუარს VII — 59, ჯორჯ V — 44, ედუარდ VIII და ჯორჯ VI — 41 წლის (თუმცა ედუარდ VIII არ გამეფებულა ცნობილი მოვლენების შედეგად). ელისაბედ II გახდა ქვეყნის ისტორიაში მეექვსე მონარქი ქალი — დედოაფლი, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო თავისი წინაპრებისაგან სამეფო გვირგვინი — მერი თიუდორის (ჰენრი VIII თიუდორის და ქათერინა არაგონელის ქალიშვილი), ელისაბედ I-ის (ჰენრი VIII და ანა ბოლეინის ქალიშვილი), მერი II-ის (ჯეიმს II და ანა ჰაიდის უფროსი ქალიშვილი), ანას (ჯეიმს II და ანა ჰაიდის მეორე ქალიშვილი) და ვიქტორიას (ედუარდის, ქენთის ჰერცოგის, მეფე ჯორჯ III შვილიშვილის და ვიქტორია საქს ქობურგ სოლფელდის ქალიშვილი) შემდეგ. 8 თებერვალს წმინდა ჯეიმსის სასახლეში ელისაბედ II ოფიციალურად გამოცხადდა მონარქად, რის შემდეგაც მან დადო ფიცი ერისა და ქვეყნის წინაშე.

1952 წლის 4 ნოემბერს დედოფალმა ელისაბედ II საზეიმო ვითარებაში პირველად გახსნა ბრიტანეთის პარლამენტის ახალი სესია.

1953 წლის 2 ივნისს ისტორიულ უესთმინსთერის სააბათოში შედგა მისი უდიდებულესობა ელისაბედ II მეფედკურთხევის

ცერემონიალი, რომელსაც უძღვებოდა ქენთერბერის არქიეპისკოპოსი ფიშერი, ხოლო მეფედკურთხევის კომიტეტს თავმჯდომარეობდა ედინბურგის ჰერცოგი. დისკუსიის საკითხად იქცა მეფედკურთხევის ცერემონიალის სატელევიზიო გადაცემა სააბათოდან. პრემიერი უინსთონ ჩერჩილი და ქვეყნის ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე წინააღმდეგი იყო ამ ისტორიული მომენტის ტელეჩვენებისა, მაგრამ დედოფლის პრინციპული მოთხოვნით 20 მილიონზე მეტ ბრიტანელს საშუალება მიეცა საკუთარი თვალით ეხილა ქვეყნის ისტორიის ეს დაუვიწყარი მომენტი. დედოფალმა განაცხადა: „არა, ხალხმა მე უნდა მნახოს, რომ ჩემი სნამდეთო". ლონდონი განსაკუთრებულად გამოიყურებოდა 2 ივნისს. დედაქალაქი 7000-ზე მეტ სტუმარს მასპინძლობდა მსოფლიოს მრავალი კუთხიდან. მრავალი ქვეყნის პრეზიდენტები, სამეფო ოჯახის მეთაურები, თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერები ესწრებოდნენ მეფედკურთხევის ცერემონიალს, რომელიც დაახლოებით 3 საათის მანძილზე მიმდინარეობდა სააბათოში. ცერემონიალი დაიწყო ზუსტად 8 საათზე, როდესაც უესთმინსთერისაკენ გაემართა ლორდ მერი, რომელსაც მოჰყვნენ თანამეგობრობის ქვეყნების და კოლონიების ლოდერები. ზუსტად თერთმეტის ოც წუთზე ბაქინჰემის სასახლე დატოვა დედოფალმა ელისაბედმა და მისმა მეუღლემ, ედინბურგის ჰერცოგმა. ისინი ისტორიულ ოქროს სახელმწიფო ეტლში ისხდნენ, რომელშიც რვა თეთრი ცხენი იყო შებმული. დედოფალს ტანთ ემოსა თეთრი კაბა, რომელიც სპეციალურად ამ დღისთვის შეკერა უკვე სახელგანთქმულმა ნორმან ჰართნერმა. კაბაზე ამოქარგული იყო ბრიტანეთისა და თანამეგობრობის ქვეყნების სიმბოლოები. მას თავზე ეხურა ჯორჯ IV სახელმწიფო თეარა, ყელზე კი ეკეთა დედოფალ ვიქთორიას დროინდელი ბრილიანტის ყელსაბამი. მის უდიდებულესობას მარშრუტზე ბაქინჰემის სასახლე — უესთმინსთერის სააბათო — სამი მილიონი კაცი მიესალმა, 30 ათასმა ადამიანმა კი მთელი ღამე გაათენა ქუჩებში, რათა მოხერხებული ადგილი დაეკავებინა ცერემონიალის საყურებლად. მეფედკურთხევის ცერემონიალის კულმინაციას წარმოადგენდა მომენტი, როცა ქენთერბერის არქიეპისკოპოსმა წმინდა ედუარდის გვირგვინი დაადგა თავზე ელისაბედ უინძორს. ეს მოხდა ზუსტად 12 საათსა და 34 წუთზე.

მეფედკურთხევის ცერემონიალთან დაკავშირებით ლონდონში მოეწყო გრანდიოზული პარადი, რომელშიც 30 ათასზე მეტმა ჯარისკაცმა მიიღო მონაწილეობა შეიარაღებული ძალების ყველა სახეობიდან, ბაქინჰემის სასახლის თავზე კი მოეწყო დიდი საავიაციო აღლუმი. უესთმინსთერში გამართული ცერემონიალის შემდეგ პორთსმუთში მოეწყო ბრიტანეთის და სხვა ზოგიერთი

ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების უზარმაზარი პარადი, რომელიც მიიღო თავად დედოფალმა ელისაბედ II.

აღსანიშნავია, რომ ელისაბედ II მეფედკურთხევის ცერემონიალისათვის ბრიტანეთის მთავრობამ 25-ჯერ უფრო მეტი დახარჯა, ვიდრე აშშ-ს პრეზიდენტის ეიზენჰაუერის ინაუგურაციის დღეს აშშ-ს ფინანსთა სამინისტრომ.

გამეფების შემდეგ ძირფესვიანად შეიცვალა ელისაბედის ცხოვრება, 27 წლის ახალგაზრდა დედოფალი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. იგი თავიდანვე განსაკუთრებული ძალისხმევით მოეკიდა მასზედ დაკისრებულ უაღრესად რთულ საქმიანობას, რომელსაც ბრიტანეთისა და თანამეგობრობის მეთაურობა ჰქვია და რომელსაც მისი უდიდებულესობა უკვე 50 წელია დაუღალავი შრომითა და უდიდესი პასუხისმგებლობით ასრულებს.

1953 წლის 23 ნოემბერს მისი უდიდებულესობა ინყებს თავის ისტორიულ ტურნეს თანამეგობრობის ქვეყნებში, რომლის დროსაც მან 43618 მილი დაფარა. ეს ვიზიტი 6 თვე გრძელდებოდა. ნიუფაუნდლენდში სანვავის შევსებიდან 5-საათნახევარის ფრენის შემდეგ სამეფო ნყვილი ენვია ბერმუდის კუნძულებს, მის დედაქალაქს ჰამილთონს. მათი მეორე დედაქალაქი ამ ტურნეს დროს იყო იამაიკის დედაქალაქი. იამაიკაში დედოფალს და მის მეუღლეს ხვდება გემი „გოთიქი", რომელიც შემდეგ ექვსი თვის მანძილზე მათ რეზიდენციად გადაიქცა. პანამის არხის გავლის შემდეგ მისი უდიდებულესობა ფიჯში გაემგზავრა, რომლის შემდეგაც იგი ენვია ტონგას. ახალ ზელანდიაში დედოფალი ენვია ოქლენდს, როთორუას და უელინგთონს. უელინგთონში მან გახსნა პარლამენტის სესია. სწორედ ახალ ზელანდიაში ყოფნისას ელისაბედ II შობა-ახალი ნელი მიულოცა თანამეგობრობის მოსახლეობას. სიდნეიში ჩაბრძანების შემდეგ ელისაბედ II გახდა ბრიტანეთის პირველი მონარქი, რომელიც ენვია ავსტრალიას, სადაც დედოფალმა მრავალ ოფიციალურ ცერემონილაში მიიღო მონაწილეობა, მ.შ. ქანბერაში გახსნა ავსტრალიის პარლამენტის ახალი სესია. „ედინბურგელები" ენვივნენ ასევე პერთს, დარვინს, მელბურნს, ჰობართს, ბრისბენს, ადელაიდას. ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა მენზისმა მის უდიდებულესობას ავსტრალიის ხალხის სახელით გადასცა ბრილიანტის 150 თვლისაგან შემდგარი ავსტრალიის აკაციის ტოტის ფორმის გულსაბნევი. ავსტრალიის შემდეგ ტურნე გაგრძელდა ცეილონზე (დღევანდელი შრი-ლანკა) და არაბეთის ნახევარკუნძულზე. აფრიკის კონტინენტზე კი სამეფო ნყვილი ეწვია უგანდას და კენიას. კენიიდან ისინი გადაფრინდნენ ლიბიის ქალაქ ტორბუკში, სადაც მათ ელოდათ ახალი სამეფო იახტა „ბრიტანია", რომელშიც იყვნენ პრინცი ჩარ-

ლზი და პრინცესა ანა. იახტა შემდეგ ეწვია მალტას და გიბრალ-
თარს. ინგლისის არხში შესვლისას კი მის უდიდებულესობას შეე-
გება ბრიტანეთის ფლოტი, რომლის თანხლებითაც ის 1954 წლის
15 მაისს ლონდონში დაბრუნდა.

ელისაბედ II-მ მეუღლითურთ თავისი პირველი ოფიციალური
ვიზიტი განახორციელა 1955 წლის 24-26 ივნისს ნორვეგიის სამე-
ფოში, სადაც იგი შეხვდა ნორვეგიის მეფეს. მის უდიდებულესობა
ჰააქონ VII და ქვეყნის სხვა მაღალი რანგის წარმომადგენლებს. აღ-
სანიშნავია, რომ ნორვეგიისა და ბრიტანეთის სამეფო ოჯახები
სისხლით ნათესაურ კავშირში იმყოფებიან. ნორვეგიის დედოფალი
მაუდი (1869-1938 წწ.) იყო ბრიტანეთის მეფის ედუარდ VII უმ-
ცროსი ქალიშვილი, რომელიც დანიის პრინც ჩარლზე (შემდგომ
ნორვეგიის მეფე ჰააქონ VII) დაქორწინდა 1896 წელს. იგი არის
ნორვეგიის დღევანდელი მეფის ჰაროლდ V ბებია.

დედოფალი და ჰერცოგი მომდევნო წლის იანვარში ორკვირ-
იან ვიზიტად იმყოფებოდნენ აფრიკაში, ნიგერიაში, ბრიტანეთის
ყველაზე დიდ კოლონიურ ტერიტორიაზე, რომლის დროსაც
სამეფო წყვილს 9000 მილის გავლა მოუხდა. განსაკუთრებული იყო
მათი სტუმრობა ე.წ. კეთროვანთა რაიონში მდ. ოჯის ხეობაში.
ვიზიტის კულმინაციას წარმოადგენდა ლაგოსში ჩასვლა, სადაც
დედოფალს ათიათასობით მისი ქვეშევრდომი შეეგება ცეკვებითა
და სიმღერებით.

1957 წლის ოქტომბერში მისი უდიდებულესობა და ედინბურ-
გის ჰერცოგი აწყობენ ვიზიტს ოკეანის გადაღმა. ეს იყო მათი
პირველი ვიზიტი ჩრდილოეთ ამერიკაში მეფედკურთხევის შემდეგ.
14 დეკემბერს ოთავაში დედოფალი ელისაბედ II ხსნის კანადის
პარლამენტის სესიას. იგი გახდა ბრიტანეთის პირველი მონარქი,
რომელმაც გახსნა კანადის პარლამენტი. კანადის შემდეგ დედო-
ფალი მეუღლითურთ 5-დღიანი ვიზიტით ეწვია აშშ-ს. მათ პა-
ტივსაცემად აშშ-ის პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა თეთრ სახლში
გამართა ბანკეტი. სამეფო წყვილი ეწვია ასევე ჯეიმსთაუნს,
ჩრდილოეთ ამერიკაში პირველი მუდმივი ინგლისური დასახლების
350-ე წლისთავის აღსანიშნავად. სამეფო წყვილი გემით ათვა-
ლიერებდა პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან ერთად ნიუ-იორქს, საი-
დანაც იშლება ბრწყინვალე ხედი სახელგანთქმულ მანჰეთენზე. 21
ოქტომბერს კი ბრიტანეთის სახელმწიფოს მეთაური სიტყვით გა-
მოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ამ ვიზიტს 3000-
ზე მეტი ჟურნალისტი და ფოტოკორესპონდენტი აშუქებდა. ორი
წლის შემდეგ ელისაბედ II და პრინცი ფილიპი კვლავ აწყობენ
ტურნეს ჩრდილოეთ ამერიკაში, ამჯერად მცირედი შესვენებით
აშშ-ში, და ორმოცდახუთდღიანი ვიზიტით კანადაში. ამ დროისათ-
ვის დედოფალი ფეხმძიმედ იყო მესამე შვილზე. ვიზიტის დროს

ელისაბედ II-მ, კანადის პრემიერ-მინისტრის ჯ. დიფენბეიქერის და აშშ-ის პრეზიდენტის ეიზენჰაუერის დასწრებით, გახსნა წმინდა ლავრენტიის საზღვაო არხი.

მისი უდიდებულესობის პირველი პრემიერ-მინისტრი გახლდათ უინსთონ ჩერჩილი, კონსერვატორული პარტიის ლიდერი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სათავეში ედგა ქვეყნის კოალიციურ მთავრობას. მათი პირველი შეხვედრა შედგა ბოლმოროლში, ბრიტანეთის მონარქების საზაფხულო რეზიდენციაში, როდესაც მომავალი დედოფალი მხოლოდ ორი წლის იყო. 1955 წელს უხუცესმა პრემიერმა აღნიშნა დაბადების 80 წლისთავი, ხოლო თავისი კარიერის დასასრულს, აღნიშნული წლის 4 აპრილს, მან დაუნინგ სთრითის ათ ნომერში სადილი გამართა მისი უდიდებულესობის ელისაბედ II და მისი მეუღლის პატივსაცემად. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მონარქი ოფიციალურად ეწვია ქვეყნის პრემიერ-მინისტრის რეზიდენციას. მეორე დღეს უინსთონ ჩერჩილი ეწვია ბაქინჰემის სასახლეს და ითხოვა თანამდებობიდან გადადგომა. საქვეყნოდ იყო ცნობილი, რომ ჩერჩილი მონარქიის ერთგული იყო. მან ეს ბრწყინვალედ დაამტკიცა 30-იანი წლების შუა პერიოდში, როცა მხარი დაუჭირა ედუარდ VIII პოზიციას. ჩერჩილი სიყვარულითა და თაყვანისცემით იყო განმსჭვალული დედოფლის მიმართ, მისი უდიდებულესობა განსაკუთრებული სითბოთი და პატივისცემით ეპყრობოდა თავის პირველ პრემიერს. როდესაც მას ჰკითხეს, თუ რომელ პრემიერთან აუდიენციით იყო იგი ყველაზე კმაყოფილი, მან უპირატესობა ჩერჩილს მიანიჭა. თუმცა მათ შორის ურთიერთობა როდი იყო ყოველთვის გულთბილი, შესაძლოა, ასაკიც თავისას შვებოდა, მათ შორის ხომ ასაკობრივი სხვაობა 52 წელი იყო. იგივე ითქმის გამოცდილებაზეც. ელისაბედი მის წინაშე თავს პატარა გოგონად მიიჩნევდა, შესაძლოა, მან იცოდა კიდეც ჩერჩილის რეაქცია ჯორჯ VI გარდაცვალების დროს და ელისაბედის გამეფებასთან დაკავშირებით. ჩერჩილმა განაცხადა: „ამაზე ცუდი მოვლენა ძნელად წარმოსადგენია". ჩერჩილი წუხდა გამოცდილი მეფის ჯორჯ VI სიკვდილს, რომელთანაც ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს ჩამოუყალიბდა კარგი ურთიერთობა, ხოლო ახალგაზრდა და გამოუცდელი მონარქის ტახტზე ასვლა მას გარკვეულ სევდას უნერგავდა. რა თქმა უნდა, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ჭკვიან დედოფალს. გახარებული იყო ჩერჩილი, როდესაც მისმა უდიდებულესობამ გადაწყვიტა დაემზადებინა პრემიერის ბიუსტი და უინძორის ციხე-სიმაგრეში დაედგათ. იგი უდიდესი მადლიერებით დათანხმდა დედოფალს, როდესაც მონარქმა ქვეყნის უმაღლესი ორდენი შესთავაზა სახელგანთქმულ პრემიერ-მინისტრს (აღსანიშნავია, რომ ჩერჩილმა უარი თქვა აღნიშნულ ორდენზე 1945 წელს). დედო-

დედოფალი ჩერჩილს უდიდეს პიროვნებად, ომის გმირად და მამამისის ახლო მეგობრად მიიჩნევდა. ჩერჩილის გადადგომის შემდეგ ქვეყნის მთავრობას სათავეში ჩაუდგა იდენი, რომელმაც ბრიტანეთი სუეცის კრიზისში გაახვია.

ნასერის ხელისუფლების გადაწყვეტილებას სუეცის არხის ნაციონალიზაციის შესახებ სერიოზული უკმაყოფილება მოჰყვა ლონდონსა და პარიზში. ბრიტანეთი, საფრანგეთი და ისრაელი ეგვიპტის წინააღმდეგ საომარ მდგომარეობაში ჩაება. დედოფალი იმყოფებოდა ქვეყნის სამხრეთში ერანდლის ციხე-სიმაგრეში, ნორფოლქის ჰერცოგის რეზიდენციაში, როდესაც ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის ძალითაც ლონდონი სამხედრო კონფლიქტში აღმოჩნდა ქაიროსთან. ბრიტანეთის და მისი მოკავშირეების ასეთი პოზიცია დაგმობილ იქნა საერთაშორისო არენაზე. ლონდონი იზოლაციაში აღმოჩნდა. გაერომ გააკრიტიკა მისი პოზიცია. სამეფოს მხარი არც მისმა უახლოესმა მეგობარმა აშშ-მა დაუჭირა. არ იყო ერთიანი პოზიცია თანამეგობრობის ქვეყნებში. სამეულის სამხედრო აქციებს კატეგორიულად ენინააღმდეგებოდა მოსკოვიც. იდენი, რომელიც ჩერჩილის მთავრობაში საუკეთესოდ ართმევდა თავს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს, როგორც ჩანს იდეალური პრემიერი ვერ გახდა. დედოფალი ჯერ კიდევ ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო, მან შესაძლოა ვერც განსაზღვრა ის შედეგები, რომელიც მის თანხმობას მოჰყვებოდა. როგორც ჩანს, დედოფალი არ იყო ყოველმხრივ ინფორმირებული. ქვეყნის საზოგადოების უდიდესი ნაწილი მთავრობის მოქმედებით უკმაყოფილო იყო. ყოველივემ კი იდენის კარიერა შეიწირა. სუეცის კრიზისის პერიოდში ლორდმა ალთრინჩემმა თავისი ჟურნალის გვერდებზე სასტიკად გააკრიტიკა მონარქია. კერძოდ კი დედოფალი და მისი ახლობლები. მოგვიანებით ბრიტანეთის პრესამ ხმაური ატეხა იმის თაობაზე, თითქოს და დედოფლის და მისი მეუღლის ცოლ-ქმრულ ურთიერთობას ბზარი გაუჩნდა. ფილიპე „ბრიტანიათი" ოთხი თვით გაემგზავრა საზღვარგარეთ, თანამეგობრობის ქვეყნებში, დედოფალი კი ლონდონში დარჩა. ყოველივე კი ჭორების საბაბი გახდა პრესისათვის. სინამდვილეში არავითარ ღალატს ადგილი არ ჰქონია. დამღლელი ტურნედან დაბრუნების შემდეგ ელისაბედ II მეუღლეს გაერთიანებული სამეფოს პრინცის ტიტული უბოძა ისე, როგორც ასი წლის წინ დედოფალმა ვიქტორიამ აღნიშნული ტიტული უბოძა მის მეუღლეს, პრინც ალბერთს. 1957 წლის იანვარში იდენი ავადმყოფობის გამო ტოვებს პრემიერის თანამდებობას. დედოფალი უპირისპირდება პირველ კონსტიტუციურ კრიზისს. იგი პრობლემების გადასაწყვეტად კონსულტაციებს მართავს უ. ჩერჩილთან და ლორდ სოლსბერთან. პრემიერ-მინისტრად დაინიშნა მაქმილანი.

ელისაბედ II შობა-ახალ წელს თავის ქვეშევრდომებს ტელევიზიის საშუალებით პირველად ულოცავს 1957 წლის შობა დღეს.

60-იანი წლების დასაწყისში დედოფალი მრავალი ქვეყნის სტუმარი იყო, რომელთა შორის აღსანიშნავია ვიზიტი ინდოეთში, პაკისტანში, ნეპალში, თურქეთში, განაში, იტალიასა და ვატიკანში.

1961 წელს დედოფალი პირველად ეწვია ინდოეთს. მისი უდიდებულესობა შეხვდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰარლალ ნერუს, ადამიანს,რომელმაც ინდოეთი დამოუკიდებლობამდე მიიყვანა, თუმცა დატოვა თანამეგობრობაში, მიუხედავად იმისა, რომ 1950 წელს ინდოეთი რესპუბლიკური მმართველობის ქვეყანა გახდა. ამით ინდოეთმა დასაბამი მისცა თანამეგობრობის განვითარების ახალ და თავისებურ გზას. სამეფო წყვილი დაესწრო პოლოს თამაშს დელიში, ბრიტანეთის საელჩოში მოაწყო სპეციალური მიღება. ისინი ეწვივნენ ასევე მსოფლიოში სახელგანთქმულ თაჯ-მაჰალს. ჯაიპურის მაჰარაჯას მინვევით დედოფალი და ჰერცოგი სპილოებზე სპეციალურად მათთვის მოწყობილ ოქროს ტახტზე ამხედრებულები შევიდნენ პროვინციაში. მოგვიანებით კი მაჰარაჯამ ისინი ვეფხვებზე სანადიროდ მიიწვია. პრინცმა ნადირობისას ვეფხვი მოკლა, რამაც ბუნების დამცველთა სერიოზული გულისწყრომა გამოიწვია.

ვატიკანში ვიზიტის დროს მის უდიდებულესობას აუდიენცია ჰქონდა პაპ იოანე XXII-სთან. განსაკუთრებულ რისკთან იყო დაკავშირებული დედოფლის ვიზიტი განაში, ბრიტანეთის პირველ შავ კოლონიაში, რომელმაც 1957 წელს მიიღო დამოუკიდებლობა, ხოლო სამი წლის შემდეგ კი გამოცხადდა რესპუბლიკად. მიუხედავად ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მაქმილანის რჩევისა არ ნასულიყო დედოფალი განაში (პრემიერის რჩევა გამოწვეული იყო იმით, რომ განაში უაღრესად რთული შიდა პოლიტიკური მდგომარეობა იყო) ელისაბედ II მაინც დამოუკიდებელ ნაბიჯს დგამს. „არა შიში — ეს ჩემი მუშაობის ნანილია“, განაცხადა მისმა უდიდებულესობამ. სამეფო წყვილი აკრაში, განის დედაქალაქში ღამით ჩაფრინდა. შუქი კი დედაქალაქში გამორთული იყო. ელისაბედ II და მისი მეუღლე ღია მანქანით გაემართნენ აეროპორტიდან მათთვის განკუთვნილ რეზიდენციაში, გზად მათ ათიათასობით განელი მიესალმა ჩირაღდნებით ხელში, რომლის შუქზედაც მიიკვლევდა გზას სამეფო კორტეჟი რეზიდენციისაკენ.

სერიოზული პრობლემების წინაშე დადგა დედოფალი ელისაბედ II მისი ერთადერთი დის, პრინცესა მარგარითას სასიყვარულო რომანთან დაკავშირებით. ელისაბედ II გამეფების შემდეგ პრინცესა მარგარითა ყველაზე ბედნიერი იყო სამეფო ოჯახში თავად დედოფლისა და დედამისის შემდეგ. იგი უდიდეს სიამაყეს

გრძნობდა; დასთან ერთად იგი უკვე ძალზედ ცოტას მოგზაურობდა, მაგრამ პრინცესა უკვე მარტო, დამოუკიდებლად ჩნდებოდა საზოგადოებაში, ხშირად ესწრებოდა პარლამენტის სხდომებს, უსმენდა ქვეყნის პრემიერებს თუ მინისტრებს, მოგზაურობდა საფრანგეთში, იტალიაში, ჰოლანდიაში. თითქოს და პრინცესას ცხოვრება უღრუბლო და ბედნიერი უნდა ყოფილიყო. ახალგაზრდა პრინცესა შეყვარებული აღმოჩნდა მასზედ უფროს და ამავე დროს განქორწინებულ პიროვნებაზე. ყოველივე კი 1944 წელს დაიწყო, როდესაც მფრინავი პითერ თოუნსენდი მეფე ჯორჯ VI მოინვია თავის რეზიდენციაში. შეხვედრა პრინცესასა და მის მომავალ სიყვარულს შორის სწორედ ამ დროს მოხდა. ახალგაზრდა პითერი უკვე ცოლ-შვილიანი იყო, მან სამსახური სასახლის კარზე დაიწყო და ხშირად ხედავდა პრინცესას. მათი ურთიერთობა ნამდვილ სასიყვარულო რომანში გადაიზარდა. პრინცესა მარგარითა როდი იყო უბრალოდ პრინცესა, იგი დედოფლის და და ტახტის ერთ-ერთი მემკვიდრე იყო. მალე დღის წესრიგში დადგა ქორწინების საკითხი, პრინცესას ქორწინება კი პიროვნებაზე, რომელიც მასზე 16 წლით უფროსი და, რაც მთავარია, განქორწინებული იყო, მიუღებელი აღმოჩნდა ანგლიკანური ეკლესიისათვის (1952 წელს თოუნსენდი გაშორდა მის პირველ მეუღლეს). მართალია პრინცესა უშუალო-პირდაპირი პრეტენდენტი არ გახლდათ სამეფო ტახტისა (ამ დროს უკვე დაბადებული იყო პრინცი ჩარლზი და პრინცესა ანა), მაგრამ თეორიული შესაძლებლობა დასაშვები აღმოჩნდა და შესაძლო დედოფლის განქორწინებული მეუღლე კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნეოდა. ქვეყანაში ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ ედუარდ VIII სასიყვარულო თავგადასავალი, რის გამოც მონარქს ტახტის ფასად დაუჯდა სიყვარული. უინსთონ ჩერჩილი, რომელიც კრიზისის პერიოდში პრემიერი იყო, კატეგორიულად ილაშქრებდა პრინცესას ასეთი ქორწინების წინააღმდეგ, მინისტრთა კაბინეტის უმრავლესობაც ამ აზრს იზიარებდა, უცვლელი იყო ეკლესიის პოზიციაც, ასე რომ, თითქმის მთელი ქვეყანა დაუპირისპირდა პრინცესას და მის შეყვარებულს. დედა დედოფალი იძულებული იყო დათანხმებოდა საერთო პოზიციას. დის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი ძლიერ ანუხებდა თავად მის უდიდებულესობას. 1772 წლის კანონის თანახმად პრინცესას თავისი ქორწინების თაობაზე თანხმობა უნდა მიეღო მონარქისგან, რაც შეუძლებელი იყო სიტუაციიდან გამომდინარე. ამასთან დედოფალი დაკავებული იყო მეფედ-კურთხევის ცერემონიალის სამზადისით და. რაც მთავარია, იგი, როგორც ანგლიკანური ეკლესიის მეთაური ვერ დათანხმდებოდა თავისი დის განქორწინებულ კაცთან ჯვრისწერას. 25 წლის შესრულების შემდეგ პრინცესა მარგარითას შეეძლო გადაედგა და-

მოუკიდებელი ნაბიჯი, მაგრამ ამჯერად იგი კარგავდა მემკვიდრეობს უფლებას და ყოველგვარ შემოსავალს სახელმწიფოდან. 1955 წლის ოქტომბერში კი პრინცესა მარგარითამ ოფიციალურად განაცხადა უარი პითერ თოუნსენდთან ქორწინებაზე. ეს იყო პირველი უდიდესი სულიერი დარტყმა პრინცესას ცხოვრებაში. შემდგომ თოუნსენდი სამსახურს ინყებს ბელგიაში, სადაც ქორინწდება კიდეც. თოუნსენდი გარდაიცვალა 1995 წლის ივნისში, პარიზში, 80 წლის ასაკში. პირველი სასიყვარულო რომანის კრახით დამთავრების შემდეგ პრინცესა ხვდება ბილ უოლესს, ქვეყნის საკმაოდ ცნობილი ოჯახის წარმომადგენელს. ბილი ხელს სთხოვს პრინცესას, იგიც თანახმაა მასთან ჯვრისწერაზე. ასეთი სიყვარული მოიწონა დედოფალმა, თითქოსადა ყველაფერი კარგად უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ უეცრად ბილი ავად გახდა და ჯანმრთელობის გასაკაჟებლად ბაჰამის კუნძულებზე გაემგზავრა. გამოჯანმრთელებასთან ერთად იგი სასიყვარულო ინტრიგებში გაება და როცა ინგლისში დაბრუნდა, პრინცესამ იგი უარით გაისტუმრა.

გადის ორი ნელი და პრინცესა მარგარითა ხვდება შეძლებულ და ენერგიულ პიროვნებას ენთონი არმსტრონგ ჯონს ფოტოგრაფმხატვრის სპეციალობით. იგი სურათებს უღებდა სამეფო ოჯახის ნევრებს, რაც ბუნებრივია, მის მაღალ პროფესიონალურ დონესა და მისდამი სასახლის მხრიდან უდიდეს ნდობაზე მეტყველებდა. ენთონის მამა შეძლებული ადვოკატი იყო, რომლის გადაწყვეტილებითაც ენთონიმ მსოფლიოში სახელგანთქმული ითონი დაამთავრა, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სკოლა, სადაც სნავლობდნენ ძირითადად არისტოკრატიული ოჯახების წარმომადგენლები. უმაღლესი განათლება მან სახელგანთქმულ უნივერსიტეტში, ქემბრიჯში, მიიღო, სადაც დაეუფლა არქიტექტურას. თუმცა იგი სნავლით არ გამოირჩეოდა, რადგანაც მას უფრო სპორტი და ფოტოგრაფია იტაცებდა. ამჯერად პრინცესას სასიყვარულო ამბავი კარგად წარიმართა. პრინცესამ ქორწინებაზე თანხმობა სთხოვა დედოფალს, რომელმაც უყოყმანოდ თანხმობა განაცხადა, თუმცა სამეფო ოჯახის ზოგიერთი ნევრი ამ ქორწინების წინააღმდეგი იყო. მათი მტკიცებით მომავალ მეუღლეებს უფრო მეტი ჰქონდათ განსხვავებული, ვიდრე მსგავსი, მაგრამ მათ უკვე ყურას არავინ უგდებდა. 1960 წლის თებერვალში სასახლემ ქვეყანას ამცნო ელისაბედ II ერთადერთი დის ნიშნობის თაობაზე. ქორწინება კი მოეწყო იმავე ნლის 6 მაისს უესთმინსთერის სააბათოში, საიდანაც ტელეგადაცემას 340 მილიონზე მეტმა კაცმა უყურა მსოფლიოს მრავალ კითხეში. ქორწინების ცერემონიალს სააბათოში ესწრებოდა 2000 სტუმარი. პრინცესას ეცვა თეთრი აბრეშუმის კაბა, რომელიც შეკერა ნორმან ჰართ-

ნერმა. თავზე კი მას ეხურა პოლთიმორის ბრილიანტებიანი თეარა, რომელიც პრინცესას სპეციალურად შეუძინეს ამ დღისათვის. ახლადდაქორწინებულებმა თაფლობის თვე კარიბის ზღვის კუნძულებთან, იახტა „ბრიტანიაზე" გაატარეს. 1961 წელს დედოფალმა თავის სიძეს უბოძა გრაფ სნოუდონის ტიტული. ქორწინების შემდეგ „სნოუდონებს" შეეძინათ ქალ-ვაჟი. ვაჟი, დეივიდი დაიბადა 1961 წელს, ხოლო ქალიშვილი ლედი სარა არმსთრონგ-ჯონსი გაჩნდა სამი წლის შემდეგ. პრინცესა მარგარითა ცხოვრობდა ქენსინგთონის სასახლეში, მას ჰქონდა ასევე სახლი კარიბის ზღვის კუნძულ მიუსთიქზე, რომელიც 1998 წელს გაყიდა.

1960 წლის თებერვალში ქვეყანას მოევლინა პრინცი ენდრიუ (იორქის ჰერცოგი), რამდენიმე დღით ადრე კი მისმა უდიდებულესობამ დედოფალმა ელისაბე II სამეფო განკარგულებით უკვდავყო თავისი მეუღლის, პრინც ფილიპეს გვარი. ამიერიდან მათი შთამომავლობა ატარებს მაუნთბეთენ-უინძორის გვარს. პირველად აღნიშნული გვარი გამოყენებულ იქნა პრინცესა ანას საქორწინო დოკუმენტზე ხელმონერისას 1973 წელს.

1961 წლის ივლისში ინგლისის უდიდესი ისტორიის მქონე ერთ-ერთი ქალაქი, იორქი, მასპინძლობდა სამეფო ქორწინებას. ჯვარს იწერდა დედოფლის ბიძაშვილი, მეფე ჯორჯ VI ძმის, ჯორჯის, ქენთის ჰერცოგის უფროსი ვაჟი, ედუარდი. საქორწინო ცერემონიალი მიმდინარეობდა მსოფლიოში სახელგანთქმულ იორქის კათედრალში. აღსანიშნავია, რომ ეს ქორწინება პირველი სამეფო ქორწინება იყო იორქის კათედრალში ედუარდ III ქორწინების შემდეგ, რომელიც შედგა 1328 წელს. ედუარდი ქორწინების დღეს 26 წლის, ხოლო მისი რჩეული ქათერინა უოსლი მასზე ორი წლით უფროსი იყო. ცერემონიალს ესწრებოდა 2000 სტუმარი, მ.შ. უცხოეთის მრავალი ქვეყნის პრინცი და პრინცესა. საპატიო სტუმართა შორის აღსანიშნავია დედოფალი ელისაბედ II და დედა დედოფალი. საქორწინო ტორტი ხუთი იარუსისაგან შედგებოდა და იწონიდა 82 კგ. ახლადდაქორწინებულებმა თაფლობის თვე დედა დედოფლის საზაფხულო რეზიდენციაში, ბირქჰოლში გაატარეს. პრინცი ედუარდი დაიბადა 1935 წლის ოქტომბერში, ლონდონში. ტიტული ქენთის ჰერცოგისა მან მიიღო 1942 წლის აგვისტოში ექვსი წლის ასაკში, როდესაც მამამისი, პრინცი ჯორჯი, ქენთის ჰერცოგი, საჰაერო კატასტროფის დროს დაიღუპა. დედამისი პრინცესა მარინა, საბერძნეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენელი იყო. პრინცმა განათლება ჯერ ცნობილ ითონში, ხოლო შემდეგ შვეიცარიაში მიიღო. მოგვიანებით იგი სწავლას აგრძელებს სანდჰარსის სამხედრო აკადემიაში. სამხედრო სამსახურს პრინცმა 21 წელი დაუთმო, მსახურობდა როგორც ბრიტანეთში, ასევე საზღვარგარეთ (მაგ., ჰონქონგში და კვიპროსში). ქენთის ჰერცოგი

სამეფო ოჯახის აქტიური წევრია, მონაწილეობას იღებს მრავალ საქველმოქმედო ღონისძიებაში, ასრულებს აქტიური ელჩის როლს საზღვარგარეთ. პრინცი წარმოადგენს მის უდიდებულესობა დედოფალს მთელ რიგ ოფიციალურ ცერემონიალებზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მაგ., დამოუკიდებლობის მიღების ცერემონიალზე ქენთის ჰერცოგი წარმოადგენდა დედოფალს სიერა-ლეონში, უგანდაში, გაიანაში და გამბიაში. იგი წარმოადგენდა სამეფო ოჯახს ტონგას მეფის მეფედკურთხევის ცერემონიალზე. 1967 წელს პრინცი წარმოადგენდა ქვეყნის ელიტას ესპანეთის დედოფლის და ინდოეთის პრეზიდენტის ჰუსეინის დაკრძალვის ცერემონიალებზე. იგი არის არაერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, უდიდეს ინტერესს იჩენს სპორტისადმი. აღსანიშნავია, რომ სწორედ ქენთის ჰერცოგია საერთო ინგლისური ჩოგბურთისა და კრიკეტის კლუბის პრეზიდენტი, მისი ხელიდან იღებენ სახელგანთქმული უიმბლდონის კორტებზე გამარჯვებული მოთამაშეები ამ ტურნირის უმაღლეს ჯილდოს. რაც შეეხება ქენთის ჰერცოგინიას, იგი არისტოკრატიული წარმოშობისაა, მისი გვარი სათავეს მეთერთმეტე საუკუნეში იღებს. გარკვეულნილად იგი ოლივერ ქრომველის შთამომავალიცაა. ჰერცოგინია განსაკუთრებით გატაცებულია კლასიკური მუსიკით და არის მუსიკის სამეფო ჩრდილოეთ კოლეჯის პრეზიდენტი. ქენთის ჰერცოგს და ჰერცოგინიას ჰყავთ სამი შვილი: ჯორჯი, წმინდა ენდრიუს გრაფი (დაიბადა 1962 წ.), 1988 წელს დაქორწინდა სილვია თომასელზე, მათ ჰყავთ სამი შვილი; ლედი ჰელენ უინძორი (დაიბადა 1964 წ.), იგი 1992 წელს დაქორწინდა თიმოთი თეილორზე, მათ ჰყავთ ორი შვილი; ლორდი ნიკოლოზ უინძორი (დაიბადა 1970 წ.). ქენთის ჰერცოგის და ჰერცოგინიას საცხოვრებელ აპარტამენტებს ლონდონში წარმოადგენს იორქის სასახლე, წმინდა ჯეიმსის სასახლეთა კომპლექსში.

1962 წლის ივნისში დედოფალმა გახსნა ე.წ. დედოფლის გალერეა, ბაქინჰემის სასახლეში, იმ ადგილზე, სადაც ომამდე სასახლის ეკლესია იყო და რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს დაინგრა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო სასახლის ისტორიაში პირველი შემთხვევა, როცა მისი გარკვეული ნაწილი გაიღო საზოგადოებისათვის. პირველ წელს სამეფო კოლექცია 200000 ადამიანამდე მოინახულა.

უაღრესად შრომატევადი აღმოჩნდა ელისაბედ II მეფობის პირველი ათწლეული. აღნიშნულ პერიოდში მან მოგზაურობისას გაიარა 250000 მილი, ეწვია მსოფლიოს 21 ქვეყანას, მოაწყო 13 ოფიციალური ვიზიტი, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაატარა 402 დღე. არა ერთხელ მიიღო ქვეყანაში სტუმრად ჩამოსული მაღალი რანგის პირები, რომელთა შორისაც აღსანიშნავია: შვედეთის მეფე

გუსთავ VI ადოლფი და დედოფალი ლუიზა, ეთიოპიის იმპერატორი ჰაილე სელასიე, ერაყის მეფე ფეისალი, ირანის შაჰი რეზა ფეჰლევი, ტაილანდის მეფე ბუმიბოლი და დედოფალი სირიკიტი, ნეპალის მეფე მაჰენდრა და დედოფალი რათნა. მისმა უდიდებულესობამ აუდიენციაზე მიიღო ბრიტანეთში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი პორტუგალიისა და იტალიის პრეზიდენტები, გერმანიის პრეზიდენტი ჰიუსი და ა.შ. აღსანიშნავია, რომ 1956 წლის აპრილში ელისაბედ II უინძორის ციხე-სიმაგრეში მიიღო საბჭოთა ლიდერი ხრუშოვი და ქვეყნის პრემიერი ბულგანინი. ვიზიტის დროს ხრუშოვმა მის უდიდებულესობას აჩუქა ორი ცხენი და პატარა დათვის ბელი. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლის სამდღიან ვიზიტს ლონდონში 1960 წლის აპრილში. ეს იყო პრეზიდენტის პირველი ვიზიტი საზღვარგარეთ სახელმწიფოს მეთაურად გახდომის შემდეგ. ბრიტანეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა უმაღლესი დონის ამ შეხვედრას, რომელსაც მნვანე შუქი უნდა აენთო სამეფოს „საერთო ბაზარში" განევრიანებისათვის. ვიქთორიას სადგურში პრეზიდენტს სამეფო ამალით შეეგება ახალგაზრდა დედოფალი, რომელმაც სულ რამოდენიმე კვირის ნინ იმშობიარა. შემდგომ სტუმარ-მასპინძელი სრული რიტუალის დაცვით გაემართა ბაქინჰემის სასახლეში, სადაც მისმა უდიდებულესობამ საღამოს სამეფო ბანკეტი მოაწყო. თავის მხრივ, დედოფალს და სხვა ოფიციალურ პირებს უმასპინძლა დე გოლმაც ლონდონში საფრანგეთის საელჩოში მოწყობილ ბანკეტზე. ვიზიტი დაგვირგვინდა დედოფლისა და პრეზიდენტის ქოვენთ გარდენში სტუმრობით. 1961 წლის ივნისში ბაქინჰემის სასახლე მასპინძლობდა აშშ-ის 43-ე პრეზიდენტს ჯონ ქენედის და მის მეუღლეს ჟაქლინს. ისინი ლონდონში ჩამოვიდნენ ვენიდან, ავსტრიის დედაქალაქიდან, სადაც პრეზიდენტს შეხვედრა ჰქონდა საბჭოთა ლიდერთან, ხრუშოვთან. დედოფალმა აშშ-ის პრეზიდენტი და პირველი ლედი სადილად მიიწვია სასახლეში. ეს იყო ბაქინჰემის სასახლეში აშშ-ის პრეზიდენტის პირველი სადილი 1916 წლის შემდეგ, როდესაც სასახლეს სტუმრობდა აშშ-ის იმდროინდელი პრეზიდენტი ვუდრო უილსონი, ხოლო მისი მასპინძელი იყო დღევანდელი მონარქის ბაბუა, მეფე ჯორჯ V. აღსანიშნავია, რომ აშშ-ს 20 პრეზიდენტი, მ.შ. ჯორჯ ვოშინგთონი, თომას ჯეფერსონი, ორივე რუზველთი, ჯერალდ ფორდი და ასევე ორივე ბუში პირდაპირ ნათესაურ კავშირში იმყოფებიან ბრიტანეთის სამეფო ოჯახთან. ქვეყნის რვა პირველი ლედი, რომელთა მეუღლეებსაც არ ჰყავთ სამეფო წინაპრები, უშუალოდ არიან ბრიტანეთის მეფეების შთამომავლები. აშშ 42 პრეზიდენტიდან 2/3 სამეფო წარმომავლობისაა.

დედოფალი რვაჯერ საზეიმოდ ხსნის პარლამენტის სესიას, 1959 წელს კი პარლამენტის გახსნის მთელი ცერემონიალი პირველად გადაიცა ტელევიზიით. მონარქი 210-ჯერ ეწვია გაერთიანებულ სამეფოს სხვადასხვა რაიონს, 136-ჯერ წარმოთქვა სპეციალური სიტყვა, 142-ჯერ ხელმძღვანელობდა საიდუმლო საბჭოს სხდომებს, 56-ჯერ დაესწრო საეკლესიო წირვას, მიიღო 165 ელჩი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. მან 27-ჯერ მოუწყო აუდიენცია უინსტონ ჩერჩილს, 41-ჯერ იდენს და 142-ჯერ მაქმილანს, 91-ჯერ შეხვდა თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრებს და ა.შ.

1963 წლის დასაწყისში დედოფალი ავსტრალიას, ახალ ზელანდიას და ფიჯს ესტუმრა. ეს იყო ორთვიანი მოგზაურობა თანამეგობრობის ქვეყნებში რომლის დროსაც სამეფო წყვილმა 42 ათას მილზე მეტი გაიარა. უელინგთონში მან, როგორც ახალი ზელანდიის დედოფალმა, გახსნა ქვეყნის პარლამენტის მორიგი სესია, ხოლო უაითანგში გამოვიდა მაორთა შვიდიათასიანი აუდიტორიისა და მათი ლიდერების წინაშე. ავსტრალიაში ვიზიტი ძირითადადა მიეძღვნა ავსტრალიის კავშირის დედაქალაქის, ქამბერას, დაარსების ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, რომლის დროსაც მისმა უდიდებულესობამ რაინდის ტიტული — ნარშავის ორდენი უბოძა ავსტრალიის პრემიერს სერ რობერთ მენზის.

1963 წელს სამეფო ოჯახი კიდევ ერთი ბედნიერების მოწმე ხდება, ამჟამად გაბედნიერდა დედოფლის მეორე ბიძაშვილი, ჯორჯის, ქენთის ჰერცოგის მეორე შვილი და ერთადერთი ქალიშვილი, პრინცესა ალექსანდრა, რომელიც დაქორწინდა ბრიტანეთის ერთ-ერთი უდიდესი არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენელზე ენგუს ოგილვიზე, ეირლის გრაფის მეორე ვაჟზე. მათი ქორწინება შედგა 1963 წლის აპრილში უესთმინსთერის საბათოში. ქორწილს ესწრებოდა დედოფალი და სამეფო ოჯახის მრავალი წარმომადგენელი. საქორწინო სუფრა გაიშალა წმინდა ჯეიმსის სასახლეში. თაფლობის თვე მათ გაატარეს ბირქჰოლში, შოტლანდიის სამეფო მამულში. პრინცესა ალექსანდრას და მის მეუღლეს ჰყავთ ორი შვილი, ქალ-ვაჟი. ჯეიმს ოგილვი (დაიბადა 1961 წ.) 1988 წელს დაქორწინდა ჯულია რეულინსონზე, მათ ჰყავთ ორი შვილი; მარინა ოგილვი (დაიბადა 1966 წ.) 1990 წელს დაქორწინდა პაულ მოუთზე, ჰყავთ ორი შვილი, ისინი განქორწინდნენ 1997 წელს. პრინცესა ალექსანდრა და მისი მეუღლე ცხოვრობენ თეთრ ჰაუს ლოჯში, რიჩმონდში, სამხრეთ-დასავლეთ ლონდონი.

სერიოზული უხერხულობები ახლდა ლონდონში საბერძნეთის 63 წლის მონარქის და მისი მეუღლის ოფიციალურ ვიზიტს. პაველ I-მა ტახტი მიიღო 1946 წელს, ძმის, გიორგი II გარდაცვალების შემდეგ, რომელსაც შთამომავლობა არ დაუტოვებია რუმინეთის

მეფის, ფერდინანდ I ქალიშვილთან, ელისაბედთან ქორწინების შედეგად. ბრიტანული საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო დედოფალ ფრედერიკა ლუიზას, ბრაუნშვეიგსის ჰერცოგის ქალიშვილის ლონდონში სტუმრობა. მოტივად ცხადდებოდა დედოფლის, როგორც ფაშიზმისადმი სიმპატიები, ასევე საბერძნეთ-კვიპროსის უნიის მხარდაჭერა. დედოფალი ფრედერიკა დედოფალ ვიქთორიას და, რა თქმა უნდა, მისი უდიდებულესობის ელისაბედ II ნათესავი იყო. მეფე პავლე I კი ედინბურგის ჰერცოგის ახლობელია. როდესაც უმაღლესი რანგის სტუმრები სამეფო ბანკეტს ესწრებოდნენ ბაქინჰემის სასახლეში, ლონდონის ცენტრში საბერძნეთის სამეფო ოჯახის წევრთა ვიზიტის საწინააღმდეგო გამოსვლები მიმდინარეობდა. მეორე დღეს სტუმრები და მასპინძლები სამეფო ოპერას ეწვივნენ. სახელგანთქმულ ქოვენთ გარდენთან, სადაც ბრიტანეთის და საბერძნეთის სამეფო ოჯახის წევრები მივიდნენ, დემონსტრანტები მათ სტვენით და გერმანული შეძახილებით შეხვდნენ. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ბრიტანეთის სამეფო წყვილს და მათ სტუმრებს ხალხი ასე შეხვდა. დედოფალი შოკირებული იყო 1963 წ. 22 ნოემბერს აშშ-ს ქალაქ დალასში დატრიალებული ტრაგედიით, რომელმაც ქვეყნის პრეზიდენტ ქენედის სიცოცხლე შეინირა. დაკრძალვის ცერემონიალზე ბრიტანეთის სამეფო ოჯახს წარმოადგენდა ედინბურგის ჰერცოგი. დედოფალი ფეხმძიმედ იყო მეოთხე შვილზე.

1964 წლის მარტში 38 წლის ასაკში ელისაბედ II-ს შეეძინა მეოთხე შვილი (მესამე ვაჟი), პრინცი ედუარდი, დღეს უესექსის გრაფი.

1965 წელს გარდაიცვალა ელისაბედ II-ს ორი უახლოესი პიროვნება: 24 იანვარს 90 ნლის ასაკში გარდაიცვალა ბრიტანეთის ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი, მეფე ჯორჯ VI-ს უახლოესი მეგობარი, წვივსახვევი ორდენის კავალერი, მეორე მსოფლიო ომის დროს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი უინსთონ ჩერჩილი. გასვენების ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო დედოფალმა და სამეფო ოჯახის სხვა წევრებმა. ეს იყო მისი უდიდებულესობის მეფედ კურთხევის შემდეგ პირველი სახელმწიფოებრივი გასვენების ცერემონიალი. ქვეყანამ დიდესი პატივი მიაგო ჩერჩილს. მისი ცხედარი სამი დღის მანძილზე დასვენებულ იქნა უესთმინსთერის სააბათოში, რომლის წინაშეც თავი მოიხარა 130 ათასმა ადამიანმა. იგი დაკრძალეს ოქსფორდშირში, სოფელ ბლედონში, მისი წინაპრების — ბლენემის სასახლესთან (სადაც იგი დაიბადა) ახლოს.

ორი თვის შემდეგ, ლიდსთან ახლოს ჰერვუდის სასახლეში 67 ნლის ასაკში გარდაიცვალა ჯორჯ VI-ისა და დედოფლის მამიდა, პრინცესა მერი. პრინცესა მერი, რომელიც მეფე ჯორჯ V-ის და,

დედოფალ მერის ერთადერთი ქალიშვილი იყო, დაიბადა 1897 წელს სანდრინჰემში. იგი სამეფო ოჯახის გამორჩეული პიროვნება იყო. ბრწყინვალედ ფლობდა ფრანგულ და გერმანულ ენებს, დაინტერესებული იყო მუსიკით, თევზაობით, ცხენოსნობითა და ნადირობით. მონაწილეობდა ბევრ საქველმოქმედო ღონისძიებაში. პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს ხშირად დადიოდა სამეფოს მრავალ კუთხეში, ხვდებოდა ხალხს და ამხნევებდა მათ. პრინცესა 1922 წელს ქორწინდება ჰენრი, ლესელესის ვიქონთზე, შემდგომში ჰერვუდის VI გრაფზე. მათი ჯვრისწერის ცერემონიალი გაიმართა უესთმინსთერის საეკლესიოში. ეს იყო პირველი ქორწინება, რომელსაც ესწრებოდა ლედი ელისაბედ ბოუს-ლაიონი, რომელიც პრინცესა მერის ახლო მეგობარი იყო. პრინ-ცესა მერი და მისი მეუღლე ცხოვრობდნენ ჰერვუდის სასახლეში, სადაც მათ შეეძინათ ორივე ვაჟი: ჯორჯი, ჰერვუდის მეშვიდე გრაფი და ჰერალდი. 1932 წლიდან პრინცესა მერი ატარებდა ტიტულს „პრინსეს როიალ".

ქვეყნის შიდა პოლიტიკური ცხოვრება კვლავ დაიძაბა 1963 წელს, როცა დედეოფალი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, კვლავ აღმოჩნდა სერიოზული კონსტიტუციური პრობლემის წი-ნაშე. 1963 წლის ოქტომბერში ავადმყოფობის გამო გადადგა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მაქმილანი. მისი უდიდებულესობა პი-რადად ეწვია ავადმყოფ პრემიერს საავადმყოფოში და მასთან კონსულტაციების შემდეგ მთავრობის ჩამოყალიბება დაავალა ჰიუმს, რომელიც ნამდვილი არისტოკრატი იყო და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დედა დედოფლის ოჯახთან. თუმცა მისი ცხოვრება დაუნინგ სტრისის 10-ში ხანგრძლივი არ იყო, რადგან 1964 წლის არჩევნების შედეგად გაიმარჯვეს ლეიბორისტებმა. დედოფალმა კი ქვეყნის პრემიერ-მინისტრად დანიშნა თავისი მე-ფობის ისტორიაში პირველი ლეიბორისტი პრემიერ-მინისტრი ჰაროლდ უილსონი. მოყოლებული 1964 წლიდან ლეიბორისტები ქვეყანას მართავდნენ 1979 წლამდე, გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ 1970-1974 წლები, როცა თემთა პალატაში უმრავლესო-ბას კონსერვატორები წარმოადგენდნენ და ქვეყნის პრემიერიც მათი ლიდერი ედუარდ ჰითი იყო. ლეიბორისტი ჰაროლდ უილსონი მისი უდიდებულესობის მთავრობას სათავეში ედგა 1964-1970 წლებში და 1974-1976 წლებში. 1976 წელს იგი შეცვალა ჯეიმს ქალ-აგენმა (ლეიბორისტული პარტიის ლიდერი), რომელიც პირველი მინისტრი გახლდათ 1979 წლამდე.

დედოფლის ურთიერთობა მის მეორე პრემიერ-მინისტრთან თბილი და მეგობრული ხასიათის იყო, თუმცა ასაკობრივი განსხვავება ზოგჯერ თავისას შვრებოდა. მათ შორის ასაკობრივი სხვაობა შეადგენდა თითქმის 30 წელს, როცა მაქმილანი გახდა

პრემიერი, მისი უდიდებულესობა მხოლოდ 32 წლის იყო. პრემიერ-მინისტრი დედოფალთან შეხვედრის დროს წარმოდგებოდა როგორც ბრძენი პოლიტიკოსი და მას თავდაპირველად ელა-პარაკებოდა როგორც პატარა გოგონას, ცდილობდა დეტალებში არ გაეშუქებინა საკითხები და ა.შ. თითქმის ასევე იქცეოდა დედო-ფალთან შეხვედრის დროს ზოგიერთი მინისტრიც. მაგრამ მალე დედოფალმა რბილად, მაგრამ სერიოზულად აგრძნობინა მათ, რომ მათ საქმე აქვთ არა სკოლის მოსწავლესთან, რომელიც ნაკლებად არის გარკვეული პოლიტიკაში, არამედ პიროვნებასთან, რომელიც უმაღლეს დონეზე ფლობს ინფორმაციას. მოგვიანებით მაქმილანი აღნიშნავდა კიდეც: „დედოფალი არ არის მხოლოდ მომხიბლავი, იგი წარმოუდგენლად ინფორმირებულია".

თბილი დამოკიდებულება ჰქონდა დედოფალს თავის პირველ (უილსონი) და მეორე (ქალაგენი) ლეიბორისტ პრემიერ-მინისტრთან. მათ შორის ამჯერად არც თუ ისე დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო. აღსანიშნავია, რომ უილსონმა თავისი მინისტრობა დაიწყო დედოფლისადმი უჩვეულო თხოვნით, რომ სასახლეში პრე-მიერად დანიშვნის ცერემონიალს დასწრებოდა უილსონის მეუღლე, რომელსაც სურდა თავისი პატივისცემა და ერთგულება დაემტკიცებინა დედოფლისათვის. დათქმულ დღეს პრემიერი სასახლეში მოვიდა არა მარტო მეუღლითურთ, არამედ მან თან მოიყვანა მამამისი და და. როგორც მან აღნიშნა, ეს იყო უდიდესი პატივი მათთვის ენახათ მისი უდიდებულესობა. მართალია, გარკ-ვეულწილად, სასახლის ეთიკეტი დაირღვა, მაგრამ დედოფალს ყოველივე ესიამოვნა. უილსონი იხსენებს ასეთ მომენტს, როდესაც იგი ერთ-ერთ შეხვედრაზე ეწვია დედოფალს ბოლმოროლში, მისი უდიდებულესობა ჩაიდნით ჩაის ადუღებდა, შემდგომ მისი მეუღლე მერი უილსონი ეხმარებოდა დედოფალს სუფრის გაშლაში, ხოლო როცა მათ ჩაი მიირთვეს, დედოფალმა ერთი წინსაფარი თვითონ გაიკეთა, მეორე ჩემს მეუღლეს მისცა და დაიწყო ჭურჭლის რეცხვა. რაც შეეხება ჰითთან ურთიერთობას, აღნიშნავენ, რომ იგი იყო თავისებური, გაქნილი და დედოფალი არასოდეს არ იყო მას-თან კომფორტაბელური.

ძირითადად დედოფლის და მისი პრემიერის საქმიანი შეხ-ვედრა ტრადიციულად ეწყობა ბაქინჰემის სასახლეში. პრემიერი სასახლეში მიდის 20-25 წუთით ადრე აუდიენციის დაწყებამდე. მას იღებენ სასტუმრო ოთახში, შემდგომ მსახურის სიტყვებზე „დედოფალი მზად არის" იგი აღებს მონარქის კაბინეტის კარებს და იხმობს მთავრობის მეთაურს უმაღლეს დონეზე შესახვედრად სიტყვებით „პრემიერ-მინისტრი, თქვენო უდიდებულესობავ". პრე-მიერი თავს ხრის მონარქის წინაშე და მიმართავს მას „საღამო მშვიდობისა, თქვენო უდიდებულესობავ". დედოფალი მას ხელს

უწვდის. ქალაგენის მტკიცებით, მონარქი და მისი პრმიერი მისალმებისას ხელს ართმევენ ერთმანეთს, რასაც უარყოფს უილსონი. წარსულში პრემიერ-მინისტრი, მაგ., გლადსთონი დედოფალ ვიქთორიასთან, მთელი აუდიენცია ფეხზე იდგა, დღეს მდგომარეობა შეიცვალა. ისინი საუბრობენ სხედან რა სავარძელში. შეხვედრისას დედოფალი მომლიმარია, რითაც თითქოსდა გეუბნება, რომ თქვენ ის პიროვნება ხართ, რომელთანაც მას სურს საუბარი. მისი მეფობის დასაწყისში აღნიშნული აუდიენციები გრძელდებოდა 20-30 წუთი. როცა პრემიერი გახდა მაქმილანი, აუდიენცია უფრო გახანგრძლივდა, ხანგრძლივი იყო მისი საუბრები ასევე უილსონთან, რომელიც ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ნებისმიერი საქმის კურსში ჩაეყენებინა მისი უდიდებულესობა. შეხვედრებს კომენტარს არავინ უკეთებს და არც მისი ჩაწერა ხდება. საუბარი დაკეტილი კარის მიღმა მიმდინარეობს, თუმცა ერთხელ მოხდა მოულოდნელი რამ — საუბრის მომენტში უცებ კარი გაიღო, ამ დროს დედოფალი საუბრობდა თავის ლეიბორისტ პრემიერ ქალაგენთან. ოთახში სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა პრინცი ფილიპე, რომელიც შორეული მოგზაურობიდან ჩამოვიდა და არ შეეძლო არ ენახა დედოფალი. იგი ემთხვია მეუღლეს ხელზე, ორი სიტყვით დაელაპარაკა და ბოდიში მოუხადა პრემიერ-მინისტრს.

მისი უდიდებულესობა არასოდეს პირდაპირ არ გამოხატავს თავის უშუალო დამოკიდებულებას პრემიერ-მინისტრებზე, თუმცა, ბუნებრივია, აქვს ყოველ მათგანზე დამოუკიდებელი აზრი და პოზიცია. არის მომენტები, როცა სახელმწიფოს ამ ორი უმაღლესი პოლიტიკური ფიგურის აზრები და პოზიციები განსხვავებულია. უმეტეს შემთხვევაში დედოფალი ნეიტრალურია, რაც ხშირად მაგალითად ედინბურგის ჰერცოგის უკმაყოფილებას ინვევს. მას მიაჩნია, რომ მისმა უდიდებულესობამ უფრო აქტიურად უნდა გამოთქვას თავისი აზრი და პოზიცია. არის შემთხვევები, როცა დედოფალი არ ეთანხმება პრემიერის პოზიციას. ასეთ შემთხვევებს ბრიტანეთის პრესა ხშირად აღნიშნავს (განსაკუთრებით ეს ეხება თეთჩერის მმართველობის ხანას). მაგალითად, 1965 წელს, როდესაც სამხრეთ როდეზიის თეთრმა უმცირესობამ ხელში აიღო ძალაუფლება და „დამოუკიდებლობა" გამოაცხადა, მთავრობის ეშელონებში გამოითქვა აზრი, გამოეყენებინათ დედოფლის ავტორიტეტი, პრობლემის გადაჭრაში ჩარეულიყო თავად დედოფალი და მიემართა უმცირესობის ლიდერის იან სმითისათვის. ამ საკითხის გადაწყვეტისას დედოფალი დაეყრდნო თავის პირად მრჩეველს და არა მთავრობის პოზიციას. იყო შემთხვევები, როცა დედოფლის პოზიცია განსაკუთრებული აღმოჩნდა. ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა 70-იანი წლების შუა პერიოდში, როდესაც დაიძაბა ურთიერთობა ბრიტანეთსა და უგანდას შორის.

უგანდის დიქტატორის ბრძანებით დაიჭირეს ბრიტანელი მასნავლებელი ჰილზი, რომელსაც სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით საქმეში ჩაერთო ჯერ ბრიტანეთის საელჩო, ხოლო შემდეგ მთავრობა, მაგრამ პრობლემა გადაუჭრელი დარჩა, მხოლოდ დედოფლის პირადი ჩარევის შემდეგ ყინული ადგილიდან დაიძრა და კრიზისიც მოწესრიგდა.

მისი უდიდებულესობა ელისაბედ II და სამეფო ოჯახის სხვა წევრები მონაწილეობას იღებენ 1965 წელს ლონდონში გამართულ ორ უდიდეს საერთო ეროვნულ ზეიმში, როცა ქვეყანამ აღნიშნა პარლამენტის არსებობის 700 და უესთმინსთერის სააბათოს დაარსების 900 წლისთავი.

ქვეყანაში განსაკუთრებულად აღინიშნა პარლამენტის — დემოკრატიის აკვანის ამ მართლაც რომ უნიკალური ორგანოს შვიდასწლიანი იუბილე.

1265 წლიდან მოყოლებული, როდესაც სიმონ დე მონფორმა პირველად მოიწვია პარლამენტი (რომელიც ითვლება თემთა პალატის დაარსების თარიღად) იგი უკომპრომისო ბრძოლას ანარმოებდა მონარქის აბსოლუტური ხელისუფლების წინააღმდეგ, რათა დემოკრატიული მმართველობის პრინციპები დაენერგა ქვეყნის მართვა-გამგეობაში. მოგვიანებით სწორედ პარლამენტი გახდა დემოკრატიის სამჭედლო და მსოფლიოს არა ერთი ქვეყნის დემოკრატიული გზის მაჩვენებელი.

ელისაბედ II, როგორც მონარქმა და სახელმწიფოს მეთაურმა სპეციალური სიტყვით მიმართა პარლამენტის ორივე პალატის წევრებს ისტორიულ უესთმინსთერის ჰოლში. დღესაც ბრიტანეთის პარლამენტის შენობა — უესთმინსთერის სასახლე სამეფო სასახლეა, სადაც ლორდთა პალატაში დგას ქვეყნის უმთავრესი სამეფო ტახტი, საიდანაც დედოფალი კითხულობს სეფე სიტყვას პარლამენტის ახალი სესიის გახსნის დროს.

უესთმინსთერის სააბათო, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო „სამეფო" შენობაა მთელს ქვეყანაში, რომელიც არა ერთი მნიშვნელოვანი მოვლენით არის დაკავშირებული ქვეყნის სამეფო ოჯახების ისტორიასთან თუ თანამედროვეობასთან და, ბუნებრივია, სააბათოს საიუბილეო დღეების აღნიშვნისას განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო ქვეყნის პირველი ოჯახი. დღეისათვის სააბათოში განისვენებს ბრიტანეთის 16 მონარქი დაწყებული უილიამ I-დან. ინგლისის და ბრიტანეთის ყველა მონარქის გვირგვინი სწორედ უესთმინსთერის სააბათოში დაადგეს თავზე. აქ დგას ბრიტანეთის მონარქების საკორონაციო სკამი, რომელიც შეიქმნა მეფე ედუარდ I (1272-1307 წწ.) ბრძანებით. სწორედ ამ სკამში იყო მოთავსებული შოტლანდიის მონარქების სიმბოლო სქონის ქვა, რომელიც ედუარდ I-მა 1296 წელს წამოიღო შოტ-

ლანდიიდან. სქონის ქვა 1996 წლამდე იყო უესთმინსთერში. საა-ბათო მჭიდროდ არის დაკავშირებული დღევანდელ სამეფო ოჯახ-თანაც. სწორედ აქ გაიმართა დედოფალ ელისაბედ II მეფედ კურთხევის ცერემონიალი; მისი მშობლების, მისი და მისი შვილების ჯვრისწერისა და მისი და ედინბურგის ჰერცოგის ქორწინების ოქროს იუბილესადმი მიძღვნილი ცერემონიალები. აქ გადაუხადეს პანაშვიდი უელსის პრინცესას (1997 წ.) და დედა დედოფალს (2002 წ.).

1965 წლის მაისში დედოფალი და ედინბურგის ჰერცოგი 11-დღიანი ვიზიტით ეწვივნენ გაყოფილ გერმანიას. ეს იყო ბრიტა-ნეთის მონარქის პირველი ვიზიტი ამ ქვეყანაში 1914 წლის შემდეგ, როცა ჯორჯ V და დედოფალი მერი ვიზიტით იმყოფებოდნენ იმ-პერატორ ვილჰელმ II-ის მინვევით. დედოფალი ეწვია დასავლეთ ბერლინს, სადაც თავისი თვალით ნახა ომისშემდგომი ევროპის გაყოფის სიმბოლოდ ქცეული ბერლინის კედელი. აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთის სამეფო ოჯახი სისხლით ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა გერმანიის იმპერატორის ოჯახთან. დედოფლის წინაპარი ჯორჯ I სწორედ ჰანოვერიდან ჩამოვიდა ბრიტანეთში. აღნიშნული წლის 11 ივნისს ელისაბედ II სახელგანთქმული „ბითლზების“ წევრები დააჯილდოვა ქვეყნის ერთ-ერთი უმაღ-ლესი ჯილდოთი — ბრიტანეთის იმპერიის ორდენით, თუმცა 4 წლის შემდეგ ანსამბლის ერთ-ერთმა წევრნა, ლენონმა, ორდენი დედოფალს უკან დაუბრუნა ვოშინგთონისადმი ლონდონის მხარ-დაჭერისათვის ვიეტნამის ომთან დაკავშირებით.

დედოფალი მეფობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენის მომსწრე ყოფილა, მათ შორის 1966 წლის ივლისი, ალბათ, განსაკუთრებული იყო. ამ პერიოდში ინგლისი მანსპინძლობდა მსოფლიოს მერვე ჩემპიონატს ფეხბურთში, რომლის ფინალურ მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გერმანიისა და ინგლისის ეროვნული ნაკრე-ბები. შეხვედრა ინგლისელთა გამარჯვებით 4:2 დამთავრდა. ინგ-ლისის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. უემბლიზე ასი ათასი მაყურებლის წინაშე კი მისმა უდიდებულესობამ გამარ-ჯვების თასი გადასცა ინგლისის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანს, ბობი მურს. ეს იყო ეროვნული სიამაყის დაუვიწყარი წუთები მთელი ქვეყნისათვის და მ.შ., რა თქმა უნდა, თავად დედოფლისთ-ვისაც.

60-იანი წლების შუა პერიოდში გარკვეულად გათბა ურთიერ-თობა სამეფო ოჯახსა და უინძორის ჰერცოგს შორის. უკანასკნელი აშშ-ში ყოფნის დროს იღებს დედოფლის მისალოც წერილს, სადაც მისი უდიდებულესობა გულთბილად ულოცავს ბიძამისს დაბადე-ბის 70 წლისთავს. 1967 წლის 7 ივნისს კი უინძორის ჰერცოგი და

მისი მეუღლე პირველად ხვდებიან მის უდიდებულესობას ელისაბედ II-ს და დედამისს საზოგადოების წინაშე, 1936 წლის ცნობილი მოვლენების შემდგომ. დედოფალმა ყოფილი მეფე მეუღლითურთ მიიწვია ლონდონში ბებიამისის — დედოფალ მერისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად.

ტრავმირებული იყო ელისაბედ II 1966 წლის 21 ოქტომბერს უელსში, აბერვენსში დატრიალებული ტრაგედიით, როცა მაღაროს ჩაქცევამ თან ჩაიყოლა სკოლის შენობა, რომლის დროსაც დაიღუპა 130 მოსწავლე. ერთი წლის შემდეგ დედოფალი მოწმეა პირველი კრიზისისა სამეფო ოჯახში, მისი მამიდაშვილის ჰერვუდის გრაფის განქორწინებასთან დაკავშირებით. გრაფი დაიბადა 1923 წელს. მან განათლება მიიღო ჯერ სახელგანთქმულ ითონში, ხოლო შემდეგ ქემბრიჯში, ქინგზ კოლეჯში,[1] იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის ფრონტზე. საქვეყნოდ არის ცნობილი მისი დაინტერესება მუსიკით, გარკვეული პერიოდის მანძილზე იგი მსოფლიოში სახელგანთქმული საოპერო თეატრის „ქოვენთ გარდენის" დირექტორიც კი იყო. ინტერესს არ აკლებდა ასევე სპორტს. 1963-72 წლებში იგი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი იყო. 1949 წელს გრაფი დაქორწინდა პიანისტ მარია დონათა სთეინზე, რომელთანაც 3 ვაჟი შეეძინა, მაგრამ მან ვერ შეძლო თავისი დიდი ოჯახის შენარჩუნება და 1967 წელს დედოფალს თანხმობა სთხოვა განქორწინებაზე. მოგვიანებით გრაფი დაქორწინდა ავსტრალიელ ფათრისია თაქუელზე, რომელთანაც შეეძინა ერთი ვაჟი (ეს ვაჟი გრაფს შეეძინა პირველ მეუღლესთან განქორწინებამდე 3 წლით ადრე, რამაც სერიოზული სკანდალი გამოიწვია საზოგადოებაში). მათი ქორწინება საზღვარგარეთ შედგა. დედოფალი მასზე ძლიერ განაწყენებული იყო და გარკვეული პერიოდი ხმასაც კი არ სცემდა გრაფს. გრაფი არ მოინვიეს ედუარდ VIII-ის დაკრძალვის ცერემონიალზე.

1967 წლის 7 ივლისს მისმა უდიდებულესობამ რაინდის ტიტული უბოძა 65 წლის ფრანსის ჩიჩესთერს, ადამიანს, რომელმაც პატარა გემით „Cypsy Moth IV", მარტომ იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო 226 დღის მანძილზე და დაფარა 29600 მილი.

დედოფლისათვის განსაკუთრებული პატივი იყო თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი სამგზავრო გემის, „დედოფალ ელისაბედ II" წყალში ჩაშვება ქლაიდბენქზე. უდიდესი სულიერი ტრავმა მოუტანა დედოფალს მისი ავსტრალიელი პრემიერ-მინისტრის, ჰაროლდ ჰოლთის დახრჩობამ. გასვენების ცერემონი-

---

[1] *დაარსდა 1441 წ.*

ალზე დედოფალს წარმოადგენდა ტახტის მემკვიდრე, პრინცი ჩარლზი.

ლონდონში მისმა უდიდებულესობამ უმაღლეს დონეზე მიიღო მისი უდიდებულესობა საუდის არაბეთის მეფე ფეისალი. ლონდონშიც და ერ-რიადშიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ მეფის ბრიტანეთში ვიზიტს. საუდის არაბეთი გაერთიანებული სამეფოსათვის არა მარტო მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი, არამედ, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, სერიოზული მოკავშირე ქვეყანაცაა. ამ სამეფო ვიზიტის დროს მეფემ დედოფალს საჩუქრად გადასცა ამერიკელი იუველირის ჰენრი უინსთონის მიერ გაკეთებული ბრილიანტის ბრნყინვალე ყელსაბამი, რომელიც შეფასებულია 760 ათას დოლარად. დედოფალს ყელსაბამი პირველად ეკეთა მეფის ვიზიტის დასასრულის წინა საღამოს დოჩესტერის სასტუმროში ბანკეტზე, რომელიც საუდის არაბეთის მხარემ მოაწყო დედოფლის პატივსაცემად.

ზაფხულში დედოფალი მეუღლითურთ სტუმრობდა კანადას, ქვეყნის კონფედერაციის საუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით. მონრეალში მან საზეიმო ვითარებაში გახსნა ექსპო-67. სამეფო წყვილის ვიზიტი ამჯერად საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე მიმდინარეობდა, რაც უპირველესად დაკავშირებული იყო ქვებექის პრობლემებთან. საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა მონრეალის რატუშიდან ათასობით ქვებექელს დამოუკიდებლობისაკენ მოუწოდა. „გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქვებექს“ — ასეთი ლოზუნგით მიმართა საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურმა ფრანგულენოვანი კანადის მოსახლეობას. ბუნებრივია, ასეთი გამოსვლა კანადის ხელისუფლებამ ქვეყნის ერთიანობის წინააღმდეგ და მის საშინაო საქმეებში ჩარევად მიიჩნია. ამ გამოსვლის შემდეგ დე გოლმა შეწყვიტა ვიზიტი კანადაში, ყოველივემ კი გაართულა ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის. აღნიშნულმა სიტუაციამ მისი უდიდებულესობის ნყრომა გამოინვია.

1967 წლის 31 ოქტომბერს ელისაბედ II-ის მეფობის პერიოდში პირველად პარლამენტის ახალი სესიის გახსნის ცერემონიალს დაესწრნენ ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე პრინცი ჩარლზი და პრინცესა ანა.

1969 წლის პირველ ივლისს, უნივერსიტეტის დამთავრებამდე 1 წლით ადრე, 21 წლის ასაკში დედოფალმა უელსის პრინცის ტიტული უბოძა თავის მემკვიდრეს, პრინც ჩარლზს. მას შემდეგ, რაც მეფე ედუარდ I-მა 1301 წელს თავისი მცირეწლოვანი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე (შემდგომში მეფე ედუარდ II) ქარნარვონის ციხესიმაგრეში, ჩრდილოეთ უელსი, უელსის პრინცად გამოაცხადა, ბრიტანეთის ყველა მემკვიდრეობის ხაზით ნომერ

პირველი მემკვიდრე ამ ტიტულს იღებს. 1969 წელს კი დადგა პრინც ჩარლზის, დედოფალ ელისაბედ II და ედინბურგის ჰერცოგის ეაუის ჯერიც, ტიტულის მინიჭების ცერემონიალი მოეწყო ქარნარვონის ციხე-სიმაგრეში და ეს ცერემონიალი XX საუკუნეში რიგით მეორე იყო (პირველი ჩატარდა 1911 წელს, როცა ტიტული გადაეცა მეფე ჯორჯ V-ის ვაუს, მომავალში მეფე ედუარდ VIII-ს). ცერემონიალი განსაკუთრებული პომპეზურობით ჩატარდა, რომლის ღირებულებაც 252 ათასი ფუნტი დაჯდა. პრინცს ტანთ ემოსა უელსის სამეფო პოლკის ცისფერი ფორმა, მან სამჯერ დაუხარა თავი დედოფალს და მუხლებზე დაიჩოქა მის წინაშე. დედოფალმა კი თავისი მეუღლის და იქ მყოფი სტუმრების წინაშე თავზე დაადგა თავის უფროს ვაუს ოქროს გვირგვინი. შემდგომ პრინცმა ინგლისურ ენაზე დადო ფიცი დედოფლისა და უელსელი ხალხის წინაშე, რომელიც მოგვიანებით უელსურ ენაზე წარმოთქვა და რითაც უელსელი ხალხის უდიდესი კმაყოფილება გამოიწვია. ხალხი გააოცა იმან, რომ პრინცმა სულ რამდენიმე თვეში შეისწავლა ეს საკმაოდ რთული ენა. ცერემონიალს, რომელიც გრაფ სნიუდონის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, ტელევიზიის საშუალებით თვალყურს ადევნებდა 200 მილიონზე მეტი ადამიანი. აღსანიშნავია, რომ ჩარლზისათვის ამ ტიტულის ბოძებამ სერიოზული ნაციონალური აფეთქება გამოიწვია თავად უელსში. ამ მოვლენის საპროტესტოდ 15-ჯერ აფეთქდა ბომბი. იყო მცდელობა ჩარლზის მდინარე დინზე აფეთქებისა და ა.შ.

1969 წლის ზაფხულში ბრიტანეთის 40-მილიონიანმა აუდიტორიამ პირველად იხილა სატელევიზიო ფილმი „სამეფო ოჯახი". მილიონობით ტელემაყურებელმა თავისი თვალით ნახა მედლის მეორე მხარე. ოფიციალური მხარის გარდა წარმოჩინდა სამეფო ოჯახის წევრთა ჩვეულებრივი ადამიანური პოზიციებიც. მაყურებელმა თვალი შეავლო ხუმარა, მომლიმარ, აბსოლუტურად ბუნებრივ სიტუაციაში მყოფ სახელგანთქმულ პიროვნებას. ტელესერიალმა ქვეყნის მოსახლეობის კმაყოფილება გამოიწვია.

1971 წლის შემოდგომაზე ლონდონს ოფიციალური ვიზიტით ეწვივნენ იაპონიის საიმპერატორო კარის უმაღლესი პირები — იმპერატორი ჰიროჰიტო და მისი მეუღლე. იაპონიის იმპერატორის სახლი უძველესი სამეფო ოჯახია მთელს მონარქიულ სამყაროში. იმპერატორი ჰიროჰიტო ტახტზე ავიდა 1926 წელს, იმავე წელს, რომელ წელსაც დაიბადა დედოფალი ელისაბედ II. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი სათავეში ედგა ქვეყანას, რომელიც აგრესიულ სამხედრო-პოლიტიკურ კურსს ატარებდა. ომის შემდეგ დღის წესრიგში დადგა საერთოდ მონარქის ინსტიტუტის ლიკვიდაციის საკითხი, მაგრამ აშშ-ის ხელისუფლებამ არ სცნო იმპერატორი სამხედრო დამნაშავედ და მას ტახტი შეუნარჩუნა. მოხდა

მონარქიის დემოკრატიზაცია, ჰიროჰიტომ თავად უარყო თავისი ღვთაებრივი წარმოშობა. 70 წლის იმპერატორს ვიქთორიას სადგურში შეეგება მისი უდიდებულესობა. როდესაც სამეფო კორტეჟი ბაქინჰემის სასახლისაკენ მიდიოდა, ათასობით იქ მყოფმა ადამიანმა კურიოზული სიჩუმე შეინარჩუნა. დედოფალმა თავის სიტყვაში რომელიც წარმოთქვა ბაქინჰემის სასახლის სამეჯლისო დარბაზში ბანკეტზე აღნიშნა: „ჩვენ არ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ არ იყო წარსული", „ჩვენ არ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ჩვენ ხალხებს შორის ურთიერთობა ყოველთვის მშვიდობიანი და მეგობრული იყო".

პრესის გარკვეულმა ნაწილმა საერთოდ გაილაშქრა ვიზიტის წინააღმდეგ, ხოლო იაპონიის ციხეებში მყოფმა ომის ვეტერანებმა ბრიტანელ მყიდველს მოუნოდეს ბოიკოტი გამოეცხადებინათ იაპონური საქონლისათვის.

სერიოზული ავადმყოფობის შემდეგ საფრანგეთში, პარიზში, 1972 წლის 28 მაისს, 77 წლის ასაკში გარდაიცვალა დედოფლის ბიძა, უინძორის ჰერცოგი (მეფე ედუარდ VIII). მისი ცხედარი 31 მაისს ჩამოასვენეს სამეფოში. ორი დღის მანძილზე უინძორის წმინდა ჯორჯის ეკლესიაში გრძელდებოდა სამოქალაქო პანაშვიდი. 5 ივნისს ნეშტი დაკრძალულ იქნა ფროგმორში (უინძორი). დაკრძალვის ცერემონიალის პერიოდში ბაქინჰემის სასახლეს ენვია უინძორის ჰერცოგის ქვრივი, 75 წლის უოლის სიმპსონი, უინძორის ჰერცოგინია.

ერთი თვის შემდეგ, ივლისში, დაქორწინდა დედოფლის ბიძაშვილი, ამჯერად გლოსთერების შტოს წარმომადგენელი, მეფე ჯორჯ V-ის ვაჟის, ჰენრი გლოსთერის მეორე ვაჟი, რიჩარდი. იგი დაქორწინდა დანიური წარმოშობის ბირგითა ვან დეირზე, რომელიც გათხოვებამდე მუშაობდა ლონდონში, დანიის სამეფოს საელჩოში. მათი ქორწინება არ იყო ისეთი პომპეზური, როგორიც სამეფო ოჯახის სხვა წევრებისა. ჯვრისწერა მოეწყო ბერნუელში, წმინდა ენდრიუს XIII საუკუნეში აგებულ ეკლესიაში. პრინცის მიერ ნაჩუქარი ბეჭედი წარმოადგენდა უჩვეულო ვერცხლის ნაკეთობას ლალის თვლით. საქორწირო ცერემონიალს ესწრებოდნენ: დედა დედოფალი, პრინცესა მარგალითა და პრინცი ჩარლზი.

გლოსთერის ჰერცოგი, რომელმაც თავისი ტიტული მამის სიკვდილის (1974 წ.) შემდეგ მიიღო, დაიბადა 1944 წელს ნორთჰემპთონში და სულ რამდენიმე თვის იყო, როცა იგი წაიყვანეს ავსტრალიაში, სადაც მამამისი გახლდათ კონტინენტის გენერალგუბერნატორი (1945-1947 წწ.). იგი სწავლობს ითონში და შემდეგ ქემბრიჯში, მოდლინ კოლეჯში[1], სადაც ეუფლება არქიტექტურას.

---

[1] *დაარსადა 1542 წ.*

პრინცი ხშირად მონაწილეობს სამეფო ცერემონიალებში და მის უდიდებულესობას წარმოადგენს მრავალ შეხვედრაზე. მაგალითად, იგი დედოფალს წარმოადგენდა ნეპალის ტახტის მემკვიდრის ქორწილში, ხელმძღვანელობს მრავალ ოფიციალურ თუ კერძო ორგანიზაციას. მან გამოუშვა არაერთი წიგნი ფოტოსურათებით. მაგალითად: „ლონდონის სახე" — 1973 წ. და „ოქსფორდი და ქემბრიჯი" — 1980 წ. მისი ძმა, პრინცი უილიამი, თავისი ძმის ქორწინებიდან ორი თვის შემდეგ ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ქორწინების შედეგად გლოსთერებს შეეძინათ 3 შვილი, ალექსანდრე ოლსთერის გრაფი (დაიბადა 1974 წ.), რომელიც 2002 წ. ივნისში დაქორწინდა ქლეა ბუთზე, ლედი დავინა უინძორი (დაიბადა 1977 წ.) და ლედი როუზ უინძორი (დაიბადა 1980 წ.). ჰერცოგი და მისი ოჯახი ცხოვრობს ქენსინგთონის სასახლეში.

1972 წლის 20 ნოემბერს დედოფალმა და მისმა მეუღლემ აღნიშნეს ქორწინების ვერცხლის იუბილე — 25 წლისთავი. ამ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით ლონდონში, უესთმინსთერის სააბათოში მოეწყო სამადლობელი წირვა, რომლის შემდეგაც გაიმართა ბანკეტი სითის გილდჰოლში, სადაც ელისაბედ II-მ აღნიშნა „თუ მე შემეკითხებიან დღეს, რას ვფიქრობ ოჯახურ ცხოვრებაზე 25 წლის ქორწინების შემდეგ, მე შემიძლია ვუპასუხო გულუბრყვილოდ და დარწმუნებულად, მე მას ვემხრობი".

1970-1974 წლებში ქვეყანას მართავდნენ კონსერვატორები, რომელთაც სათავეში ედგა ედუარდ ჰითი და რომლის ძალისხმევითაც ბრიტანეთმა გადადგა ისტორიული ნაბიჯი და გახდა „საერთო ბაზრის" წევრი დანიის სამეფოსთან და ირლანდიასთან ერთად. ამ ისტორიულ მომენტთან დაკავშირებით ელისაბედ II და ედინბურგის ჰერცოგი აწყობენ ვიზიტს საფრანგეთში, პარიზში, პრეზიდენტ ჟორჟ პომპიდუს მიწვევით. განსაკუთრებული პომპეზურობით მოეწყო სამეფო წყვილის ვიზიტი მეზობელ ქვეყანაში. ეს იყო ბრიტანეთის მთავრობის წარმატებულად დაგვირგვინებული პოლიტიკური მანევრირების კულმინაცია. ბრწყინვალედ გამოიყურებოდა ვერსალის სასახლეში გამართულ სამეფო ბანკეტზე მისი უდიდებულესობა. მას ტანთ ემოსა ემისის შეკერილი მარგალიტებით მორთული ვარდისფერი კაბა, ხოლო თავს უმშვენებდა ვლადიმირის დიდი ჰერცოგინის რუსული თეარა მარგალიტებით, ეკეთა დედოფალ ვიქთორიას ოქროს საიუბილეო ბრილიანტებიანი და მარგალიტებიანი ყელსაბამი, ასევე დედოფალ მერის ნაჩუქარი საყურეები. ვიზიტმა ტრიუმფალურად ჩაიარა.

სამეფომ დაიკავა თავისი ადგილი ევროპაში და, აქედან გამომდინარე, მსოფლიოშიც, რა თქმა უნდა, აშშ-თან და თანამეგობრობის ქვეყნებთან ტრადიციული კავშირების შენარჩუნებით, მაგრამ, როგორც ჩანს, მონარქი ევროპასთან განსაკუთრებულად

მჭიდრი კავშირების მომხრე არ არის. თავისი ეს პოზიცია მან საქვეყნოდ, დელიკატური ფორმით გამოხატა, გამოიყენა რა ამ მიზნით თავისი მიმართვა შობა დღეს ქვეყნისა და თანამეგორობის მოსახლეობისათვის. დედოფალმა აღნიშნა: „ინგლისის კავშირები საერთო ბაზასთან ვერ შეცვლის ჩვენს ისტორიულ და პირად სიახლოვეს ჩვენს მეგობარ და მონათესავე ქვეყნებთან საზღვარგარეთ". ასე გააგებინა თავისი პოზიცია მისმა უდიდებულესობამ თანამეგობრობის მოსახლეობას.

1974 წელს ბრიტანეთში ორჯერ მოეწყო საყოველთაო საპარლამენტო არჩევნები. მარტის არჩევნებმა მნიშვნელოვანი უპირატესობა არცერთ პარტიას არ მოუტანა. ედუარდ ჰითის მცდელობა — შეექმნა ლიბერალებთან ერთად კოალიციური მთავრობა, უშედეგოდ დამთავრდა, დედოფალმა კი მთავრობის ჩამოყალიბება ჰაროლდ უილსონს დაავალა, რომელმაც შექმნა ელისაბედ II მეფობის პერიოდში მეორე ლეიბორისტული მთავრობა, რომელსაც 3 წლის შემდეგ სათავეში ჩაუდგა ჯეიმს ქალაგენი. ოქტომბერში გამართულ არჩევნებში, ამჯერად დამაჯერებელი უმრავლესობით, გამარჯვება კვლავ ლეიბორისტებს დარჩათ. მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა 1975 წელს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, გაერთიანებული სამეფოს უდიდეს პოლიტიკურ ძალას, კონსერვატორულ პარტიას, სათავეში ჩაუდგა პირველი ქალი—ლიდერი მარგარეთ თეთჩერი, რომლის ხელმძღვანელობითაც 1979 წლის მაისში თორებმა უესთმინსთერში გამართულ არგეევნებში ბრნყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს, ხოლო 4 მაისს მისმა უდიდებულესობამ დანიშნა ქვეყნის და ევროპის ისტორიაში პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი მარგარეთ თეთჩერი, რომელიც თერთმეტნახევარი წელი მართავდა ქვეყანას და რომლის ხელმძღვანელობითაც კონსერვატორებმა სამ საყოველთაო არჩევნებში (1979 წ., 1983 წ., 1987 წ.) მიაღწიეს გამარჯვებას.

1972 წელს ელისაბედ II მეუღლითურთ ჩადის იუგოსლავიაში. ეს ვიზიტი იყო ბრიტანეთის მონარქის პირველი ვიზიტი კომუნისტურ ქვეყანაში. დედოფალი შეხვდა იუგოსლავიის პრეზიდენტს ბროს ტიტოს. ერთი წლის შემდეგ კი მისი უდიდებულესობა ეწვია ავსტრალიას, 23 ოქტომბერს 15 ათასიანი სტუმრის თანდასწრებით მან საზეიმო ვითარებაში გახსნა მსოფლიოში სახელგანთქმული სიდნეის ოპერის შენობა, რომლის არქიტექტორი იყო დანიელი არქიტექტორი უტცონი. საღამოს კი შესრულდა პროკოფიევის ოპერა „ომი და მშვიდობა". პრემიერას დაესწრო დედოფალი, ავსტრალიის პრემიერ-მინისტრი რობერთ ასქინი და ავსტრალიის საზოგადოების ელიტის წარმომადგენლები.

უდიდეს სიხარულს ჰგვრიდა დედოფალს და მის მეუღლეს მათი ერთადერთი ქალიშვილის, პრინცესა ანას სპორტული წარ-

მატებები. 1971 წელს პრინცესა გახდა ევროპის ჩემპიონი საცხენოსნო სპორტში, იგი მონაწილეობდა „უემბლის" სტადიონზე მოწყობილ საჩვენებელ გამოსვლებში. ანა გამოცხადებულ იქნა „ბი-ბი-სის სპორტის საუკუთესო პიროვნებად" და 1971 წელს დასახელებულ იქნა ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად, ხუთი წლის შემდეგ კი იგი გახდა ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრთა შორის პირველი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებში. მისი უდიდებულესობა ტრავმირებული იყო, როცა შეიტყო ინფორმაცია პრინცესა ანაზე თავდასხმის შესახებ, ამ დროს დედოფალი ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა ინდონეზიაში, ჯაკარტაში. დედოფალს ვიზიტი არ შეუწყვეტია.

პრინცესა ანას ნიშნობა მარქ ფილიპსზე გამოცხადდა 1973 წლის 29 მაისს, ხოლო საქორწილო ცერემონიალი კი შედგა აღნიშნული წლის 14 ნოემბერს. ზუსტად იმ დღეს დედოფლის უფროს ვაუს, ჩარლზს, შეუსრულდა 25 წელი. ქორწინების დღეს პრინცესა გახლდათ 23 წლის, ხოლო მისი გულისნორი — 25. ქალიშვილის ქორწინებაზე დედოფალმა ლონდონში მოიწვია 1800 სტუმარი მსოფლიოს მრავალი კუთხიდან, მ.შ. 25 სამეფო ოჯახის ნარმომადგენელი. მისი მეჯვარე გახლდათ მისივე დეიდაშვილი ლედი სარა ამსტრონგ ჯონსი. პატარძლის საქორწინო კაბა ძვლისფერი აბრეშუმისაგან შეკერა მაურინ ბეიქერმა. თაფლობის თვე ახლადდაქორწინებულებმა გაატარეს ჯერ რიჩმონდის პარკში, თეთრ ჰაუს ლოჯში, ხოლო შემდეგ კუნძულ ბარბადოსზე. საქორწინო ტორტი ინონიდა 66 კილოს. ჯვრისწერის ცერემონიალს უესთმინსთერის სააბათოდან ტელევიზიის საშუალებით თვალყურს ადევნებდა 530 მილიონზე მეტი ადამიანი. დედოფლის საქორწილო საჩუქარი პრინცესა ანასა და მისი მეუღლისათვის წარმოადგენდა გეთქომბ პარკს. სახლი აშენდა 1770 წელს ბათის ქვით. იგი მოიცავს 5 ძირითად სანოლ ოთახს, 4 მეორად სანოლ ოთახს, 4 მისაღებ ოთახს, ბიბლიოთეკას, საბილიარდოს და ასევე ოთახებს მსახურთათვის. მამული მოიცავს 730 აკრს, საიდანაც 200 აკრი უკავია ტყეს.

პრინცესა ანა დაიბადა 1950 წლის 15 აგვისტოს ქლერენსის სასახლეში, ლონდონში. 21 ოქტომბერს იგი მონათლული იქნა იორქის არქიეპისკოპოსის დოქტორ ქირილ გარბეთის მიერ ბაქინჰემის სასახლეში. მისი ნათლობის სახელია ანა ელისაბედ ალისა ლუიზა. დაწყებითი განათლება პრინცესამ სასახლეში მიიღო, შემდეგ კი გაემგზავრა საფრანგეთში. იგი გახლდათ სამეფო ოჯახის პირველი ქალიშვილი, რომელიც სწავლობდა დახურულ სკოლაში — ბენენდენის[1] სკოლაში, ქენთში. 18 წლის ასაკში პრინცესა და-

[1] დაარსდა 1923 წელს

მოუკიდებლად მონაწილეობს მთელ რიგ ცერემონიალებში, მას უკვე ხშირად ხედავენ დედოფალთან და პრინც ფილიპთან ერთად. იგი 1969 წლის მაისში პირველად ახლდა მშობლებს საზღვარგარეთ — ავსტრიაში. პრინცესა ანა სამეფო ოჯახის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წევრია, რომელიც არაერთი ორგანიზაციის პრეზიდენტი და ხელმძღვანელია. მას წელიწადში 500-ზე მეტ სხვადასხვა სახის ღონისძიებაში უწევს მონაწილეობის მიღება. 1981 წლიდან მისი სამეფო უმაღლესობა გახლდათ ლონდონის უნივერსიტეტის კანცლერი, 1970 წლიდან იგი სათავეში უდგას ბავშვთა დახმარების ფონდს, გამომდინარე ამ თანამდებობიდან იგი ბევრს მოგზაურობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. პრინცესა არის ბრიტანეთის კინოსა და ტელეხელოვნების აკადემიის პრეზიდენტი, მამამისისაგან მან მიიღო საერთაშორისო საცხენოსნო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი, იგი ასევე ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის პრეზიდენტია.

ქორწინების შედეგად პრინცესა ანას და მარკ ფილიპს შეეძინათ ორი შვილი. 1977 წლის 15 ნოემბერს ქვეყანას მოევლინა პრინცესას უფროსი შვილი, ელისაბედ II-ს უფროსი შვილიშვილი პიტერ მარკ ენდრიუ ფილიპსი. იგი დაიბადა წმინდა მერის საავადმყოფოში. მისი ნათლობა მოეწყო ბაქინჰემის სასახლის მუსიკალურ ოთახში, ქენთერბერის არქიეპისკოპოსის მიერ. 1981 წლის 15 მაისს დაიბადა პრინცესას მეორე შვილი ზარა ანა ელისაბედი. მისი ნათლობა მოეწყო უინძორის ციხე-სიმაგრის სამლოცველოში უინძორის წინამძღვრის მიერ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დედოფლის ვიზიტი 1976 წელს აშშ-ში, ქვეყნის დამოუკიდებლობის 200 წლისთავის წელს. ეს იყო ბრიტანეთ-ამერიკის განსაკუთრებული ურთიერთობის გამომხატველი ვიზიტი, სწორედ ორი საუკუნის უკან თავისუფლების მოყვარულმა ხალხმა ბრძოლით მოიპოვა დამოუკიდებლობა და უარი უთხრა ბრიტანულ მმართველობას. დედოფლის ვიზიტი დაიწყო სამეფო იახტის, „ბრიტანიას", ფილადელფიის ნაპირებთან გამოჩენით. სწორედ ეს ქალაქი გახდა ვიზიტის მარშრუტის პირველი პუნქტი. ქალაქი, სადაც 1776 წელს გამოცხადდა აშშ-ს ეროვნული დამოუკიდებლობა. დაადგა რა ფეხი ამერიკის მიწას, დედოფალმა მიმართა ამერიკას: „მე მოგმართავთ თქვენ, როგორც ჯორჯ III-ის პირდაპირი შთამომავალი,... ის იყო ბოლო მონარქი, რომელიც მართავდა ამ ქვეყანას". დედოფალმა მოინახულა ცნობილი დამოუკიდებლობის ზარი, რომელიც დამზადდა პენსილვანიის კოლონიის ანსამბლეისათვის 1752 წელს. იგი დღეს გაბზარულია. დედოფალმა ფილადელფიას გადასცა ახალი 6-ტონიანი ზარი, რომელიც დამზადებულია, მსგავსად მისი წინამორბედისა, ლონდონში. შემდგომ ვიზიტი გაგრძელდა ვოშ-

ინგთონში. თეთრი სახლის ეზოში დედოფალს და მის მეუღლეს შეეგება პრეზიდენტი ფორდი, რომელმაც იმ საღამოს სამეფო ბანკეტი მოაწყო ელისაბედ II-ის პატივსაცემად. სუფრას უსხდა 224 უმაღლესი დონის სტუმარი, მათ შორის იყვნენ დედოფლის საყვარელი მსახიობებიც: ქერი გრენთი, თელი სელვოლესი, ელისთერ ქუქი, მერლი ობერონი. ამ საღამოს დედოფალს ტანთ ემოსა ყვითელი კაბა, ძვირფასი ქვებით მორთული, თავზე ეხურა დედოფალ ალექსანდრას რუსული ბრილიანტების თეარა და სამად ასხმული ბრილიანტების ყელსაბამი. დედოფალი ცეკვავდა პრეზიდენტ ფორდთან და ვიცე-პრეზიდენტ როქფელერთან. შემდგომ პრეზიდენტის პატივსაცემად ბანკეტი მოაწყო დედოფალმა უკვე ბრიტანეთის საელჩოში. წვეულებას 400 სტუმარი ესწრებოდა. შემდგომ ვიზიტი გაგრძელდა ნიუ-იორქსა და ბოსთონში. აშშ-ს შემდეგ ელისაბე II ენვია კანადას, სადაც მან საზეიმო ვითარებაში გახსნა მონრეალის 1976 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები.

განსაკუთრებული იყო ბრიტანეთისა და თანამეგობრობის ხალხებისათვის 1977 წელი. წელი, როდესაც ქვეყანამ და თანამეგობრობამ უდიდესი ცერემონიით აღნიშნეს მისი უდიდებულესობის გამეფების 25 წელი, ვერცხლის იუბილე. ბრიტანეთის ისტორიაში ეს თარიღი აღნიშნა ასევე: ჰენრი I, ჰენრი II, ჰენრი III, ედუარდ I, ედუარდ III, ჰენრი VI, ჰენრი VII, ელისაბედ I, ჯორჯ II, ჯორჯ III, დედოფალმა ვიქტორიამ, ჯორჯ V. ზემოთ ჩამოთვლილი მონარქები მეფობდნენ 25 წელი და მეტიც.

1977 წლის 4 მაისს მისი უდიდებულესობა დედოფალი ელისაბედ II სიტყვით გამოვიდა უესთმინსთერის ჰოლში პარლამენტის ორივე პალატის წევრთა წინაშე, სადაც მან განაცხადა: „მე ჩემი წინაპრების ინგლისის და შოტლანდიის მრავალი მეფისა და დედოფლის, ასევე უელსის პრინცთა მსგავსად, ადვილად მესმის ეს სნრაფვა, მაგრამ ვერ ვივინყებ, რომ მაკურთხეს გაერთიანებული სამეფოს დედოფლად. ალბათ ეს იუბილე ის მომენტია, როცა უნდა გავიხსენოთ ის სიკეთე, რომელიც მოგვანიჭა კავშირმა შინ და გარეთ, საერთაშორისო საქმიანობაში, რომელსაც გაერთიანებული სამეფოს ყოველი ბინადარი გრძნობს".

დედოფლის გამეფების „ვერცხლის იუბილისადმი" მიძღვნილი ტურნე დაინყო გლაზგოდან, სადაც სამეფო ნყვილი მატარებლით ჩავიდა. აქ მათ დახვდა 250 ათასზე მეტი ადამიანი. სპეციალური წირვა გაიმართა გლაზგოს კათედრალში, ხოლო ედინბურგში, ჰოლირუდის სასახლეში მოწყობილ ბაღის წვეულებას 9000 სტუმარი დაესწრო. დედოფალი და მისი მეუღლე ენვივნენ გაერთიანებული სამეფოს თითქმის ყველა კუთხეს. ნარმატებით ჩაიარა ტურნემ თანამეგობრობის ქვეყნებში, რომლის დროსაც მათ 56

ათასი მილი გაიარეს. ისინი სტუმრობდნენ: დასავლეთ სამოას, ფიჯს, ტონგას, პაპუა ახალ გვინეას, ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, ბარბადოსს და კანადას.

განსაკუთრებული დღე იყო 7 ივნისი, როდესაც დედოფალი და ედინბურგის ჰერცოგი ოქროს სახელმწიფო ეტლით (ეტლით, რომელიც გამოყენებულ იქნა დედოფლის მეფედ კურთხევისას, 1953 წელს). ბაქინჰემის სასახლიდან გაემართნენ წმინდა პავლეს ტაძარში სამადლობელო წირვაზე, რომელსაც ქენთერბერის არქიეპისკოპოსი უძღვებოდა. წირვაზე მოწვეული იყო 2700 სტუმარი, მ.შ. უცხოეთის ქვეყნების ლიდერები. ცერემონიალს ტელევიზიის საშუალებით თვალყურს ადევნებდა 500 მილიონზე მეტი ადამიანი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. შემდეგ სამეფო წყვილი ფეხით მიდის გილდჰოლში, სადაც მათ პატივსაცემად სითის ლორდ მერმა მოაწყო საგანგებო ლანჩი. დედოფალმა თავის სიტყვაში მას ასე მიმართა: „ჩემო ლორდ მერო, როდესაც მე ვიყავი 21 წლის, დავიფიცე, რომ ჩემს ცხოვრებას მივუძღვნი ჩემი ხალხის სამსახურს და ღმერთს ვთხოვე, ჩემი აღთქმის აღსრულება. თუმცა მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ არ ვნანობ ჩემს სიტყვებს და ისინი უკან არ მიმაქვს". საღამოს კი სამეფო წყვილი ოჯახთან ერთად მიესალმა ასიათასობით თაყვანისმცემელს ბაქინჰემის სასახლის აივნიდან. ამ დღეს მის უდიდებულესობას ეცვა ჰადი ემისის მიერ შეკერილი ვარდისფერი სამოსი, თავზე ეხურა ქუდი, რომელიც შექმნა ფრედი ფოქსმა, ხოლო მკერდს უმშვენებდა მსოფლიოში სახელგანთქმული უილიამსონის ბრილიანტის გულსაბნევი.

თავი II

25-წლიანი მეფობის აღსანიშნავი საიუბილეო ეიფორიის შემდეგ ბაქინჰემის სასახლე კვლავ სერიოზული პრობლემების წინაშე დადგა დედოფლის ერთადერთი დის, პრინცესა მარგარითას ოჯახურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

არ იყო ბედნიერი პრინცესა მარგარითა თავისი ქორწინებით. ცოლ-ქმრულმა უთანხმოებამ თავი მალე იჩინა მათი ერთად ყოფნის მეორე ათწლეულში. ლორდი სნოუდონი სულ უფრო და უფრო უკმაყოფილო იყო პრინცესასთან ურთიერთობით. როდესაც ისინი მეგობრულ წრეში იმყოფებოდნენ, თითქოსდა მათ კავშირს არაფერი ემუქრებოდა, მათ ხშირად ხედავდნენ რესტორანში, სადაც მღეროდნენ კიდეც, ხვდებოდნენ არტისტებს და ა.შ. მაგრამ როდესაც საქმე ოფიციალურ ცერემონიალებზე მიდგებოდა, რომლის დროსაც, რა თქმა უნდა, ლორდი სნოუდონი შედარებით ჩრდილში იდგა, იგი ღიზიანედებოდა და ვერ ეგუებოდა „მეორის" პოზიციებს. ამავე დროს სნოუდონს უდიდესი სურვილი ჰქონდა გაეგრძელებინა თავისი უსაყვარლესი საქმიანობა — ფოტოგრაფია, მაგრამ ლორდისათვის და ისიც პრინცესა მარგარეთას მეუღლისათვის ეს მიუღებელი იყო. მოგვიანებით სნოუდონი მუშაობას იწყებს გაზეთ „სანდი თაიმს"-ის კორესპონდენტად, რაც მას საშუალებას აძლევს დამოუკიდებელი ცხოვრების არსებობისთვის. ცდილობდა რა უფრო შორს ყოფილიყო მეუღლისგან, იგი უკმაყოფილებას ვერ მალავდა თავისი მეუღლის რობინ დუგლას ჰიუმთან ურთიერთობაზე. რობინი გახლდათ ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვაჟი, ინგლისის ერთ-ერთი უმსხვილესი მინათმფლობელი, რომელიც უზომოდ იყო გატაცებული მუსიკით, სნორედ მუსიკა და ხელოვნება აკავშირებდა მას პრინცესასთან და სხვა არაფერი. პრესას არ გამორჩენია პრინცესას ურთიერთობა ვინმე როდი ლეველინთან, რომელიც პრინცესაზე 17 წლით პატარა იყო. მათ გარკვეული პერიოდი ვესტ-ინდოეთის კუნძულებზეც კი გაატარეს. ყოველივე ამან დაძაბა ისედაც გართულებული ურთიერთლობა მეუღლეებს შორის, ბოლოს პრინცესამ უბრძანა ლორდ სნოუდონს დაეტოვებინა სასახლე. 1976 წლიდან ისინი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. 1978 წლის მაისის გადაწყვეტილებით მათი ქორწინება დასრულდა. ოჯახური კრიზისი უდიდესი დარტყმა იყო პრინცესასათვის, ამბობდნენ, რომ მას თავის მოკვლაც კი უნდოდა. რაც შეეხება მის მეუღლეს, განქორწინებას მისთვის დიდი ტკივილი არ მიუყენებია. ნლის ბოლოს იგი დაქორწინდა ლუსია ლინდსეი-ჰოგზე, რომელთანაც შეეძინა ერთი ქალიშვილი.

მიუხედავად ასეთი ნაბიჯისა, ლორდ სნოუდონს არ შეუწყვეტია ურთიერთობა სამეფო ოჯახთან და თავის შვილებთან.

1978 წელს დაქორწინდა ელისაბედ II-ის კიდევ ერთი ბიძაშვილი, ქენთების ყველაზე უმცროსი წარმომადგენელი, ჯორჯის, ქენთის ჰერცოგის უმცროსი ვაჟი, ედუარდის, ქენთის ჰერცოგისა და პრინცესა ალექსანდრას ძმა. მისი არჩევანი წილად ხვდა დაბადებით ჩეხ კათოლიკეს მარია ქრისთინა რეიბნითზს. მათი ქორწინება მოეწყო ავსტრიის დედაქალაქ ვენაში. ქენთის პრინცი ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრთა შორის პირველი პიროვნებაა უინძორის ჰერცოგის შემდეგ, რომელიც დანორქინდა საზღვარგარეთ. კათოლიკური სარწმუნოების მქონე ქალბატონზე დაქორწინების შემდეგ პრინცმა დაკარგა მემკვიდრეობის ადგილი (იგი იყო მემკვიდრეობის ხაზით 16 ადგილზე), თუმცა ის მის შვილებზე არ გავრცელებულა.

პრინც მაიქლს ქორწინების შედეგად შეეძინა ორი შვილი. 1979 წელს გაჩნდა ფრედერიქი, ორი წლის შემდეგ კი გაბრიელა. პრინცი თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს ქენსინგთონის სასახლეში.

უდიდესი სულიერი დარტყმა იყო დედოფლისათვის გრაფ მაუნთბეთენის, მისი უახლოესი ნათესავის, უეცარი გარდაცვალება. 1979 წლის 27 აგვისტოს გრაფი თავის 14 წლის შვილიშვილთან ერთად ირლანდიის რესპუბლიკური არმიის მიერ აფეთქებული იქნა საკუთარ იახტაზე. გრაფი ბრიტანეთის სამეფო ოჯახის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პიროვნება იყო, რომლის დამსახურება უდიდესია ქვეყნის წინაშე. იგი გახლდათ დედოფალ ვიქტორიას შვილიშვილის შვილი, პრინცესა ვიქტორიასა და ლუის ბათენბერგის, მილფორდ ჰეივენის პირველი მარკიზის მეოთხე შვილი (ედინბურგის ჰერცოგის ბიძა, დედის ძმა). გრაფი მაუნთბეთენი წარმოადგენდა ინდოეთის ბოლო ვიცე-მეფეს და ინდოეთის პირველ გენერალ-გუბერნატორს.

1979 წლის 21 ნოემბერს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მარგარეთ თეთჩერმა სენსაციური ინფორმაცია გააცნო ქვეყნის პარლამენტს მორიგ სხდომაზე. პროფესორი ბლანთი, მისი უდიდებულესობის მრჩეველი და მცველი სურათებისა აღმოჩნდა საბჭოთა ჯაშუში, რომელიც ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე იმყოფებოდა კავშირში საბჭოთა სამსახურებთან. აღსანიშნავია, რომ ბლანთი ახლო ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა ბრიტანეთის სამეფო ოჯახთან, კერძოდ, დედა დედოფლის ოჯახთან. 1945-1952 წლებში ეს პიროვნება გახლდათ მისი უიდეებულესობის მეფე ჯორჯის სურათების მცველი. 1952 წლიდან აღნიშნული ადგილი ეკავა ელისაბედ II-ის კარზე. პრემიერ-მინისტრის გამოსვლის შემდეგ ბაქინჰემის სასახლემ გამოაქვეყნა განცხადება, რომლის ძალითაც ბლანთს ჩამოერთვა რაინდის ტიტული ვიქტორიას

ორდენი. დედოფალი ინფორმირებული იყო ბლანთის სამსახურის შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს, მთავრობის ოფიციალურ პოზიციას ელოდებოდა.

1978 წელს ელისაბედ II ბაქინჰემის სასახლეში იღებს რუმინეთის დიქტატორს ჩაუშესკუს. აღსანიშნავია, რომ დედოფალი ამ შეხვედრის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მას კარგად ჰქონდა შეფასებული პრეზიდენტის პიროვნება და შინაურებში მას მოიხსენიებდა როგორც „საშინელ ადამიანს". დედოფლის ეს პოზიცია მარტო მისი პირადული განწყობილებით როდი იყო გამოწვეული. ჩაუშესკუ გახლდათ ის პიროვნება, რომელიც 1965 წელს სათავეში ჩაუდგა იმ პარტიას, რომელმაც გააუქმა მონარქია რუმინეთში და გააძევა მეფე მიხეილი სამშობლოდან. დედოფალი ჩაუშესკუსთან შეხვედრას დათანხმდა მისი პრემიერის განსაკუთრებული თხოვნის შემდეგ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ამ უმაღლესი დონის შეხვედრას უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა ბრიტანეთისათვის, რომ რუმინეთი მზად იყო შეეძინა ბრიტანული წარმოების თვითმფრინავები და სხვა სახის სამხედრო აღჭურვილობა. ლონდონში ჩაუშესკუ პარიზიდან ჩამოვიდა. სანამ მისი ვიზიტი დაიწყებოდა სამეფოში საფრანგეთის პრეზიდენტის პროტოკოლის ხელმძღვანელმა დარეკა ლონდონში და გააფრთხილა ინგლისური მხარე იმის თაობაზე, რომ ლონდონში მომავალი სტუმარი ქურდია, რომ რუმინეთის პრეზიდენტმა პარიზში, მარინიის სასახლეში, სადაც იგი თავის მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა, მოიპარა რამდენიმე მილიონი ფრანკის ფასეულობის საქონელი. ჟისკარ დ'ესტენმა მეზობლურად გააფრთხილა ელისაბედ II, რომ მისი მომავალი სტუმარი „საშიში სტუმარია". როდესაც ჩაუშესკუ და მისი მეუღლე ბაქინჰემის სასახლეში ცხოვრობდნენ, დაცვა მათ თვალს არ აშორებდა და ოთახებში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ ძვირფასეულობა საგულდაგულოდ ჩაკეტეს. ვიზიტის დროს მისმა უდიდებულესობამ ქვეყნის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდო გადასცა ჩაუშესკუს, ამ უკანასკნელმა კი სოციალისტური რუმინეთის ორდენი, „ვარსკვლავი" გადასცა დედოფალს. მოგვიანებით ელისაბედ II-მ, რუმინეთში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოაშკარავებასთან დაკავშირებით, ჩაუშესკუს ჩამოართვა რაინდის ტიტული, თავად კი უკან დაუბრუნა რუმინეთის უმაღლესი ჯილდო.

1979 წელს ელისაბედ II აწყობს ორ უმნიშვნელოვანეს ვიზიტს საზღვარგარეთ. თებერვალში იგი ეწვია სპარსეთის ყურის ქვეყნებს: საუდის არაბეთს, ქუვეითს, კატარს, ომანს და არაბთა გაერთიანებულ ემირატებს. დედოფლის ამ „ჩასვლამ" განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სამეფოსა და სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში. ბრიტანეთი, რომელიც

„ნავიდა" ამ რეგიონიდან XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში კვლავინდებურად დიდ ყურადღებას უთმობს რეგიონის ქვეყნებთან როგორც პოლიტიკურ, ასევე სამხედრო-ეკონომიკურ კავშირებს. მისი უდიდებულესობა შეხვდა საუდის არაბეთის მეფე ჰალედს, ქუვეითის ემირს ჯაბერ ალ-აჰმედს, ომანის სულთანს ქაბუსს, ბაჰრეინის ემირს, შეიხ ისა ბენ სალმან ალ ჰალიფას და სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების სხვა ლიდერებს. შეხვედრები უმაღლეს დონეზე მიმდინარეობდა და დედოფალიც სამშობლოში საუკეთესო საჩუქრებით დაბრუნდა. ოქროს ხელჩანთები, ძვირფასი ღირებულების აღმოსავლური ხალიჩები, მინიატურული ოქროს პალმის ხე, რომელზედაც მარგალიტის და ლალის თვლის ხილი ეკიდა, ოქროს ცხენის ფიგურა ბრილიანტის თვლებით და ა.შ.

უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა დედოფლის ვიზიტს ივლისში აფრიკის კონტინენტზე, რომლის დროსაც მონარქი ეწვია ტანზანიას, მალავს, ბოთსვანას და ზამბიას. მან მონაწილეობა მიიღო თანამეგრობის ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა ხელმძღვანელების ლუსაკის კონფერენციაზე, რომლის მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო სამხრეთ როდეზიის პრობლემის მონესრიგება. დედოფლის ზამბიაში გამგზავრებასთან დაკავშირებით ქვეყანაში არ იყო ერთიანი აზრი. პრემიერ-მინისტრი თეთჩერი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ელისაბედ II-ის ლუსაკაში ვიზიტს, ალბათ მისი უდიდებულესობის უშიშროების მიზნით. ამ შემთხვევაში დედოფალი მისი პრემიერის რჩევას არ იღებს, დედოფალი თვლის, რომ თანამეგრობასთან დაკავშირებულ საკითხებში პრიორიტეტულია მისი პოზიცია, როგორც თანამეგრობის მეთაურისა და იგი გაემგზავრა კიდეც სამხრეთ აფრიკაში, მეუღლესთან და პრინც ენდრიუსთან ერთად. დედოფლის ლუსაკაში ყოფნამ მნიშვნელოვანწილად გაანეიტრალა დაძაბულობა კონფერენციაზე და დადებითი გავლენა იქონია უმაღლესი დონის შეხვედრაზე წამოჭრილი საკითხების ცივილიზებულად გადაჭრის საქმეში.

მკითხველისათვის, ალბათ, განსაკუთრებულ ინტერესს გამოიწვევს ურთიერთობა დედოფალ ელისაბედ II და მის პირველ ქალ პრემიერ-მინისტრს შორის. როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, მ. თეთჩერს დედოფალთან ურთიერთობა ჰქონდა 16 წლის მანძილზე. 1975-79 წლებში იგი იყო ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის ლიდერი, ხოლო 1979-1990 წლებში — დაუნინგ-სთრითის ბატონ-პატრონი. 1990 წლის 21 ნოემბერს ოთხის ცხრა წუთზე მარგარეთ თეთჩერი დაუნინგ სთრითის 10-დან გაემგზავრა თემთა პალატაში, სადაც მან განაცხადა, რომ „აგრძელებს ბრძოლას ბოლო გამარჯვებამდე" (ლაპარაკია მის ბრძოლაზე პარტიის

ლიდერობისათვის). ზუსტად შვიდის ნახევარზე იგი იყო ბაქინ-ჰემის სასახლეში, დედოფალთან, სამშაბათის ტრადიციულ შეხ-ვედრაზე, შემდგომ დაიწყო კონსულტაციები კაბინეტის წევრებ-თან, მეორე დილით კი სასახლეს ემცნო პრემიერის გადაწყ-ვეტილება, მისი პარტიის ლიდერობიდან გადადგომის შესახებ, ხოლო 28 ნოემბერს იგი ეწვია მის უდიდებულესობას და სთხოვა თანხმობა მისი წასვლის შესახებ. ასე დამთავრდა მარგარეთ თეთ-ჩერის თერთმეტნახევარი წლის პრემიერ-მინისტრობა, რომელიც 1979 წლის 4 მაისს კონსერვატიული პარტიის საყოველთაო არჩევ-ნებში გამარჯვებით დაიწყო.

როდესაც საუბარია თანამედროვეობის ისეთი ორი უდიდესი პოლიტიკური მოღვაწის ურთიერთობაზე, როგორებიც არიან ბრიტანეთის სახელმწიფოს მეთაური ელისაბედ II და ქვეყნის პრე-მიერ-მინისტრი მარგარეთ თეთჩერი, უდაოდ, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს ამ ორ პიროვნებას შორის აზრთა თანხვედრაზე მთელ რიგ, როგორც ეკონომიკურ, ასევე საშინაო თუ საერთაშორისო საკითხებში. გავიხსენოთ, თუ როგორი შედეგიანი აღმოჩნდა თეთჩერის მთავრობის მიერ გატარებული კურსი, იყო თუ არა მისი უდიდებულესობა კმაყოფილი ქვეყანაში არსებული მდგომარეობით, რომელშიც სამეფო აღმოჩნდა თეთ-ჩერის სამი მთავრობის მმართველობის პერიოდში. რა თქმა უნდა, მთავრობის ყველა ნაბიჯი ნაცნობი იყო მონარქისათვის და უმეტესწილად ეს ნაბიჯები გადადგმული იყო დედოფლის თანხმო-ბითაც. თეთჩერის მმართველობის წლებში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ცნობილმა ჟურნალმა „ეკონომისტმა" თეთჩერის მიერ მიღწეული ეკონომიკური წარ-მატებები „ეკონომიკურ სასწაულადაც" კი მონათლა. მთელი რიგი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით (შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები, სამრეწველო საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ხელფასების ზრდა, ინფლაციის შემცირება და ა.შ.) ბრიტანეთი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გვერდით აღმოჩნდა, ყოველივემ კი ცხოვრება სამეფოში კიდევ უფრო მაღალი დონისა შექმნა.

1991 წლის გაზაფხულზე ქვეყნის ერთ-ერთმა ნამყვანმა გა-ზეთმა „გარდიანმა" ჩაატარა საინტერესო გამოკითხვა. მან სამე-ფოს ყველაზე ცნობილ სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების მქონე მეცნიერს მიმართა 80 კითხვით, რომელთა პასუხებით ცხადი უნდა გამხდარიყო თეთჩერის მმართველობის საერთო შე-ფასება, გამოკითხულთა უდიდესმა ნაწილმა დადებითად შეაფასა თეთჩერის მმართველობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერ-თაშორისო არენაზე. თეთჩერის მმართველობის წლებში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ბრიტანეთის ეკონომიკური მდგო-

მარეობა და გაიზარდა სამეფოს როლი, როგორც ევროპის, ასევე საერთაშორისო საქმეებში. ყოველივე კი, ბუნებრივია, უაღრესად საყურადღებო და სასიხარულოა სახელმწიფო მეთაურისათვის, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანიც არის, რაც შეიძლება კარგად წარმოჩინდეს მისი სამეფო თანამედროვე მსოფლიოში. გამომდინარე აქედან, შესაძლოა გაკეთდეს დასკვნა, რომ საერთოდ მ. თეთჩერის მოღვაწეობით მისი უდიდებულესობა კმაყოფილია.

ბუნებრივია, არის მედლის მეორე მხარეც. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის უკმაყოფილებაც სახეზეა. მ. თეთჩერის მმართველობის ბოლო წლებში კვლავ შეიმჩნეოდა ინფლაციის ზრდის ტემპები, გაიზარდა დანაშაულობათა რიცხვი, უმუშევრობა, გართულდა მდგომარეობა განათლების დარგში და სხვა. მოსახლეობა შეშფოთებულია, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორიც გაერთიანებული სამეფოა, სულ უფრო და უფრო ხშირია ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევები. აღნიშნული საკითხები საყურადღებოა სასახლისათვის და იწვევს კიდეც მისი უდიდებულესობის კანონიერ უკმაყოფილებას.

გარკვეულწილად მოულოდნელი იყო ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის აზრი ფოლქლენდის კრიზისთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ სამხრეთ ატლანტიკაში შეიარაღებული ძალების გაგზავნის ინიციატორი და იქ მათი მოქმედების ხელმძღვანელი იყო პრემიერი. სნორედ მის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ უდიდესი შოვინისტური ტალღა ააგორა მთელს ქვეყანაში. ბრძოლამ ფოლქლენდისათვის საერთო ეროვნული ხასიათი მიიღო, ომში საბრძოლველად წავიდა დედოფლის მეორე ვაჟი, პრინცი ენდრიუ, პრემიერის ვაჟი კი ამ დროს აშშ-ში ნყნარად ატარებდა დროს. აღსანიშნავია, რომ ომის წარმოების განსაკუთრებული მომხრე არ ყოფილა (ომში დაიღუპა 255 ბრიტანელი ჯარისკაცი და 800 არგენტინელი, ქვეყანას ომი დაუჯდა 1,6 მლრდ ფუნთი) და არც ომის შემდგომ ჩატარებული პომპეზური აღლუმის გამართვას მიმხრობია ენთუზიაზმით მისი უდიდებულესობა. ცნობილია, რომ აღლუმს, რომელიც ფოლქლენდზე გამარჯვებას მიეძღვნა სამეფო ოჯახის არცერთი წევრი არ დასწრებია, პარადი თვით პრემიერმა მიიღო, თუმცა დედოფალი, როგორც სახელმწიფოს და ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების მეთაური, ავტომატურად ჩართული აღმოჩნდა აღნიშნულ სამხედრო კონფლიქტში.

დედოფალი უკმაყოფილო იყო ასევე მთავრობის პოზიციით ისეთი პრობლემების მონესრიგებისას, როგორიც არის ეკოლოგიური საკითხი. თეთჩერმა მისი მმართველობის მეორე ნახევარში განსაკუთრებული ხმაურიანი პროპაგანდა გამართა იმის თაობაზე, თითქოსდა მთავრობა ყველაფერს აკეთებს ქვეყანაში ეკოლოგი-

ური სიტუაციის გაჯანსაღების მიზნით. მთავრობა ამ პერიოდში მთელი რიგი სერიოზული წინადადებებით გამოვიდა საერთაშორისო კონფერენციებზეც კი და გარკვეუწილად „მწვანეების" ქებაც დაიმსახურა. სინამდვილეში მთავრობამ წლების მანძილზე არცერთი მნიშვნელოვანი აქტი არ მიიღო ბუნების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. ბუნებრივია კაბინეტის ასეთი პოზიცია ცნობილი იყო დედოფლისათვის და სამეფო ოჯახის სხვა წევრთათვის, ამიტომაც სწორედ ეკოლოგიური პრობლემა გახდა მწვავე ურთიერთობის ამოსავალი წერტილი მთავრობასა და სამეფო ოჯახის წევრებს შორის. მთავრობის უდიდესი გაღიზიანება გამოიწვია ტახტის მემკვიდრის, პრინც ჩარლზის, გამოსვლამ ჩრდილოეთის ზღვის ქვეყნების მინისტრთა კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნებოდა აღნიშნული ზღვის გარემოს დაცვის საკითხებს. პრინცმა გააკრიტიკა ბრიტანეთის მთავრობის პოლიტიკა და ჩრდილოეთის ზღვას „ნაგავსაყრელი" უწოდა. ჩარლზის გამოსვლა უდიდესი შოკის მიზეზი გახდა დაუნინგ სთრითსა და მრავალი სამინისტროსათვის ლონდონში. ამ დროს დედოფალმა თავისი მემკვიდრის მხარე დაიჭირა, გამოიყენა რა ამისათვის ნორვეგიის მეფის ოლავ V-ის პატივსაცემად გამართული სამეფო ბანკეტი, რომელსაც თეთჩერიც ესწრებოდა. მისმა უდიდებულესობამ განაცხადა, თუ როგორი მნიშვნელობა ენიჭება ჩრდილოეთის ზღვის დაცვას დაბინძურებისაგან. როგორც მოგვიანებით„სანდი თაიმსი" აღნიშნავდა, დედოფალი დაეთანხმა პრინცის გამოსვლას და ამით სერიოზულად გააფრთხილა პრემიერ-მინისტრი. ასე რომ, ბოლო პერიოდში თეთჩერის მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა გარემოს დაცვის საკითხების სასარგებლოდ, გარკვეულწილად, სამეფო ოჯახის დამსახურებაა. უკმაყოფილება გამოხატა დედოფალმა თეთჩერის მიმართ, როდესაც მისმა პრემიერ-მინისტრმა სიტყვა გატეხა და უარი უთხრა ირანის შაჰს პოლიტიკურ თავშესაფარზე. როგორც ჩვენი მკითხველია ინფორმირებული, 1979 წელს ირანში მიმდინარე პოლიტიკურმა მოვლენემბა დაამხო შაჰის ხელისუფლება და ირანი ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადდა. შაჰმა თავშესაფარო აშშ-ში პოვა.

ბრიტანული პრესა ხშირად მიმოიხილავდა მონარქისა და პრემიერის ურთიერთობის საკითხებს. ამ მხრივ კი 1986 წელი განსაკუთრებული აღმოჩნდა. „სანდი თაიმსმა" ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდა სტატია, დედოფლის პრეს-მდივნის ო'შის საუბარზე დაყრდნობით, იმის თაობაზე, რომ მისი უდიდებულესობა აღშფოთებულია თეთჩერის კაბინეტის პოლიტიკით, რომელიც სათანადოდ არ აქცევს ყურადღებას ქვეყნის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც დახმარება ესაჭიროება. აღინიშნა, რომ დედოფალი შეშფოთებულია პროვინციული ქალაქების ბედით და ქვეყანაში მიმდინარე

მაღაროელთა გაფიცვით. სიტუაცია გართულდა იმითაც, რომ გაზეთის რედაქტორმა ო'ნილმა განაცხადა, დასაბეჭდ მასალას სასახლის ნარმომადგენელი გაეცნო და მან სტატიაში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილება შეიტანაო. ყოველივე ამან კი სერიოზული სკანდალი გამოიწვია. დედოფლის ასეთი აზრები და პოზიცია უდიდესი დარტყმა იყო მთავრობისათვის. უმაღლეს ნრეებში შეშფოთება გამოიწვია ფაქტმა, რომ დედოფალი ლიბერალურ პოზიციაზეა.; მისი აზრები, რომელიც ქვეყანაში საიდუმლოდ მიიჩნევა, გამოაშკარავდა და რომ შესაძლოა, მისი პოლიტიკურ დავაში ჩათრევა. ყოველივე ამან შესაძლოა, გამოიწვიოს დედოფლის და მთავრობის ინტერესების შეჯახება და კონსტიტუციური კრიზისიც კი.

მოგვიანებით პრესა კვლავ აჭრელდა ინფორმაციით იმ უთანხმოებათა შესახებ, რომელიც წარმოიშვა სამეფო ოჯახსა და მთავრობას შორის. ამჯერად ყურადღების ცენტრშუ აღმოჩნდა უელსის პრინცი, რომელიც თავის შეშფოთებას ვერ მალავდა ქვეყანაში უმუშევართა მდგომარეობის გამო. პრინცის შენიშვნები დიდ დარტყმად მიიღო უპირველესად მთავრობამ. მან კაბინეტის უდიდესი გაღიზიანება გამოიწვია. ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, თეთჩერის უახლოესმა მეგობარმა თიბეთმა თავის ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა, რომ პრინცის სიტყვებმა „შესაძლოა საშიშროება შექმნას მონარქიისათვის". იგი თავის გამოსვლაში პრინცის პიროვნებასაც კი შეეხო, აღნიშნა, რომ პრინცის მხარდაჭერა უმუშევრებისადმი გასაგებია, რადგანაც თვითონაც ამ კატეგორიას განეკუთვნებაო. ლონდონში პრინცის უკან დედოფალს ხედავდნენ, თიბეთის განცხადების უკან კი — თეთჩერს. სერიოზულმა უთანხმოებამ იჩინა თავი ასევე დედოფალსა და მის პრემიერს შორის თანამეგრობის პრობლემებთან დაკავშირებით.

თანამეგობრობის საკითხებში თეთჩერის მოსვლისთანავე შეიქმნა პრობლემები. თეთჩერმა ურჩია დედოფალს, არ წასულიყო ლუსაკაში, თანამეგობრობის ლიდერთა შეხვედრაზე, დედოფალმა კი ზედმეტად მიიჩნია პრემიერის რჩევა ამ საკითხებში და მაინც ენვია ზამბიის დედაქალაქს.

თანამეგრობის ქვეყნები, რომელთა შორის არის აზიისა და აფრიკის მრავალი სახელმწიფო, თავიანთი პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრობლემად მიიჩნევდნენ სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის ლიკვიდაციას და ამ მიზნით ეკონომიკური სანქციების შემოღებას. ამ საკითხის გადაწყვეტისას დედოფალი თანამეგორობის ქვეყნების მხარეზეა, რაც შეეხება თეთჩერს, იგი სანქციების წინააღმდეგი იყო, რადგანაც ზოგიერთი სამხრეთაფრიკული კომპანია მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა მის მეუღლესთან

— დენის თეთჩერთან. დედოფალმა არაოფიციალური აუდიენცია მოუწყო პრემიერ-მინისტრს და განუცხადა მას, რომ აუცილებელია თანამეგობრობაში განხეთქილების თავიდან აცილება. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ თეთჩერის პოლიტიკამ თითქმის ჩაშლამდე მიიყვანა თანამეგრობის სპორტული თამაშები, რომელსაც 1986 წელს მასპინძლობდა შოტლანდიის დედაქალაქი ედინბურგი, რაც, ბუნებრივია, მისი უდიდებულესობის სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევდა.

უკმაყოფილო გახლდათ მისი უდიდებულესობა მთავრობის პოზიციით გრენადაში აშშ-ის ჯარების შეყვანითაც. გრენადა თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა და სახელმწიფოს მეთაურად ითვლება დედოფალი ელისაბედ II. ამერიკელთა შეჭრამ კუნძულზე დაარღვია გრენადის სუვერენიტეტი და შეურაცხყოფდა დედოფლის ხელისუფლებას. როგორც „ეკონომისტი" ამტკიცებს, გაიგო რა ჯარების გადასხმის თაობაზე, თეთჩერმა უმალ დაურეკა რეიგანს, რომელიც შეჰპირდა პრემიერს საბოლოო გადაწყვეტილებას გაცნობებო. საუბარი გაგრძელდა ხუთ წუთზე ნაკლებს, თეთჩერმა დაიფიცა, რომ ინგლის-ამერიკის ურთიერთობა არ იქნება ისეთი, როგორიც იყო წარსულში. როგორც ჩანს, ბაქინჰემის სასახლე მთავრობისაგან უფრო მეტს მოითხოვდა, მაგრამ დაუნინგ სთრითი ვოშინგთონთან ურთიერთობის გართულებას, ალბათ, მოერიდა და არ დაიცვა პატარა კუნძულოვანი გრენადა, თანამეგობრობის წევრი, არ დაიცვა თანამეგობრობის ინტერესები, თანამეგობრობა, რომელსაც თეთჩერი დრომოჭმულადაც მიიჩნევდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით დედოფალმა დიდი უკმაყოფილება გამოხატა. მორიგი აუდიენციის დროს, რომელიც ტრადიციულად სამშაბათობით ეწყობა, მისმა უდიდებულესობამ თეთჩერს არ შესთავაზა დაჯდომა და პრემიერი „როგორც დასჯილი" ფეხზე მდგომი აბარებდა ანგარიშს სახელმწიფოს მეთაურს.

სამშაბათის ტრადიციული შეხვედრა ელისაბედ II და პრემიერ-მინისტრს შორის სითბოთი არასოდეს გამოირჩეოდა, ორივე მხრიდან იგრძნობოდა დაძაბულობა და შიშიც კი. თეთჩერის გამოსვლები ნარმოადგენდა თავისებურ ლექციებს, თითქოს და პროფესორი გამოდიოდა სტუდენტების წინაშე. პრემიერის ქცევები არავის მოსწონდა და ამით არც დედოფალი იხიბლებოდა. თეთჩერს უყვარდა დიალოგი ექცია მონოლოგად, დედოფალი კი ამისათვის არ იყო მზად. წარსულში თუ დედოფალი ახალისებდა და აწყნარებდა პრემიერ-მინისტრს, თეთჩერი მიიჩნევდა, რომ მას არ სჭირდებოდა „დაწყნარება", პირიქით, იგი ფიქრობდა, მისი ამოცანაა „ნაახალისოს" დედოფალი. შეხვედრებზე დედოფლის ქცევა თბილი, შინაურული და უბრალო იყო, მაშინ, როცა თავად თეთჩერი ისე იქცეოდა, როგორც დედოფალი. იყო შემთხვევა,

როცა დედოფალი და პრემიერ-მინისტრი ერთ-ერთ ცერემონიალზე ერთნაირი ფერის კაბებში ჩაცმულნი აღმოჩნდნენ. შემდეგ თეთჩერმა დარეკა სასახლეში და სთხოვა დედოფლის ფრეილინებს, შეეთანხმებინათ მასთან, თუ რას ჩაიცვამდა მისი უდიდებულესობა. სასახლიდან კი თეთჩერის კითხვას მოკლედ უპასუხეს: „დედოფალი ვერ ამჩნევს, თუ რა აცვია სხვა ხალხს".

მიუხედავად უთანხმოებისა, ორივე მხარეს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ სიტუაციის ყოველი შესაძლო გართულება არ უნდა გამხდარიყო საყოველთაო განსჯის საგანი.

თეთჩერი მონარქისტია. მას კარგად ესმის, რომ მონარქია აძლიერებს მთავრობის ხელისუფლებას. მან არაერთხელ საქვეყნოდ განაცხადა, რომ მონარქიის მომხრეა და როცა ზოგიერთი ოპოზიციის წარმომადგენელი მონარქიის ასიგნირების შემცირებას მოითხოვდა, თეთჩერი ამ აზრის კატეგორიული წინააღმდეგი გამოვიდა. 1990 წელს იგი სპეციალური წინადადებით გამოვიდა პარლამენტში, რათა გაზრდილიყო ასიგნირება მონარქიის ინსტიტუტის საჭიროებისათვის. თეთჩერმა მონარქიას „ბრიტანეთის უდიდესი მონაპოვარი" უწოდა. იგი ყოველთვის გულდასმით ემზადებოდა დედოფალთან შესახვედრად და, როგორც წესი, 15-20 წუთით ადრე ცხადდებოდა სასახლეში.

პრემიერი ყოველთვის სიანოვნებით სტუმრობდა მის უდიდებულესობას ბოლმოროლში, სადაც ოფიციოზის გარდა შინაურული ურთიერთობაც შესაძლებელი იყო. ერთ-ერთი საშობაო საჩუქარი დედოფლისათვის თეთჩერისაგან წყვილი რეზინის ხელთათმანი იყო. პრემიერმა შეამჩნია, რომ ბოლმოროლში დედოფალი სპეციალური ხელთათმანების გარეშე რეცხავდა. იგი უდიდესი გულისყურით უსმენდა დედოფლის საშობაო მილოცვებს. მართალია, დედოფალმა თეთჩერს არ მოულოცა დაუნინგ სთრითზე ყოფნის ათი წლის იუბილე, მაგრამ პრემიერის პოსტიდან წასვლის შემდეგ იგი ქვეყნის ორი უმაღლესი ჯილდოთი — ორდენი დამსახურებისათვის და წვივსახვევი ორდენით დააჯილდოვა და ესტუმრა კიდეც თავის ყოფილ პირველ მინისტრს დაბადების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე.

თეთჩერის მემკვიდრე იყო ჯონ მეიჯორი, ელისაბედ II მმართველობის პერიოდში პირველად ასაკით მასზე პატარა პრემიერი. მისი პრემიერობის ექვსნახევარი წლის მანძილზე პრესაში არასოდეს დაწერილა ახალგაზრდა პრემიერისა და დედოფლის უთანხმოების შესახებ. თავად მეიჯორმა აღნიშნა, რომ „მონარქია ჩვენი ეროვნული ცხოვრების ქვაკუთხედია, იგი წარმოადგენს ჩვენი არსებობის საფუძველს და არაფერს შეუძლია მისი შერყევა".

1997 წლის მაისის არჩევნებში გამარჯვებას მიაღწია ლეიბორისტულმა პარტიამ, დედოფალმა პრემიერ-მინისტრად დანიშნა

თავისი მეფობის ისტორიოაში ყველაზე ახალგაზრდა პრემიერი თონი ბლერი, რომელიც დაიბადა სულ ორი თვით ადრე, ვიდრე მისი უდიდებულესობის მეფედკურთხევის ცერემონიალი მოეწყობოდა ისტორიულ უესთმინსთერში. ბლერი ელისაბედ II-ის მესამე ლეიბორისტი პრემიერია უილსონისა და ქალაგენის შემდეგ. ახალი ლეიბორისტები, რომლებიც მოდერნიზირებული პროგრამით და ვალდებულებებით წარსდგნენ ქვეყნის წინაშე, მონარქიის მომხრენი არიან.

ელისაბედ II განსაკუთრებულ მამაცობაზე მეტყველებს ფაქტები, რომლებიც 80-იანი ნლების დასაწყისში აღინიშნა ლონდონში. 1981 ნლის 13 ივნისს, როცა ქვეყანა ზეიმობდა მისი უდიდებულესობის დაბადების დღეს, ქვეყნის ეროვნულ დღესასწაულს, დედოფალი თავისი ამალით საპარადო მოედნისკენ მიემართებოდა, გზად კი ვინმე 17 ნლის მარქიუს სერჟინთმა ექვსჯერ გაისროლა დედოფლის მიმართულებით. ცხენი, რომელზეც დედოფალი იჯდა, ოდნავ დაფრთხა, თავის ადგილზე აღმოჩნდა დაცვა. მაგრამ დედოფალი პანიკაში არ ჩავარდნილა, მან გზა კვლავ მშვიდად გააგრძელა, თითქოსდა, არაფერი მომხდარაო და პარადიც ჩვეულებრივ მიიღო. გასროლის ხმა იმ მოედანზე მყოფთ, სადაც მისი უდიდებულესობა უნდა მისულიყო, არც გაუგიათ, ქვეყანამ კი ინციდენტი მეორე დღეს პრესის და ტელევიზიის საშუალებით შეიტყო. მეორე შემთხვევა 1982 ნლის 9 ივლისს მოხდა, შუაღამისას, როცა ვინმე მაიქლ ფეგანი შეიპარა ელისაბედ II რეზიდენციაში, ბაქინჰემის სასახლეში, დედოფლის საწოლ ოთახში და გაღვიძება დაუწყო მძინარე დედოფალს. როდესაც დედოფალმა გაიღვიძა, დაუპატიჟებელმა სტუმარმა მონარქს სიგარეტის მოკიდება მოსთხოვა. მონარქი ყოველგვარი აღელვების გარეშე ათი წუთი ესაუბრებოდა ქვეშევრდომს და ამავე დროს დაცვას მოუხმობდა. დაცვა 20 წუთის დაგვიანებით აღმოჩნდა დედოფლის ოთახში. ამ ინციდენტმა უდიდესი განგაში გამოინვია ქვეყანაში. პრემიერ-მინისტრი ეწვია დედოფალს სასახლეში და მთავრობის სახელით მოუხადა ბოდიში.

1982 ნლის აპრილში ელისაბედ II მიემგზავრება კანადაში, სადაც დედოფლის ხელის მოწერით ძალაში შევიდა ქვეყნის ახალი კონსტიტუცია, რომელმაც 115 ნლის წინ, დედოფალ ვიქტორიას მეფობის დროს მიღებული ბრიტანეთის ჩრდილოეთ ამერიკის აქტი შეცვალა და რომლის ძალითაც კანადა ბრიტანეთის პროტექტორატი გახდა. 28 მაისს კი მისმა უდიდებულესობამ ბაქინჰემის სასახლეში აუდიენცია მოუნყო რომის პაპს, იოანე პაველ II. შეხვედრა 35 წუთს გაგრძელდა. ამჯერად დედოფალს პაპთან შეხვედრისას არ ეცვა შავები, როგორც ეს იყო ვატიკანში შეხვედრისას. პაპმა განუცხადა ელისაბედ II-ს, რომ იგი ილოცებს მისი

შვილისთვის, რომელიც საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა ფოლქლენდის კუნძულების განთავისუფლებისათვის; ეს იყო იოანე პავლე II პირველი ვიზიტი სამეფოში, და საერთოდ, რომის პაპის პირველი ვიზიტი 451 წლის მანძილზე ამ ქვეყანაში. ქენთერბერის კათედრალში რომის პაპმა და ქენთერბერის არქიეპისკოპოსმა ჩაატარეს ერთობლივი წირვა, რომელსაც ესწრებოდა ტახტის მემკვიდრე პრინცი ჩარლზი. თეთჩერი ფოლკლენდის კრიზისის გამო ცერემონილას არ დასწრებია. მალე ბრიტანეთს ეწვია აშშ-ს პრეზიდენტი რონალდ რეიგანი მეუღლითურთ. ელისაბედ II უმაღლესი დონის სტუმრის პატივსაცემად სამეფო ბანკეტი მოაწყო უინძორის ციხე-სიმაგრის წმინდა ჯორჯის ჰოლში. დედოფლისა და პრეზიდენტის მეგობრობის ნიშანი იყო ორი ქვეყნის, აშშ-ს და ბრიტანეთის სახელმწიფოს მეთაურთა ცხენებით გასეირნება უინძორის ბაღში. „ჩვენი მეგობრობა სამეფო ოჯახთან დაიწყო მაშინ, როცა რონი და მე შევხვდით ჩარლზს პოლ სპრინგში, როცა რონი იყო გუბერნატორი და იგი გაგრძელდა მაშინაც, როცა მე ვეწვიე ჩარლზს ქორნილში 1981 წელს", გაანაცხადა ნენსი რეიგანმა მოგვიანებით. ერთი წლის შემდეგ ელისაბედ II ქალიფორნიას ესტუმრა. ვიზიტი დაიწყო სან-დიეგოდან, სადაც სამეფო წყვილი მექსიკიდან ჩავიდა. ჰოლივუდში კი მის უდიდებულესობას და მის უმაღლესობას შეხვედრა ჰქონდათ ამერიკული შოუ-ბიზნესის მთელ ელიტასთან, რომელთა შორისაც იყვნენ ფრენქ სინათრა, ჯორჯ ბარნსი, როდ სთიუართი, დადლი მური და ა.შ. შემდეგ სამეფო წყვილი სტუმრობდა ამერიკის პირველ ოჯახს მათ რანჩოში, სანთა ბარბარაში, სადაც შედგა სამეფო ბანკეტი სტუმრების პატივსაცემად. ბანკეტზე დედოფალი სპილოს ძვლისფერ კაბაში იყო გამოწყობილი, ნენსი რეიგანი კი მნვანე კაბით გამოცხადდა. შემდგომ ვიზიტი გაგრძელდა გემ „ბრიტანიათი" სან-ფრანცისკოში. „მე მთელი საღამო დავყავი დედოფალთან, დიდ მისაღებ ოთახში, ვსაუბრობდით ჩვენს შვილებზე, როგორც ძველი მეგობრები" — იგონებს აშშ-ის პირველი ლედი. დედოფალმა „ბრიტანიაზე" საგანგებო სუფრა გაშალა რონალდ და ნენსი რეიგანების ქორწინების 31 წლისთავთან დაკავშირებით.

1981 წლის 24 თებერვალს ბაქინჰემის სასახლემ მსოფლიოს ამცნო ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრის, უელსის პრინცის, ქვეყნის მომავალი მონარქის და ლედი დაიანა სპენსერის ნიშნობის შესახებ.

პრინცი ჩარლზი დაიბადა 1948 წლის 14 ნოემბერს, საღამოთი, 9 საათსა და 14 წუთზე, ლონდონში, ბაქინჰემის სასახლეში, პირველ სართულზე, გინეკოლოგ სერ უილიამ ჯილეთის ზედამხედველობით. მშობიარობას პრინცი ფილიპი არ ესწრებოდა

და როცა მეფის მდივანმა მას ვაჟის დაბადება ამცნო, ედინბურგის ჰერცოგი სიხარულისაგან სამჯერ ამხტარა. ქვეყანა მიესალმა ტახტის მემკვიდრის დაბადებას. უთვალავი მილოცვა მივიდა სასახლის მისამართზე. ზეიმობდა არა მარტო ბრიტანეთი, არამედ მთელი მსოფლიო. ამ მოვლენასთან დაკავშირებით თემთა პალატაში გამოვიდა ქვეყნის იმდროინდელი პრემიერი ეთლი, რომელმაც მოულოცა სამეფო წყვილს ვაჟის შეძენა, ხოლო ქვეყანას ტახტის მემკვიდრე. შემდგომ პარლამენტს მიმართა უინსთონ ჩერჩილმა, ექს-პრემიერმა და ოპოზიციის ლიდერმა. მან განაცხადა:„ვფიქრობ, რომ პრინცი იხელმძღვანელებს ჭეშმარიტებით, რომელიც ამტკიცებს, რომ სუვერენი შეიძლება იყოს დიდი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მისი ხალხი თავისუფალია". მამამისის თხოვნით ახალშობილს დაარქვეს ჩარლზი, ფილიპი, ართური, ჯორჯი. ნათლობის ცერემონიალი, რომელსაც უძღვებოდა ქენთერბერის არქიეპისკოპოსი, მოეწყო ბაქინჰემის სასახლის მუსიკალურ ოთახში.

როდესაც დედამისი, ელისაბედ გამეფდა, პრინცი გახდა ტახტის პირდაპირი მემკვიდრე.

ხუთი წლის ასაკიდან ჩარლზი მონაწილეობას იღებს „სახელმწიფოებრივ საქმიანობაში". იგი 1952 წლის 2 ივნისს ესწრება დედამისის მეფედ კურთხევის ცერემონიალს. ამ მოვლენასთან დაკავშირებით მას სპეციალურად შეუკერეს საპარადო ტანისამოსი. ცერემონიალის დამთავრების შემდეგ პრინცი პირველად გამოჩნდა ბაქინჰემის სასახლის აივანზე, სადაც მას სპეციალური სადგომი ედგა, რათა კარგად გამოჩენილიყო აივნიდან. თავიდანვე დაუწყეს მას მუსიკისა და ცეკვის გაკვეთილების ჩატარება. დედამისმა სამი წლის ასაკში შეასწავლა ცხენზე (პონიზე) ჯდომა (აღსანიშნავია, რომ დედოფალი სამი წლის იყო პირველად რომ შესვეს ცხენზე, ედინბურგის ჰერცოგი კი ოთხი წლის).

მისი სამეფო უმაღლესობა შვიდი წლის ასაკში სწავლას იწყებს ჰილ ჰაუსში, ნაითბრიჯთან ახლოს, ხოლო ცხრა წლისა შედის ჩიმის სკოლაში. როდესაც დადგა სერიოზული განსწავლის დრო, დედა დედოფლის სურვილით, მას სწავლა უნდა გაეგრძელებინა მსოფლიოში სახელგანთქმულ ითონში, სამეფოს ერთ-ერთ უძველეს და პრივილიგირებულ მამაკაცთა საშუალო სკოლაში, რომელიც დაარსდა 1440 წელს და რომელიც უინძორის ციხესიმაგრესთან ახლოს მდებარეობს, მაგრამ ედინბურგის ჰერცოგის გადაწყვეტილებით მომავალი მეფე სწავლას აგრძელებს გორდონსთოუნის პრივილიგირებულ კერძო სკოლაში, შოტლანდიაში, სადაც თავად ჰერცოგი სწავლობდა. სკოლაში პრინცი საკმაოდ კარგად სწავლობდა, მას იტაცებდა ზღვა, იახტა, ცხენოსნობა. მკითხველისათვის საინტერესო იქნება ამბავი, რომელიც პრინცს გად-

ახდა შოტლანდიაში სწავლისას. ერთხელ ჩარლზი მეგობრებთან ერთად შევიდა ბარში. მასთან ერთად იყო მისი ზედამხედველიც. პრინცი სპირტიან სასმელს მიეძალა, მეთვალყურეს კი ამაზე რეაქცია არ ჰქონია. ამ დროს ბარში აღმოჩნდა ჟურნალისტი, რომელმაც თხუთმეტი წლის პრინცის საქციელი მთელ ქვეყანას ამცნო. ფაქტმა აღაშფოთა დედოფალი და მისი მეუღლე. გააფრთხილეს ჩარლზის მეთვალყურე. აღნიშნული საქციელისათვის კი ტახტის მემკვიდრე სკოლის დირექციამ სერიოზულად დასაჯა.

1966 წელს ჩარლზი ავსტრალიაში ატარებს, სადაც სწავლობს „გილონგ ჩერჩ ოვ ინგლიშ გრამა სქულში" მელბურნთან ახლოს. იგი გახდა ბრიტანეთის სამეფო ოჯახის პირველი წევრი, რომელიც სწავლობდა თანამეგობრობის ქვეყნების სკოლაში. უდიდესი როლი ითამაშა პრინცის ბიოგრაფიაში ავსტრალიამ. მან იმოგზაურა ვიქტორიაში, ქუინსლენდსა და ახალ სამხრეთ უელსში, ეწვია ქვეყნის დედაქალაქ ქანბერას, მოინახულა ცნობილი დიდი ბარიერული რიფი, გახლდათ პაპუა ახალ გვინეაში, სადაც გაეცნო პაპუასების ცხოვრებას. სწავლის პერიოდში იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ინგლისურ ენასა და ლიტერატურას, გეოგრაფიას, ისტორიას, ასევე ლათინურისა და ფრანგულის შესწავლას. განსაკუთრებით იზიდავდა მას ისტორია, აღნიშნულ პერიოდში ჩარლზის პიროვნულ ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა სამეფო ოჯახის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა და პოპულარულმა პიროვნებამ ლორდმა მაუნთბეთენმა. 1965 წლის ბოლოს ლორდი მაუნთბეთენის რჩევისთ უინძორის ციხე-სიმაგრეში შედგა სპეციალური შეკრება, რომელსაც უნდა განესაზღვრა ბრიტანეთის მომავალი მონარქის შემდგომი განათლების ბედი. კრებას ესწრებოდა დედოფალი, ედინბურგის ჰერცოგი, ქენთერბერის არქიეპისკოპოსი და ინგლისის უნივერსიტეტების პრორექტორთა კომიტეტის პრეზიდენტი. გადაწყდა, რომ პრინცს უმაღლესი განათლება უნდა მიეღო მსოფლიოში სახელგანთქმულ ქემბრიჯის უნივერსიტეტში, არჩევანი წილად ხვდა თრინითი კოლეჯს, რომელიც 1546 წელს დააარსა მეფე ჰენრი VIII თიუდორმა. აქ სწავლისას პრინცი დაეუფლა ისტორიას, არქეოლოგიას და ეთნოგრაფიას. 1970 წელს პრინცი ამთავრებს ასევე უელსის უნივერსიტეტს აბერისუითში, სადაც ეუფლება უელსურ ენას. 1969 წლის 1 ივლისს პრინცი ჩარლზი ქარნარვონის ციხე-სიმაგრეში საზეიმო ვითარებაში ეკურთხა უელსის პრინცად. საუნივერსიტეტო განათლების მიღების შემდეგ პრინცი იწყებს სამხედრო სამსახურს. იგი სწავლობს გრენუილის სამეფო საჰაერო ძალების, გრენიჯის სამეფო საზღვაო და დართმოთის სამეფო საზღვაო კოლეჯებში.

30 წლის ასაკში პრინცი ჩარლზი ჯერ კიდევ უცოლშვილო იყო. 21 წლისამ მან განაცხადა" „როცა ადამიანი ჩემს მდგომარეობაშია და აპირებს დაქორწინებას, ეძებს ისეთ პიროვნებას, რომელიც ერთხედ გახდება დედოფალი, ასეთი ადამიანის არჩევა, რომელიც თავს გაართმევს ამ როლს, ძალიან გულმოდგინედ უნდა მოხდეს, დიდი იმედებით ვცდილობ განსაკუთრებულის პოვნას". დედოფალი და ედინბურგის ჰერცოგი შენუხებულები იყვნენ, რომ ტახტის მემკვიდრე ასე აგვიანებდა საკუთარი ოჯახის შექმნას, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია პრინცისათვის, ჰქონოდა სასიყვარულო რომანი ქალებთან. ეს გასაგებიცაა, ვინ იტყოდა უარს პრინცთან ურთიერთობაზე: მდიდარი, მამაკაცური და ა.შ. ქემბრიჯში სწავლისასა ჩარლზი გატაცებული იყო ლუსია სანთანა ქრუზით. იგი ისტორიკოსი გახლდათ, ამავე დროს მუშაობდა ლორდ ბათლერთან, როგორც მეცნიერ მუშაკი, ლორდს ეხმარებოდა მემუარების წერაში. ლუსია ჩარლზზე სამი ნლით უფროსი იყო და გამომდინარე აქედან ჩარლზზე ბევრად გამოცდილი, ამიტომ მან აირჩია პრინცი და არა პირიქით. მათი ურთიერთობა ხანგრძივი არ ყოფილა, თუმცა „აციევების" შემდეგ ისინი დარჩნენ ახლო მეგობრებად. როცა მოგვიანებით ლუსია გათხოვდა და შეეძინა შვილი, ბავშვი მონათლა ჩარლზმა.

ინგლისური პრესა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა ჩარლზის ურთიერთობას ჯეინ უელესლისთან, უელინგთონის ჰერცოგის ქალიშვილთან, ისინი ერთმანეთს ბავშვობიდანვე იცნობდნენ, თუმცა დაახლოვდნენ, როცა პრინცი ფლოტში მსახურობდა, მაგრამ შემდეგ სწორედ ფლოტი გახდა მათი დაშორების მიზეზი, რადგან იქ სამსახური სასიყვარულო ურთიერთობას სერიოზულად ზღუდავდა, პრესა კი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მათ შორის ურთიერთობა გაერთულებინა.

პრინცის ბიოგრაფები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად სერიოზული წარმატებებისა ქალებთან ურთიერთობაში, მას მნიშვნელოვანი პრობლემებიც ჰქონდა მშვენიერი სქესის წარმომადგენლებთან. განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნიდა პრესა და მისი დაცვა. ბაქინჰემის სასახლეში იგი ქალებს ვერ მიიყვანდა (თუმცა ზოგჯერ ესეც ხდებოდა), რადგან ამგვარი შემთხვევები ცნობილი გახდებოდა სასახლის პერსონალისათვის და შემდეგ კი მთელი ქვეყნისათვის. ჩარლზი ქალებს ვერ ხვდებოდა ვერც კინოში, ვერც ბარში, ვერც ქუჩაში და ა.შ. იგი ყველასათვის კარგად ნაცნობი ფიგურა იყო და თავისთავად ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში ექცეოდა, მაგრამ ამ საქმიანობაში ჩარლზს უდიდეს დახმარებას უნევდა ლორდი მაუნთბეთენი, რომელიც თავის საგარეუბნო რეზიდენციას ჩარლზის განსაკუთრებული ინტერესების სამსახურისათვის იყენებდა. პრესაში აღინიშნა ასევე ჩარლზის

საკმაოდ ახლო ურთიერთობა სარა სპენსერთან (დაიანა სპენსერის დასთან).

რაც შეეხება ლედი დაიანა სპენსერს, იგი დაიბადა 1961 წლის 1 ივლისს, პარქ ჰაუსში, სანდრინჰემში, დედოფლის მამულში. დაიანა სპენსერების საგვარეულოს ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენელია, საგვარეულოსი, რომელიც საუკუნეების მანძილზე სამეფო კარის ერთგული მსახურია. მათი წინაპრები სისხლით ნათესაურ კავშირშიც კი იმყოფებოდნენ მეფე ჩარლზ II სტიუართთან. დაიანას მამა, ედუარდ ჯონ სპენსერი, 1975 წლიდან სპენსერების მერვე გრაფი, იყო მეფე ჯორჯ VI მეჯინიბეთუხუცესი 1950-52 წლებში, ხოლო მომდევნო ორი წელი იგივე თანამდებობა ეჭირა დღევანდელი მონარქის კარზე. იგი მის უდიდებულესობას და ედინბურგის ჰერცოგს ახლდა 1953-54 წლების თანამეგობრობის ტურნეში. დაიანას დედა ფრენსიზ როჩი იყო ბარბარა ფერმოს უმცროსი ქალიშვილი. ეს ოჯახი მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა მეფე ჯორჯ VI-სთან.

სპენსერების ოჯახი ფლობს საგვარეულო მამულს ოლთორპს ნორთემპთონშირში. სასახლე აშენებულია მე-16 საუკუნეში და მოიცავს ბრიტანეთში ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშთა კერძო კოლექციას, სადაც შეგიძლია იხილოთ რეინოლდსის, გეინსბოროს, ვან დეიქის და სხვა ცნობილ ხელოვანთა უნიკალური ქმნილებანი. დღეს ამ ქონების მეპატრონეა სპენსერების მეცხრე გრაფი, უელსის პრინცესას ძმა, ჩარლზი, ელისაბედ II ნათლული.

დაიანას მშობლები დაქორწინდნენ 1954 წელს, ქორწინების შემდგომ მათ შეეძინათ ოთხი შვილი, მათ შორის სამი ქალიშვილი. უფროსი ქალიშვილი სარა დაიბადა 1955 წელს, მეორე, ჯეინი, გაჩნდა 1957 წელს, სნორედ მისი მეუღლეა სერ რობერთ ფოლოუესი, დედოფლის ყოფილი პირადი მდივანი. სპენსერების ოჯახის მესამე ქალიშვილია უელსის პრინცესა. დაიანას დაბადებიდან სამი წლის შემდეგ გაჩნდა ოჯახის მეოთხე შვილი, ამჟამად ვაჟი — ჩარლზი. სამწუხაროდ, სპენსერების მიერ შექმნილი ოჯახი მყარი არ აღმოჩნდა. დაიანას მშობლები 1969 წელს დაშორდნენ ერთმანეთს. იმავე წელს დედა გათხოვდა, ბავშვები კი ძირითადად მამასთან იზრდებოდნენ. სპენსერების მერვე გრაფი კი 1976 წელს დაქორწინდა მსოფლიოში სახელგანთქმული ნოველისტის ბარბარა ქართლენდის ქალიშვილზე, რომელთანაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა.. დაიანას მამა გარდაიცვალა 1992 წელს.

მომავალმა პრინცესამ სწავლა შვიდი წლის ასაკში დაიწყო, სილფილდში, ქინგზ ლინში. ცხრა წლის დაიანა სწავლობს რიდლსუორფჰოლში, ნორფოლქში. 1973 წელს იგი თავის დებს უერთდება და სწავლას აგრძელებს უესთ ჰითში, სევენოუქთან, ქენთში. 16 წლის დაიანა სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება შვეი-

ცარიაში. ეს იყო მისი პირველი განგზავრება ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მშობლებისა და მეგობრებისაგან მოშორებით, მაგრამ ეს მოგზაურობა არ აღმოჩნდა დაიანასათვის საუკეთესო. მას შვეიცარიაში ბევრი რამ არ მოეწონა და ექვსი თვის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, არდადეგებზე. ამის შემდეგ იგი შვეიცარიაში არ წასულა. ამით მან სნავლა-განათლება დაამთავრა. შემდეგ დაიანა მრავალ ოფისში მუშაობდა, ერთი პერიოდი სამედიცინო კურსებზეც კი სწავლობდა და მუშაობდა ჰოსპიტალში. ჩარლზთან დაახლოების პერიოდში იგი მუშაობდა ლონდონის ფეშენებელური რაიონის პიმლიქოს ერთ-ერთ საბავშვო ბაღში ასისტენტად. სწორედ დაიანა გახლდათ „გოგონა წარსულის გარეშე", რომლის მორალურ თვისებებში ეჭვი არავის ეპარებოდა. ასეთი რძალი ჭირდებოდა დედოფალს, ასევე მეუღლე მეფეს და, რა თქმა უნდა, ასეთი დედოფალი ქვეყანას.

და აი, 1981 წლის 29 ივლისს სახელგანთქმულ წმინდა პავლეს ტაძარში დიდ ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფლის, ელისაბედ II უფროსმა ვაჟმა, ტახტის მემკვიდრემ, უელსის პრინცმა, ჯვარი დაინერა ბრიტანეთის ერთ-ერთი არისტოკრატიული ოჯახის შთამომავალზე, გრაფ სპენსერის უმცროს ქალიშვილზე, ლედი დაიანა სპენსერზე. ბრიტანეთის ისტორიის ბოლო სამასი წლის მანძილზე დაიანა სპენსერი პირველი ინგლისელი ქალია, რომელიც დაქორწინდა ტახტის მემკვიდრეზე (ტახტის მემკვიდრის ქორწინებას ინგლისელზე ბოლოს ადგილი ჰქონდა ჯეიმს მეორის დროს, როცა იგი დაქორწინდა ქლერედონის ბარონის, ედუარდ ჰაიდის ქალიშვილზე, ანა ჰაიდზე). ქორწინების დღეს სამეფოს დედაქალაქი უზარმაზარ თეატრალურ სცენას წარმოადგენდა, რომლის ცენტრშიც თანაშდებოდა 32 წლის ტახტის მემკვიდრისა და 20 წლის ინგლისელი ქალიშვილის საქორწინო სპექტაკლი. ქორწინების წინა ღამეს ქვეყანას არ ეძინა, ჰაიდ პარკში კი უზარმაზარი ფეიერვერკი მოეწყო, რომლის ბადალი არ ყოფილა მსოფლიოში. გამთენიისას, 4 საათზე, შეწყდა ყოველგვარი მოძრაობა საქორწინო მარშრუტზე — ბაქინჰემის სასახლე — წმინდა პავლეს ტაძარი. ცერემონიალის მასშტაბები, მართლაც რომ გრანდიოზული იყო. ორი მილის მანძილზე სასახლიდან ტაძრამდე, ნეფე-დედოფალს 2 მილიონამდე უცხოელი თუ ბრიტანელი მიესალმა. „ბი-ბი-სი" და „ეი-თი-ვის" 60 სატელევიზიო კამერა 109 სხვადასხვა სახის სატელევიზიო სამსახურის დახმარებით 80-მდე ქვეყნის 750 მილიონზე მეტ მაყურებელს უჩვენებდა სამეფო სპექტაკლის ყოველ ნიუანსს. მისი უდიდებულესობის მთავრობამ უსაფრთხოების მიზნით 7200 წესრიგის დამცველი მოავლინა

საქორწინო მარშრუტზე (5100 პოლიციელი და 2100 სხვადასხვა რანგის სამხედრო მოსამსახურე).

ქორწინების დღეს პრინცესას ტანთ ემოსა სპილოსძვლისფერი საქორწინო კაბა, რომელიც ინგლისური აბრეშუმისაგან შეკერეს ახალგაზრდა მკერავებმა ელისაბედ და დეივიდ ემანუელებმა. კაბა მოკაზმული იყო ათი ათასზე მეტო მარგალიტითა და საფირისებური ქვით, შლეიფის სიგრძე კი 8 მეტრს აღწევდა. ქლიე შილთონის მიერ შეკერილ ფეხსაცმელს 134 მარგალიტი ამშვენებდა.

საქორწინო ცერემონიალზე ბაქინჰემის სასახლემ ლონდონში მოიწვია 2650 უმაღლესი რანგის სტუმარი, მსოფლიოს მრავალი კუთხიდან. „საუკუნის ქორწინებას" ესწრებოდნენ მსოფლიოს მონარქიული ოჯახების, ევროკავშირის, თანამეგობრობის ქვეყნების, მეგობრული სახელმწიფოების ლიდერები, ესტრადის, კინოსა და სპორტის ვარსკვლავები. იმ დღეებში ლონდონის სტუმრები იყვნენ ნიდერლანდების და დანიის დედოფლები, ბელგიის და შვედეთის მეფეები, აშშ-ს პირველი ლედი ნენსი რეიგანი და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ნათესაური კავშირისა, ესპანეთის მეფე და დედოფალი ჩარლზის ქორწინებაზე არ ჩამოსულან. მიზეზი გახლდათ ის, რომ ახლადდაქორწინებულთა საქორწინო მოგზაურობა იწყებოდა გიბრალთარიდან, ტერიტორიიდან, რომელიც ორი ქვეყნის — ესპანეთისდა და გაერთიანებული სამეფოს — სადაო პრობლემაა.

საქორწინო სუფრას ამშვენებდა ხუთიარუსიანი მეტრანახევრის სიმაღლის 101 კგ ნონის ტორტი.

გრანდიუზული ქორწინების დამთავრების შემდეგ წყვილმა პირველი ღამე ბროდლენდში, სწორედ იმ სახლში გაატარა, სადაც თაფლობის თვის პირველ დღეებში ცხოვრობდა პრინცესა ელისაბედი და პრინცი ფილიპი 34 წლის წინ. შემდგომ კი დაიწყო სუპერკრუიზი იახტა „ბრიტანიათი" ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში. ახლადდაქორწინებულები ეწვივნენ: გიბრალთარს, იტალიას, საბერძნეთს, ეგვიპტეს. ქაიროში მათ პატივსაცემად პრეზიდენტმა სადათმა და მისმა მეუღლემ ბანკეტი გამართეს. პრეზიდენტმა ეგვიპტის უმაღლესი ჯილდო გადასცა ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეს, შემდეგ მათი მოგზაურობა გაგრძელდა ბოლმოროლში, მისი უდიდებულესობის შოტლანდიის საზაფხულო რეზიდენციაში.

იყო საჩუქრებიც, მაგალითად: ბროლის ლარნაკი „ჯვაროსნები" აშშ-ს პრეზიდენტის საჩუქარი, კანადიდან სანოლი გარნიტური, გერმანიიდან სამზარეულოს მონყობილობა, რომელიც შეფასებული იყო 20 ათას დოლარად, საწოლის გადასაფარებელი ტონგადან, რომელიც თავად ტონგას დედოფალმა მოქსოვა. მრავლად იყო ვერცხლის შანდლები და თასები. ლონდონში აკრედიტე-

ბულმა დიპლომატიურმა კორპუსმა ახლადდაქორწინებულებს გადასცა საწოლის ძვირფასი გარნიტური.

ქორწინების შედეგად უელსის პრინცსა და პრონცესას შეეძინა ორი ვაჟი — უფროსი, ტახტის მემკვიდრეობის მხრივ მეორე, პრინცი უილიამი, გაჩნდა 1982 წლის ივნისში, ხოლო უმცროსი ვაჟი, პრინცი ჰენრი, ქვეყანას მოევლინა 1984 წლის სექტემბერში. განსხვავებით დედოფლისაგან, რომელმაც თავისი შვილები სასახლეში გააჩინა (სამივე ვაჟი ბაქინჰემის სასახლეში, პრინცესა ანა კი ქლერენსის სასახლეში), დაიანას შვილები წმინდა მერის საავადმყოფოში, პედინგთონში, დაიბადნენ. უელსელების პირველი ვიზიტი საზღვარგარეთ შედგა 1983 წ. ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. ეს იყო 6-კვირიანი ძალზედ დამღლელი ვიზიტი. სამეფო წყვილს თან ახლდა პატარა უილიამი, რომელიც ამ დროს მხოლოდ და მხოლო 9 თვის იყო. სწორედ ახალ ზელანდიაში, ოქლენდში ყოფნისას პატარა პრინცმა პირველად გაიარა დაიანას დახმარებით.

80-იანი წლების შუა პერიოდში უოლის სიმპსონმა მეფე ედუარდ VIII მეუღლემ, რომლის სიყვარულმა მონარქზე თითქმის რევოლუციური ცვლილებები გამოიწვია 30-იანი ბრიტანეთის სამეფო ოჯახში, კვლავ გაახსენა თავი ბრიტანეთს, ამჯერად საბოლოოდ. 1986 წლის აპრილში პარიზის გარეუბანში 72 წლის ასაკში გარდაიცვალა ელისაბედ II-ის ბიცოლა, რომელიც 1936 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ თავის მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა სამეფოს ფარგლებს გარეთ. მას უდიდესი პატივი მიაგო სამეფო ოჯახმა და დაკრძალულ იქნა მისი მეუღლის გვერდით უინძორში.

აღნიშნული პერიოდი საკმაოდ ღრუბლიანი აღმოჩნდა ქენსინგთონის სასახლის ისეთ ბინადართათვის, როგორიც იყო ქენთის პრინცის მეუღლე მარია ქრისთინა რეიბნთზი. ჯერ კიდევ უინძორებთან დანათესავებამდე ქალბატონი გარკვეული წარსულისა ყოფილა. ბარონესას მშობლები ევროპის დიდგვაროვანი ოჯახის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც ბოჰემიაში ცხოვრობდნენ, სადაც 1945 წელს დაიბადა კიდეც მარია. მოგვიანებით, როცა ჩეხოსლოვაკიას საბჭოთა ჯარები იკავებდნენ, ბარონესას მშობლები ტოვებენ ამ ქვეყანას, საცხოვრებლად ავსტრიაში გადადიან, სადაც ისინი შორდებიან ერთმანეთს. მამა საცხოვრებლად აფრიკაში მიემგზავრება და იქ ქმნის თავის მეორე ოჯახს. რაც შეეხება დედას, იგი თავის ქალ-ვაჟთან ერთად ასევე ტოვებს ევროპას და ავსტრალიაში მიემგზავრება, სადაც ცოლად მიჰყვება პოლონელ დიდგვაროვანს. როდესაც მარია სრულასაკოვანი ხდება, იგი ბრუნდება ევროპაში დედამისის ნათესავებთან, სწავლობს ხელოვნების ისტორიას ვენასა და ფლორენციაში, შემდეგ

ჩამოდის ლონდონში დიზაინის შესასწავლად. 1971 წელს იგი ცოლად მიჰყვება არცთუ მდიდარ, მაგრამ სოლიდურ მოსამსახურეს თომ თროუბრიჯს, რომელთანაც დაჰყო მხოლოდ ორი წელი. როდესაც მან პაპისაგან ოფიციალურად მიიღო განქორწინებაზე თანხმობა, უკვე თავისუფალი თავის ბედს უკავშირებს ქენთის პრინცს. ქორწინების შემდგომ ბარონესა საგამომცემლო ბიზნესში ჩაერთო. იგი დაუკავშირდა პარიზში რამოდენიმე გამომცემლობას, სადაც მოისურვა ნიგნების დაბეჭდვა. ბუნებრია, გამომცემლები დახარბდნენ სამეფო ოჯახის წევრთან ურთიერთობას, მაგრამ გამოცემის წინა პერიოდში აღმოჩნდა, რომ ნამუშევრის გარკვეული ნაწილი წარმოადგენდა პლაგიატს. ამან კი გამოიწვია ზოგიერთი ავტორის განრისხება. საქმე სერიოზულ სკანდალამდე მივიდა, მაგრამ ყველაფერი განგაშის გარეშე დამთავრდა. სულ მალე კი ახალი შოკის წინაშე აღმოჩნდა პრინცესას ავტორიტეტი, ამჟამად მისი მამის წარსულთან დაკავშირებით. 1985 წლის აპრილში გაზეთმა „მირორმა" ქვეყანას ამცნო, რომ პრინცესას მამა ომამდეც და ომის პერიოდშიც ფაშისტებთან აქტიური თანამშრომლობით გამოირჩეოდა. იგი თანამშრომლობდა " ესესელებთან", რომელბიც მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ მოსპობას აპირებდნენ. პრესა ამტკიცებდა, რომ მარია, როცა მამამისს ხვდებოდა აფრიკაში, უკვე თვრამეტი წლის იყო და არ შეიძლება არ სცოდნოდა მამამისის წარსული. ეს ინფორმაცია უდიდესი დარტყმა იყო პრინცესასათვის და, რა თქმა უნდა, თავად დედოფლისათვისაც. სამეფო ოჯახის ნრეში აღმოჩნდა ადამიანი, რომლის წინაპარიც „ესესელების" სამსახურში იყო. თავდაპირველად პრინცესა ყოველივეს უარყოფდა, მაგრამ მისი მეუღლის მოთხოვნით, მან დაურეკა დედამისს ავსტრალიაში, დედამისმა კი პრესის ფურცლებზე ატეხილი აჟიოტაჟი დაამონმა. აღმოჩნდა, რომ პრინცესას მამა 1933 ნლიდან ნაცისტური პარტიის წევრი იყო და საკმაოდ კარგ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა თავად გერინგთანაც კი. ამ პოზიციის შემდეგ სასახლემ ოფიციალურად განაცხადა: „დიახ, ქენთის პრინცესამ ოფიციალურად დაამონმა მამამისის სამსახური „ესესელებთან". ეს იყო მოულოდნელი და დიდი დარტყმა მისთვის... ამის შემდეგ პრინცესა არავითარ კომენტარს არ აკეთებს".

პრესამ სერიოზული განგაში ატეხა ასევე პრინცესას ურთიერთობაზე ნავთობის მაგნატ, პლანეტის ერთ-ერთ უმდიდრეს პიროვნებასთან, ჰანსთან. ამ დროს უკვე პრინცესა პრინც მაიქლის მეუღლე გახლდათ. მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით სასახლე იძულებული იყო სპეციალური განცხადება გაეკეთებინა ამ ფაქტთან დაკავშირებით: „ნებისმიერი წინადადება იმის თაობაზე, რომ პრინცესას და ბატონ ჰანს აქვთ სხვანაირი

ურთიერთობა, გარდა ჩვეულებრივი ნაცნობობისა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია".

1986 წლის 19 მარტს ბაქინჰემის სასახლემ მსოფლიოს ამცნო, ამჯერად ელისაბედ II-ს მესამე შვილის და მეორე ვაჟის პრინც ენდრიუსა და სარა ფერგიუსონის ნიშნობის შესახებ. ჯვრისწერის ცერემონიალი მოეწყო ისტორიულ უესთმინსთეროს სააბათოში აღნიშნული წლის 23 ივლისს. საქორწინო ცერემონიალის დაწყების წინ მისმა უდიდებულესობამ თავის ვაჟს უბოძა იორქის ჰერცოგის ტიტული (პრინცი ენდრიუ გახლავთ ამ ტიტულის მე-14 მფლობელი ქვეყნის ისტორიაში). პრინცი ენდრიუ, უკვე იორქის ჰერცოგი, დაიბადა 1960 წლის თებერვალში, ბაქინჰემის სასახლეშე. მისი ნათლობა მოეწყო სასახლის მუსიკალურ ოთახში, აღნიშნული წლის 8 აპრილს ქენთერბერის არქიეპისკოპოსის მიერ. მისი სრული სახელია ენდრიუ, ალბერთ, ქრისთიან, ედუარდი. დაწყებით განათლებას პატარა პრინცი ესქოთთან ახლომდებარე სკოლაში, ჰითერდაუნში იღებს. შემდგომ, მსგავსად მამამისისა და თავისი უფროსი ძმისა, სწავლობს გორდონსთოუნში. აქ სწავლების ორ სემესტრს ენდრიუ კანადაში ატარებს, იგი სწავლობს ლეიქფილდის კოლეჯში, ონთარიოში. ფრანგულის კარგად შესწავლის მიზნით ერთი პერიოდი საფრანგეთშიც სწავლობდა. სწავლების ამ დონეზე დამთავრების შემდეგ დედოფლის ვაჟი სამხედრო კარიერას იწყებს სამეფო საზღვაო ფლოტში, ეუფლება ვერტმფრენის ტარების ტექნიკას. 1982 წელს პრინცი გემ „ინვინსიბლით" მონაწილეობას იღებს სამხრეთ ატლანტიკაში წარმოებულ ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ოპერაციებში ფოლქლენდის კუნძულების დასაბრუნებლად. ომიდან დაბრუნების შემდეგ პრინცი კვლავ აგრძელებს სამხედრო სამსახურს და პარალელურად სწავლობს გრენიჯის სამეფო საზღვაო კოლეჯში (აღსანიშნავია, რომ პრინცი ასევე სწავლობს დართმოთის სამეფო საზღვაო კოლეჯში, სადაც სწავლობდნენ ბაბუამისი, მამამისი და მისი უფროსი ძმა).

რაც შეეხება პრინცის გულისწორს, სარა ფერგიუსონს, იგი თავის მეუღლეზე ერთი წლით უფროსია, დაიბადა ლონდონში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სარა სწავლობს ლონდონში, სამხრეთ ქენსინგთონში სამდივნო კოლეჯში, შემდგომ კი მსახურობს სხვადასხვა კომპანიაში. სარას ოჯახური მდგომარეობა არც თუ სახარბიელოდ გამოიყურებოდა. 1972 წლიდან მისი მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, შემდეგ კი გაშორდნენ ერთმანეთს. მამამ ცოლი მოიყვანა და დედაც მალე არგენტინაში გათხოვდა. 1998 წლის სექტემბერში სარა ფერგიუსონის დედა ავტოკატასტროფაში გარდაიცვალა. ქვეყნის საზოგადოება იორქების ქორწინებას სხვადასხვაგვარად შეხვდა. ნაწილი ამტკიცებდა,

რომ პრინცის არჩევანი არ იყო სნორი, რომ სარა არ შეეფერება სამეფო ოჯახს. ნანილიც ამტკიცებდა, რომ პრინცის მიერ გადადგმული ნაბიჯი რეალურია და თუ პრინც ჩარლზის საცოლის ძებნაში აქტიურობდნენ დედა დეოდფალი და ედინბურგის ჰერცოგი, პრინცი ენდრიუ აქ ბევრად დამოუკიდებელი აღმოჩნდა. როგორც პრესა აღნიშნავდა, სარა „გარკვეული ნარსულის" პიროვნება აღმოჩნდა, პიროვნება, რომელსაც საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა მასზე ბევრად უფროს ადამიანთან, ოჯახის პატრონთან. აღნიშნავენ, რომ მას ოჯახის შექმნაც კი შესათავაზა, მაგრამ პარტნიორისაგან უარი მიიღო. ასე რომ გაწბილებულ სარას ენდრიუს ცოლობა ხვდა წილად. პრინცის არჩევანით კმაყოფილი არ იყო მისი უდიდებულესობა, მაგრამ მას არაფრის შეცვლა არ შეეძლო. ქორწილი დედოფალმა შვილს მეფური გადაუხადა. საქორწილო მარშრუტში 200 ათასზე მეტმა გულშემატკივარმა მოიყარა თავი, ხოლო სატელევიზიო კამერების საშუალებით საქორწილო ცერემონიალი ნახა 500 მილიონზე მეტმა ადამიანმა მსოფლიოს ყველა კუთხეში. ახლადდაქორწინებულებმა თაფლობის თვე გაატარეს აზორის კუნძულებზე ატლანტის ოკეანეში. დედოფლის საჩუქარი ახლადდაქორწინებულებისათვის იყო ახალი სახლი სანინჰილში, უინძორში. ამ ორსართულიანი აგურის სახლის მშენებლობა, რომელშიც 50-ზე მეტი ოთახია, დედოფალს დაუჯდა 9 მილიონი ფუნთი. ქორწინების შემდეგ გაჩნდა ორი ქალიშვილი, ბეათრიქსი 1988 წელს, ორი ნლის შემდეგ კი — ევგენია.

80-იანი ნლები აღინიშნა მთელი რიგი ისტორიული მოვლენებით და ვიზიტებით, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ, როგორც სამეფო ოჯახისათვის, ასევე მთელი ქვეყნისათვის. განსაკუთრებული თავისებულებით გამოირჩეოდა მისი უდიდებულესობის ვიზიტი ჩრდილოეთ აფრიკაში, კერძოდ, მაროკოში 1980 ნლის შემოდგომაზე. მაროკო მონარქიული სახელმწიფოა. ქვეყანას XVIII საუკუნიდან მართავს ალაუიტთა დინასტია. დედოფალს მასპინძლობდა მეფე ჰასან II (1961-99 ნლები). მეფემ არაერთხელ დაარღვია ვიზიტით გათვალისწინებული ეთიკეტი, რითიც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა დედოფალი და მისი წყრომაც კი გამოიწვია. ვიზიტის დაწყებისთანავე მაროკოს მეფემ დედოფალთან ლანჩს გოლფის თამაში არჩია, ერთი საათით დაიგვიანა სამეფო ბანკეტზე, რომელიც თავად მოაწყო ელისაბედ II პატივსაცემად და ასევე ერთი საათის დაგვიანებით მივიდა „ბრიტანიაზე" მოწყობილ ბანკეტზე, რომელიც დედოფალმა მაროკოს მეფისა და მისი ახლობლებისათვის ვიზიტის ბოლოს გამართა.

1986 ნლის ოქტომბერში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მიწვევით ერთკვირიან ოფიციალურ ვიზიტად ამ ქვეყანას ენვიენენ დედოფალი ელისაბედ II და ედინბურგის ჰერ-

ცოგი. დედოფალს ბეიჯინგში შეხვედრა ჰქონდა ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებთან, შემდგომ მან დაათვალიერა ჩინეთის დიდი კედელი, იუაიუანის პარკი შანჰაიში, ცინების დინასტიის მებრძოლთა და ცხენოსანთა სტატუების მუზეუმი სიანში, გუანჯოუს პარკი სიუანში. ვიზიტამდე 2 წლით ადრე ჩინეთისა და ბრიტანეთის ხელისუფალნი ბოლოს და ბოლოს შეთანხმდნენ ჰონქონგის პრობლემასთან დაკავშირებით. 1984 წლის 19 დეკემბერს ბეიჯინგში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მ. თეთჩერმა ხელი მოაწერა ჩინეთ-ინგლისის ერთობლივ დეკლარაციას ჰონქონგის საკითხთან დაკავშირებით. დეკლარაციის თანახმად 1997 წლის 1 ივნისს ჰონქონგში აღსდგა ჩინეთის ხელისუფლება, თუმცა ეკონომიკური სისტემა ხელუხლებელი დარჩა 50 წლის მანძილზე. ჰონქონგის ჩინეთისათვის დაბრუნების ცერემონიალზე დედოფალს წარმოადგენდა ტახტის მემკვიდრე პრინცი ჩარლზი, რომელმაც საზოგადოებას გააცნო დედოფლის მიმართვა, სადაც აღნიშნული იყო: „ამ დროის მანძილზე (იგულისხმება ბრიტანეთის მმართველობა) ჰონქონგი პატარა სანაპირო დასახლებიდან გადაიქცა მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ქალაქად და უდიდესი სავაჭრო ეკონომიკის მფლობელად... ბრიტანეთი არის ჰონქონგის ისტორიის ნაწილი და ჰონქონგი არის ბრიტანეთის ისტორიის ნაწილი". 1985-86 წლებში ლონდონი მასპინძლობდა ჩინეთის ორი უმაღლესი რანგის წარმომადგენელს. სამეფოს დედაქალაქს ეწვია სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჩაო ძიანი, ერთი წლის შემდეგ კი ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ხუ იაობანი. ელისაბედ II არის სამეფოს პირველი მონარქი, რომელმაც ფეხი დაადგა ჩინეთის მიწას. ამავე დროს ჩინეთი გახდა მეორე კომუნისტური სახელმწიფო იუგოსლავიის შემდეგ, რომელსაც ეწვია მისი უდიდებულესობა. ვიზიტმა უდიდესი როლი შეასრულა ბრიტანეთისა და ჩინეთის შემდგომ დაახლოებაში.

1986 წელს გაერთიანებულმა სამეფომ და თანამეგობრობის ქვეყნებმა აღნიშნეს დედოფლის დაბადების 60 წლისთავი. ამ მოვლენასთან დაკავშირებით უინძორის ციხე-სიმაგრეში გაიმართა სამეფო წვეულება, რომელსაც ესწრებოდა სამეფო ოჯახისა და ქვეყნის არისტოკრატიული ოჯახების წევრები, ერთი წლის შემდეგ კი დედოფალმა და ედინბურგის ჰერცოგმა აღნიშნეს შეუღლების 40-ე წლისთავი.

1988 წელს ქვეყანა მონმე ხდება ორი დიდი ისტორიული თარიღისა: ზაფხულში აღინიშნა „სახელოვანი რევოლუციის" 300 წლისთავი. ამ მოვლენასთან დაკავშირებით დედოფალი სიტყვით გამოდის პარლამენტის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე, ისტორიულ უესთმინსთერის ჰოლში. მოეწყო ელისაბედ II

ვიზიტი ნოდერლანდების სამეფოში, მოგვიანებით კი სამეფო წყვილი მონანილეობს ესპანეთის „უძლეველი არმადის" განადგურების 400 წლისთავისადმი მიძღვნილ ცერემონიალში. შემოდგომაზე, ოქტომბერში, შედგა დედოფლის ისტორიული ვიზიტი ესპანეთში. მიუხედავად ესპანეთისა და ბრიტანეთის სამეფო ოჯახების სისხლით ნათესაური კავშირისა, ბრიტანეთის დედოფალი არასოდეს სწვევია ამ ქვეყანას. ამაზე, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია ესპანეთში არსებულმა ფაშისტურმა რეჟიმმა. აღსანიშნავია, რომ დედოფალ ვიქტორიას მეცხრე შვილის, ბეატრიქსის ქალიშვილი, პრინცესა ვიქტორია იყო ესპანეთის მეფის ალფონსო XIII მეუღლე, ე.ი. ესპანეთის დედოფალი; სწორედ მისი შვილიშვილია ესპანეთის დღევანდელი მეფე ხუან კარლოს I. რაც შეეხება დედოფალ სოფიას, ისიც ახლო ნათესაურ კავშირშია ბრიტანეთის სამეფო ოჯახთან, კერძოდ, ედინბურგის ჰერცოგთან: ისინი ორივენი საბერძნეთის მეფის გიორგი I მემკვიდრენი არიან.

ესპანეთში დედოფლის ვიზიტი ხუთი დღე გაგრძელდა. პირველ საღამოს ესპანეთის მეფემ მადრიდში, აღმოსავლეთის სასახლეში სამეფო ბანკეტი გამართა უმაღლესი რანგის სტუმრებისათვის. ელისაბედს ტანთ ემოსა თეთრი კაბა ყვითელი ორნამენტებით, თავზე ეხურა დედოფალ მერის სახელგანთქმული თეარა და ეკეთა ქემბრიჯის და დელის ყელსაბამი და საყურეები. ბანკეტს ესწრებოდნენ ედინბურგის ჰერცოგი და დედოფალი სოფია, ასევე ესპანეთის მეფის სამივე შვილი: ტახტის მემკვიდრე, ასტურიის პრინცი ფილიპე და პრინცესები — ქრისთინა და ელენე. მადრიდის შემდეგ სამეფო ვიზიტი გაგრძელდა ანდალუზიაში. ისინი ეწვივნენ სევილიას და ალკაზარის სასახლეს. ვიზიტის დროს დედოფალი და მისი თანმხლები პირები ეწვივნენ ოლიმპიური თამაშებისათვის სამზადისში მყოფ ბარსელონას, სადაც დედოფალმა და ჰერცოგმა უდიდესი ინტერესით დაათვალიერეს ოლიმპიური სოფლის მაკეტი.

ჯერ კიდევ ესპანეთში ჩასვლამდე ელისაბედ II ეწვია ავსტრალიას, ქვეყანას, რომლის სახელმწიფო მეთაურიც თავადაა. მისი უდიდებულესობა ამ ქვეყნის ხშირი სტუმარია, მაგრამ ეს ვიზიტი განსაკუთრებული იყო, რადგან სწორედ ამ წელს ავსტრალიამ აღნიშნა ქვეყნის ისტორიის უმნიშვნელოვანესი თარიღი — ავსტრალიის 200 წლისთავი. ეს იყო ოცდაორდღიანი ვიზიტი 19 აპრილიდან 10 მაისამდე, რომლის დროსაც დედოფალი ეწვია დასავლეთ ავსტრალიას, თასმანიას, ვიქტორიას, ქუინსლენდს, ახალ სამხრეთ უელსს და ქვეყნის დედაქალაქს. 30 აპრილს ელისაბედ II-მ ბრისბენში გახსნა მსოფლიო „ექსპო 88". დედაქალაქში სტუმრობის დროს მის უდიდებულესობას ავსტრალიელი ხალხის სახელით გადაეცა ბრნყინვალე ავსტრალიური ეტლი, რომელსაც

დედოფალი იყენებს პარლამენტის საზეიმო გახსნის ცერემონიალზე. ეს სამეფო ეტლი პირველი ეტლია სამეფო ოჯახისათვის, რომელიც 1910 წლის შემდეგ დამზადდა და ისიც საზღვარგარეთ. 9 მაისს, დილით, 11 საათზე, დედოფალმა საზეიმო ვითარებაში გახსნა ავსტრალიის პარლამენტის ახალი შენობა, ზუსტად ისე, როგორც 61 წლის წინათ ეს გააკეთა მამამისმა, ჯერ კიდევ იორქის ჰერცოგმა, შემდგომ მეფე ჯორჯ VI-მ. 87 წლის წინ კი მისმა ბაბუამ საზეიმოდ გახსნა ავსტრალიის კავშირის პარლამენტის პირველი სხდომა. მოგვიანებით ელისაბედ II დედოფლის ტერასაზე გახსნა თავისივე ძეგლი. შენობის წინ შეკრებილმა ათასობით ადამიანმა დედოფალი გააცილა შემდეგი სიტყვებით: „ჩამოდით უკან მალე, ჩვენ გვიყვარხართ თქვენ".

1989 წლის ოქტომბერში სამდღიან ვიზიტად სინგაპურს, ქვეყნის დამოუკიდებლობის „ვერცხლის იუბილესთან" დაკავშირებით, სტუმრობდა დედოფალი და ედინბურგის ჰერცოგი. სამეფო წყვილი ამ ქალაქ-სახელმწიფოს ბოლოს ეწვივნენ 1972 წელს. ჩანგის აეროპორტში ჩაფრენის შემდეგ სამეფო წყვილი გაემართა ისტანაში, სადაც გაიმართა სამეფო წყვილის შეხვედრა სინგაპურის ლიდერებთან. პრეზიდენტ ვისთან შეხვედრის შემდეგ გაიცვალა საჩუქრები: დედოფალმა პრეზიდენტს გადასცა ბათის ორდენის რაინდის დიდი ჯვარი, დედოფალმა კი მიიღო სამი ჩინური ბეჭედი და მინიატურული ოქროს ცხენი. მისმა უდიდებულესობამ დაათვალიერა სინგაპურის სანაპირო ზოლი, ეწვია ერთ-ერთ სკოლას, უნივერსიტეტს. საღამოს კი მოეწყო სამეფო ბანკეტი. დედოფალს ეცვა ოქროსფერი კაბა, ეხურა დედოფალ მერის თეარა და ეკეთა საუდის არაბეთის მეფის ჰალიდის მიერ ნაჩუქარი ყელსაბამი. ვიზიტის მეორე დღეს მონარქმა გვირგვინებით შეამკო სამხედრო მემორიალი. ბრიტანეთის უმაღლესი კომისრის რეზიდენციაში იდენ ჰოლში მოეწყო სპეციალური მიღება, რომელსაც ესწრებოდა 2000-ზე მეტი კაცი. დედოფალი ეწვია ასევე ბრიტანეთის საბჭოს. საღამოს გემ „ბრიტანიაზე" სინგაპურის ხელმძღვანელობის პატივსაცემად გაიმართა ბანკეტი. სინგაპურის შემდეგ ვიზიტი გაგრძელდა მალაიზიაში, სადაც კუალა-ლუმპურში ელისაბე II გახსნა თანამეგობრობის უმაღლესი დონის შეხვედრა.

1985-90 წლებში ელისაბე II შეხვედრები ჰქონდა სამეფოში ოფიციალურ ვიზიტად მყოფ ყველა უმაღლესი რანგის სტუმართან. აღნიშნულ პერიოდში ბრიტანეთს ეწვივნენ: ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი და დედოფალი სოფია, ნორვეგიის მეფე ოლავ V, საუდის არაბეთის მეფე ფაჰდი და მაროკოს მეფე ჰასან II, გერმანიის პრეზიდენტი ვაიცზეკერი, იტალიის პრეზიდენტი კოსიგა, ინდოეთის პრეზიდენტი ვენკატარამანი, თურქეთის პრეზიდენტი ევრენი და ა.შ.

1990 წელი ფეხბედნიერი იყო სამეფო ოჯახისათვის. 30 მარტს დაიბადა იორქის ჰერცოგისა და ჰერცოგინიას მეორე ქალიშვილი, დედა დედოფალმა აგვისტოში თავისი დაბადების დღის 90 წელი აღნიშნა, ამავე თვის 15-ში პრინცესა ანამ დაბადების 40 წლისთავი, ხოლო დედოფლის ერთადერთმა დამ — 60 წელი, მამაკაცებიდან „მრგვალი თარიღი" აღნიშნა პრინცმა ენდრიუმ. თითქმის ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით მიდიოდა, ახლოვდებოდა დედოფლის კალენდრის ორი მნიშვნელოვანი თარიღი, 1992 წელს ქვეყანა აღნიშნავდა ელისაბედ II გამეფების, ხოლო მომდევნო წელს მეფედკურთხევის 40 წლისთავს.

1992 წლის 19 მარტს ბაქინჰემის სასახლემ მსოფლიოს ამცნო იორქების ოჯახის რღვევის დასაწყისი, ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ჰერცოგი და ჰერცოგინია ცალ-ცალკე იცხოცრებდნენ. ქვეყნისათვის ეს იყო მოულოდნელი შოკი, მაგრამ სამეფო ოჯახისათვის, როგორც ჩანს, ეს არ იყო არც პირველი და არც უკანასკნელი რღვევა ოჯახური ურთიერთობისა. ჯერ კიდევ სამი წლის წინ პრინცესა ანამ უარი თქვა თავის მეუღლესთან თანაცხოვრებაზე. ყოველივე კი ასე დაიწყო: დედოფლის მცდელობა შეერიგებინა პრინცესა ანა და მისი მეუღლე მარქი, უშედეგოდ დამთავრდა. იგი ცდილობდა დაეთანხმებინა პრინცესა წასულიყო დათმობებზე, მაგრამ ანას გადაწყვეტილება ურყევი აღმოჩნდა. საქვეყნოდ ცნობილია პრინცესა ანას ცხენებით გატაცება, მისი მეუღლეც გარკვეულ წილად ასევე „საცხენოსნო სამყაროდან" გახლდათ, იგი მიუნჰენის ოლიმპიადის საცხენოსნო სპორტის ერთ-ერთი სახეობის ოქროს მედლის მფლობელია. პრაქტიკულად მეუღლეების ინტერესები და მისწრაფებები ერთნაირი იყო — ცხენები და მასთან დაკავშირებული საქმიანობა. თუმცა ანას ინტერესები უერთგულესი ცხოველების მიმართ მისი პირველი შვილის, პითერის, გაჩენის შემდეგ მნიშვნელოვან წილად შემცირდა. ანას ცხოვრებაში დედობის როლის ზრდასთან ერთად იზრდებოდა საზოგადოებრივი მოვალეობისადმი აქტიური დამოკიდებულება. იგი, როგორც სამეფო ოჯახის ერთ-ერთი აქტიური წევრი, მრავალ საქველმოქმედო თუ სხვადასხვა სახის ორგანიზაციას უდგას სათავეში. ამ პერიოდში მარქი თავს ანებებს სამხედრო კარიერას და უდიდეს დროს უთმობს მეცხენეობას და სოფლის მეურნეობას გეთქომბ-პარკის მამულში. მეუღლეები დროის უდიდეს ნაწილს ატარებენ ერთად, ანას ხშირად ხვდებოდნენ ტრაქტორზე ანდა უშუალოდ მინდორზე მომუშავეს. იდეალური ურთიერთობა გაგრძელდა 1985 წლამდე, მათი მეორე შვილის, ამჯერად ზარას გაჩენამდე. ზარას დაბადების შემდეგ ანამ მოულოდნელად შეიცვალა ცხოვრების ნირი, იგი უკვე ბევრს მოგზაურობდა, მოგზაურობები ოფიციალურ სახეს ატარებდა და და-

კავშირებული იყო ძირითადად სამეფო ოჯახის ფუნქციებთან. შეიცვალა რა ცხოვრების წესი, მასთან ერთად შეიცვალა მისი იმიჯი და გარესამყარო. წარსულში თუ დროის უდიდეს ნაწილს იგი სპორტულ ტანსაცმელში ატარებდა და ძირითადად საჯინიბოში ფუსფუსებდა, ახლა მდგომარეობა შეიცვალა, მისი მეუღლის პოზიცია კი ტრადიციული დარჩა. პრინცესას ხშირად ხედავდნენ მსახიობ ენთონი ენდრიუსის საზოგადოებაში. თავისუფალ დროსაც ცოლ-ქმარი ცალ-ცალკე ატარებდა. ერთხელ, როდესაც ისინი ალპებში ისვენებდნენ ერთ სოფელში აღმოჩნდნენ, მაგრამ ერთმანეთთან შეხვედრა არ ისურვეს. ახლოვდებოდა წყვილის ქორწინების 15 წლისთავი. საზოგადოება ელოდა მათ ერთად გამოსვლას ქვეყნის წინაშე, მაგრამ მარქმა პოზიცია შეიცვალა და უცებ ავსტრალიაში აღმოჩნდა. მომდევნო წელს ერთად ყოფნის სურვილი არ გამოთქვა ანამ და საიუბილეო დღე ნეპალში გაატარა.

ცოლ-ქმრული ურთიერთობის გამტკიცებაში ვერც უსაყვარლესმა საქმიანობამ, ცხენოსნობამ ითამაშა დადებითი როლი. თუ ერთ დროს სწორედ ცხენებისადმი სიყვარულმა დააკავშირა ეს წყვილი, ამჯერად ცხენები უძლურები აღმოჩნდნენ. მაგალითად, ლოს-ანჟელესის ოლიმპიადაზე ისინი ცალ-ცალკე ჩავიდნენ და სხვადასხვა სასტუმროში ცხოვრობდნენ, სეულის ოლიმპიადის დროს ანა ცხოვრობდა სასტუმროში, მარქი კი ოლიმპიურ სოფელში და ისინი ერთმანეთს არასოდეს შეხვედრიან. აღნიშნულ პერიოდში მარქი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა ვინმე პამელა ბორდერს, 27 წლის იშვიათი სილამაზის მქონე ქალბატონს. ეს უკვე სერიოზული სკანდალი იყო. პრესას ყურადღებიდან არ გამორჩენია ასევე დედოფლის სიძის ურთიერთობა ანჟელა რითერთან, ჟურნალისტთან, რომელიც ბი-ბი-სი-ში მსახურობდა და რომელმაც დიდი დახმარება გაუწია ანას მეუღლეს წიგნის — „მარქ ფილიპსი — ადამიანები და ცხენები" — შექმნაში. არ დაიმალა ასევე მარქის კავშირები ქეთი ბიორქთან და ა.შ. ასეთი მდგომარეობიდან გამომდინარე, სასახლე აკეთებს სპეციალურ განცხადებას იმის თაობაზე, რომ მეუღლეები იცხოვრებენ ცალ-ცალკე. ფილიპსმა გეთქომბ-პარკი დატოვა და გადავიდა ახლოს ესთონ-პარკში. ამ დროს მათ ოფიციალურ განქორწინებაზე საუბარი ზედმეტი იყო, მაგრამ გავიდა ორი წელი და ისინიც ოფიციალურად დაშორდნენ ერთმანეთს. მათი განქორწინება ცივილიზებურად მოხდა, მეუღლეები ერთმანეთს ხვდებიან, მათ ორი შვილი აკავშირებთ. აქ პრობლემები არ არის. განქორწინების საფასურად მარქ ფილიპსმა სასახლიდან სამი მილიონი ფუნთი მიიღო.

მალე პრინცესა ანამ მონახა მარქის შემცვლელი. იგი აღმოჩნდა პრინცესაზე 5 წლით უმცროსი, სასახლის კარის მსახური თიმოთი ლოურენსი. თიმოთი საკმაოდ საინტერესო პიროვნებაა.

ჯერ კიდევ სამეფო წრეებში გამოჩენამდე მან სახელი გაითქვა ირლანდიის რესპუბლიკური არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი მაღალი, ტანადი, ნარმოსადეგი მამაკაცია, რომელსაც უსაზღვროდ უყვარს სპორტი და კულტურისტიკა. იგი პრაქტიკულად არ სვამს, არ ეწევა და ვეგეტარიანელია.

პრინცესა ანა მეორედ დაქორწინდა 1992 წლის დეკემბერში, შოტლანდიაში, რომელიც ხელმეორე ქორწინებისადმი ანგლიკანურ ეკლესიასთან შედარებით ბევრად ლმობიერია. საქორწინო ცერემონიალი შედგა დედოფლის შოტლანდიის მამულში — ბოლმოროლში. ბოლმოროლის ქორწინება, რა თქმა უნდა, თავისი პომპეზურობით ვერ შეედრება ანას 19 წლის წინა პირველ ქორწინებას. ცერემონიალზე მონვეული იყო მხოლოდ 200 „შინაური".

პრინცესა ანა სამეფო ოჯახის ნევრთა შორის უდიდესი შრომისმოყვარეობით ხასიათდება, რის გამოც იგი როგორც ქვეყანაში, ასევე მის საზღვრებს გარეთ დიდი ავტორიტეტით და პატივისცემით სარგებლობს. მის შრომისმოყვარეობას მოწმობს თუნდაც ასეთი მონაცემები: 1992 წლის 1 მაისიდან 1993 წლის 30 აპრილამდე პრინცესა ანამ მონაწილეობა მიიღო 638 სხვადასხვა სახის ღონისძიებაში, მ.შ. 483 ბრიტანეთში და 155 მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულ პერიოდში 42 დღე დაჰყო სამეფოს საზღვრებს გარეთ, დაესწრო 16 „ლანჩს", 18 სხვადასხვა სახის ოფიციალურ მიღებას, 46 ბანკეტს და სადილს, 78 სხდომას, მ.შ. საიდუმლო საბჭოს სხდომებს, 272-ჯერ მონაწილეობა მიიღო ცერემონიალებში, საეკლესიო წირვებში, სამხედრო აღლუმებში და ა.შ. იგი გაბედული, უშიშარი და დამოუკიდებელი პიროვნებაა. როცა პრინცესა უნდა გამგზავრებულიყო ლიბანში, ამ ქვეყანაში მძვინვარებდა სამხედრო კონფლიქტი, ბეირუთში მიმდინარეობდა საომარი ოპერაციები. მთავრობამ ურჩია პრინცესას, არ ნასულიყო აღნიშნულ ქვეყანაში და უარი ეთქვა ამ ვიზიტზე, რამდენადაც უშიშროების გარანტია პრაქტიკულად არ არსებობდა. მაგრამ ანამ უშიშრად განაცხადა „მე წავალ" და გაემგზავრა კიდეც სამხედრო მოქმედებების ცენტრში. იყო ასეთი შემთხვევაც: 1974 წლის 20 მარტს, როცა პრინცესა ანა და მისი მეუღლე სასახლეში ბრუნდებოდნენ, შეიარაღებულმა ბანდიტმა მათ მანქანა გააჩერებინა და ცდილობდა პრინცესას მოტაცებას. მაგრამ იგი არ დაიბნა, მოხერხებულად დაუსხლტა თავდამსხმელს და მანქანით შეაღწია სასახლის ტერიტორიაზე. თავდამსხმელმა გამოიყენა იარაღი, დაიჭრა პრინცესას ერთ-ერთი მცველი, ხოლო ანა და მისი მეუღლე უვნებლად გადარჩნენ.

1987 წლის 13 ივნისს მისმა უდიდებულესობამ თავის ქალიშვილს გადასცა სამეფო ოჯახის მდედრობითი სქესის ნარმომადგენლისათვის განკუთვნილი უმაღლესი ტიტული „პრინსეს

როიალ". ეს ტიტული დააარსა მეფე ჩარლზ I-მა თავისი უფროსი ქალიშვილისათვის, პრინცესა მერისათვის 1642 წელს. ანა ამ ტიტულის არსებობის მანძილზე მისი მეშვიდე მფლობელია. გამომდინარე თავისი მდგომარეობიდან, პრინცესა ანა ბევრს მოგზაურობს მრავალ ქვეყანაში და შეხვედრია არაერთ სახელმწიფოს თუ მთავრობის მეთაურს. 1973 წელს იგი ეწვია საბჭოთა კავშირსაც, როგორც სპორტსმენი. ამ წელს უკრაინის დედაქალაქი, კიევი მასპინძლობდა ევროპის ჩემპიონატს ცხენოსნობაში. 1990 წელს იგი კვლავ ეწვია საბჭოთა კავშირს. ამჯერად ეს იყო მისი ოფიციალური ვიზიტი და იგი გახდა ბრიტანეთის სამეფო ოჯახის პირველი წევრი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა საბჭოეთში. მას შეხვედრა ჰქონდა უმაღლეს დონეზე კრემლში, პრეზიდენტ გორბაჩოვთან.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ იორქებს, თვალი გადავავლოთ რა ხდებოდა ამ ახალგაზრდულ ოჯახში. სარა, რომელმაც მეუღლესთან ერთად მიიღო სამეფო ტიტული და გახდა იორქის ჰერცოგინია, აბსოლუტურად განსხვავებულ სამყაროში აღმოჩნდა. პრინცესა ცდილობდა, შეგუებოდა ახალ სიტუაციას, სასნრაფოდ ისწავლა მანქანის მართვა, თევზის დაჭერა, შეისწავლა ფრენის ხელოვნებდა და თვითმფრინავის მართვის ნებაც კი მიიღო, წარმოიდგინეთ, „ქონქორდის" მართვაც კი სცადა. იორქის ჰერცოგი თავის ქორწინებას სარაზე „სასნაულებრივსაც" უწოდებდა. როგორც პრინცი აღნიშნავდა, „სარა მხიარული, სიცოცხლისუნარიანია, ანათებს, ასხივებს სითბოს და გამოირჩევა იუმორის დიდი გრძნობით". მაგრამ ფერგი (როგორც მის გვარს შემოკლებით მოიხსენიებენ) უკვე კარგად ხვდება, რომ სულ სხვა პირობებში აღმოჩნდა, რომ ქორწინებამ შეცვალა მისი მდგომარეობა, რომ იგი უკვე ვიღაცა არ არის, რომ იგი უბრალოდ დედოფლის ქვეშევრდომი კი არაა, მისი რძალია და სამეფო ოჯახის წევრი, ცვლილებები, როგორც ჩანს, მისთვის არც თუ სასიამოვნო ხდება. მას სერიოზული შეზღუდვები უწევდა ისეთი ქცევისათვის, რომელიც მიუღებელი იყო სამეფო ოჯახის წევრისათვის. დედოფლის რძლობა სერიოზულად ზღუდავდა სარას მოქმედების არეალს, სულ უფრო და უფრო მართლდებოდა ხალხის აზრი იმის შესახებ, რომ ჰერცოგინია არ არის კარგი „შენაძენი" პირველი ოჯახისათვის. სულ მალე მან დაინყო სამეფო ეტიკეტისა და ქცევის ნორმების უხეში დარღვევა, რაც, ბუნებრივია, საზოგადოების ფართო მასების სამსჯავროზე იქნა გამოტანილი. მაგალითად, ქორწინებიდან რამოდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ჰერცოგმა გააგრძელა თავისი საზღვაო კარიერა, სარამ დატოვა ქვეყნის ტერიტორია და მარტო გაემგზავრა ალპებში დასასვენებლად. ასეთი ქცევა მან ნორმალურად მიიჩია, გათხოვილი ქალისათვის კი ასეთი ქცევა

მიუღებელი იყო. საღამოებს იგი ისეთ გარემოცვაში ატარებდა, რომ საზოგადოების ყურადღების ცენტრში ხვდებოდა. სარამ გადანყვიტა, თავისი ახალი სახლისათვის შეეძინა ამერიკული ავეჯი და ისიც ამერიკული ფორმების საშუალებით. პრინცესას ასეთ საქციელს დედოფლის სერიოზული რეაქცია მოჰყვა, ამ დროს ქვეყანაში მიმდინარეობდა სპეციალური კომპანია დევიზით „შეიძინეთ მხოლოდ ბრიტანული საქონელი", დედოფლის რჩევა უშედეგო აღმოჩნდა. სარა ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ფრანგული მოდისადმი. ყოველივე ეს კი მის არაპატრიოტულ საქციელად მიიჩნეოდა და, რა თქმა უნდა, პრესის ყურადღების ცენტრში ექცეოდა. პრინცესა ფულის სერიოზული მფლანგველი აღმოჩნდა და ვალებშიც ჩავარდა. როდესაც სარამ დაწერა ორი საბავშვო წიგნი, განაცხადა, რომ ჰონორარს ჩარიცხავდა საქველმოქმედო ფონდში, მაგრამ შემდგომ ფული მის ჯიბეში აღმოჩნდა, რამაც საზოგადოების სერიოზული გაოცება გამოიწვია. პრობლემებმა იჩინა თავი ასევე მეუღლეებს შორის ურთიერთობაშიც. ერთ-ერთ საღამოს, რომელიც დედა დედოფალმა მოაწყო, სარა საქვეყნოდ წაეჩხუბა ჰერცოგს, მიატოვა არა მარტო იგი, არამედ ნვეულებაც. ხშირად სარა საზოგადოების წინაშე სამეფო ოჯახის წევრთათვის მიუღებელი ტანსაცმლით გამოდიოდა. დეკოლტირებული პერანგები და მოკლე კაბები თავზარდამცემი იყო არა მარტო იქ მყოფთათვის, არამედ მთელი ქვეყნისათვის. როგორც პრესა ირწმუნებოდა, აღმოჩნდა, რომ პრინცესა თავს არიდებდა ოფიციალურ საზოგადოებრივ საქმიანობას. ხშირად არ იყო მისი საქციელი მოსაწონი არც საზღვარგარეთ ვიზიტების დროს. მაგალითად, როცა კანადას ეწვია, მას მოელოდნენ საკმაოდ მკაცრად ჩაცმულს, მაგრამ ყველას გასაოცრად, მას თავისუფლად ეცვა და თმების სამაგრად კანადის ეროვნული ემბლემა — ნეკერჩხლის ფოთოლი ჰქონდა გაკეთებული. ეს ყოველივე, ბუნებრივია, მისაღები იყო ნებისმიერი ტურისტისთვის, მაგრამ არა კანადის სამეფო ოჯახის წევრისათვის (ბრიტანეთის დედოფალი, როგორც ცნობილია, არის ასევე კანადის სახელმწიფოს მეთაურიც, ე.ი. კანადის დედოფალი). აღსანიშნავია, რომ როგორც სამეფო ოჯახის წევრი, მას ხშირად უხდებოდა გამოსვლები, ხალხთან შეხვედრები და ა.შ. მაგრამ პრინცესა ყოველთვის ჩქარობდა და ხშირად მოუმზადებელი იყო მოვალეობის შესასრულებლად, რომელიც მასზე იყო დაკისრებული.

1992 წლის იანვრის შუა რიცხვებში ბრიტანეთის პრესის ფურცლებზე დაიბეჭდა სენსაციური ფოტოები, რომელიც ნათელს ჰფენდა სარა ფერგიუსონის და მისი ამერიკელი მეგობრის, ტეხასელი ნავთობმრეწველის, 38 წლის სთივი უაითის ერთობლივ დასვენებას მაროკოში. ამით სამეფო ოჯახის მოთმინების ფიალა

აივსო და აღნიშნული წლის 19 მარტს სასახლემ ამცნო მსოფლიოს ჰერცოგისა და ჰერცოგინიას ცალ-ცალკე ცხოვრების შესახებ. ეს უდიდესი სულიერი ტრავმა იყო სარა ფერგიუსონისათვის. სიტუაცია გართულდა აგვისტოში. პრესის ფურცლებზე დაიბეჭდა სარა ფერგიუსონისა და საფინანსო საკითხებში მისი მრჩეველის ჯონ ბრაიანის ერთობლივი დასვენების ამსახველი სურათები სამხრეთ საფრანგეთში. ეს კიდევ ერთი სერიოზული დარტყმა იყო არა მარტო იორქების ოჯახის ერთიანობისათვის, არამედ მთელი სამეფო ოჯახისათვის. 1996 წლის აპრილში იორქების ქორწინებას საბოლოოდ დაესვა წერტილი. განქორწინებასთან დაკავშირებით მან სასახლიდან მიიღო 500000 ფუნთი სტერლინგი. ამის შემდეგ, მართალია, იგი ცნობილია კვლავ, როგორც იორქების ჰერცოგინია, მაგრამ ტიტული „მისი უმაღლესობა" მის მიმართ არ გამოიყენება. მიუხედავად განქორწინებისა, სარამ საკმაოდ თბილი ურთიერთობა შეინარჩუნა მეუღლესთან და სამეფო ოჯახის წევრებთან. მან თავის თავს და ყოფილ მეუღლეს საუკეთესო განქორწინებული წყვილიც კი უწოდა.

ელისაბედ II თავისი გამეფების მეორმოცე წელს გილდჰოლში გამოსვლისას „საშინელებათა წელი" უწოდა; იორქების ოჯახში დატრიალებულ განხეთქილებას დაემატა ასევე ხანძარი უინძორის ციხე-სიმაგრეში, რომელიც გაჩნდა 20 ნოემბერს, ზუსტად იმ დღეს, როცა დედოფალი და მისი მეუღლე აღნიშნავდნენ თავიანთი ქორწინების 45-ე წლისთავს. ხანძარმა შთანთქა ბრწყინვალე აპარტამენტების მნიშვნელოვანი ნაწილი, მ.შ. მსოფლიოში სახელგანთქმული წმინდა ჯორჯის საბანკეტო ჰოლი. მართალია, აპარტამენტებში განლაგებული ხელოვნების ნიმუშები უვნებელი დარჩა, მაგრამ ხანძრის მიერ მიყენებული ზარალი შეფასდა 60 მლნ. ფუნთად. უმალ დაისვა კითხვა, თუ ვინ გაიღებდა ხარჯებს სარესტავრაციო სამუშაოებისათვის, სახელმწიფო ხაზინა თუ დედოფალი? მთავრობამ განაცხადა, რომ გამოყოფდა თანხას ხანძრით გამოწვეული ზარალის აღსადგენად, მაგრამ მოსახლეობის ნაწილმა, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, უარი თქვა სახსრების გაღებაზე. ქვეშევრდომების ასეთმა პოზიციამ სერიოზულად ატკინა გული დედოფალს. თანხები სარესტავრაციო სამუშაოებისათვის, ძირითადად, გამოიყო სამეფო შემოსავლებიდან. დღეისათვის დასრულდა ხანძრის მიერ მიყენებული ზარალის ლიკვიდაცია და აპარტამენტების სარესტავრაციო სამუშაოები, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ძველი სახით აღდგა, წმინდა ჯორჯის ჰოლმა ახალი არქიტექტურული იერი მიიღო, ასე რომ 1997 წლის შემოდგომაზე მისი უდიდებულესობის ელისაბედ II და მისი უმაღლესობის ედინბურგის ჰეცოგის, ფილიპე II ქორწინების ოქროს იუბილესათვის, უინძორის

ციხე-სიმაგრე კვლავინდებურად ჩადგა ქვეყნისა და სამეფო ოჯახის სამსახურში.

1992 წელს კიდევ ერთმა სენსაციურმა მოვლენამ შეარყია ბრიტანეთი და მონარქიული სამყარო მთელს მსოფლიოში. 9 დეკემბერს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა მისი უდიდებულესობის დავალებით პარლამენტს გააცნო სასახლის გადანყვეტილება იმის თაობაზე, რომ უელსის პრინცი და პრინცესა შენყვეტდნენ ერთობლივ ცხოვრებას.

ყოველივე კი დაინყო ასე: ქორნინებიდან ორი-სამი წლისმაძილზე ოჯახური ურთიერთობები თითქმის უპრობლემოდ ვითარდებოდა. ისინი ქვეყნის საუკეთესო წყვილს წარმოადგენდნენ და მთელი მსოფლიო აღფრთოვანებული იყო მათით. ჩარლზი აღნიშნავდა კიდეც „სწორედ მის გამო, მე კვლავ ახალგაზრდად ვრჩები". ორი შვილის შეძენის შემდეგ დღის წესრიგში დადგა მესამე შვილის გაჩენის აუცილებლობა, პრინცესამ განაცხადა კიდეც „მე მინდოდა მყოლოდა სამი შვილი, თუმცა ამის შესახებ ჯერ არაფერი მითქვამს მეუღლისათვის", მაგრამ მისი მოსაზრება, როგორც ჩანს, მალე შეიცვალა. შესაძლოა, მასზე იმოქმედა დედოფლის მუდმივმა ზეწოლამ და შენიშვნებმა, რომელიც რძლისაგან ოჯახის გამრავლებას მოითხოვდა. დედოფალი აღნიშნავდა კიდეც, რომ პრინცესა მათ ქალიშვილით გაახარებდა. ყოველივე ამის საპაუხოდ დაიანამ განაცხადა: „მე არა ვარ ბავშვების სანარმოებელი მანქანაო".

მალე გაირკვა კიდეც, რომ ახალდაქორწინებულებს აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათი აქვთ და არც კი ცდილობენ შეუნყობ ხელი ერთმანეთს. ჩარლზს მიაჩნდა, რომ მეუღლე ყოველთვის მის პოზიციაზე უნდა მდგარიყო, დაიანა კი ამ აზრს იშვიათად იზიარებდა. პრინცი ფიქრობდა, რომ მის ცხოვრებაში უპირველესი დედამისი და მამამისია. ჩარლზი გატაცებული იყო კლასიკური მუსიკით, როცა დაიანა უპირატესობას პოპ და როკ მუსიკას ანიჭებდა. როცა ჩარლზი დროის უდიდეს ნაწილს სინყნარეში, ბუნებაში და ქალაქგარეთ ატარებდა, დაიანას, პირიქით, ლონდონში, მეგობრების წრეში ყოფნა ერჩია. თუ პრინცი მნიშვნელოვან დროს ცხენებს, თევზაობას და ყვავილებს უთმობდა, დაიანა უმეტეს დროს მაღაზიებში სიარულს ანდომებდა და თუ ტახტის მემკვიდრე თავისუფალ დროს ისტორიულ და ფილოსოფიურ ლიტერატურას კითხულობდა, დაიანა ამ დროს ტელეფონით საუბრებში ხარჯავდა. გამოდიოდა, რომ მათ ერთობლივად განსახილველი საქმე პრაქტიკულად არ ჰქონდათ. დაიანა ვერ შეეწყო სამეფო ოჯახის სხვა წევრებს, ჩარლზის ოჯახი მიუნვდომელი და არამშობლიური აღმოჩნდა მისთვის. დაიანას სამეფო ოჯახი თავიანთ განმაცალკევებლად მიაჩნდა. ჩარლზი უპირატესად ეკუთვნოდა

სწორედ დედამისს, დროის უდიდეს ნაწილს ისინი ერთად ატარებდნენ. ჩარლზი, როგორც მომავალი მეფე, ძირითადადა დაკავებული იყო სახელმწიფოებრივი საქმიანობებით. ეს პრობლემები დაიანას არ აინტერესებდა და არც მათით იწუხებდა ტავს, თუმცა სასახლეში მისთვის არავის უგრძნობინებია, რომ ამ საქმისათვის იგი ზედმეტია. თაფლობის თვეების შემდეგ ჩარლზი დაუბრუნდა მისთვის ჩვეულ სამეფო ცხოვრებას, სადაც დაიანას ადგილი თითქმის არ იყო.

სპორტული ცხოვრება კიდევ უფრო ართულებდა ჩარლზისა და დაიანას ურთიერთობას. მკითხველისათვის ცნობილია, რომ სამეფო გვარი უდიდეს დროს უთმობდა სპორტს. ცხენოსნობა კი უინძორების ერთ-ერთი უსაყვარლესი საქმიანობაა. სამეფო ოჯახში პრინც ენდრიუს გარდა ყველა უზომოდ შეყვარებულია ცხენებზე. ცხენები დაიანას არ უყვარდა, თურმე პატარაობისას იგი ჩამოვარდნილა ცხენიდან და ამ დღიდან მოყოლებული ეს დამოკიდებულება სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. პრინცესას არ უყვარდა არც ნადირობა და არც თევზაობა. ეს ყოველივე კი დედოფლის ოჯახის უსაყვარლეს საქმიანობას წარმოადგენს, ასე რომ უელსის პრინცესა ამ საქმიანობიდანაც გარიყული აღმოჩნდა. პრინცესას სპორტის უსაყვარლესი სახეობა ჩოგბურთია, სპორტის ეს სახეობა, მართლაც სამეფოა და უინძორებშიც პოპულარობით სარგებლობს, საკმარისია, აღინიშნოს მეფე ჯორჯ VI უდიდესი ინტერესი მისდამი და პრინც ედუარდის სერიოზული გატაცება ამ სახეობით. მაგრამ სამეფო ოჯახის წევრთა უმრავლესობისათვის სპორტის ეს სახეობა მხოლოდ საყურებლად და ჯილდოების გადასაცემად არის მიჩნეული.

ჯერ კიდევ გათხოვებამდე დაიანა მნიშვნელოვან დროს ატარებდა არისტოკრატიულ წრეებში, მაგრამ საკუთარი ოჯახის შექმნის შემდეგ მან შენიშნა, რომ მისი ადგილი აქ ნამდვილად არ არის, რომ იგი უფრო ახლოსაა საშუალო ფენასთან და არა სამეფო ოჯახთან. მისთვის არ იყო უცხო თეთრეულისა და ჭურჭლის რეცხვა, სუპერმარკეტებში სიარული, რიგებში დგომა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენება და ა.შ. ეს ყოველივე კი პრინცისათვის, ბუნებრივია, უცხოა და ალბათ, მიუღებელიც არის. ჩანს დაიანა ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე მონაწილეობდა ოფიციალურ ცერემონიალებში, ერთხელ მან აღნიშნა კიდეც: „სულ ცოტა ხნის წინათ მე ვიყავი ვინმე დაიანა სპენსერი, და უცებ კი გავხდი უელსის პრინცესა, მასობრივი საშუალებებისა და სამეფო ოჯახის სათამაშო, ეს ყოველივე კი უაღრესად დიდი და ძნელია ერთი ადამიანისთვის".

რა თქმა უნდა, როდესაც დაიანა გათხოვდა, არ იყო პატარა გოგონა, ამ დროს ის ოცი წლის იყო. მას კარგად უნდა სცოდნოდა,

თუ როგორც შეიცვლებოდა ასეთი გათხოვების შემდეგ მისი ცხოვრება. პრინცესად გახდომა არა მარტო სასიამოვნო და სასურველი საქმე იყო, არამედ იგი უდიდეს პასუხისმგებლობასაც ითხოვდა. ალბათ, ამ საქმეში უფრო დიდი როლი უნდა შეესრულებინა დაიანას მამას, მის მეუღლეს პრინც ჩარლზს და დედამთილს — მის უდიდებულესობას. შესაძლოა, დაიანა კარგ ინსტრუქციებსაც იღებდა მათგან, მაგრამ როგორც ჩანს, იგი ამ „თანამდებობისათვის" არ დაბადებულა. გარდა ბუნებრივი სილამაზისა, რომელიც უელსის პრინცესას ნამდვილად არ აკლდა, ალბათ, კიდევ ბევრი რამ იყო საჭირო. ჩარლზი დაიანას ხშირად საყვედურობდა იმის გამო, რომ იგი „არაფრისგან ქმნის პრობლემებს". ასეთ დროს არც დაიანას მრჩევლები და ახლობლები აღმოჩნდნენ სიმაღლეზე, რაც დრო გადიოდა, სიტუაცია ქენსინგთონის სასახლის უელსურ ნაწილში სულ უფრო და უფრო რთულდებოდა, მათი ცხოვრების წესი სულ უფრო ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. დაიანას ერთ-ერთი მრჩეველი აღნიშნავდა, რომ ცოლ-ქმრის საქმიანობა ორი პოპ-ვარსკვლავის კონკურენციულ ბრძოლას უფრო წააგავსო. როდესაც წყვილი ინგლისში იმყოფებოდა, თავისუფალი დროის უდიდეს ნაწილს პრინცი ჰაიგროუში ატარებდა, სადაც დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობით, დროს ატარებდა მეგობრებში, თამაშობდა პოლოს, დაიანა კი ამჯობინებდა ქენსინგთონის სასახლეში დარჩენას, თავისი მეგობრების წრეში.

ტრავმირებული იყო ქვეყანა, როცა გამოვიდა ენდრიუ მორთონის წიგნი „დაიანა, მისი ნამდვილი ამბავი". წიგნში მოთხრობილია დაიანა სპენსერის სამეფო ოჯახში გატარებული წლების შესახებ. ავტორის მოწმობით, ნაშრომს თავად გაეცნო უელსის პრინცესა და მოიწონა კიდეც იგი. მართალია, სასახლემ არ უარყო წიგნში მოყვანილი ფაქტები, მაგრამ უარი თქვა პრინცესას ავტორთან თანამშრომლობაზე, თუმცა წიგნში წარმოდგენილი დაიანას საოჯახო ალბომის ფოტოები ამ პოზიციას ეწინააღმდეგება. წიგნი მოგვითხრობს პრინცესას ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე და თვითმკვლელობის მცდელობის არაერთ ფაქტზე. პრესაში გამოჟონა ფაქტმა იმის თაობაზე, რომ მეუღლეები არც კი ელაპარაკებოდნენ და არც ესალმებოდნენ ერთმანეთს. ურთიერთობის გართულების თავისებური კულმინაცია იყო 1987 წელი, როცა პრინცმა რამოდენიმე თვე გაატარა შოტლანდიაში, ბოლმოროლში, დაიანა კი დარჩა ლონდონში. ჟურნალისტები დაინტერესდნენ მეუღლეების ინტიმური ცხოვრებითაც. დაისვა კითხვა ერთ საწოლში სძინავთ თუა არა მათ. აღინიშნა, რომ მათ ერთ საწოლში არ სძინავთ, თუმცა პრესამ გარკვეულ წილად გაამართლა ეს მდგომარეობა, ითქვა, რომ უმაღლეს წრეებში, საერთოდ, მიღებულია მეუღლეების ცალ-ცალკე ოთახებში წოლა. აქვე აღინიშნა,

რომ ცალ-ცალკე ოთახებში სძინავთ დედოფალსა და ედინბურგის ჰერცოგს და დაიანას მამას და მის მეორე მეუღლეს. სულ მალე პრესა უელსელების ოჯახის ერთგულების საკითხსაც შეეხო. ამ მხრივ განსაკუთრებით ადანაშაულებენ დაიანას. მას სიახლოვე და სითბო შენიშნეს მის მცველთან ბარი მანიქთან. ეს ცნობილი გახდა როგორც ჩარლზისათვის, ასევე ჟურნალისტებისათვის. ქორწინების ათი წლის თავს სამეფო წყვილი ერთად არ შეხვედრია. ამ თარიღთან დაკავშირებით „დეილი თელეგრაფმა" ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. გამოკითხულთა უმრავლესობამ დაიანა სპენსერი დაასახელა სამეფო ოჯახის ყველაზე პოპულარულ წევრად. 1992 წელს უელსელების წყვილი ინდოეთის სტუმარი იყო. მეუღლეთა შორის არსებულმა კონფლიქტმა თავი აქაც იჩინა. შესაძლოა პრინცესამ საგანგებოდ მარტომ გადაიღო სურათი სახელგანთქმული თაჯ-მაჰალის წინ, რითაც ყველას დაანახა, რომ იგი სულიერ მარტოობას განიცდიდა. ინდოეთში ისინი ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ და დელიშიც სხვადასხვა თვითმფრინავით გაფრინდნენ: პრინცი — ომანიდან, პრინცესა — ლონდონიდან. ისინი სხვადასხვა სასტუმროში ცხოვრობდნენ და მხოლოდ და მხოლოდ მომსახურე პერსონალით ჰქონდათ ერთმანეთთან ურთიერთობა. ერთობლივი ღიმილი კი სპეციალურად ვიდეოკამერის წინაშე ფიქსირდებოდა.

დაიანას და ჩარლზის ურთიერთობა, ბუნებრივია, მარტო გარკვეული წრის „ანგარიშს" როდი წარმოადგენდა, მსოფლიოს პრესა აჭრელებული იყო მათი ცხოვრების ნებისმიერი ნიუანსით, დაინერა არაერთი ნიგნი, გადაიღეს ფილმები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სწორედ პრესის არანორმალურმა ინტერესმა განაპირობა უელსელების ოჯახის ნგრევა და პრინცესა დაიანას ტრეგიკული სიკვდილიც.

1994 წლის ოქტომბერში გაერთიანებულ სამეფოში გამოვიდა ტელეჟურნალისტის ჯონათან დიმბლების წიგნი — პრინც ჩარლზის ბიოგრაფია. წიგნში ყურადღება მახვილდება ჩარლზის ძველ სიყვარულზე ვინმე ლედი ქამილასადმი, რომელსაც სასიყვარულო რომანი ჰქონდა პრინცთან ქორწინებამდე. დაიანამ ქამილას ორი სურათი საქორწინო ტურნედან დაბრუნების შემდეგ სულ მალე უბის წიგნაკში აღმოუჩინა თავის მეუღლეს. ალბათ, დრო დადგა ორი სიტყვა შევაწიოთ ქამილასაც, ქალბატონს, რომელსაც, ვფიქრობ, გარკვეული წილი უდევს უელსელების ერთობის ნგრევის საქმეში. ქამილა და ჩარლზი ერთმანეთს პირველად შეხვდნენ 1970 წელს და საქმეც ადგილიდან დაიძრა. ქამილა ჩარლზზე ერთი წლით უფროსია, იგი მაღალი წრის წარმომადგენელია. მის წინაპრებს სამეფო ოჯახთანაც უმსახურიათ. იგი გახლავთ ელის ქეფელის შვილთაშვილი, იმ ქალბატონისა, რომელსაც საკმაოდ

ახლო და საეჭო ურთიერთობაც კი ჰქონდა მეფე ედუარდ VII-სთან. ქამილამ ჩარლზს ერთ-ერთი შეხვედრისას შეახსენა კიდეც მათი წინაპრების "განსაკუთრებული" ურთიერთობა, რაც დედოფალ ალექსანდრას სერიოზულ გულისნყრომას იწვევდა. დანყებულ სიყვარულს პრინცმა თავი ვერ მოაბა, იგი შორეულ მოგზაურობას შეუდგა და მარტოხელა ქამილა ალბიონზე დატოვა. როგორც ჩანს, ქამილა დროს უქმად არ კარგავდა და მიიღო კიდეც პარქელ ბოულსის წინადადება ცოლობის თაობაზე. ისინი დაქორწინდნენ 1975 წელს. ქორწინების შემდეგ მათ ორი შვილი, ქალ-ვაჟი, შეეძინათ. ვაჟის, თომასის ნათლია თავად პრინცი ჩარლზია. ქამილა 1995 წელს გაშორდა თავის მეუღლეს. უკან დაბრუნებულ ჩარლზს უკვე სხვა ქამილა დახვდა, მაგრამ სასიყვარულო სიმები მათ შორის იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ჩარლზმა დაქორწინებული ქამილა მშვენიერ დაიანაზე წინ დააყენა. როგორც ჩანს, ქამილა ყოველთვის ჩარლზის გვერდით იდგა. როდესაც პრინცი ჰაიგრუში იყო, ქამილას მასთან ხედავდნენ, დაიანა კი ლონდონით იყო გატაცებული. ჩარლზს და მის გულისნორს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. ეს არის კლასიკური მუსიკა, საგარეუბნო ცხოვრების ნირი და, რაც მთავარია, უსაზღვრო სიყვარული ცხენებისადმი. და თუ ყოველივე ზემოთ თქმული ჩარლზს და ქამილას აახლოვებდა ერთმანეთთან, ეს, რა თქმა უნდა, არ ითქმის პრინცისა და პრინცესას ურთიერთობაზე.

1992 წლის ივნისში, როდესაც „ქამილგეითი" განვითარების უმაღლეს სტადიაში იმყოფებოდა, დედოფალმა უინძორის ციხესიმაგრეში მოინვია დაიანა და ჩარლზი სპეციალურ საოჯახო თათბირზე. დაიანას დაუსვეს კითხვა, თუ რა სურდა მას. „თავისუფლება" — უპასუხა უელსის პრინცესამ, თავისუფლება ქორწინებისაგან და სამეფო ოჯახისაგან. დიახ, მას სურდა დაეწყო ახალი ცხოვრება, იგი ხომ მხოლოდ 30 წლის იყო. პრინცესა იმდენად უარყოფითად იყო განწყობილი მეუღლის მიმართ, რომ უკვე დაგეგმილ ვიზიტში მონაწილეობის მიღება არ სურდა, რომელიც უნდა მოწყობილიყო ნოემბერში სამხრეთ კორეაში. დაიანას უარი დედოფალმა და ედინბურგის ჰერცოგმა სამეფო განაწესის დარღვევად მიიჩნიეს და პრინცესაც იძულებული იყო ჩარლზთან ერთად გამგზავრებულიყო შორეულ ტურნეში. კორეაში ვიზიტისას ჩარლზისა და დაიანას ურთიერთობა ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობებს ნაგავდა. ეს ტურნე აღმოჩნდა მათი უკანასკნელი ერთობლივი ვიზიტი.

დიმბლების წიგნში განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, სადაც ჩარლზი აღიარებს იმას, რომ იგი დაიანაზე დაქორწინდა არა სიყვარულით, არამედ თავისი მშობლების, კერძოდ კი მამამისის, ედინბურგის ჰერცოგისა და ბებიამისის დაჟინებული რჩე-

ვით. ჯერ კიდევ დიმბლების წიგნის გამოსვლამდე პრინცმა ჩარლზმა ტელევიზიის საშუალებით ინტერვიუ მისცა აღნიშნულ ჟურნალისტს, სადაც მან ოფიციალურად განაცხადა, რომ მეუღლის ერთგული არ ყოფილა მათი ცალ-ცალკე ცხოვრების შემდეგ. უელსის პრინცის ასეთმა გულღია აღიარებამ ქვეყნის მოსახლეობაში უდიდესი სიმპათიები აღძრა. ტელეგადაცემას თვალყურს ადევნებდა 13 მილიონი ადამიანი. გამოკითხულთა 85% პრინცის მომხრე აღმოჩნდა.

სენსაციური აღმოჩნდა აგრეთვე ანა პასტერნაკის წიგნი „პრინცესას სიყვარული", სადაც გადმოცემულია უელსის პრინცესას სასიყვარულო ურთიერთობანი ვინმე სამხედრო მოსამსახურე ჯეიმს ჰიუითთან, სადაც პრინცესას პარტნიორი აღნიშნავს „ხუთი წლის მანძილზე მე ვიყავი მთავარი მამაკაცი მის ცხოვრებაში, იგი ხშირად ჩუმად მოდიოდა ჩემს სახლში დევონში და მე დავდიოდი ქენსინგთონის სასახლეში, როცა ჩარლზი არ იყო იქ, ჩვენ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, მას სურდა კიდეც დაეტოვებინა ჩარლზი ჩემი გულისთვის".

მონარქისტული სამყაროსათვის ასევე ძნელი ასატანი აღმოჩნდა უელსის პრინცესას ტელეინტერვიუ ბი-ბი-სის გადაცემა „პანორამასათვის" 1995 წლის 10 ნოემბერს, რითაც მან სამი უდიდესი დარტყმა მიაყენა სამეფო ოჯახს: პირველი — მან განაცხადა საქვეყნოდ, რომ ღალატობდა მეუღლეს, მეორე — მან აგრძნობინა საზოგადოებას, რომ ჩარლზი მეფედ არ გამოდგება და მესამე — ყოველივეში მან დაადანაშაულა „ქმრის დეპარტამენტი". სამეფო ოჯახის მოთმინების ფიალა აივსო. 1995 წლის შობის წინა დღეს დედოფალმა ელისაბედ II უბრძანა შვილს და რძალს სასწრაფო განქორწინება. ჩარლზი დათანხმდა დედამისის ბრძანებას, დაიანა, რომელიც საბოლოო განქორწინების წინააღმდეგი იყო, გარკვეული კონსულტაციების შემდეგ, თებერვლის ბოლოს დათანხმდა განქორწინებას. ამის სანაცვლოდ დაიანამ თავის მეუღლეს 15 მილიონი ფუნთი მოსთხოვა. ამ თანხისთვის ჩარლზი დედამისის ფინანსებს მიადგა, საიდანაც უარი არ მიუღია. 1996 წლის 28 აგვისტოს მათი განქორწინება ძალაში შევიდა. უელსის პრინცესამ განქორწინებისთანავე დაკარგა ტიტული „მისი უმაღლესობა". მან შეინარჩუნა აპარტამენტები ქენსინგთონის სასახლეში. იგი დროდადრო, შესაძლოა მოინვიონ კიდეც ზოგიერთ სახელმწიფოებრივ ცერემონიალზე, რა თქმა უნდა, თუ ამის სურვილს გამოთქვამდა მისი უდიდებულესობა. მიუხედავად ოფიციალური განქორწინებისა, დაიანასა და ჩარლზს შორის ურთიერთობა მეგობრული დარჩა, უელსის პრინცესა ხომ მისი ორი ვაჟის მშობელი და ბრიტანეთის მომავალი მეფის დედა იყო.

დაიანას და ჩარლზის ოფიციალური განქორწინებით დამთავრდა უდიდესი კრიზისი სამეფო ოჯახში, რომელიც თავისი სიმწვავით ჩამორჩებოდა მხოლოდ 30-იანი წლების შუა პერიოდში შექმნილ კრიზისს. კრიზისის წლებში, ბუნებრივია, დაისვა საკითხი ჩარლზის, როგორც მომავალი მონარქის, გამეფებისა. საზოგადოების ნანილისათვის განქორწინებული მეფე მიუღებელია. ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ, იორქის არქიდიაკონმა აღნიშნა, რომ ჩარლზის გამეფება მისი ამორალური ქცევის გამო, მიუღებელია, რადგანაც მან გატეხა ერთგულების ფიცი, რომელიც დადო ქორწინების ცერემონიალზე ღმერთისა და ეკლესიის წინაშე. აქედან გამომდინარე, შესაძლოა, მან დაარღვიოს ასევე მეფედ-კურთხევის ცერემონიალზე დადებული ფიციო. მაგრამ უმაღლესმა საეკლესიო ნრეებმა არქიდიაკონის ეს პოზიცია მიიჩნიეს, როგორც მისი საკუთარი აზრი და განაცხადეს, რომ აღნიშნული აზრი არ გამოხატავს ანგლიკანური ეკლესიის ხელმძღვანელობის პოზიციას და რომ შესაძლოა ეკლესიამ მიიღოს განქორწინებული მონარქი.

მიუხედავად სერიოზული კრიზისისა, რომელმაც 90-იანი წლების პირველ ნახევარში მოიცვა უინძორების სახლი, დედოფალი და სამეფო ოჯახის წევრები კვლავინდებურად ასრულებენ მათზე დაკისრებულ ყოველგვარ კონსტიტუციურ უფლრბამოვალეობებს. 1991 წლის აპრილში დედოფალი მასპინძლობდა სახელგანთქმულ ლეხ ვალენსას, გლეხის ოჯახში დაბადებულ რვა შვილის მამას, გდანსკის გემთსაშენებელი ქარხნის ელექტრიკოსს, „სოლიდარობის" პროფსაბჭოს თავმჯდომარეს, ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურიატს, პოლონეთის პრეზიდენტს. პოლონეთის სახელმნიფოს მეთაურს და მის მეუღლეს ჰითროუს აეროპორტში დახვდა ქენთის ჰერცოგი. უინძორის ჰოუმ პარკთან მათ შეეგენა მისი უდიდებულესობა და ედინბურგის ჰერცოგი. უინძორის ციხე-სიმაგრისაკენ მიმავალ პირველ კარეტაში ისხდნენ დედოფალი და პრეზიდენტი, მეორეში — ჰერცოგი და პრეზიდენტის მეუღლე, დატუნა, რომელიც ერთ დროს ყვავილების მაღაზიაში მუშაობდა.

ელისაბედ II-მ უინძორის ციხე-სიმაგრეში ნმინდა ჯორჯის ჰოლში 160-სტუმრიანი ბანკეტი გამართა, რომელსაც 300 ადამიანი ემსახურებოდა. მენიუ მოიცავდა მწყრის კვერცხს, ზალტურს, ხბოს ხორცს გარეული სოკოთი, ტოსკანის ატამს, რეინვეინს, კლარეტს და ა.შ.

დედოფალმა პრეზიდენტს სამეფოს ერთ-ერთი უმაღლესი ორდენი — ბათის ორდენის დიდი ჯვარი, ასევე თავისი და ჰერცოგის ვერცხლის ჩარჩოში ჩასმული სურათი გადასცა. მისმა უდიდებულესობამ ვალენსას აჩუქა ასევე ჯონ სპიდის მიერ XVII საუკუნეში შექმნილი პოლონეთის რუკა. თავის მხრივ, პრეზი-

დენტმა დედოფალი დააჯილდოვა პოლონეთის რესპუბლიკის ღირსების ორდენით, ასევე ყავის ჭურჭლით, რომელზედაც ხელითაა დახატული ვარშავის ხედები, ჰერცოგს კი გადასცა ხმალი.

უინძორში ცხოვრებისას პრეზიდენტის და მისი მეუღლის აპარტამენტები განლაგებული იყო ციხე-სიმაგრის ლენქასთერის კოშკში. პრეზიდენტმა ხუმრობით აღნიშნა: „მე ვერ შევძელი ჩემი მეუღლის პოვნა ასე დიდ სანოლში".

მაის-ივნისში ეწყობა ელისაბედ II-ს მორიგი, მესამე ოფიციალური ვიზიტი აშშ-ში. თეთრი სახლის ეზოში მის უდიდებულესობას შეეგება ქვეყნის პრეზიდენტი ბუში და აშშ-ის პირველი ლედი. ბუშის მისალმების შემდეგ სპეციალურად მოწყობილ მიკროფონთან მივიდა დედოფალი. მიკროფონები პრეზიდენტის სიმაღლისათვის იყო გათვალისწინებული, ამიტომ დედოფლის გამოსვლისას, ძირითადად, ჩანდა მხოლოდ მისი ქუდი. ასეთი გაუთვალისწინებელი შემთხვევა მსოფლიოს პრესამ „მოლაპარაკე ქუდად" მონათლა. შემდგომ ელისაბედ II სიტყვით გამოვიდა აშშ-ის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, კონგრესში. ეს იყო პირველი შემთხვევა ამერიკა-ბრიტანეთის ურთიერთობაში, როცა გაერთიანებული სამეფოს მონარქი სიტყვით მიმართავდა კონგრესის ორივე პალატას. კონგრესში თავისი სიტყვა დედოფალმა დაიწყო შემდეგნაირად: „მე იმედი მაქვს, რომ თქვენ შეგიძლიათ დამინახოთ ადგილებიდან". ამ სიტყვებს კონგრესმენები ოვაციით შეხვდნენ. ვოშინგთონის შემდეგ დედოფალი და ედინბურგის ჰერცოგი ეწვივნენ ფლორიდას და ტეხასს. ფლორიდაზე მოგზაურობისას 12 წლის ამერიკელმა ბიჭუნამ მოულოდნელად ჰკითხა დედოფალს: „რამდენი ხანია რაც თქვენ დედოფალი ბრძანდებით?". „საკმაოდ ხანგრძლივად, მოიცადე და წაიკითხე ამის თაობაზე ისტორიის წიგნში", უპასუხა მისმა უდიდებულესობამ. აშშ-ში მოგზაურობისას სამეფო წყვილი პრეზიდენტის თანხლებით დაესწრო ბეისბოლის თამაშს ბოლთიმორში, ბოლოს „ბრიტანიაზე" გაიმართა ბანკეტი, რომეზეც მოწვეული იქნა 50-ზე მეტი სტუმარი, მ.შ. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტები რ. რეიგანი და ჯ. ფორდი, ფლორიდის გუბერნატორი და სხვა. ამერიკის ტურნეს დროს ელისაბედ II ბრიტანეთის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდო, ბათის ორდენი, გადასცა გენერალ შვარცკოფს, ერაყ-ქუვეითის კონფლიქტში განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

1992 წლის 12 მაისს ელისაბედ II სიტყვით გამოდის სტრასბურგში, ევროპარლამენტში, რომლის დროსაც მან აღნიშნა: „ვდგევარ რა აქ, ვგრძნობ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს პარლამენტის ტრადიციებს შორის, კავშირის მეორე მხარეს, რა თქმა უნდა, ბრიტანელებმა აქ მოიტანეს უესთმინსთერის პაექრობის ძლიერი, ენერგიული ტონი, სტილი, რომელიც

შეიძლება იყო კონფრონტაციულიც, ისეთი ტონი, ზოგიერთმა ჩვენმა წინაპარმა რომ გამოავლინა". სტრასბურგში გამოსვლის შემდეგ დედოფალი ოფიციალური ვიზიტად ეწვია საფრანგეთს. ეს იყო მისი პირველი ოფიციალური ვიზიტი 1972 წლის შემდეგ. პარიზში, ორლის სამთავრობო აეროპორტში, ბრიტანეთის მონარქს და მის მეუღლეს დახვდნენ საფრანგეთის პრეზიდენტი და სხვა ოფიციალური პირები. სტუმარ-მასპინძელი ღია სიტროენით გამოემართნენ პარიზისაკენ, იმ სიტროენით, რომელიც სპეციალურად დედოფლის ვიზიტისათვის დამზადდა ამ 20 წლის წინ. პარიზი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ალმების ზღვაში ჩაფლული ესალმებოდა პრეზიდენტის რეზიდენციისაკენ მიმავალ უმაღლესი რანგის სტუმარს. იმ დღესვე ელისაბედ II და მისი თანმხლები პირები ეწვივნენ პარიზის თანამედროვე კვარტლებს, სადაც მათ დაათვალიერეს მეცნიერებისა და მრეწველობის მუზეუმი. ვიზიტის პირველ საღამოს საფრანგეთის პრეზიდენტმა მიტერანმა ელისეს სასახლეში დედოფლის პატივსაცემად გამართა სამეფო ბანკეტი, რომელსაც ესწრებოდნენ საფრანგეთის არისტოკრატიის უმაღლესი წარმომადგენლები. ამ საღამოზე ელისაბედ II ტანთ ემოსა მარგალიტებით მორთული თეთრი კაბა, თავზე კი ეხურა ლალისა და ბრილიანტების თვლებით შემკული თეარა და ამავე ძვირფასი თვლებისაგან დამზადებული საყურეები და ყელსაბამი. ვიზიტის მეორე დღეს დედოფალს მასპინძლობდა პარიზის მერი ჟაკ შირაკი, იმ საღამოსვე ელისაბედ II სპეციალური სადილი გამართა ფრანგული მხარისათვის. აღნიშნულ ბანკეტზე დედოფალს ეცვა ნაცრისფერი კაბა, რომელიც მოხატული იყო ვერცხლისფერი ყვავილებით, თავზე ეხურა დედოფალი მერის ბრილიანტებიანი თეარა და საუდის არაბეთის მეფის, ფეისალის, ნაჩუქარი ყელსაბამი. შემდგომ ვიზიტი გაგრძელდა ვენდომში, ლუარის ხეობაში, სადაც დედოფალს შეხვედრა ჰქონდა ქალაქის მერთან და საფრანგეთის კულტურისა და განათლების მინისტრთან. ვიზიტის ბოლოს მისი უდიდებულესობა ეწვია ბორდოს, რომელიც ერთ დროს ბრიტანეთის ტერიტორიას წარმოადგენდა. დედოფალს აქ დახვდა გემი „ბრიტანია", რომელზეც მან გამოსათხოვარი სუფრა გაშალა პრეზიდენტ მიტერანის პატივსაცემად. საღამოს მას ეცვა იასამნისფერი კაბა, ეხურა ბრილიანტებში ჩასმული საფირონისთვლებიანი თეარა, ასევე საყურეები და ყელსაბამი, რომელიც დედოფალს ქორწინების დღეს აჩუქა მამამისმა, ჯორჯ VI.

კანადის კონფედერაციის 125-ე და მისი მეფობის მეორმოცე წლისთავის აღსანიშნავ ცერემონიალებთან დაკავშირებით მისი უდიდებულესობა ეწვია კანადის დედაქალაქ ოთავას ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით. ამ დროს პარლამენტის შენობის წინ, სადაც იმართება მრავალი ცერემონიალი, გაიხსნა ცხენზე ამხედრე-

ბული დედოფლის ძეგლი, რომელიც ბრიტანეთის კოლუმბიელმა სკულპტორმა ჯექ ჰერმანმა გააკეთა ბრინჯაოსაგან. მონუმენტი დგას ქვებექის თეთრი გრანიტის ქვაზე. მეორე დღეს გაიმართა მთელი რიგი შეხვედრები, რომელიც მიეძღვნა კანადის დღეს და რომელიც დაიწყო სპეციალური ცერემონიალით დედოფლის ოთავის რეზიდენციაში. ბრიტანეთში სამეფო წყვილი ქონქორდით დაბრუნდა.

საფრანგეთში და კანადაში წარმატებული ვიზიტებს მოჰყვა ასევე ელისაბედ II ტურნე 1992 წლის ოქტომბერში გერმანიაში. ეს იყო დედოფლის მესამე ვიზიტი გერმანიაში და პირველი ვიზიტი ქვეყნის გაერთიანების შემდეგ და ამავე დროს ეს გახლდათ მისი პირველი ვიზიტი პოსტკომუნისტურ სივრცეში. ვიზიტის პირველ საღამოს გერმანიის პრეზიდენტმა დედოფლის პატივსაცემად ბონთან ახლოს მის რეზიდენციაში აუგუსთბურგში გამართა ბანკეტი. ბანკეტზე დედოფალს ეცვა თეთრი კაბა, ხოლო თავზე ეხურა დედოფალ ალექსანდრას რუსული თეარა, ყელზე ეკეთა საუდის არაბეთის მეფის ჰალიდის ნაჩუქარი ბრილიანტების ყელსაბამი. სამეფო სუფრაზე დედოფალმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც აღნიშნა: „ჩვენ, ბრიტანელები, ვართ ევროპელები, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვართ თქვენი პარტნიორები ერთიან ევროპაში, ვშრომობთ ახლოს ჩვენს მეგობრებთან ერთად აყვავებისა და მშვიდობისათვის". შემდგომ სამეფო წყვილი ეწვია კანცლერ კოლის რეზიდენციას. დედოფალმა და პრეზიდენტმა ერთად გაისეირნეს დედაქალაქის ცენტრში, ბრანდერბურგის ჭიშკართან. ეს ჭიშკარი გარკვეული დროის მანძილზე გერმანიის დიდების სიმბოლოდ იყო აღიარებული, შემდგომ კი ორად გაყოფილი ქვეყნის თავისებური სიმბოლო გახდა. დედოფლის ვიზიტის მორიგი პუნქტი გახლდათ დრეზდენი. აქაურმა მცხოვრებლებმა თბილი შეხვედრა არ მოუწყვეს მის უდიდებულესობას და მის კორტეჟს კვერცხებიც კი ესროლეს. ქალაქის მცხოვრებლებმა უკმაყოფილება გამოხატეს 1945 წელს ბრიტანეთის მიერ დრეზდენის დაბომბვის პროტესტის ნიშნად, რომლის დროსაც 35 ათასი ადამიანი დაიღუპა. შემდგომ ქალაქის ერთ-ერთ ეკლესიაში დედოფალი დაესწრო სპეციალურ წირვას, რომელიც ჩაატარეს დრეზდენისა და ქოვენთრის ეპისკოპოსებმა. პრინცი ფილიპი ლოცვებს კითხულობდა გერმანულ ენაზე, ხოლო საქსონიის პრემიერ-მინისტრი — ინგლისურად. ვიზიტის ბოლო ადგილი იყო პოტსდამი, სადაც მისმა უდიდებულესობამ დაათვალიერა ფრიდრის დიდის მსოფლიოში სახელგანთქმული სან-სუნის სასახლე, შემდეგ ელისაბე II ყვავილებით შეამკო დედოფალ ვიქტორიას უფროსი ქალიშვილის, პრინცესა ვიქტორიას, გერმანიის იმპერატორის ვილჰელმ II-ის დედის საფლავი.

1993 წლის 4-7 მაისს დედოფალი და ჰერცოგი ეწვივნენ უნგრეთს. რიჩარდ ლომგულის მეფობიდან დაახლოებით 800 წლის შემდეგ ეს იყო ბრიტანეთის მონარქის პირველი ვიზიტი უნგრეთის მინა-ნყალზე. ათიათასობით ადამიანი გამოვიდა ბუდაპეშტის ქუჩებში, რათა თვალი შეევლოთ ბრიტანეთის სამეფო წყვილისათვის. პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ბანკეტს მოჰყვა სტუმრობა ბუდაპეშტის ოპერაში და დედოფლის გამოსვლა უნგრეთის პარლამენტში. დედოფლის და მისი მეუღლის ჩასვლა ბუგასში საგანგებოდ საცხენოსნო სპორტს მიეძღვნა.

7 აგვისტოს მისი უდიდებულესობა ბრიუსელშია, ბელგიის დედაქალაქში, სადაც მონანილეობას იღებს ბელგიის მეფის, ბოდუენ I-ის სახელმწიფო დაკრძალვის ცერემონიალში. დედოფალს ახლდა ედინბურგის ჰერცოგი. ეს იყო ელისაბედ II პირველი ვიზიტი საზღვარგარეთ დაკრძალვის ცერემონიალზე, მისი მეფობის პერიოდში. დედოფალს შავები ეცვა, მკერდზე ეკეთა დეოდფალ მერის „დორსეთის საგრაფოს" ბრილიანტებიანი გულსაბნევი. ბელგიის მეფე ბოდუენ I მოულოდნელად გულის შეტევის შედეგად გარდაიცვალა ესპანეთში დასვენების დროს 1993 წლის 1 აგვისტოს. ბელგიის და ბრიტანეთის სამეფო ოჯახები სისხლით ნათესაურ კავშირში იმყოფებიან. აღსანიშნავია, რომ ბელგიის მეფის, ლეოპოლდ I დისშვილი იყო დედოფალი ვიქტორია. ბოდუენ I გამეფდა 1951 წელს, როდესაც მამამისი ლეოპოლდ II ტახტიდან გადადგა თავისი უფროსი ვაჟის სასარგებლოდ. ბოდუენი 1960 წელს დაქორწინდა ესპანეთის დიდგვაროვან ქალბატონზე ფჯბიოლა დე მორა-ი-არაგონზე. ქორწინების შედეგად მათ შვილი არ შეძენიათ. ამიტომ მეფის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი 59 წლის ძმა, ალბერთ II სახელით. 1994 წლის მაისში მისი უდიდებულესობა კვლავ საფრანგეთის სტუმარია. დედოფალი და საფრანგეთის პრეზიდენტი საზეიმო ვითარებაში ხსნიან ევროპის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო არტერიას, სარკინიგზო გვირაბს დუვრის სრუტის ქვეშ. ამ გვირაბის მშენებლობა მიმდინარეობდა თითქმის შვიდი წელი და შეფასებული იქნა 10000 მლნ ფუნთად. ელისაბედ II აღნიშნავს, რომ ისტორიაში პირველად საფრანგეთისა და ბრიტანეთის სახელმწიფო მეთაურები ერთმანეთს შეხვდნენ ისე, რომ მათ არც ზღვით და არც ჰაერით არ უმოგზაურიათ.

90-ინაი წლების პირველ ნახევარში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ელისაბედ II ვიზიტს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და რუსეთი.

1994 წლის ოქტომბერში შედგა ელისაბედ II-ის ისტორიული ვიზიტი რუსეთში. რუსეთში კომუნისტური მმართველობის პერიოდში ბრიტანეთის სამეფო ოჯახი არავითარ ინტერესს არ

იჩენდა მოსკოვთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის, რაც, უპირველესად, განპირობებული იყო საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებით რუსეთის იმპერატორის ოჯახის წევრთა მიმართ (ჩვენი მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი, თუ რა ბედი ეწია რუსეთის იმპერატორს და მისი ოჯახის წევრებს).

უპირველესად აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთისა და რუსეთის სამეფო ოჯახები ახლო ნათესაურ კავშირში იმყოფებოდნენ. 1863 წელს დედოფალ ვიქთორიას უფროსი ვაჟი, პრინცი ედუარდი დაქორწინდა დანიის მეფის ქრისთინ IX ქალიშვილზე, პრინცესა ალექსანდრაზე. დედოფალ ვიქთორიას გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ედუარდ VII-ის სახელით, ხოლო დეოდფალი გახდა ალექსანდრა, სამი წლით გვიან კი დედოფალ ალექსანდრას და, დანიის მეფის ქრისთინ IX მეორე ქალიშვილი, პრინცესა დაგმარა ცოლად გაჰყვა რუსეთის იმპერატორს, ალექსანდრეს, რომელიც მამამისის სიკვდილის შემდეგ იღებს ალექსანდრე III ტიტულს, დაგმარამ კი გათხოვების შემდეგ მიიღო მართლმადიდებლობა და ცნობილი გახდა როგორც მარია ფეოდორის ასული. ასე რომ, რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III და ბრიტანეთის მეფე ედუარდ VII დაქორწინებული იყვნენ დანიის მონარქის ქალიშვილებზე. რუსეთის ბოლო იმპერატორიც ასევე დაქორწინდა ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრზე, ამჯერად დედოფალ ვიქთორიას შვილიშვილზე. აღსანიშნავია, რომ დედოფალ ვიქთორიას მეორე ვაჟს, ედინბურგის ჰერცოგს, ცოლად ჰყავდა ალექსანდრე II ქალიშვილი. როდესაც რუსეთში თებერვლის რევოლუცია მოხდა, ნიკოლოზ II დედა ყირიმში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მის საშველად მოვიდა ბრიტანეთის მთავრობის მიერ გამოგზავნილი კრეისერი „მალბორო". პრინცესა დაგმარა, იგივე მარია ფეოდორის ასული, სიცოცხლის ბოლომდე ცხობრობდა ბრიტანეთში. მიუხედავად ნათესაური კავშირებისა, ბრიტანეთის არცერთ მონარქს ფეხი არ დაუდგამს რუსეთის მიწაწყალზე, თუმცა მეფე ედუარდ VII კი იყო რუსეთის იმპერიის სტუმარი. ეს ვიზიტი შედგა 1908 წლის ივნისში, როცა ორი სამეფო ოჯახის წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს რეველის უბეში, ტალინთან, ესტონეთში, ბრიტანეთის მონარქი იმყოფებოდა ოატხა „ვიქთორია და ალბერთზე". საბჭოთა ლიდერებიდან ელისაბედ II შეხვედრა ჰქონდა ხრუშჩოვთან (როცა იგი 1957 წელს ეწვია უინძორის ციხე-სიმაგრეს), კოსიგინთან (როცა იგი დედოფალმა მიიღო ბაქინჰემის სასახლეში 1968 წელს) და გორბაჩოვთან (გორბაჩოვი ელისაბედ II შეხვდა პირველად უინძორის ციხე-სიმაგრეში 1989 წელს, მათი მეორე შეხვედრა მოენყო ბაქინჰემის სასახლეში 1990 ნელს).

1989 წლის შეხვედრაზე გორბაჩოვმა ოფიციალურად მიიწვია დედოფალი სსრ კავშირში, მაგრამ დედოფალი საბჭოეთს არ სწვევია. მოგვიანებით, 1992 წელს, რუსეთის პრეზიდენტმა ელცინმა მიწვევა გადასცა მის უდიდებულესობას. დედოფალი და ედინბურგის ჰერცოგი რუსეთს ეწვივნენ 1994 წლის ოქტომბერში ოთხდღიან ვიზიტად. ელისაბედ II-ის ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც რუსეთ-ბრიტანეთის ურთიერთობის განვითარებისა და წინსვლის საქმეში, ასევე იგი დადებით გავლენას ახდენდა რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობაზე.

დედოფალი პირველად ეწვია მოსკოვს, სადაც მისი რეზიდენცია იყო კრემლი. კრემლის სახელგანთქმულ გიორგის დარბაზში მოეწყო ელცინისა და მისი მეუღლის შეხვედრა სამეფო წყვილთან, საღამოთი კი მის უდიდებულესობას მასპინძლობდა დიდი თეატრი „ჟიზელით". ვიზიტის მეორე დღეს კრემლში პრეზიდენტმა დედოფლის და მისი მეუღლის პატივსაცემად გამართა ბანკეტი. დაახლოებით 100 წლის წინ სწორედ აქ, ამ დარბაზში, აღნიშნა ინპერატორის ოჯახმა ნიკოლოზ II-ის მეფედკურთხევა, რომელსაც ესწრებოდა დედოფალ ვიქთორიას უფროსი ვაჟი, შემდგომ მეფე ედუარდ VII. დედოფალთან საუბარში ელცინმა აღნიშნა: „თქვენო უდიდებულესობავ, თქვენ ამტკიცებთ მნიშვნელოვან იდესა, მონარქია შესაძლოა გახდეს დემოკრატიული სისტემის მმართველობის ნაწილი". „თქვენი ვიზიტი იმის ნიშანია, რომ რუსეთი თავისი ათასწლოვანი ისტორიის შემდეგ გახდა დემოკრატიული ქვეყანა". კრემლის დათვალიერების შემდეგ დედოფალმა აღნიშნა: „მე არ ველოდი ასეთი ბრნყინვალების ხილვას". მისმა უდიდებულესობამ ელცინს საჩუქრად გადასცა ოქროს საკინძე, მის მეუღლეს კი ბაქინჰემის სასახლის ბაღიდან კაკლის ხის თესლით სავსე ყუთი. ელცინების ოჯახს აჩუქა სასადილო ჭურჭელი 20 კაცზე. ჭურჭელზე გამოსახულია რუსეთის გერბები. ელცინმა თავის მხრივ ელისაბედ II-ს აჩუქა ტულელი ხელოსნების მიერ დამზადებული სამოვარი და ცნობილი რუსი მხატვრის პრესკინის მიერ შესრულებული ნახატი — დედოფლის პორტრეტი. მოსკოვის გაცნობის შემდეგ სამეფო წყვილი ეწვია სანკტ-პეტერბურგს. პუშკინოს დათვალიერების შემდეგ დედოფალი გაეცნო ერმიტაჟს, რომელიც უბრალოდ მსოფლიოს სახელგანთქმული მუზეუმი როდია, იგი გახლავთ რუსეთის იმპერატორის ოჯახის სამეფო რეზიდენცია. ერმიტაჟის საგანძურმა დედოფლის უდიდესი მოწონება დაიმსახურა. ვიზიტი დამთავრდა „ბრიტანიაზე" გამართული სადილით, რომელიც დედოფალმა მოაწყო რუსეთის პრეზიდენტის პატივსაცემად.

განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო ასევე ელისაბედ II ვიზიტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. თავისი მეფობის 44 წლის

მანძილზე იგი პირველად ეწვია ამ ქვეყანას, თუმცა გამეფებამდე, 1947 წელს, ჯერ კიდევ პრინცესა ელისაბედი მის მმობლებს ვიზიტად ახლდა ამ ქვეყანაში. ამ მოვლენების შემდეგ მრავალი რამ შეიცვალა როგორც ბრიტანეთის იმპერიაში, ასევე მსოფლიოში. 1961 წელს სახმრეთ აფრიკის კავშირი ცხადდება რესპუბლიკად და მმართველი წრეების პოლიტიკური კურსის გამო ტოვებს თანამეგობრობას. წლების მანძილზე ეს ქვეყანა უპირისპირდებოდა მსოფლიოს პროგრესულ საზოგადოებას აპარტეიდის პოლიტიკის გამო, მაგრამ 90-იანი ნლების პირველ ნახევარში აქ გატარებულმა მთელმა რიგმა პოლიტიკურმა რეფორმებმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა კვლავ ჩააყენა ცივილიზებული ქვეყნების რიგში. 1994 ნელს სამხრეთ აფრიკამ აღიდგინა დაკარგული ადგილი თანამეგობრობაში. სასიკეთო ცვლილებებმა დღის ნესრიგში დააყენა ბრიტანეთის მონარქის და თანამეგობრობის მეთაურის ვიზიტის აუცილებლობა ამ ქვეყანაში. ჯერ კიდევ სამხრეთ აფრიკაში ვიზიტამდე ელისაბედ II და ედინბურგის ჰერცოგი იცნობდნენ ქვეყნის პრეზიდენტ ნელსონ მანდელას. მათი გაცნობა მოხდა 1991 ნელს ზიმბაბვეში თანამეგობრობის ლიდერთა სამითზე. მოგვიანებით ედინბურგის ჰერცოგი ესნრებოდა მანდელას ინაუგურაციის ცერემონიალს. მისმა უდიდებულესობამ თავისი ვიზიტის დროს დემოკრატიული არჩევნებით ხელისუფლების სათავეში მოსულ პრეზიდენტ მანდელას გადასცა ღირსების ორდენი, რომელიც უცხოელებს იშვიათად ენიჭებათ. აღსანიშნავია ასევე, რომ ამ ორდენის მფლობელი იყო დედა ტერეზაც. ელისაბედ II სიტყვით გამოვიდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პარლამენტის სხდომაზე ქეიფთაუნში. მან განაცხადა: „48 ნლის წინ მე ვუყურებდი, თუ როგორ გახსნა მამაჩემმა აქ პარლამენტი, პირველი პარლამენტი მისი დომინიონისა...“ „ნელს, 1995 ნელს, ჩვენ აღვნიშნავთ ორ ქვეყანას შორის პირველი კონტაქტების ორასი ნლისთავს“. სამეფო წყვილი ეწვია პორთ-ელიზაბეთს და დურბანს. პრეზიდენტის თანხლებით დედოფალი გახლდათ იოჰანესბურგის ცნობილ გარეუბან სოუეთოში. იგი შეხვდა ასევე ზულუს მეფეს, რომლის წინაპარიც 1882 ნელს ეწვია ინგლისს, დედოფალ ვიქთორიას და აჩუქა მას ვერცხლის თასი. ზულუს მეფემ ელისაბედ II-ს გადასცა ძუ ლომის ფიტული და საჯიშე ხარი. მომდევნო ნლის ივლისში პრეზიდენტი მანდელა ოფიციალურ ვიზიტად ეწვია გაერთიანებულ სამეფოს, სადაც სტუმრობდა მის უდიდებულესობას ბაქინჰემის სასახლეში.

გასული საუკუნის ბოლო ათნლეულის პირველ ნახევარში ელისაბედ II ეწვია მსოფლიოს არაერთ ქვეყანას, ზემოდ დასახელებული ვიზიტების გარდა, დედოფალი და მისი მეუღლე სტუმ-

რობდნენ ასევე ავსტრალიას, მალტას, ნამიბიას, ზიმბაბვეს, ახალ ზელანდიას, ისლანდიას და ა.შ.

1995 წლის მაისში სამეფო ოჯახი მთელი ქვეყნის ყურადღების ცენტრშია. ბრიტანეთმა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ერთად, აღნიშნა ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავი. 5 მაისს დედოფალმა სიტყვით მიმართა უესთმინსტერის ჰოლში ბრიტანეთის პარლამენტის ორივე პალატის წევრებს: „უდიდესი კმაყოფილებით ვუერთდები პარლამენტის ორივე პალატის სხდომას და გულმხურვალედ მოგესალმებით ევროპაში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით...

ყველა ერთად მადლობას ვუხდით ღმერთს იმ გამარჯვებისათვის, რომელსაც 50 წლის წინ მივაღწიეთ ტიტანური ბრძოლით.

...მივესალმებით ჩვენს სახმელეთო ძალებს, რომლებმაც გაგვამარჯვებინეს; ჩვენ გვახსოვს ბრიტანეთისთვის ბრძოლის შავი დღეები, როდესაც სამეფო საჰაერო ძალები იცავდნენ ჩვენს ზეცას მტრისაგან...

როგორც თანამეგობრობის მეთაური, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი თანამეგობრობის ქვეყნებს, რომლებიც გასაჭირის უამს ჩვენს გვერდით იყვნენ“.

მეორე დღეს სამეფო ოჯახი მონაწილეობას იღებს გილდ-ჰოლში გამართულ ბანკეტზე, რომელსაც ესწრებოდა 50 სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური. 7 მაისს კი უცხოეთის სახელმწიფოთა ლიდერების თანდასწრებით წმინდა პავლეს ტაძარში მოეწყო სპეციალური სამადლობელი წირვა, რომელსაც დაესწრო დედოფალი და სამეფო ოჯახის სხვა წევრებიც. 8 მაისს კი ბაქინ-ჰემის სასახლის აივნიდან ათასობით ადამიანს მიესალმა დედოფალი, დედა დედოფალი და პრინცესა მარგარითა ზუსტად ისე, როგორც 50 წლის წინ, როცა მათ შორის იყვნენ ასევე მეფე ჯორჯ VI და პრემიერი უინსთონ ჩერჩილი. საღამოთი კი ელისაბედ II ჰაიდ პარკში საზეიმოდ აანთო გამარჯვების ჩირაღდანი.

1995 წლის 1 ივლისს ლონდონის წმინდა სოფიას ტაძარში ჯვარი დაიწერა საბერძნეთის ყოფილი მონარქის კონსტანტინე II და დედოფალ ანა-მარიას უფროსმა ვაჟმა, ტახტის მემკვიდრემ, პავლემ, სპარტის ჰერცოგმა, ამერიკელ მარია მილერზე. ახლადდაქორწინებულები პირველად შეხვდნენ ერთმანეთს აშშ, ნიუორლეიანში, ცერემონიაზე, რომელიც მოაწყო პატარძლის ნათლიამ, ბერძენმა მილიონერმა ალექსანდრე პაპამაროუკოუმ, რომელიც ამავე დროს მეფე კონსტანტინეს ახლო მეგობარია. ქორწილზე მიპატიჟებული 1500 სტუმრიდან მხოლოდ 450 ჰქონდა საშუალება დასწრებოდა ჯვრისწერის ცერემონიალს ეკლესიაში. დანარჩენი სტუმრები კი საქორწინო ცერემონიალს თვალყურს ადევნებდნენ

ჰემთონ ქორთში მონყობილ უზარმაზარ ეკრანზე. სწორედ ჰემთონ ქორთში მოეწყო მოგვიანებით სამეფო ბანკეტი. პატარძალს ტანთ ემოსა ვალენტინის მიერ შეკერილი საქორწილო საბა, რომელიც შეფასებული იყო 150000 ფუნთად. ეს ქორწინება იყო ევროპის სამეფო ოჯახების უდიდესი შეკრება გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქში პრინცესა ელისაბედის ქორწინების შემდეგ. საქორწინო ცერემონიალს ესწრებოდა დედოფალი ელისაბედ II, რომლის სამოსიც შაბიამნისფერებში იყო გადაწყვეტილი. დედოფალს ეკეთა დედოფალ მერის ქენსინგთონის გულსაბნევი, რომელიც 1893 წლით თარიღდება.

საბერძნეთში რესპუბლიკური მმართველობის გამოცხადების შემდეგ, 1974 წლიდან დღემდე, საბერძნეთის ექს-მონარქი თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობს ლონდონში.

მნიშვნელოვანი სიახლეები იკვეთება პრინცესა მარგარითას ოჯახშიც. 1993 წელს ოჯახდება მისი უფროსი შვილი ვისქონთი ლინლი სერენა სთენჰოფზე. მათი ქორწინება შედგა აღნიშნული წლის 8 ოქტომბერს წმინდა მარგარითის ეკლესიაში, უესთმინსთერში. ვისქონთი დღეისთვის საქმიანობს ავეჯის წარმოების ბიზნესში. მისი მეუღლე ირლანდიური წარმოშობის არისტოკრატიული ოჯახიდანაა, მამამისი გახლავთ ვისქონთი პეთერშემი, ხოლო დედამისი ვირჯინია ფრეიმენ ჯექსონი. ისინი განქორწინებულები არიან, დედა ცხოვრობს მონტე-კარლოში. ვისქონთ ლინლის და მის მეუღლეს ჰყავთ ქალ-ვაჟი; ვაჟი, ჩარლზი, დაიბადა 1999 წელს, ხოლო 2002 წელს ქვეყანას მოევლინა მათი ქალიშვილი — მარგარითა.

1994 წელს ქორწინდება პრინცესა მარგარითას მეორე შვილი, ამჯერად ლედი სარა. მისი მეუღლეა დანიელ ჩათო, რომელიც სარაზე შვიდი წლით უფროსია. მამაისი, თომ ჩათო, რომელიც გარდაიცვალა 1982 წელს, მსახიობი იყო, ხოლო დედამისი ცნობილი თეატრალური მოღვაწეა. დანიელმა უმაღლესი განათლება მიიღო. ჯერ სწავლობდა უესთმინსთერში, შემდგომ კი ოქსფორდის ნიუ კოლეჯში[1]. 80-იან წლებში იგი რამდენიმე ფილმშიც გადაიღეს. სარას და დანიელის ქორწინება შედგა წმინდა სთეფანის ეკლესიაში, ლონდონში. მათ ჰყავთ ორი ვაჟი, პირველი, სამუელი, გაჩნდა 1996 წლის ივლისში, მეორე, ართური — 1999 წლის თებერვალში.

1994 წელს ბრიტანეთმა აღნიშნა პრინც ჩარლზის უელსის პრინცად კურთხევის 25 წელი. რა თქმა უნდა, „თანამდებობა და მოვალეობა" უელსის პრინცისა არ არსებობს და უკვე 700 წელია რაც ეს ტიტული ენიჭება მონარქის უფროს შვილს, თუმცა ზემოთ თქმული არ ნიშნავს იმას, რომ ტახტის მემკვიდრე უსაქმოდაა.

---

[1] დაარსდა 1379 წ.

1969 წლის შემდეგ პრინცის მდგომარეობა საზოგადოებაში მნიშვნელოვნად შეიცვალა, უკვე მკვეთრად გამოისახა ინტერესების სფეროები, რომელიც განსაკუთრებით იზიდავს ტახტის მემკვიდრეს. ეს არის ბრიტანეთის მრეწველობა, ბუნების დაცვა, ქალაქებში ღარიბთა კვარტალების მდგომარეობა და ასევე ახალგაზრდობაში უმუშევრობის პრობლემები. რა თქმა უნდა, ტახტის მემკვიდრე არავითარ პოლიტიკურ როლს არ ასრულებს და არ მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ პარტიათა მოღვაწეობაში, მაგრამ თავის გამოსვლებში, საგაზეთო სტატიებსა და სატელევიზიო ინტერვიუებში პრინცი ყოველთვის გამოყოფს მნიშვნელობანს და აუცილებელს, რომელიც შემდგომში სერიოზული დებატების საგანი ხდება. საზოგადოების ცნობილ მოღვაწეებთან მთელი რიგი „ფარდის მიღმა" შეხვედრების შედეგად პრინცი ყოველთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენების საქმის კურსშია და საშუალება აქვს გამოთქვას საკუთარი მოსაზრება.

მართალია, პრესა ძირითადადა ყურადღებას ამახვილებს პრინცის პირადი ცხოვრების მომენტებზე, მაგრამ არის მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის არაერთი სხვა ასპექტი, რითაც ტახტის მემკვიდრე წარმოჩნდება ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე.

პრინცი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს არქიტექტურის მიმართ. ის აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში მივიწყებას მიეცა ბევრი რამ წარსულის კარგი გამოცდილებიდან. ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო პრინცის შენიშვნებმა, რომელიც მან გამოთქვა ლონდონში ეროვნული გალერეის ახალი კორპუსის მშენებლობის თაობაზე. თავისი შეხედულებების პროპაგანდის მიზნით იგი გამოვიდა ტელევიზიაში სპეციალური დოკუმენტური ფილმით „ბრიტანეთის სახე" და გამოაქვეყნა წიგნი, რომელიც დაკავშირებული იყო აღნიშნულ პრობლემასთან. უელსის პრინცი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს მშენებლობის ხარისხისადმი. 1992 წელს მისი თაოსნობით ლონდონში გაიხსნა არქიტექტურის ინსტიტუტი, რომელშიც დღეს 300-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს. ამ ინსტიტუტის არსებობა პრინცის შემოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. უელსის პრინცის არქიტექტურით დაინტერესებაზე მეტყველებს ასევე მისი აქტიური მონაწილეობა პრაღის მემკვიდრეობის ფონდთან და სანკტ-პეტერბურგის ხელმძღვანელობასთან. პრინცის იდეების განხორციელების ძირითადი არხებია იმ ორგანიზაციებისა და საქველმოქმედო საქმიანობათა ქსელი, რომლებთანაც იგი მოღვაწეობს და თანამშრომლობს, მ.შ. უპირველესია The Prince's Trust, რომელიც შეიქმნა 1976 წელს. ფონდი შეიქმნა ახალგაზრდებისათვის, განსაკუთრებით კი ისეთი ახალგაზრდებისათვის, რომელთაც მძიმე ბავშვობა ჰქონდათ. დღეი-

სათვის ამ ფონდის წლიური შემოსავალი 20 მილიონ ფუნთს ჭარ-ბობს. თანხები ხმარდება მოხალისეებს, სტიპენდიებს, სტაციონა-რული კურსების ორგანიზაციებს, სადაც ყოველწლიურად 800 ახ-ალგაზრდა უმუშევარს უწევენ სხვადასხვა სახის დახმარებას და მომავლის იმედს უნერგავენ. რაც შეეხება The Prince's Youth Business Trust, რომელიც ეხმარება ახალგაზრდულ ბიზნესს, შეიქმნა 10 წლით გვიან და ახალგაზრდებს აძლევს სტიპენდიებს და სესხს, რითაც ეხმარება მათ საკუთარი მცირე კომპანიების შექმნაში. ახ-ალი ორგანიზაციის Business in the Community-ს ყურადღების ცენტრშია ქალაქებში ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემებზე ზრუნვა. იგი თავისებური ხიდის როლს ასრულებს ბიზნესს, მთავ-რობასა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს შორის. ორ-განიზაციის საქმიანობაში ჩაბმულია ბრიტანეთის არაერთ წამყ-ვანი კომპანია. პრინცი ორგანიზაციის ფორმალური ხელმძღვან-ელი როდია. როგორც ერთ-ერთი ორგანიზაციის მმართველმა გა-ნაცხადა: „პრინცის უნიკალურობა ის არის, რომ მას ისე კარგად ესმის და იგებს ღარიბთა კვარტალების ხმას, როგორც საქმოსანთა ლიდერების და მთავრობის ნევრებისა". 1990 წელს პრინცი აარსებს The Business Leaders Forum-ს, რომლის მიზანიც არის მოსახლეობის ფართო ფენების საერთაშორისო ბიზნესთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა. პრინცი, თავისი ინტერესებიდან გა-მომდინარე, დაკავშირებულია 400-ზე მეტ სხვადასხვა ორგანი-ზაციის საქმიანობასთან. მისი ინტრერესების სფეროში შედის ასევე სოფლის მეურნეობა. თავის ფერმერულ საქმიანობას იგი ეწევა ჰაიგროუს მამულში, დასავლეთ ინგლისში. ჩარლზის უსაყ-ვარლესი საქმიანობაა ხატვა აკვარელში. იგი საკუთარი ნა-მუშევრების გამოფენასაც ანყობს. 1990 წელს მან რაფაელის სამ-შობლოში, ურბინოში, იტალიაში, მოაწყო თავისი პირველი პერ-სონალური გამოფენა 57 ნამუშევრით. სწორედ იტალიაში უელსის პრინცის ძალისხმევით ჩამოყალიბდა კლასიკური არქიტექტურის კურსები, სადაც, ძირითადად, მუშაობის საშუალება აქვთ ახალ-გაზრდა ინგლისელ არქიტექტორებს. იტალიის მთავრობამ ამ კურსებისათვის გამოყო ბრნყინვალე ვილა დანტე დი ბანიაია, რომთან ახლოს. პრინცი უდიდეს ინტერესს იჩენს სპორტისადმი. მისი უსაყვარლესი სპორტული სახეობაა პოლო და თევზაობა. პრინცი ჩარლზი რამდენიმე წიგნის ავტორია. მართალია, უელსის პრინცს არ გააჩნია არავითარი ხელისუფლება, მაგრამ მას უდიდესი გავლენა და ავტორიტეტი აქვს, რომელსაც იგი იყენებს სამეფოსა და საერთაშორისო საზოგადოების საკეთილდღეოდ. ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე მსოფლიოს არა ერთ ქვეყანას სწვევია: თანამეგობრობის ქვეყნებს, აშშ, ევროკავშირის სახელმ-წიფოებს, ლათინური ამერიკის და ოკეანეთის ქვეყნებს. 1995 წლის

ივნისში მან ბრწყინვალედ დააგვირგვინა ვიზიტი ირლანდიის რესპუბლიკაში, ქვეყანაში სადაც სამეფო ოჯახის წევრთ ფეხი არ დაუდგამთ 1911 წლის შემდეგ. ეს ვიზიტი დაიგეგმა 1993 წელს, როდესაც ბაქინჰემის სასახლის სტუმარი იყო ირლანდიის რესპუბლიკის პრეზიდენტი. ვიზიტთან დაკავშირებით ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა ბროუთონმა აღნიშნა: „თქვენი ვიზიტი ნათელყოფს, რომ ურთიერთობა ჩვენს ორ ქვეყანას შორის უკეთესია ვიდრე ოდესმე".

ბუნებრივია, სამეფო ოჯახის წევრთა ჩაცმულობას მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს მსოფლიოს პრესა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავნი არიან სამეფო ოჯახის მანდილოსნები. თავისთავად განსხვავდება დედოფლის ყოველდღიური და საღამოს სამოსი. დედოფალს არ აქვს გამორჩეული ფერი, რომ ვთქვათ, რომ თავისი მოთხოვნებით იგი გარკვეული ფერის კაბებში ატარებდეს დროს, თუმცა კი უპირატესობას ღია ფერებს ანიჭებს. მაგ., 1972 წლის პარიზში ვიზიტის დროს ვერსალში გამართულ ბანკეტზე ელისაბედ II ეცვა ვარდისფერი კაბა. ვარდისფერებში იყო გადაწყვეტილი დედოსლის სამოსი მისი გამეფების „ვერცხლის იუბოლეს" აღსანიშნავ ცერემონიალზე 1977 წლის ივნისში. მისი უფროსი ვაჟის, პრინც ჩარლზის ქორწინების დღეს მის უდიდებულესობას ტანთ ეცვა ცისფერი ტანსაცმელი, მეორე ვაჟის, ენდრიუს ქორწინების დღეს დედოფალს ეცვა შაბიამნისფერი კაბა. იღებდა რა ბრუნეის სულთანს ბაქინჰემის სასახლეში 1992 წლის 3 ნოემბერს, ელისაბედ II ტანთ ემოსა თეთრი ფერის კაბა. ნითელი ფერის სამოსში გახლდათ დედოფალი ჩაცმული 1995 წლის 8 მაისს, როცა იგი დედამისთან და თავის დასთან ერთად ბაქინჰემის სასახლის აივნიდან ათასობით ადამიანს მიესალმა ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავის აღსანიშნაც ცერემონიალზე. ყვითელ ფერებში შეხვდა დედოფალი 1997 წლის 15 ივლისს ბაქინჰემის სასახლის ბაღში მოწვეულ სტუმრებს თავისი ქორწინების „ოქროს იუბილეს" აღსანიშნავ ბაღის წვეულებაზე. რაც შეეხება ნახევარსაუკუნოვანი გამეფების აღსანიშნავ „საიუბილეო კვირის" უმთავრეს დღის — 4 ივნისის ფერებს, დედოფალმა ამ დღისათვის ცისფერი და კაშკაშა მარჯნისფერი სამოსი შეარჩია.

დედოფლის ტანსაცმელი არასოდეს არის ულტრათანამედროვე, ალბათ იმიტომ, რომ, უპირველეს როლს ასრულებს მისი ადგილი საზოგადოებაში და, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ასევე ასაკი. მართალია, დედოფალი უნდა გამოიყურებოდეს სამეფოდ, მაგრამ მან უხერხულ მდგომარეობაში არ უნდა ჩააგდოს მისი ქვეშევრდომები თავისი სიმდიდრითა და ბრწყინვალებით. „ეს ძალიან მდიდრულია ჩემთვის", განუცხადა ერთ-ერთ დიზაინერს დედოფალმა, „ეს, ალბათ, უფრო მოუხდება ჯოან ქოლინზს, ეს ჩემთვის

არ არის". გამომდინარე აქედან, იგი ყოველთვის საშუალოდ ჩაცმულია. მას არ აცვია ყოველთვის ახლები. შესაძლოა, მისი სამოსი 5-7 წლისაც იყოს, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, დედოფალი ყოველთვის ფორმაშია და უაღრესად ელეგანტურად გამოიყურება. 1983 წელს ელისაბედ II-ის ქალიფორნიაში ვიზიტისას, ჰოლივუდის საზოგადოებასთან შეხვედრის დროს, ეცვა თეთრი, ნარინჯისფერი ყვავილებით მოხატული ბლუზი და თეთი ქვედატანი. ზუსტად იგივე სამოსი ეცვა მის უდიდებულესობას 1988 წელს, დაუნინგ სთრითის 10-ის 250 წლის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზეც. 1994 წელს ელისაბედ II კრემლში გამართულ ბანკეტზე ეცვა ის ცისფერი კაბა, რომელიც მას ეცვა 1988 წლის ივნისში თურქეთის პრეზიდენტის მიერ დედოფლის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე ლონდონის ქლერიჯ ჰოთელში. ახალგაზრდობაში მისი უდიდებულესობის ჩაცმულობა იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ გარკვეულწილად განსაზღვრავდა კიდეც მოდას, მაგრამ მის გემოვნებაში ზედმეტი არასოდეს არ ყოფილა. დღეს კი, როცა ასაკი თავისას შვება, დედოფალიც „წყლის დინებას" მიჰყვება. ელისაბედ II იშვიათად ან საერთოდ არ ყიდულობს მზა ტანსაცმელს, იგი ყოველთვის საკუთარი მკერავების ხელით შეკერილით იმოსება. წლების მანძილზე დედოფალს ემსახურებოდა ნორმან ჰართნერი, რომელმაც შეკერა ელისაბედ II საქორწინო და მეფედკურთხევის კაბები. დღეისათვის დედოფალთან მუშაობენ: ჰადი ემისი, ფრედი ფოქსი, კარლ რესი, ფილიპ სომერვილი, მორინ როუზი, პითერ ენრიონი, მარი ო'რეგენი და ჯონ ანდერსონი.

იყო მომენტები, როდესაც დებს — დედოფალს და პრინცესა მარგარეთს ერთი და იგივე ტანისამოსი სცმიათ. მაგ., ყვითელი ფერის პალტო დედოფალს ეცვა 1980 წლის ივნისში ესქოთზე, აღნიშნული პალტო კი პრინცესას ეცვა 1994 წელს მეორე ფრონტის გახსნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ცერემონიალზე საფრანგეთში. მწვანე ფერის პალტო, რომელიც ელისაბედ II ეცვა 1977 წელს ჩრდილოეთ ირლანდიაში მოგზაურობისას, პრინცესას ტანთ ემოსა 1995 წელს, ამჯერად ფაშიზმზე გამარჯვების 50-ე წლისთავის აღსანიშნავ ცერემონიალზე. ცისფერი კაბა თავისი მოსასხამით, რომელიც დედოფალს ეცვა 1981 წელს, პრინცესა ანას მეორე შვილის ნათლობის დღეს, პრინცესა მარგარეთს ეცვა 1995 წლის ივნისში ერთ-ერთ ცერემონიალზე.

მსოფლიოშია ცნობილი დედოფლის ინტერესი ქუდებისადმი, კაბა შესაძლოა განმეორდეს რამდენჯერმე, მაგრამ ქუდი თითქმის არასოდეს მეორდება. ასობით ნყვილ ფეხსაცმლებს შორის გამოირჩევა ერთი ოქროს და ერთიც ვერცხლის ნყვილი ფეხსაცმელი. დედოფლის ფეხსაცმლის ქუსლის სიმაღლე არ ჭარბობს 5 სმ. დიდი

ხანია ელისაბედ II თმის ვარცხნილობა არ შეუცვლია. ბოლო 30 წლის მანძილზე მას ემსახურება მხოლოდ სამი პარიკმახერი. იგი თმების მოსანესრიგებლად სალონში არ დადის, პარიკმახერები დედოფალს სასახლეში სტუმრობენ. იგი თმებს არ იღებავს.

დედოფლის ხელჩანთებს ამზადებს კომპანია „ლონერი". ეს კომპანია ამ საქმიანობას უკვე 50 წელიწადია ეწევა. მონარქისათვის განკუთვნილი ყველა ხელჩანთა ხელით არის გაკეთებული, 80-მდე ელემენტისაგან შედგება და საკმაოდ მძიმეა.

ხელთათმანებს მისი უდიდებულესობისათვის კერავს ფირმა „ქორნელია ჯეიმზი", რომელიც გასული საუკუნის 40-იან წლებში დაფუძნდა ბრაითონში. ფეხსაცმელებით დედოფალს ძირითადად ამარაგებს (დედოფლის ფეხის ზომაა 5) კომპანია „ენელო ენდ დეივიდი" (კომპანია ფეხსაცმელს აწარმოებს 1922 წლიდან) და „რეინი".

რაც შეეხება უელსის პრინცესას, რა თქმა უნდა, მისი აქსესუარები ბევრად განსხვავდებოდა დედოფლისაგან. დაიანას საგანძური საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, მაგრამ იგი არ შეედრებოდა მისი დედამთილის საგანძურს. აღსანიშნავია პრინცესას ორი თეარა, ერთი ე.წ. სპენსერების ოჯახური თეარა, რომელიც მან მემკვიდრეობით მიიღო და რომელიც მას ქორწინების დღეს ეკეთა და მეორე თეარა, რომელიც ცნობილია როგორც 'Lover's Knot'. ეს თეარა დამზადდა 1914 წელს დედოფალი მერისათვის. იგი მისმა უდიდებულესობამ, როგორც საქორწინო საჩუქარი, გადასცა რძალს. ბეჭდებიდან ცნობილია მისი საქორწინო ბეჭედი, რომელიც, ისე როგორც დედოფლის, პრინცესა მარგარითას და პრინცესა ანას საქორწინო ბეჭდები, დამზადდა უელსური ოქროსაგან. ბეჭედზე, ცენტრში, მოთავსებულია საფირონის თვალი, რომელიც გარშემორტყმულია 14 ბრილიანტის თვალით. საქორწინო ბეჭედი შეფასებულია 28,5 ათას ფუნთად. უელსის პრინცის ოფიციალური საჩუქარი მეუღლისადმი იყო ბრილიანტების თვლებში ჩასმული ზურმუხტის სამაჯური და საყურეები.დედა დედოფალმა დაიანას აჩუქა შრი ლანკის ბრილიანტებით მორთული ოვალური ფორმის საფირონის გულსაბნევი. დაიანას საგანძურში აღსანიშნავი იყო ასევე საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრის საჩუქარი საფირონიანი და ბრილიანტებიანი კომპლექტი, რომელიც მოიცავს კულონს, სამაჯურს, საყურეებს, ბეჭედს, საათს, ყელსაბამს. არაბთა გაერთიანებული საემიროების ერთ-ერთმა ემირმა დაიანას აჩუქა საათი, რომელიც მორთულია ბრილიანტებით. როდესაც გაჩნდა პრინცი უილიამი, ჩარლზმა დაიანას უსახსოვრა გულის ფორმის ბრილიანტებიანი ყელსაბამი. სპარსეთის ყურის ქვეყნებში მოგზაურობისას უელსის პრინცესას ომანის სულთანმა აჩუქა ბრილიანტებიანი საფირონის საყურეები, ყელსა-

ბამი და სამაჯური, რომელიც შეფასებულია 100000 ფუნთად. ომანელთა საჩუქარი დაიანას პირველად ეკეთა 1982 წელს გერმანიაში ვიზიტის დროს.

დაიანას სამოსი შეიძლება შეფასდეს როგორც საუკეტესო. მისი სამოსის თაყვანისმცემელთა შორის იყო ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მარგარეთ თეთჩერი. მან პრინცესას ტანსაცმელს „საუკეთესო" უწოდა. განსხვავებით სხვებისაგან, დაიანას არ უყვარდა მოდების სახლში სიარული. მოდელიორებს იგი იწვევდა ქენსინგთონის სასახლეში. თავისი მეუღლის გვერდით უელსის პრინცესა ყოველთვის ერიდებოდა მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს, ალბათ, იმიტომ, რომ დაიანა ჩარლზზე მხოლოდ 2 სმ დაბალი იყო. განქორწინების შემდეგ, როცა დაიანა უკვე მეუღლის გარეშე გამოდიოდა საზოგადოებაში, იგი მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ხმარობდა. 1997 წლის 25 ივნისს დაიანამ ნიუ-იორქში აუქციონზე გამოიტანა თავისი საღამოს კაბების მნიშვნელოვანი ნაწილი (სულ 80 კაბა), რომელთა შორისაც აღსანიშნავია ვიქთორ ედელსთაინის მიერ შეკერილი კაბა, რომელიც უელსის პრონცესას ეცვა პარიზში, ელისეეს სასახლეში 1988 წელს, ასევე ვიქთორ ედელსთაინის მიერ შექმნილი კაბა, რომელიც პრინცესას ეცვა თეთრ სახლში, ვოშინგთონში, რეიგანებთან სტუმრობისას და ბონში, გერმანიის პრეზიდენტთან სადილზე 1987 წელს. აუქციონზე გამოიტანა მან ასევე ქათერინა უოლქერის მიერ შექმნილი კაბა, რომელიც მას ეცვა დოჩესთერის სასტუმროში, მალაიზიის მეფის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე 1993 წელს და ასევე უოლქერის ნამუშევარი კაბა, რომელიც პრინცესას ტანთ ემოსა უელსელების ბოლო ერთობლივი ვიზიტის დროს სამხრეთ კორეაში 1992 წელს. კაბებისაგან შემოსულმა თანხამ 6 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

უდიდეს ინტერესს იწვევდა ელისაბედ II და მისი მეუღლის ოფიციალური ვიზიტები ცენტრალური ევროპის ორ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში — პოლონეთსა და ჩეხეთში. მართალია, ბრიტანეთის და აღნიშნული ქვეყნების სამეფო ოჯახების კავშირებს ათასწლოვანი ისტორია აქვთ, მაგრამ მხოლოდ 1996 წელს მოენყო ბრიტანეთის მონარქის პირველი ოფიციალური ვიზიტი ამ ქვეყნებში. დედოფალი და ედინბურგის ჰერცოგი ვარშავაში, პრეზიდენტის სასახლეში შეხვდნენ პოლონეთის სახელმწიფოს მეთაურს ალექსანდრე კვაშნევსკის, ხოლო ათიათასობით პოლონელი კი ოვაციით ეგებებოდა სამეფო წყვილს ვარშავის ქუჩებში. ურთიერთობა ამ ორ ქვეყანას შორის ყოველთვის განსაკუთრებული იყო. მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც პოილონეთი ფაშისტური აგრესიის მსხვერპლი გახდა, ლონდონი თავისი უზარმაზარი იმპერიით პოლონეთს უჭერს მხარს და ბერლინს

უცხადებს ომს. ვარშავაში ბრიტანეთის სახელმწიფოს მეთაურმა სიტყვით მიმართა პოლონეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს — სეიმს. შემდგომ ვიზიტი გაგრძელდა კრაკოვში, ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს და ევროპის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში. ქალაქის ღირშესანიშნაობების დათვალიერების შემდეგ სამეფო წყვილი ეწვია ვეველის ციხე-სიმაგრეს, რომელიც თითქოს და უინძორის ციხე-სიმაგრის პოლონური ექვივალენტია.

კრაკოვიდან დედოფალი და მისი მეუღლე ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდა პოლიტიკურ ერთეულს, ჩეხეთს, ეწვივნენ. ჩეხეთი ევროპის რუკაზე 1993 წელს „ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ გამოჩნდა. ჩეხეთში სამეფო წყვილს ქვეყნის პრეზიდენტი, ნარსულში დისიდენტი და დრამატურგი, სახელგანთქმული ვაცლავ ჰაველი მასპინძლობდა, რომელმაც მის უდიდებულესობას ქვეყნის უმაღლესი ჯილდო, თეთრი ლომის ორდენი, გადასცა. პრაღის ისტორიულ-არქიტექტურული მემკვიდრეობის გაცნობის შემდეგ პრეზიდენტმა ისტორიულ პრაღის კრემლში სამეფო ბანკეტი გამართა უმაღლესი რანგის სტუმრებისათვის. დედოფალი ეწვია ასევე ჩეხეთის სიდიდით მეორე ქალაქს — ბრნოს. ბრიტანეთის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამეფო წყვილის ვიზიტებს ცენტრალური ევროპის აღნიშნულ ქვეყნებში, რადგან პოლონეთიც და ჩეხეთიც ევროკავშირში და ნატოში (ისინი უნგრეთთან ერთად 1999 წელს ნატოს ნევრები გახდნენ) განევრიანების რეალური ქვეყნები არიან.

გამეფების „ოქროს საიუბილეო" წელს მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი მეფობის სტაჟის მქონე ტაილანდის მეფე რამა IX მასპინძლობს მის უდიდებულესობას და მის უმაღლესობას. აღსანიშნავია, რომ დედოფალი და მისი მეუღლე ტაილანდს სტუმრობდნენ 1972 წელს. დღევანდელი მონარქის წინაპარი, მეფე ჩუდალონგკორნი, გახლდათ ქვეყნის პირველი მონარქი, რომელიც ჯერ კიდევ 1897 წელს ეწვია ბრიტანეთს და შეხვდა დედოფალ ვიქტორიას ოსბორნში.

ტაილანდის დღევანდელი მეფე, მისი უდიდებულესობა ბჰუმიბოლ ადულიადე (რამა — IX) 1782 წელს დაფუძნებულ ჩაკრთა დინასტიის მეცხრე წარმომადგენელია, რომელიც ტახტზე ავიდა 19 წლის ასაკში, მისი ძმის გარდაცვალების შემდეგ 1946 წელს. იგი დაიბადა 1927 წელს, აშშ, ქალაქ ქემბრიჯში, მასაჩუსეთში. გამეფებიდან ოთხი წლის შემდეგ იგი ქორწინდება დედოფალ სირიკიტზე. მათ ოთხი შვილი ჰყავთ, მ.შ. ტახტის მემკვიდრე პრინცი მაჰა, რომელიც 1952 წელს დაიბადა. ელისაბედ II ხუთდღიანი ვიზიტი ტაილანდში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იყო მისი მეფობის პერიოდში. ვიზიტი ძალზედ დატვირტული იყო, სამეფო წყვილი დღეში ოთხჯერ იცვლიდა სამოსს. პირველ დღეს სამეფო ბანკეტი

გაიმართა ჩაკრის სასახლეში. სასახლე რამა V მეფობის დროს აშენდა ინგლისელი არქიტექტორების მიერ იტალიური რენესანსის სტილში. სასახლე ევროპულ ყაიდაზეა მონყობილი, თუმცა გარედან აღმოსავლური არქიტექტურის იერსახისაა. ბანკეტზე ელისაბედ II-ს თეთრი გიპიურის კაბა ეცვა, თავზე ეკეთა ვლადიმირის დიდი ჰერცოგინიას თეარა, ბრილიანტებით და ზურმუხტებით, ყელზე ეკეთა ქემბრიჯის და დელის ზურმუხტებიანი ყელსაბამი. მასპინძელი ქვეყნის დედოფალი თეარის გარეშე იყო. თავის სიტყვაში ბანკეტზე მისმა უდიდებულესობამ აღნიშნა ის ცვლილებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ტაილანდში მისი პირველი ვიზიტის შემდეგ, იგი შეეხო ასევე ნარკომანიისა და სექსუალური ინდუსტრიის პრობლემებს მასპინძელ ქვეყანაში. მეორე დღეს ელისაბედ II ეწვია ბრიტანეთის საბჭოს ოფისს ბანკოგში, რომლის წინაც მის უდიდებულესობას ათასობით ადამიანი შეეგება. შემდგომ სამეფო წყვილი დაესწრო ბარჟების სპეციალურ პარადს, რომელიც რამა IX საიუბილეო დღეს მიეძღვნა. სამეფო წყვილი ეწვია ასევე ტაილანდის ჩრდილო-აღმოსავლეთს, ქალაქ საკპონ-ნაკპონს, სასოფლო-სამეურნეო რაიონს, ლაოსთან სასაზღვრო რეგიონში, სადაც მდებარეობს ტაილანდის მონარქების საზაფხულო რეზიდენცია. ბრიტანეთის საელჩოში გამართული მიღების დროს ელისაბედ II მომწვანო-მოყვითალო კაბაში იყო ჩაცმული, თავზე კვლავ ვლადიმირის დიდი ჰერცოგინიას თეარა ეკეთა, ამჯერად ბრილიანტებითა და მარგალიტებით. ყელზე მარგალიტების ექვსწყებად აცმული ყელსაბამი. ტაილანდის დედოფალს კი ეკეთა თეარა, რომელიც დედოფალმა ვიქთორიამ აჩუქა ტაილანდის სამეფო ოჯახს, ნიშნად მათი სამეფო ოჯახებისმეგობრობისა.

ლონდონში მისი უდიდებულესობა მასპინძლობდა საფრანგეთის პრეზიდენტს ჟაკ შირაკს. ეს იყო მისი პირველი ვიზიტი ბრიტანეთში როგორც მეზობელი ქვეყნის სახელმწიფოს მეთაური. იგი სამეფოს დედაქალაქს მატარებლით ეწვია. ვათერლოოს სადგურში სტუმრებს შეეგება პრინცესა მარგარეთი. „ჰოს გადზ პარეიდიდან“ კი სტუმარ-მასპინძლები ბაქინჰემის სასახლისაკენ ეტლებით გამოემართნენ. პირველ ეტლში, რომელიც 1902 წელს გაკეთდა, ისხდნენ დედოფალი და პრეზიდენტი, მეორეში კი — ჰერცოგი და საფრანგეთის პირველი ლედი. ლანჩის შემდეგ სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი უესთმინსთერის საბათოში; საღამოთი დედოფალმა პრეზიდენტის პატივსაცემად ბაქინჰემის სასახლეში სამეფო ბანკეტი მოაწყო. საფრანგეთის პრეზიდენტმა სიტყვით მიმართა ბრიტანეთის პარლამენტის ორივე პალატას, შემდეგ კი დაესწრო ბანკეტს სახელგანთქმულ ჰემთონ ქორთში, რომელსაც ქვეყნის პრემიერ-

მინისტრი ჯონ მეიჯორი უძღვებოდა. თავის მხრივ სპეციალური მიღება მოაწყო ჟაკ შირაკმა ლონდონში საფრანგეთის საელჩოში.

1997 წელს ბრიტანეთმა და თანამეგობრობამ აღნიშნა ელისაბედ II და ედინბურგის ჰერცოგის ქორწინების „ოქროს ოუბილე", მათი შეუღლების 50-ე წლისთავი. ქვეყნის ისტორიაში მონარქებს შორის მხოლოდ მეფე ჯორჯ III და დედოფალმა შარლოთამ აღნიშნეს ასეთი თარიღი. ამ მოვლენასთან დაკავშირებით 14 ივლისს ბაქინჰემის სასახლის ბაღში მოეწყო სპეციალური მიღება, რომელსაც დაესწრო 4 ათასი წყვილი, რომლებიც, მსგავსად დედოფლისა და ჰერცოგისა, დაქორწინდნენ ნახევარი საუკუნის წინ. გარდა გაერთიანებული სამეფოს „იუბილარი წყვილებისა", დედოფალთან შეხვედრაზე სასახლეს ენვია 120 წყვილი თანამეგობრობის ქვეყნებიდან, კერძოდ, კანადიდან, ახალი ზელანდიიდან და ავსტრალიიდან.

აღნიშნული წლის აგვისტო სამეფო ოჯახისათვის ტრადიციულად დაიწყო. 4 აგვისტოს დედა დედოფალმა თავისი დაბადების 97-ე წლისთავი აღნიშნა ლონდონში. იგი ვარდებით მოხატული სამოსით მიესალმა ქლერენსის სასახლის წინ შეკრებილ გულშემატკიცრებს. მალე სამეფო ოჯახი ტრადიციულ საზაფხულო არდადეგებზე გაემგზავრა შოტლანდიაში, ბოლმოროლის ციხე-სიმაგრეში. დედოფალთან ერთად ისვენებდა პრინცი ჩარლზი თავის ვაჟებთან ერთად. 31 აგვისტოს კი მსოფლიო და სამეფო გვარი შესძრა პარიზიდან მოსულმა სენსაციურმა ამბავმა პრინცესა დაიანს უეცარი გარდაცვალების შესახებ. უელსის პრინცესა თავის მეგობარ დოდი ალ-ფაიედთან ერთად ავტოკატასტროფაში გარდაიცვალა. ეს იყო უდიდესი შოკი დედოფლის, უელსის პრინცის, მათი შვილებისა და, საერთოდ, მთელი სამეფო ოჯახისათვის. ასევე მთელი ქვეყნისათვის. პრინცესა დაიანა, რომელიც თავისი ბედნიერების „მორიგ ზენიტში" იმყოფებოდა, 36 წლის ასაკში ტრაგიკულად გარდაიცვალა.

დაიანს უდიდესი პატივი მიაგო მსოფლიომ. დედოფლის გადაწყვეტილებით პრინცესას ცხედარი დასვენებულ იქნა ისტორიულ უესთმინსთერის სააბათოში. დაკრძალვის დღეს ლონდონს ეწვივნენ აშშ-ს პირველი ლედი, საფრანგეთის პრეზიდენტის მეუღლე, მსოფლიოს შოუბიზნესის არაერთი სუპერვარსკვლავი, მ.შ. სახელგანთქმული იტალიელი საოპერო მომღერალი ლუჩიანო პავაროტი, მსახიობი თომ ქრუზი და სხვები. დაიანას ცხედართან გამოსათხოვარი სიტყვით გამოვიდა პრინცესას ძმა, სპენსერების მე-9 გრაფი, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი თონი ბლერი, ხოლო სახელგანთქმულმა მომღერალმა ელთონ ჯონმა შეასრულა სპეციალურად ამ დღისადმი მიძღვნილი სიმღერა „ნახვამდის ინგლისისი ვარდო". გასვენების წინა დღეს ლონდონში მოხდა უპრე-

ცენდენტო შემთხვევა — ქვეშევრდომების წინაშე სიტყვით გამოვიდა თავად მისი უდიდებულესობა ელისაბედ II, რომელმაც ულრმესი გულისტკივილი გამოთქვა პრინცესას ტრაგიკულ გარდაცვალებასთან დაკავშირებით. დაკრძალვის დღეს დაშვებული იქნა ქვეყნის მთავარი ალამი ბაქინჰემის სასახლეზე. დაიანა სპენსერის მსგავსი დაკრძალვა არ ახსოვს ქვეყანას ჩერჩილის დაკრძალვის შემდეგ. ეს იყო საერთო ეროვნული გლოვა, როდესაც ლონდონის ქუჩებში პრინცესას ცხედართან თავი დახარა 2 მილიონზე მეტმა ადამიანმა, ხოლო მილიარდობით ტელემაყურებელი მსოფლიოს ყველა კუთხეში თვალებზე ცრემლმომდგარი შეჰყურებდა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქალბატონის, უელსის პრინცესას, ბრიტანეთის მომავალი მეფის დედის გასვენების ცერემონიალს. პრინცესა დაკრძალულ იქნა მშობლიურ მამულში ოლთორპში.

დაკრძალვის დღეებში კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა ბაქინჰემის სასახლეს. პრესამ პროტესტის არნახული ტალღა ააგორა პირადად დედოფლის წინააღმდეგ, რომელიც დაკრძალვის წინა დღემდე დედაქალაქში არ ჩამოსულა და დარჩა შვილიშვილებთან შოტლანდიაში. მისი უდიდებულესობა უილიამთან და ჰენრისთან იყო მათთვის ესოდენ რთულ დღეებში. დედოფალმა ვერ დატოვა მარტო პრინცები, რომლებიც, რა თქმა უნდა, ძლიერ განიცდიდნენ საყვარელი დედის უეცარ დაღუპვას. მონარქმა, ამჯერად როგორც ბებიამ, უპირველესად მიზანშეწონილად მიიჩნია დაობლებული შვილიშვილების გვერდით ყოფნა. ეს კი ადამიანური თვალსაზრისით საკვლებით ბუნებრივია.

1992 წლის დეკემბრიდან, როდესაც ქვეყანას ემცნო უელსელების ცალ-ცალკე ცხოვრების შესახებ, ისინი იშვიათად ჩნდებოდნენ საზოგადოებაში ერთად. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ცერემონიალზე ჰაიდ პარკში უელსის პრინცი და პრინცესა შვილებთან ერთად წარსდგნენ მთელი ქვეყნის წინაშე. მშობლები თან ახლდნენ პრინც უილიამსს, როდესაც იგი მივიდა ითონის კოლეჯში სწავლის გასაგრძელებლად, ხოლო 1997 წლის მარტში, როდესაც უილიამი ანგლიკანური ეკლესიის მრევლის წევრად მიიღეს, დედოფალმა უელსის პრინცი და პრინცესა უინძორის ციხე-სიმაგრეში მოიწვია ლანჩზე. პრინცესას ხშირად ხედავდნენ საავადმყოფოებში, მოხუცებულთა სახლებში. იგი ბევრს მოგზაურობდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და როგორც პრემიერმა თონი ბლერმა აღნიშნა: „უელსის პრინცესა იყო სახალხო პრინცესა და ბრიტანეთის ყველაზე შესაფერისი ელჩი ყველა ქვეყანაში". როგორც ცნობილი გახდა, უელსის პრინცესა ემზადებოდა საქართველოში ჩამოსასვლელად. ეს გახდებოდა ბრიტანეთის სამეფო ოჯახის წევრთა-

გან პირველი ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში. „ვიცი, რომ დაიანა ნამდვილად ემზადებოდა საქართველოში ჩამოსასვლელად, მისი გარდაცვალების ამბავმა შემძრა“ — განაცხადა ორშაბათის (1 სექტემბერი) დილიდ ტრადიციულ ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ. აღსანიშნავია, რომ ბატონი ე. შევარდნაძე, როგორც საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, 2-ჯერ შეხვდა ბრიტანეთის დედოფალს. ორივე შეხვედრა შედგა ბაქინჰემის სასახლეში.

ოქტომბრის პირველ ნახევარში მოეწყო ელისაბედ II ისტორიული ვიზიტი ინდოეთსა და პაკისტანში ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის ნახევარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით. ეს გახლდათ ბრიტანეთის მონარქის პირველი ვიზიტი საზღვარგარეთ დაიანას გარდაცვალების შემდეგ. ვიზიტი დაიწყო პაკისტანით. ეს იყო დედოფლის მეორე ვიზიტი პაკისტანში, ამჯერად 36 წლის შემდეგ. მისი უდიდებულესობა სიტყვით გამოვიდა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში — პარლამენტში, შემდეგ ხე დარგო პარლამენტის შენობის წინ და გახსნა ბრიტანეთის საბჭოს გამოფენა. სამეფო წყვილი ეწვია ისლამაბადში მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს შაჰ-ფეისალის მეჩეთს, რომლის ტერიტორიაზეც უმაღლესი რანგის სტუმრები წინდებით დააბიჯებდნენ. დედოფალი და ჰერცოგი დაესწრნენ ასევე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და პაკისტანის პოლოს გუნდების თამაშს. რაც შეეხება სამეფო წყვილის ინდოეთში ვიზიტს, იგი აღინიშნა მთელი რიგი დიპლომატიური გაუგებრობებით. ჯერ ერთი, ინდოეთის პრესაში ხმაური ატყდა სახელგანთქმული „კოხ-ი-ნორის“ ბრილიანტის შესახებ. მაგრამ გაუგაბრობის უმთავრესი საკითხი გახდა ქაშმირის პრობლემა, რომელიც დღესაც მოუგვარებელი საკითხია თანამეგობრობის ამ ორ ქვეყანას შორის. როდესაც დედოფალმა სიტყვით მიმართა პაკისტანის პარლამენტს, მან აღნიშნა, რომ უკვე დროა ინდოეთთან შერიგებისო. დედოფლის ეს სიტყვები დელიში მიიღეს როგორც მონარქის რეგიონალური დიპლომატიის პრობლემებში ჩარევა, საქმე გაართულა ასევე ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრის რობერთ ქუქის გამოსვლამ ამ საკითხთან დაკავშირებით, რამაც ნამდვილი სკანდალი გამოინვია დელიში. დიპლომატიური გართულება მოჰყვა ასევე ელისაბე II ჩასვლას მადრასში, სადაც მისი უდიდებულესობა და ტამილნადის გუბერნატორი სიტყვით უნდა გამოსულიყვნენ. სიტყვები მზად იყო, მაგრამ ეს გამოსვლები არ შედგა ინდოეთის მთავრობის მოულოდნელი გადაწყვეტილებით, თითქოსდა, დედაქალაქის ფარგლებს გარეთ ოფიციალური გამოსვლების შეუძლებლობის გამო. შექმნილმა სიტუაციამ ორივე მხარე უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. ამრიცარში დედოფალი და ჰერცოგი ეწვივნენ სინგ-

ჰების უმთავრეს სალოცავს, მსოფლიოში სახელგანთქმულ „ოქროს ტაძარს" და ყვავილებით შეამკეს 1919 წელს ბრიტანელი ჯარისკაცების მიერ 379 მოკლული ადამიანის პატივსაცემად შექმნილი მონუმენტი, თუმცა ინდოეთის პრესა დედოფლის ამ ნაბიჯით არ დაკმაყოფილდა. ჟურნალისტები მოითხოვდნენ, რომ ელისაბედ II ოფიციალური ბოდიში მოეხადა 1919 წლის მოვლენებთან დაკავშირებით, მაგრამ დედოფალმა ეს არ გააკეთა.

ოქტომბრის ბოლოს დედოფალმა ელისაბედ II მონაწილეობა მიიღო ედინბურგში გამართულ თანამეგობრობის უმაღლესი დონის შეხვედრაზე. აღსანიშნავია, რომ ბოლო ოცი წლის მანძილზე თანამეგობრობის უმაღლესი დონის შეხვედრა პირველად მოეწყო გაერთიანებულ სამეფოში. ეს შეხვედრა განსხვავდებოდა ორი ათეული წლის წინა შეხვედრისაგან. იმ შეხვედრას მასპინძლობდა ბრიტანეთისა და ლეიბორისტული პარტიის პრემიერი ქალაგენი და შეხვედრები მიმდინარეობდა ლონდონშო, ისტორიულ ლენქასთერის სასახლეში. 1997 წელს კი ეს შეხვედრა კვლავ ბრიტანეთში მოეწყო, ოღონდ ედინბურგში და თანაც ედინბურგის ულტრათანამედროვე საერთაშორისო საკონფერენციო ცენტრში, ამჯერად ქვეყნის მთავრობას სათავეში ედგა ლეიბორისტთა ახალი ლიდერი თონი ბლერი.

თუ 1977 წელს ქვეყანა აღნიშნავდა დედოფლის გამეფების „ვერცხლის იუბილეს", 1997 წელს ბრიტანეთმა და თანამეგობრობამ აღნიშნა დედოფლის და ედინბურგის ჰერცოგის ქორწინების „ოქროს იუბილე". 1977 წელს თანამეგობრობის ნევრთა რაოდენობა 34 შეადგენდა, 20 წლის შემდეგ მათი რიცხვი 54 გახდა. თუ წინა შეხვედრებზე დედოფალი „კულისებს მიღმა" იღებდა თანამეგობრობის ლიდერებს, დღეს მდგომარეობა შეიცვალა. ედინბურგის უმაღლესი დონის შეხვედრა უშუალოდ გახსნა მისმა უდიდებულესობამ, როგორც ამ უნიკალური გაერთიანების მეთაურმა. თავის გამოსვლაში ელისაბე II აღნიშნა, რომ მისი თანამეგობრობის პირველი შეხვედრა მოეწყო 1953 წელს, რომელსაც ესწრებოდა მხოლოდ 8 პრემიერ-მინისტრი, მუშაობას თავმჯდომარეობდა სერ უინსთონ ჩერჩილი, ხოლო მონაწილეობას იღებდნენ ჯავაჰარლარ ნერუ, ინდოეთის პრემიერ-მინისტრი და რობერთ მენზისი, ავსტრალიის პრემიერი. კონფერენციის ბოლო დღეს ელისაბედ II სამეფო ბანკეტი გამართა თანამეგობრობის ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურთა პატივსაცემად სახელგანთქმულ ჰოლირუდის სასახლეში.

1997 წლის ნოემბერში ლონდონში გაიმართა მთელი რიგი საერთო ეროვნული ღონისძიებანი, რომლებიც მიეძღვნა ელისაბედ II და ედინბურგის ჰერცოგის ქორწინების „ოქროს იუბილეს". ამ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით ბრიტანეთის

დედაქალაქმა თავი მოუყარა მსოფლიოს სამეფო ოჯახების უდიდეს ნაწილს, მათ შორის მათაც, ვისაც დღეს სამეფო გვირგვინი არ უპყრია. ეს იყო როიალისტთა უდიდესი თავყრილობა სამეფოს დედაქალაქში ელისაბედ II მეფედკურთხევის ცერემონიალის შემდეგ (7 მეფე, 10 დედოფალი, 26 პრინცი და 27 პრინცესა). თავდაპირველად ისტორიულ გილდჰოლში ლონდონის სითის მერმა იუბილართა პატივსაცემად მოაწყო სპეციალური ლანჩი, საღამოთი კი როიალ ფესთივალ ჰოლში გაიმართა საზეიმო გალა კონცერტი, რომლის პროგრამაც შეადგინა პრინცმა ედუარდმა. 20 ნოემბერს კი სახელგანთქმულ უესთმინსთერის სააბათოში მოეწყო „ოქროს იუბილესთან" დაკავშირებული სპეციალური წირვა, რომელსაც დაესწრო 2500-ზე მეტი ადამიანი. წირვის შემდეგ დედოფალი და მისი მეუღლე შეხვდნენ სააბათოს წინა მოედანზე და ქუჩებში თავმოყრილ ათასობით ადამიანს. შემდეგ სამეფო წყვილი ეწვია დაუნინგ სთრითის 10-ს, სადაც ისინი მიიპატიჟა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, მოგვიანებით კი მსოფლიოში სახელგანთქმულ საბანკეტო დარბაზში, უაითჰოლზე, ქვეყნის მთავრობის მეთაურმა სპეციალური ბანკეტი მოაწყო იუბილართათვის. ბანკეტს ესწრებოდა ბრიტანეთის საზოგადოების ყველა წარმომადგენელი. მოწვეული 350 ადამიანს შორის იყვნენ არისტოკრატიული ოჯახების წარმომადგენლები, ქალი პოლიციელი, მასწავლებელი, ექთანი, ფერმერი, მუშა და სხვა. სახალხო ბანკეტზე სიტყვით გამოვიდა დედოფალი, რომელმაც აღნიშნა: „ეს იყო მართლაც გასაოცარი 50 წელი მთელი მსოფლიოსათვის, თანამეგობრობისათვის, ბრიტანეთისათვის, წარმოიდგინეთ, რა უფერული იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ არასოდეს მოგვესმინა „ბითლებისათვის", არ გვეყურებინა ტელეგადაცემებისათვის, არ გამოგვეყენებინა მობილური ტელეფონი და არ გვეხეტიალა ინტერნეტში... რომ არ მოგვესმინა ადამიანის ხმა მთვარიდან, არ გვეყურებინა თუ როგორ გაიმარჯვა ინგლისის ფეხბურთის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატში, არ გაგვეგო, რომ დაპყრობილია ევერესტი და აშენებულია გვირაბი ინგლისის არხის ქვეშ... ჩვენი გულითადი მადლობა მათ ყველას, ვინც მტკიცედ იდგა ჩვენთან, კარგ თუ ცუდ დროს... მიუხედავად უდიდესი კონსტიტუციური სხვაობისა, რომელიც არსებობს მემკვიდრეობით მონარქიასა და არჩევით მთავრობას შორის, სინამდვილეში განსხვავება მათ შორის არც თუ ისე დიდა, ეს ორი ინსტიტუტი ერთმანეთს ავსებს, ყოველივეს თავისი როლი აქვს და ორივე არსებობს მხოლოდ ხალხის თანხმობითა და მხარდაჭერით...". შემდგომ სიტყვით გამოვიდა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი. მან აღნიშნა: „მსოფლიოში მხოლოდ ორი ადამიანია, რომელთაც შესაძლოა პრემიერმა გაუზიაროს აზრი თავისი კაბინეტის წევრე-

ბის შესახებ — ერთი ეს მეუღლეა, მეორე კი — დედოფალი". შემდგომ პრემიერმა აღნიშნა, რომ მას ესმოდა, მაგრამ არ სჯეროდა, რომ დედოფალთან ყოველკვირეული შეხვედრა იქნებოდა ასეთი სასარგებლო, ახლა კი ამაში დარწმუნდა. „მე არ ვიყავი დაბადებული, როცა თქვენ დაქორწინდით, მე ვიყავი მხოლოდ ერთი თვის თქვენი მეფედაკურთხევისას. მე მახსოვს, როცა ვიყავი პატარა ბიჭი მოკლე შარვალში, ვიდექი და ვაფრიალებდი ჩემს დროშას როცა გხედავდით თქვენ...". „თქვენ ბრძანდებით ჩვენი დედოფალი, ჩვენ პატივს გცემთ და გეთაყვანებით, უბრალოდ, თქვენ საუკეთესო ბრიტანელი ბრძანდებით".

საიუბილეო დღეების თავისებურ კულმინაციას წარმოადგენდა სამეფო ბანკეტი უინძორის ციხე-სიმაგრის ახლად რესტავრირებულ ბრწყინვალე აპარტამენტებში.

1998 წლის აპრილში ბაქინჰემის სასახლე მასპინძლობდა აზია-ევროპის ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა უმაღლესი დონის მეორე შეხვედრის მონაწილეებს, ხოლო მაისის ბოლოს მისმა უდიდებულესობამ მიიღო გაერთიანებულ სამეფოში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოსული იაპონიის იმპერატორი აკიჰიტო და მისი მეუღლე მიჩიკო. ეს იყო იაპონიის საიმპერატორო სახლის უმაღლესი წარმომადგენლების მეორე ვიზიტი ბრიტანეთში (პირველი ვიზიტი შედგა 1971 წელს, როცა დღევანდელი იმპერატორის მშობლები, იმპერატორი ჰიროჰიტო და მისი მეუღლე ეწვივნენ სამეფოს). ვიზიტის კულმინაციას წარმოადგენდა სამეფო ბანკეტი ბაქინჰემის სასახლეში, როდესაც დედოფალმა ელისაბედ II იმპერატორს გადასცა ქვეყნის უმაღლესი ჯილდო, ნვივსახვევი ორდენი. აღსანიშნავია, რომ ამ ორდენის მფლობელი იყო ასევე მისი მამა, რომელსაც დედოფალმა 1971 წელს გადასცა იგი ხელმეორედ. იმპერატორი წარსულში ფლობდა აღნიშნულ ორდენს, მაგრამ იგი მას ჩამოერთვა 1940 წელს ლონდონსა და ტოკიოს შორის სამხედრო დაპირისპირების გამო. აღსანიშნავია, რომ სამეფო ვიზიტს მთელი რიგი უხერხულობანი ახლდა თან. იმპერატორის უმაღლესი ჯილდოთი დაჯილდოების და, საერთოდ, ვიზიტის წინააღმდეგ გამოვიდნენ მეორე მსოფლიო ომის ბრიტანეთ-იაპონიის ფრონტების მებრძოლები და ის ხალხი, ვინც მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიის ციხეებში აღმოჩნდნენ. მათ პროტესტის ნიშნად ზურგი შეაქციეს მოლზე მიმავალ სამეფო კორტეჟს, როდესაც დედოფალი და იმპერატორი თანმხლები პირები ბაქინჰემის სასახლეში მიემართებოდნენ. ვიზიტის პროგრამა მოიცავდა ასევე ჩაიზე მიპატიჟებას ქლერენსის სასახლეში დედა დედოფალთან, ბანკეტს გოლდჰოლში ლონდონის მერთან, შეხვედრას დაუნინგ სთრითის 10-ში ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან, საპასუხო ბანკეტს

ვიქთორისა და ალბერთის მუზეუმში, რომელიც იაპონიის მხარემ მოაწყო, ასევე ვიზიტებს უელსსა და ოქსფორდში.

1998 წლის მოვლენებს შორის მნიშვნელოვანი იყო ასევე მისი უდიდებულესობის ელისაბედ II და მისი უმაღლესობის ედინბურგის ჰერცოგის ვიზიტები თანამეგობრობის ორ ქვეყანაში, ჯერ ბრუნეიში, ხოლო შემდეგ მალაიზიაში. ბრუნეიში სამეფო წყვილს მასპინძლობდა მსოფლიოს უმდიდრესი სახელმწიფოს მეთაური, სულთანი ჰასანალ ბოლკიაჰი, რომელმაც დედოფლის პატივსაცემად სამეფო ბანკეტზე ოქროს თეფშებიც კი გამოყენა. ამ შეხვედრაზე დედოფალს ტანთ ემოსა მარგალიტებით მორთული თეთრი კაბა, რომელიც მას ეცვა ჯერ კიდევ 1991 წელს ვოშინგტონში, თეთრ სახლში გამართულ ბანკეტზე. თავზე ეხურა დედოფალ მერის თეარა და საუდის არაბეთის მეფის ჰალიდის ნაჩუქარი ყელსაბამი და საყურეები. ბრუნეის შემდეგ ვიზიტი გაგრძელდა მალაიზიაში, სადაც დედოფალს შეხვედრა ჰქონდა ამ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. მან მოინახულა მსოფლიოში უმაღლესი ცათამბრჯენი, პეტრონასის ცათამბრჯენი, 452 მეტრის სიმაღლით და კუალა-ლუმპურის 100-ათასიან სტადიონზე საზეიმოდ დახურა თანამეგობრობის თამაშები.

ნოემბერში სამეფომ და თანამეგობრობამ აღნიშნეა უელსის პრინცის ჩარლზის დაბადების ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. საიუბილეო დღეები დაიწყო ჰემპთონ ქორთში გაბსნილი გამოფენით „მოგზაურობა პრინცთან ერთად" და 250-კაციანი ბანკეტით. ამას მოჰყვა პრინცის ვიზიტი შეფილდში და შემდგომ ოფიციალური შეხვედრა ბაქინჰემის სასახლეში, სადაც დედოფალმა თავისი უფროსი ვაჟის და უშუალო მემკვიდრის იუბილეზე თავი მოუყარა 850 სტუმარს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან უელსის პრინცის მრავალმხრივ საქმიანობასთან და წარმოადგენენ 400-მდე სხვადასხვა ორგანიზაციას. შეხვედრას ესწრებოდა ასევე დედა დედოფალი, უილიამ ჰეიგი, კონსერვატიული პარტიის ლიდერი, ბარონესა თეთჩერი, პრემიერი ბლერი და ა.შ. ამ „სახალხო შეხვედრაზე" დედოფალმა თავის ვაჟს მიმართა: „ჩარლზ, ამ საღამოს შეხვედრა შენი ყოველი მიღწევის აღსანიშნავად ეწყობა... ორივე, მამაშენი და მეც, აღფრთოვანებულნი ვართ, რომ ვესალმებით ასე ბევრ შენს მეგობარს, კოლეგას და თაყვანისმცემელს. ჩვენ, ყველა აქ ერთი მიზნისათვის ვართ თავშეყრილი — აღვნიშნოთ შენი დაბადების დღე". შემდეგ საპასუხო სიტყვით გამოვიდა ტახტის მემკვიდრე: „დედი, მე უაღრესად მადლობელი ვარ თქვენი სიტყვებისათვის და ამ შეხვედრისათვის..."

14 ნოემბერს კი სადღესასწაულო ზეიმმა ჩარლზის საგარეუბნო რეზიდენციაში, ჰაიგროუში, გადაინაცვლა და თუ ბაქინჰემის სასახლეში ცერემონიალს დედოფალი უძღვებოდა, ჰაი-

გროუს შეხვედრებში წამყვანი როლი ქამილას, ჩარლზის გულისწორს ეკუთვნოდა. ჰაიგროუში არ ჩანდა არც დედოფალი, არც ჰერცოგი ედინბურგისა. ისინი თავის სხვა ახლობლებთან ერთად უინძორის ციხე-სიმაგრეში ზეიმობდნენ პრინცესა ანას ვაჟის, პიტერის 21 წლისთავს. ჰაიგროუმ კი თავი მოუყარა თავად ქამილას მიერ შერჩეულ საზოგადოებას (300 კაცი), სადაც სამეფო ოჯახის წევრებთან ერთად (პრინცესა მარგარითა, ქენთის ჰერცოგი და ჰერცოგინია, გლოსთერის ჰერცოგი და ჰერცოგინია), იყვნენ ჩარლზის მეგობრები (ნიკოლოზ სოუმი მის მეორე მეუღლესთან , სერენასთან, დეივიდ ფრისთლი, უესთმინსთერის ჰერცოგი და ჰერცოგინია და ა.შ.) და მისი ორივე ვაჟი, უილიამი და ჰენრი, რომლებიც ჰაიგროუში პირდაპირ ითონიდან მოვიდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ მიღებას ესწრებოდა ასევე ქამილას ვაჟი.

დეკემბერში დედოფალი და ედინბურგის ჰერცოგი უინძორის ციხე-სიმაგრეში მასპინძლობდნენ გერმანიის პრეზიდენტს რომან ჰერცოგს. იგი გახლდათ საზღვარგარეთის პირველი სახელმწიფოს მეთაური, რომელიც ელისაბედ II მიიღო უინძორის ციხე-სიმაგრის ახლად რესტავრირებულ აპარტამენტებში და 160-კაციანი სამეფო ბანკეტი გაუმართა მას წმინდა ჯორჯის ჰოლში. ბანკეტზე დედოფალს ეცვა მწვანე ფერის კაბა და ეკეთა ბრაზილიის პრეზიდენტის მიერ 1953 წელს ნაჩუქარი ბრილიანტის თვლებში ჩასმული ცისფერი ძვირფასთვლიანი თეარა, გულსაბნევი, ყელსაბამი და საყურეები.

არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა 1999 წელი ბრიტანეთის სამეფო ოჯახისათვის. უპირველესად ეს იყო ბაქინჰემის სასახლის მიერ 6 იანვარს გამოქვეყნებული განცხადება დედოფლის უმცროსი ვაჟის, პრინც ედუარდის ნიშნობის თაობაზე სოფია რაის ჯონსზე. ეს იყო მათი ხუთწლიანი ურთიერთობის კულმინაცია. ნიშნობის ბრილიანტის ბეჭედი, რომელიც ედუარდმა და სოფიამ ერთობლივად აირჩიეს, შეფასებულია 55 ათას ფუნთ სტერლინგად. პრინცესა სოფია დაიბადა 1965 წლის 20 იანვარს ოქსფორდში. მას ჰყავს უფროსი ძმა, მშობლები დასაქმებულნი არიან სავაჭრო ბიზნესით და ცხოვრობენ ქენთში. სოფიას თავი სწავლით არ გამოუჩენია. სკოლის დამთავრების შემდეგ იგი გარკვეულ დროს ატარებს ჯერ შვეიცარიაში, ხოლო შემდეგ ავსტრალიაში. ბრიტანეთში დაბრუნების შემდეგ სწავლობს სპეციალურ სამდივნო კოლეჯში და მუშაობს არაერთ კომპანიაში.

ქორწინების დღეს, 19 ივნისს, ელისაბედ II თავის უმცროს ვაჟს და რძალს უბოძა უესექსის გრაფის და გრაფინიას ტიტული. საქორწინო ცერემონიალი კი შედგა უინძორის ციხე-სიმაგრის სახელგანთქმულ წმინდა ჯორჯის ეკლესიაში. აღსანიშნავია, რომ უესექსების ქორწილი თავისი გრანდიოზულობით ვერ შეედრებოდა

დედოფლის უფროსი შვილების საქორწინო ცერემონიალს. ცერემონიალს თვალყურს ადევნებდა 200 მილიონი კაცი ტელევიზიის საშუალებით, ხოლო საქორწილო მარშრუტზე თავი მოიყარა 25 ათასზე მეტმა მაყურებელმა. ოფიციალურად კი დედოფალმა ქორწილში მოიწვია 550 სტუმარი, რომელთა შორისაც იყვნენ: ბრუნეის სულთანი ორივე მეუღლესთან ერთად, ესპანეთის ტახტის მემკვიდრე, პრინცი ფილიპი, ნორვეგიის ტახტის მემკვიდრე ჰაკონი და ა.შ. ქორწილის მცირე მასშტაბებზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ აქ ამ დღეს არ იყვნენ წარმოდგენილები ევროპის სამეფო ოჯახების პირველი პირები, არ იყვნენ ასევე პოლიტიკური მოღვაწეები, მ.შ. არც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. სტუმრების სია ძირითადად შემოიფარგლა პრინცის და პრინცესას ახლო მეგობრებითა და ნათესავებით.

ქორწინების დღეს უესექსის გრაფინიას ტანთ ემოსა სპილოს ძვლის ფერი საქორწილო კაბა შლეიფითურთ, რომელიც შეკერა სამანთა შეუმ. კაბა მორთული იყო ათასობით მარგალიტის და სხვადასხვა სახის ბრწყინავი ბროლის თვალით. საქორწილო თეარა შერჩეულ იქნა დედოფლის პირადი კოლექციიდან, ყელსაბამი და საყურეები თეთრი და შავი მარგალიტებით თავად პრინცმა შეარჩია, როგორც საქორწინო საჩუქარი. ახლადდაქორწინებულებმა თავიანთ საცხოვრებლად აირჩიეს ბეგშოთ პარკი, უინძორითან ახლოს, სადაც პრინცი ენდრიუ გაუძღვება კიდეც საკუთარ ბიზნესს.

1999 წლის აპრილში მისი უდიდებულესობა და მისი უმაღლესობა ვიზიტად იმყოფებოდნენ სამხრეთ კორეაში. ეს იყო ბრიტანეთის მონარქის პირველი ვიზიტი კორეის ნახევარკუნძულზე. დედოფალი კორეაში ოფიციალურ ვიზიტად მიიწვა 1998 წლის აპრილში ბრიტანეთში მყოფმა სამხრეთ კორეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კიმ დე ჩუნგმა, რომელიც მონანილეობას იღებდა ლონდონში გამართულ აზის-ევროპის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების უმაღლესი დონის შეხვედრაში. დედოფლის ვიზიტი დაემთხვა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური კავშირების აღდგენის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. ბრიტანეთის მონარქი და მისი მეუღლე თერთმეტსაათნახევრიანი ფრენის შემდეგ ჰითროუდან სეულში ჩაფრინდნენ. ვიზიტმა ტრიუმფალურად ჩაიარა. შემოდგომაზე კი შედგა დედოფლის ვიზიტი აფრიკის კონტინენტზე. პირველად იგი ეწვია განას (ეს იყო მისი მეორე ვიზიტი განაში. პირველი შედგა 1961 წელს), შემდგომ სამეფო წყვილი მონანილეობას იღებს დურბანში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, თანამეგობრობის ლიდერთა უმაღლესი დონის შეხვედრაში. აფრიკის ტურნეს ბოლო პუნქტს წარმოადგენდა თანამეგობრობის ახალი წევრი, მოზამბიკი.

ჯერ კიდევ აფრიკაში გამგზავრებამდე დედოფალი ბაქინჰემის სასახლეში მასპინძლობდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს ძიან ძემინს. როდესაც დედოფალი და პრეზიდენტი სამეფო ამალის თანხლებით მოლზე მიდიოდნენ ბაქინჰემის სასახლისკენ, „თავისუფალი ტიბეტის" წარმომადგენლები, ჩინეთის პრეზიდენტის ვიზიტის პროტესტის ნიშნად, თავს დაესხნენ ეტლს, რომელშიც ისხდნენ დედოფალი და პრეზიდენტი. დაცვა თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა. ვიზიტის დროს სიტუაცია დაძაბა ასევე პრინც ჩარლზის ბოიკოტმა ჩინეთის საელჩოში გამართული ბანკეტისადმი.

მონარქი მიემხრო იმ კონსტიტუციურ ცვლილებებს, რომელიც განახორციელა ახალმა ლეიბორისტულმა მთავრობამ თონი ბლერის ხელმძღვანელობით. უპირველესად, ეს იყო ხელისუფლების მორიგი დეცენტრალიზაცია და ქარდიფში უელსის ეროვნული ანსამბლეის, ხოლო ედინბურგში კი შოტლანდიის პარლამენტის ამოქმედება.

26 მაისს დედოფალმა, მეუღლისა და უელსის პრინცის თანხლებით, საზეიმოდ გახსნა უელსის დედაქალაქ ქარდიფში ეროვნული ანსამბლეა. ეს იყო პირველი შემთხვევა ჩარლზის უელსის პრინცად გამოცხადების შემდეგ, მთელი 30 წლის მანძილზე, როდესაც დედოფალი, ჰერცოგი და ტახტის მემკვიდრე, სამივე ერთად ეწვია სამეფოს ამ ისტორიულ პროვინციას. ანსამბლეის გახსნისას მისმა უდიდებულესობამ აღნიშნა: „დარწმუნებული ვარ, რომ ეროვნული ანსამბლეა გადაიქცევა მძლავრ დემოკრატიულ სახელოსნოდ".

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ დედოფალი ედინბურგის ჰერცოგისა და პრინცი ჩარლზის თანხლებით ამჯერად შოტლანდიის დედაქალაქში, ედინბურგში, 292 წლის შემდეგ ხსნის შოტლანდიის პარლამენტის პირველ სხდომას, სადაც მისი უდიდებულესობა სამეფო ამალის თანხლებით ჰოლირუდის სასახლიდან მთელი სამეფო რიტუალების დაცვით ეწვია პარლამენტს. აღსანიშნავია, რომ დედოფალს ამ ცერემონიალზე არ გამოუყენებია სახელმწიფო იმპერიული გვირგვინი, რომელსაც იგი იხურავს უესთმინსთერში, ლორდთა პალატაში გამოსვლისას. დარბაზში, საიდანაც დედოფალმა წარმოთქვა თავისი სეფე სიტყვა, მაგიდაზე იდო შოტლანდიის სამეფო გვირგვინი.

6 ნოემბერს ავსტრალიაში გამართულმა საყოველთაო რეფერენდუმმა სასიხარულო ინფორმაცია ამცნო მონარქიულ მსოფლიოს. ავსტრალიის მოსახლეობის 55%-მა მხარი დაუჭირა ბრიტანეთის მონარქის ხელისუფლებას ავსტრალიაში და უარი თქვა ავსტრალიის რესპუბლიკად გამოცხადებაზე. იმ დღესვე ელისაბედ II ათასწლეულის სტადიონზე ქარდიფში, უელსი, რაგბში მსოფლიო

ჩემპიონობის თასი გადასცა გამარჯვებული ავსტრალიის ეროვნული გუნდის კაპიტანს ჯონ ილეს.

ნოემბერში ელისაბედ II საზეიმოდ ხსნის ბრიტანეთის პარლამენტის ახალ სესიას, სამეფოს დედაქალაქ ლონდონში, სადაც დედოფალი სეფე სიტყვას კითხულობს რეფორმირებულ ლორდთა პალატაში. აქ პირველად სხდომას არ ესწრებოდა მემკვიდრე ლორდების უდიდესი ნაწილი.

4 აგვისტოს ბრიუსელი მასპინძლობდა „სამეფო ევროპას". ქვეყანა ზეიმობდა ბელგიის 39 წლის ტახტის მემკვიდრის, პრინც ფილიპეს და 26 წლის მათილდას ქორწინებას. ეს იყო XX საუკუნის ბოლო სამეფო ქორწინება ევროპაში. ბრიტანეთის სამეფო ოჯახს ამ ცერემონიალზე წარმოადგნედა მისი უმაღლესობა პრინცი ჩარლზი.

დეკემბრის თვის ბოლო დღეს ელისაბედ II საზეიმო ვითარებაში აანთო ათასწლეულის ჩირაღდანი ლონდონის თაუერთან და გახსნა ათასწლეულის გუმბათი გრინიჯში.

2000 წელი სამეფო ოჯახისათვის განსაკუთრებული იყო. ამ წელს სამეფო ოჯახის ოთხმა წევრმა აღნიშნა დაბადების მრგვალი თარიღი. იორქის ჰერცოგმა მარტის 18-ში თავისი მეორმოცე წელი აღნიშნა. სამეფო ოჯახის სამმა წევრმა კი თავიანთი მრგვალი თარიღები აგვისტოში აღნიშნეს. დედა დედოფალმა საუკუნოვან თარიღს 4 აგვისტოს მიაღწია, მისმა შვილიშვილმა, დედოფლის ერთადერთმა ქალიშვილმა, პრინცესა ანამ ნახევარსაუკუნოვანი იუბილე 15 აგვისტოს აღნიშნა, ხოლო პრინცესა მარგარითამ, დედოფლის ასევე ერთადერთმა დამ, 70 წლის თარიღი 21 აგვისტოს აღნიშნა. ამ მოვლენებს მიეძღვნა 19 ივნისს უინძორის ციხესიმაგრეში მონყობილი 900-კაციანი მიღების ცერემონიალი. დასახელებულ თარიღებს შორის განსაკუთრებული იყო დედა დედოფლის საუკუნივანი იუბილე. ამ მოვლენასთან დაკავშირებით სამეფოში არაერთი მნიშვნელოვანი ცერემონიალი მოენყო. 11 ივლისს სახელგანთქმულ წმინდა პავლეს ტაძარში შედგა სპეციალური სამადლობელო წირვა, რომელსაც უძღვებოდა ქენთერბერიის არქიეპისკოპოსი. დედა დედოფალს მასპინძლობდა ლონდონის სითის მერი გილდჰოლში, ხოლო 19 ივლისს უაითჰოლის საპარადო მოედანზე მოენყო ასწლოვანი იუბილარისადმი მიძღვნილი პარადი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 300-ზე მეტმა სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციამ, რომლებიც თავისი საქმიანობით დაკავშირებულნი იყვნენ მის უდიდებულესობასთან.

საიუბილეო დღეების თავისებურ კულმინაციას წარმოადგენდა ოთხი აგვისტო, დაბადების დღის ასი წლისთავი. ამ დღეს მარშრუტზე ქლერენსის სასახლე — მოლი — ბაქინჰემის სასახლის მოედანი, თავი მოიყარა 50 ათასზე მეტმა თაყვანისმცე-

მელმა. დედა დედოფალი თავისი სახლის წინ შეკრებილთ გულთ-ბილად მიესალმა. ამ დროს მან მიიღო თავისი ქალიშვილის, დედო-ფალ ელისაბედ II მისალოცი ბარათი, სადაც ეწერა: „თქვენი და-ბადების 100 წლისთავზე მთელი ოჯახი მიერთდება მე და ყოველი ჩვენგანი გიგზავნით სიყვარულს და საუკეთესო სურვილებს". ბარათს ხელს აწერს ლილიბეთი (ელისაბედ II ბავშვობის სახელი). მოგვიანებით დედა დედოფალი, ტახტის მემკვიდრის, ჩარლზის თანხლებით, ღია კარეტით ქლერენსის სასახლიდან მიემართება ლანჩზე ბაქინჰემის სასახლეში, შემდეგ კი სამეფო ოჯახის 28 წევრის თანხლებით სასახლის აივნიდან მიესალმა მოედანზე მდგარ ათასობით თაყვანისმცემელს. საღამოს იუბილარს მასპინ-ძლობდა სახელგანთქმული ქოვენთ გარდენი — სამეფო საოპერო თეატრი.

2000 წელს, თავისი საუკუნივანი იუბილის წელს, დედა დედოფლის კალენდოსკოპი ასე გამოიყურებოდა"

— დაიბადა 1900 წლის 4 აგვისტოს. ეს იყო პერიოდი, როდესაც ბრიტანეთი უზარმაზარი იმპერიის ცენტრი იყო და რომელსაც მართავდა დედოფალი ვიქტორია. ჩერჩილი თავის პოლიტიკურ მოღვაწეობას იწყებდა უესთმინსთერში უკვე როგორც ბურების ომის გმირი. ჰიტლერი მხოლოდ 11, ხოლო ეიზენჰაუერი 10 წლის იყო.

— თავის ოჯახში იგი მეცხრე შვილია.

— მომავალ მეუღლეს პირველად შეხვდა (თუ არ ჩავთვლით ბავშვობის შეხვედრას) 1920 წლის 20 მაისს ლონდონში.

— ქორწინდება 1923 წელს, უესთმინსთერის სააბათოში, 23 წლის ასაკში.

— პირველი შვილი შეეძინა 1926 წელს.

— მეორე შვილი შეეძინა 1930 წელს.

— მეუღლესთან ერთად გამეფდა 1936 წელს.

— ფლობს 6 სასახლეს (მ.შ. ქლერენსის სასახლეს ლონდონში).

— ჰყავს 6 შვილიშვილი და 9 შვილთაშვილი.

— 445-ჯერ მისმა ცხენებმა გამარჯვებას მიაღწიეს სხვადა-სხვა სახის შეჯიბრებებზე.

— მისი საყვარელი პოლიტიკოსებია: დე გოლი, ირანის შაჰი და მარგარეთ თეთჩერი.

— ფლობს ფრანგულ ენას (მას სწავლობდა 10 წლიდან).

— საყვარელი ქვეყანა — იტალია.

— ჰობი: თევზაობა, ცხენოსნობა, მებაღეობა.

2000 წელს დედოფალი მასპინძლობდა ორი უცხოური ქვეყნის სამეფო ოჯახების უმაღლეს წარმომადგენლებს. თებერვალში ბრიტანეთს ოფიციალურ ვიზიტად ეწვია დანიის დედოფალი მარ-გარეთ II და მისი მეუღლე პრინცი ჰენრიქი. ბრიტანეთის და დანიის

სამეფო ოჯახები სისხლით ნათესაურ კავშირში იმყოფებიან, ორივე დედოფალი დანიის მეფის ქრისთიან IX შთამომავალია. დანიელი სტუმრის პატივსაცემად დედოფალმა ელისაბე II სამეფო ბანკეტი მოაწყო უინძორის ციხე-სიმაგრის წმინდა ჯორჯის ჰოლში. სამეფო ბანკეტს 160 მაღალი რანგის სტუმარი ესწრებოდა. მეორე დღეს სტუმრებმა მოინახულეს ათასწლეულის გუმბათი შემდეგ კი ეწვივნენ ლონდონის სითის მერს. დანიის მონარქმა სპეციალური სადილი გამართა ბუნების ისტორიის მუზეუმში, სტუმართ შორის იყვნენ ასევე საბერძნეთის სამეფო ოჯახის წევრები. ვიზიტი დასრულდა ედინბურგში, სადაც დანიის დედოფალმა გახსნა გამოფენა „ჭიშკარი გრენლანდიისაკენ" (შოტლანდიის ეროვნულ მუზეუმში) და მიიღო ედინბურგის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. ნოემბერში კი უინძორის ციხე-სიმაგრე მასპინძლობდა იორდანიის მეფე აბდულაჰს და დედოფალ რენიას. მეფე აბდულაჰი არის იორდანიის ყოფილი მეფის ჰუსეინის და მისი ინგლისელი მეუღლის (ქალბატონ ანტუანეტა გარდინერის) მუნას (არაბული სახელი) უფროსი ვაჟი, რომელიც ტახტზე ავიდა მამამისის გარდაცვალების შემდეგ 1998 წელს.

მეფე აბდულაჰი 1993 წელს დაქორწინდა რენია იასიენზე. მათ სამი შვილი ჰყავთ, 8 წლის ტახტის მემკვიდრე ჰუსეინი და ორი ქალიშვილი. უინძორის ციხე-სიმაგრეში ელისაბედ II ბანკეტი მოაწყო იორდანიის სამეფო წყვილის პატივსაცემად. ვიზიტის მეორე დღეს იორდანიის მეფე, იორქის ჰერცოგის თანხლებით, სტუმრობდა ქემბრიჯს, დედოფალი კი ლონდონში საქმიანობდა. საღამოს იორდანიის სამეფო წყვილს მასპინძლობდა ლონდონის სითის მერი სახელგანთქმულ გილდჰოლში. სამეფო ოჯახს წარმოადგენდა გლოსთერის ჰერცოგი და ჰერცოგინია. ვიზიტის მეორე დღეს იორდანიის მონარქმა სიტყვით მიმართა ბრიტანეთის პარლამენტს, შემდგომ კი მეუღლითურთ ეწვია თონი ბლერს. დაუნინგ სთრითის 10 ნომრის მსოფლიოში სახელგანთქმულ კარებთან დედოფალმა რენიემ და პრემიერის მეუღლემ ისე გადაკოცნეს ერთმანეთი, თითქოს ისინი დიდი ხნის მეგობრები ყოფილიყვნენ. საღამოს იორდანიის მეფემ სპეციალური ბანკეტი გამართა ბრიტანეთის მონარქის პატივსაცემად სპენსერის სასახლეში.

მარტში, ავსტრალიის ცნობილი რეფერენდუმიდან ოთხი თვის შემდეგ, რომელშიც მონარქისტებმა წარმატებას მიაღწიეს, მისი უდიდებულესობა კვლავ ეწვია, ამჯერად მეცამეტეჯერ, ავსტრალიის კონტინენტს. ეს იყო ელისაბედ II 16-დღიანი ვიზიტი ამ ქვეყანაში 8-წლიანი შესვენების შემდეგ. ქანბერის აეროპორტში შეხვედრა შინაურული და ძალიან „კერძო" ხასიათისა იყო. დედოფალსა და მის მეუღლეს დახვდნენ ავსტრალიის პრემიერ-

მინისტრი ჰოვარდი და მისი მეუღლე, ასევე გენერალ-გუბერნატორი მეუღლითურთ. რა თქმა უნდა, ნახევარ მსოფლიოზე თვითმფრინავით გადაფრენა 74 წლის დედოფლისა და 79 წლის ჰერცოგისათვის დამქანცველი იყო. პირველი უიქენდი უმაღლესი რანგის სტუმრებმა გუბერნატორის რეზიდენციაშო, ქანბერაში გაატარეს, თუთიყუშებისა და კენგურუების გარე-მოცვაში. კვირა დღეს დედოფალი დაესწრო წირვას ქანბერის ერთ-ერთ პატარა ეკლესიაში. მეორე დღეს დაიწყო ოფიციალური შეხ-ვედრები: სიდნეის სახელგანთქმულ ოპერასთან ათასობით ავსტრალიელს მოეყარა თავი, რათა კვლავ შეევლოთ თვალი დედოფლისათვის. ხალხი დედოფალს ხვდებოდა სიმღერით „ღმერთო, დაიცავი დედოფალი", თუმცა ეს სიმღერა უკვე რამდენ-იმე წელია არ არის ავსტრალიის ეროვნული ჰიმნი. სიდნეიში გა-მართულ ბანკეტზე ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ჰოვარდმა დედოფალს ამ სიტყვებით მიმართა: „თქვენ საუკეთესო კონსტი-ტუციური მონარქი ბრძანდებით". დედოფალმა ბანკეტზე ავსტრალიის მოსახლეობას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მე არ შემიძლია, დავივიწყო, რომ გზად ვიყავი ავსტრალიისკენ, როცა გარდაიცვალა მამაჩემი... როდესაც მე პირველად ფეხი დავადგი ავსტრალიის მიწას 1954 წლის თებერვალში, მე ამ მშვენიერი, წინდა, მრავლისშემქმნელი მიწის ნაწილად ვიგრძენი თავი, მომავ-ალში სადაც არ უნდა ვიყო ყოველთვის დიდი სიყვარულით, ღრმა პატივისცემით ვიქნები გამსჭვალული ავსტრალიის და ავსტრალიელების მიმართ". ბანკეტის დაწყებამდე კი შენობის შესასვლელში, სადაც დედოფლის პატივსაცემად სუფრა იყო გაშლილი, დაცვამ დააკავა დანით შეიარაღებული პირი, რომელიც, ალბათ, თავდასხმას აპირებდა მის უდიდებულესობაზე. მონარქი გაეცნო ასევე სიდნეი-2000 სპორტულ კომპლექსს. ერთ-ერთი შეხ-ვედრის დროს სკოლის მოსწავლემ დედოფალს ჰკითხა: „წამოღე-ბული გაქვთ თქვენი გვირგვინი?". დედოფალმა უპასუხა: „არა, მე არ შემიძლია ის თაუერიდან გამოვიტანო. ის იქ ცხოვრობს". მეორე მოსწავლემ დედოფალს ჰკითხა: „რამდენი ოთახია ბაქინჰემის სასახლეში?". „ზოგი ამბობს, რომ 600 ოთახი, არ ვიცი, რამდენად მართალია ეს" უპასუხა სასახლის დიასახლისმა. დედოფალმა მოინახულა მელბურნი, სიდიდით ქვეყნის მეორე ქალაქი, იყო თას-მანიაზეც, სადაც ედინბურგის ჰერცოგს პომიდორი ესროლეს. სამეფო წყვილის ავსტრალიაში ვიზიტი ქვეყნის დასავლეთში, პერთში სტუმრობით დასრულდა.

წლის ბოლოს მოეწყო ისტორიული ვიზიტი ვატიკანსა და იტალიაში. ვატიკანში მისი უდიდებულესობა შეხვდა რომის პაპს. ეს არ იყო მარტო ორი უდიდესი პიროვნების და ორი სახელმწიფოს მეთაურის შეხვედრა. ეს იყო ანგლიკანური ეკლესიის და კათოლი-

კური სამყაროს მეთაურთა უმაღლესი დონის შეხვედრა, ეს იყო ელისაბედ II და იოანე პავლე II მესამე შეხვედრა. პირველი შეხვედრა შედგა ვატიკანში 1980 წელს, დედოფლის ვიზიტის დროს, მეორე მოენყო ორი წლის შემდეგ, პაპის ბრიტანეთში ვიზიტისას, მესამე შეხვედრა პაპთან 24 წუთი გაგრძელდა, დედოფალს, ტრადიციის თანახმად შავი სამოსი ემოსა (რომის პაპთან აუდიენციაზე არაკათოლიკე მონარქს აუცილებლად შავები უნდა ეცვას), თუმცა ამჯერად არც თეარა ეკეთა და არც კოჭებამდე შავი კაბა ეცვა (როგორც ეს 1980 წლის შეხვედრის დროს იყო). მის უდიდებულესობას შავ კაბაზე მოცმული ჰქონდა შავი ჟაკეტი, ხოლო ქუდს მოკლე ვუალი უმშვენებდა. შეხვედრისთანავე დედოფალმა პაპს მიმართა: „დიდი სიამოვნებაა თქვენთან კვლავ შეხვედრა". გაიცვალა საჩუქრებიც. პაპისაგან დედოფალმა მიიღო ტყავის ყდაში ჩასმული XIII საუკუნის ბიბლიის ფაქსიმილური გამოცემა, რომის პაპს კი მისმა უდიდებულესობამ გადასცა ქანალეთოს 50 ნახატის ფაქსიმილური გამოცემა. დედოფალმა დაათვალიერა სიქსტის კაპელა. რომში კვირინალეს სასახლეში, რომელიც 1946 წლამდე იტალიის მეფეების რეზიდენცია იყო და დღეს წარმოადგენს იტალიის სახელმწიფოს მეთაურის რეზიდენციას, იტალიის პრეზიდენტმა გამართა სამეფო ბანკეტი უმაღლესი რანგის სტუმართა პატივსაცემად. ბანკეტზე დედოფალს ეცვა თეთრი ფერის გრძელი კაბა, ეკეთა დედოფალ ვიქთორიას ოქროს საიუბილეო ყელსაბამი და ვლადიმირის დიდი ჰერცოგინიას თეარა. მეორე დღეს სამეფო წყვილმა გვირგვინებით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი, ენვია ქალაქის მერს, დაათვალიერა რომის ფორუმები და შეხვდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს.

მილანში დედოფალი და მისი მეუღლე სახელგანთქმულ ლასკალას და ევროპის დიზაინის ინსტიტუტს ენვივნენ. ცნობილმა დიზაინერმა მიუჩა პრადამ განაცხადა: „დედოფალი ერთ-ერთი ყველაზე ელეგანტური ქალია მსოფლიოში". მარიუჩა კრიციამ აღნიშნა: „დედოფალი მოდაზე მაღლა დგას, რასაც ის იცვამს კარგია". მილანში ყოფნისას ელისაბედ II ენვია სანტა მარია დე ლა გრაციის მონასტერს, სადაც მან მოინახულა ლეონარდო და ვინჩის სახელგანთქმული ქმნილება „საიდუმლო სერობა".

პრინცი უილიამი ითონის კოლეჯის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს შოტლანდიაში. უმაღლესი განათლების მიღება პრინცმა შოტლანდიის წმინდა ენდრიუს უნივერსიტეტში გადაწყვიტა. ეს პატარა საუნივერსიტეტო ქალაქი 15 ათასი მცხოვრებით მდებარეობს ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე, აღმოსავლეთ შოტლანდიაში, ედინბურგის ჩრდილოეთით 48 კმ-ის მოშორებით. იგი ცნობილია მსოფლიოში, როგორც გოლფის სამშობლო და ერთ-ერთი საუნივერსიტეტო ქალაქი. უნივერსიტეტი

დაარსდა 1410 წელს და თავისი ასაკით ქვეყანაში ჩამორჩება მხოლოდ ოქსბრიჯს. 2001 წლის სექტემბრიდან აქ სწავლა დაიწყო სამეფოს ნომერ პირველმა სტუდენტმა, ბრიტანეთის მომავალმა მეფემ, პრინცმა უილიამი. როდესაც იგი წმინდა ენდრიუში ჩავიდა, ქალაქის მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტი შეეგება მას ქუჩებში. პრინცი ცენტრალურ ამერიკაში იყო, როცა მამისაგან მიიღო სასიხარულო ამბავი სტუდენტად გახდომის შესახებ. უილიამმა ჩააბარა გეოგრაფია, ისტორია და ბიოლოგია. განსაკუთრებული წარმატება მას გეოგრაფიაში ხვდა და გახდა კიდეც წმინდა ენდრიუს უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის სტუდენტი. „მე ვიცი, თუ როგორ დაუღალავად შრომობდა უილიამი, რომ მიეღწია ასეთი წარმატებებისათვის. მე ვამაყობ მისით", განაცხადა ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრემ. პრინცმა ჩარლზმა.

წმინდა ენდრიუში გამოჩენამდე უილიამი სამხრეთ ამერიკაში — ჩილეში და აფრიკის კონტინენზე კარგა ხანს იმყოფებოდა.

ბოლო ოცი წლის მანძილზე პრინც ჩარლზის და ქამილას პირველმა კოცნამ საზოგადოების წინაშე ლონდონში, ერთ-ერთ საქველმოქმედო საღამოზე, კვლავ აახმაურა მსოფლიო პრესა მათი შესაძლო ქორწინების შესახებ. არაოფიციალურად მათი ურთიერთობა უღრუბლო და უპრობლემოა. ქვეყანა მათ ხშირად ხედავს ერთად. ქამილა ხან ჰაიგროუშია, ხან კი წმინდა ჯეიმსის სასახლეში, მაგრამ მათ ოფიციალურ ბედნიერებას ბევრი რამ ეღობება წინ, რაც ხელს უშლის ქამილას საბოლოო მიზნისათვის. პრინცმა ქორწინებისათვის თანხმობა უნდა სთხოვოს დედამისს, მის უდიდებულესობას ელისაბე II, რომელიც ანგლიკანური ეკლესიის მეთაურია. დედოფალი, ალბათ, შვილის ბედნიერებისაკენ გადაიხრება, მაგრამ გაერთიანებული სამეფო ქვეყანაა, სადაც ტრადიციები და კანონები მკაცრად დაცულია. ქამილას და ჩარლზის ქორწინების საკითხი უხერხულ მდგომარეობაში აგდებს როგორც სასახლეს, ასევე დაუნინგ სთრითს, რადგან საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად დედოფალი რჩევას ჰკითხავს პრემიერ-მინისტრს, რომელსაც დადებითი პასუხისათვის, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეექმნას საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილთან. თუმცა გარკვეული ნაბიჯი ამ მხრივ გადაიდგა 2000 წ. ივნისში, ჰაიგროუში, საბერძნეთის ექს-მონარქის დაბადების დღის აღსანიშნავ ცერემონიალზე, პრინც ჩარლზის და მისი მეგობრების განსაკუთრებული მონდომების შემდეგ ელისაბედ II პირისპირ შეხვდა ქამილას. აღსანიშნავია ასევე, რომ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ჩარლზისა და ქამილას ქორწინების მომხრეა.

ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში დატრიალებულმა ტრაგედიამ შეძრა ბრიტანეთის სამეფო ოჯახი. ნეპალის ტახტის მემკვიდრემ 29 წლის პრინცმა დიპენდრამ კატმანდუში, ნარაიან-

ჰაიტის სამეფო სასახლეში ცეცხლსასროლი იარაღით სიცოცხლეს გამოასალმა მამამისი, მეფე ბირენდმა, დედამისი, დედოფალი აიშვარია, თავისი და-ძმა და ახლობლები. ბაქინჰემის სასახლის ოფიციალურ განცხადებაში აღინიშნა, რომ „დედოფალი და პრინცი შოკირებულები არიან და დიდად წუსან მომხდარის გამო". აღნიშნულთან დაკავშირებით დაშვებულ იქნა „იუნიონ ჯექი" ოფიციალურ სახელმწიფო შენობებზე. 1980 წელს ნეპალის მეფე ბირენდრა და დედოფალი ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდნენ ლონდონში, 1986 წელს კი ელისაბედ II გახლდათ „ჰიმალაების სამეფოს" უმაღლესი დონის სტუმარი. 1998 წელს უელსის პრინცი სტუმრობდა პრინც დიპენდრას, ხოლო ხუთი წლით ადრე კი იგი მასპინძლობდა უელსის პრინცესა დაიანას.

2001 წლის მნიშვნელოვან მოვლენათა შორის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ედინბურგის ჰერცოგის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. 24 მაისს სახელგანთქმულ ალბერთ ჰოლში ჩატარდა გალა-კონცერტი, რომელიც მოაწყო 'Duke of Edinburgh's Award'-მა (ეს ორგანიზაცია დაარსდა ჰერცოგის მიერ 1956 წელს და წელს არსებობის 45-ე წლისთავს აღნიშნავს. ამ ორგანიზაციის ძირითადი მიზანია გამოაელინოს სპორტში, სხვადასხვა საზოგადოებრივ მუშაობებში, ექსკურსიების მოწყობებში და ა.შ. გარკვეული მიღწევების მქონე ახალგაზრდები 14-25 წლის ასაკში). შემდეგ ჰერცოგს ლონდონის გილდ-ჰოლი მასპინძლობდა. მიღებას ესწრებოდა 500 ადამიანი, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ პრინცის საქველმოქმედო საქმიანობასთან. დაბადების დღის კულმინაციას წარმოადგენდა უინძორის ციხე-სიმაგრეში გამართული ცერემონიალი. სპეციალური წირვა გაიმართა წმინდა ჯორჯის ეკლესიაში, 50 შინაურთა შორის იყო პრინცის 17 გერმანელი ნათესავი, რომელბიც სპეციალურად ამ დღის აღსანიშნავად ეწვივნენ სამეფოს. საღამოთი კი უინძორის ციხე-სიმაგრის წმინდა ჯორჯის ჰოლში თავი მოიყარა სამეფო ოჯახის 450 ახლობელმა. „მე ვერ წარმომიდგენია, რომ შენ 80 წლის ხარ", პრინცს მიმართა დედოფალმა. „მე მთელი ოჯახის სახელით მადლობას გიხდი ყველაფრისათვის", დასძინა მისმა უდიდებულესობამ.

დედა დედოფალი თავისი დაბადების დღემდე ორი დღით ადრე საავადმყოფოში აღმოჩნდა. როცა მას ურჩიეს, რომ ოთხი აგვისტო კვლავ საავადმყოფოში გაეტარებინა, მან კატეგორიული უარი განაცხადა და თავისი დაბადების 101 წელს ქლერენსის სასახლის წინ შეეგება იქ მოსულ რვა ათასამდე თაყვანისმცემელს. მოგვიანებით იგი სამეფო ოჯახის სხვა წევრებთან ერთად კვლავ გამოვიდა სახლის წინ თავმოყრილი ხალხის წინაშე. მასთან ერთად იყვნენ ასევე სამეფო ოჯახის სხვა წევრებიც და მათ შორის მისი უმცროსი ქალ-

იშვილი, პრინცესა მარგარითა, რომელიც ინვალიდის ეტლს მიჯაჭ-ვული, სახეჩამოსიებული, ხელჩამოკიდებული, მუქი სათვალეებით მიესალმა იქ მყოფთ. რამდენიმე დღის შემდეგ თავისი დაბადების დღის 71-ე წლისთავთან დაკავშირებით პრინცესა მარგარითამ სა-ზოგადოების წინაშე გამოსვლა არ ისურვა, გაუარესებული ავად-მყოფობის გამო. მას ჯერ ჰეპატიტი დაემართა, ხოლო შემდეგ ფილტვების კიბოს გამო ფილტვების ნაწილი ამოკვეთეს (პრინცესა ბევრს ეწეოდა, სვამდა, შემდეგ პნევმონიის შედეგად იგი სიგარე-ტის მოწევას თავს ანებებს, გადატანილი აქვს სამი ინსულტი).

მაისის ბოლოს მისი უდიდებულესობა ოფიციალურ ვიზიტს აწყობს ნორვეგიის სამეფოში და თუ გასულ წელს დედოფლის ბარგი ავსტრალიაში ვიზიტის დროს სამ ტონას სჭარბობდა, ოსლოში იგი სულ სამი ჩემოდნით გაემგზავრა. სამეფო წყვილი-სათვის სკანდინავიის ეს ქვეყანა ძალზე ნაცნობი და ახლობელია. ორივე ქვეყნის სამეფო ოჯახები ერთმანეთის ნათესავები არიან. სწორედ ამ ქვეყანაში შედგა მისი უდიდებულესობის პირველი ოფიციალური ვიზიტი საზღვარგარეთ გამეფების შემდეგ 1955 წელს. ეს იყო ბრიტანეთის სამეფო წყვილის მეოთხე ოფიციალური ვიზიტი ფიორდების ქვეყანაში.

დედოფალს ოსლოს აეროპორტში დახვდა ნორვეგიის ტახტის მემკვიდრე, პრინცი ჰააკონი და ედინბურგის ჰერცოგი, რომელიც ერთი დღისთ ადრე ეწვია ოსლოს. ოსლოში, მეფის სასახლის წინ, ბრიტანეთის სამეფო წყვილს შეეგება ნორვეგიის მეფე და დედო-ფალი. ჩაის მირთმევის შემდეგ დედოფალს ოფიციალურად გააცნეს ტახტის მემკვიდრის საცოლე, 27 წლის მეტე — მარით თერემ ჰობი. ახალგაზრდა ქალის და პრინც ჰააკონის სასიყვა-რულო რომანი ქვეყნის ელიტარული წრეებისათვის საგანგაშო აღ-მოჩნდა, რადგან მომავალი პრინცესა ოფიციანტად მუშაობდა და ქორწინების გარეშე ჰყავს შვილი, რომლის მამაც პატიმარი იყო ნარკოტიკებთან დაკავშირებით. ასეთ ქალბატონზე მომავალი მე-ფის ქორწინება მიუღებელი გახლდათ ქვეყნის მთავრობისა, ეკლე-სიისა და არისტოკრატიისათვის. მაგრამ მათი ქორწინება მაინც შედგა ოსლოში 2001 წლის 24 აგვისტოს. ბრიტანეთის სამეფო ოჯახს საქორწინო ცერემონიალზე წარმოადგენდა პრინცი ჩარ-ლზი და უესექსის გრაფი და გრაფინია. საღამოს ოსლოს სამეფო სასახლის დარბაზში, რომელიც 360 კვ. მეტრია და რომელიც უდიდესია სასახლეში, ნორვეგიის მეფემ ოფიციალური სადილი გამართა ელისაბედ II და მისი მეუღლის პატივსაცემად. ბანკეტზე დედოფალს ტანთ ემოსა თეთრი ფერის კაბა და ეხურა დედოფალ ალექსანდრას რუსული თეარა. თავის სადღეგრძელოში დედო-ფალმა გაიხსენა ორი ქვეყნის ურთიერთობის ისტორია ვიკინგების დროიდან ბოლო პერიოდამდე, შეეხო მეორე მსოფლიო ომის ხანას,

ჩრდილოეთის ზღვაში ნავთობისა და გაზის მოპოვებასთან დაკავშირებულ თანამშრომლობას და ბოლოს კი მეფე ჰაროლდს მიულოცა ტახტზე ასვლის მეათე წლისთავი. მეორე დღეს ბრიტანელი სტუმრები ეწვივნენ ოსლოს ერთ-ერთ სკოლას, სადაც მათ მოისმინეს ინგლისური ენის ღია გაკვეთილი. შემდგომ მოინახულეს ბრიტანული დიზაინის გამოფენა ქალაქის მერიაში. ლანჩი სამეფო წყვილებმა მიირთვეს აქერსჰუზის ციხე-სიმაგრეში, რომელიც ოსლოს ფიორდს გადმოჰყურებს. ციხე-სიმაგრე 1300 წლით თარიღდება და დღეს სხვადასხვა ცერემონიალებისათვის გამოიყენება. ლანჩს ესწრებოდნენ ასევე ორივე ქვეყნის პრემიერ-მინისტრები მეუღლეებით.

ბოლოს ნორვეგიის სამეფო წყვილს მასპინძლობდა ოსლოში ბრიტანეთის საელჩო. ცერემონიალს ესწრებოდა ასევე მეფის სარძლო, რომელმაც განსაკუთრებული რევერანსი გაუკეთა დედოფალს. მისი უდიდებულესობა მხოლოდ თბილი ღიმილით შემოიფარგლა და მისთვის არ უკოცნია. სტუმართა შორის იყო ასევე მსოფლიოში სახელგანთქმული მოგზაური ტურ ჰეიერდალი. სამეფო ვიზიტის დასასრულს დედოფალს შეხვედრა ჰქონდა ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომლებთან.

12-15 ივნისს გაერთიანებული სამეფო მასპინძლობდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტს მბეკის და მის მეუღლეს ზანელას. ეს იყო სარ პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი და, გამომდინარე აქედან, ვიზიტის ცენტრში სტუმრებთან ერთად იყვნენ ასევე სამეფო ოჯახის ნევრებიც.

უმაღლესი რანგის სტუმრებს თვითმფრინავის კიბესთან დედოფლის სახელით შეეგებნენ გლოსთერის ჰერცოგი და ჰერცოგინია. შემდეგ სტუმარ-მასპინძელი გაემართა უინძორისაკენ, სადაც ჰოუმ პარკში მათ შეეგებათ დედოფალი ელისაბედ II და ედინბურგის ჰერცოგი. აქედან კი სტუმარ-მასპინძელი ღია კარეტებით, სამეფო ამალის თანხლებით გაემართა უინძორის ციხე-სიმაგრისაკენ. ციხე-სიმაგრის ვესტიბიულში პრეზიდენტს მიესალმა იორქის ჰერცოგი და უესექსის გრაფი და გრაფინია, შემდეგ სახელმწიფო სასადილო ოთახში მოეწყო ლანჩი, გაიცვალა საჩუქრებიც. მოგვიანებით კი როიალ ლოჯში სტუმრები ჩაიზე მიინვია დედა დედოფალმა. საღამოთი კი მისმა უდიდებულესობამ სამეფო ბანკეტი მოაწყო პრეზიდენტისა და მისი მეუღლის პატივსაცემად წმინდა ჯორჯის ჰოლში. დედოფალმა თავის სადღეგრძელოში კიდევ ერთხელ გაიხსენა მისი პირველი, 1947 წლის ვიზიტი თავის მშობლებთან ერთად სამხრეთ აფრიკაში, შემდგომ შეეხო იმ დემოკრატიულ ცვლილებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ ქვეყანაში XX საუკუნის ბოლოს.

შემდგომ ვიზიტი გაგრძელდა შოტლანდიაში, რომლის დროს პრეზიდენტს და მის თანმხლებ პირთ მასპინძლობდა იორქის ჰერცოგი. პრეზიდენტმა მოინახულა გლაზგოს სამეცნიერო ცენტრი. სტუმრები ეწვივნენ ასევე ედინბურგს. პრეზიდენტმა სიტყვით მიმართა შოტლანდიის პარლამენტს, ხოლო ჰოლირუდის სასახლეში მათ შეხვედრა ჰქონდათ უელსის პრინცთან.

სამეფო ოჯახი ტრადიციულად საზაფხულო არდადეგებზე იმყოფებოდა ბოლმოროლის ციხე-სიმაგრეში, როდესაც საზარელმა ტერორისტულმა აქტებმა ნიუ-იორქსა და ვოშინგთონში შეძრა მსოფლიო. დედოფალი და მისი მეუღლე შოკირებულნი უყურებდნენ ტელევიზიის საშუალებით ტერორისტების მიერ გატაცებული თვითმფრინავების იერიშებს პენტაგონსა და სახელგანთქმულ ტყუპებზე, ნიუ-იორქის უმაღლეს ცათამბრჯენზე. დედოფალმა სასწრაფოდ შეწყვიტა არდადეგები ჰაილენდში და დაბრუნდა ლონდონში, სადაც ბაქინჰემის სასახლეში მიიღო აშშ-ის ახლად დანიშნული ელჩი, მისი ძველი მეგობარი უილიამ ფერიში. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ბაქინჰემის სასახლის დაცვის ორკესტრმა სპეციალურად შეასრულა აშშ სახელმწიფო ჰიმნი. უელსის პრინცი ჩარლზი და მისი უფროსი ვაჟი ეწვივნენ ედინბურგში აშშ-ის საკონსულოს და თავისი მწუხარება გამოხატეს სამგლოვიარო წიგნში სპეციალური ჩანაწერით. ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ეწვია ასევე ლონდონში აშშ-ს საელჩოს და გააკეთა ჩანაწერი.

ლონდონში, წინდა პავლეს ტაძარში მოეწყო სპეციალური წირვა ტერორისტულ აქტებში დაღუპული ათასობით ადამიანის სულების მოსახსენიებლად. ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო დედოფალმა ელისაბედ II, ედინბურგის ჰერცოგმა, პრინცმა ჩარლზმა და სამეფო ოჯახის სხვა წევრებმა, ასევე ოფიციალურმა პირებმა.

ტერორისტული აქტის განხორციელების დროს იორქის ჰერცოგი მიემგზავრებოდა აშშ-საკენ ათლანთაში, მან შეწყვიტა ვიზიტი აშშ და ლონდონში დაბრუნდა. აღსანიშნავია, რომ, როდესაც ტერორისტებმა თავდასხმა განახორციელეს მსოფლიოს სავაჭრო ცენტრების ცათამბრჯენებზე, სწორედ ამ შენობაში მიემგზავრებოდა ავტომობილით სარა ფერგიუსონი, იორქის ჰერცოგინია. მოგვიანებით იორქებმა ყვავილებით შეამკეს აშშ-ს საელჩოს წინ მდებარე გროსვენორის მოედანი ლონდონში. სექტემბერშივე გულის შეტევით გარდაიცვალა დედოფლის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი ქერნარვონის გრაფი, რომლის ბაბუამაც 1922 წელს აღმოაჩინა მსოფლიოში სახელგანთქმული ტუტანჰამონის საფლავი.

ტერორისტული აქტების განხორციელებამ მნიშვნელოვნად შეცვალა დედოფლის ოქტომბრის თვის გეგმები. ავსტრალიაში,

ბრისბენში უნდა გამართულიყო თანამეგობრობის ლიდერთა უმაღლესი დონის შეხვედრა. დაგეგმილი იყო ელისაბედ II ვიზიტი ავსტრალიაში — ქუისლენდსა და სამხრეთ ავსტრალიაში. დედოფალს უნდა გაეხსნა თანამეგობრობის ლიდერთა შეხვედრა ბრისბენში, შემდეგ კი დედოფალი ეწვეოდა ახალ ზელანდიასაც. ტერაქტთან დაკავშირებით გადაიდო თანამეგობრობის ქვეყნების უმაღლესი დონის შეხვედრა, ავსტრალიის და ახალი ზელანდიის პრემიერთა თხოვნით გადაიდო ასევე მისი უდიდებულესობის ოფიციალური ვიზიტები აღნიშნულ ქვეყნებში.

16 ნოემბერს ელისაბედ II და მისი მეუღლე ერთდღიან ვიზიტს აწყობენ ჩრდილოეთ ირლანდიის სიდიდით მეორე ქალაქ ლონდონდერში. ეს იყო დედოფლის პირველი ვიზიტი ამ ქალაქში თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, როდესაც დედოფალი და მისი მეუღლე ქალაქს სტუმრობდნენ 1953 წელს. ლანჩზე, რომელიც ჰილსბოროს ციხე-სიმაგრეში (ბელფასტის გარეუბანი) გაიმართა, დედოფალი შეხვდა ჩრდილოეთ ირლანდიის პირველ მინისტრს დეივიდ თრიმბლს და სხვა ოფიციალურ წარმომადგენლებს.

შობა-ახალ წელს დედოფალი ოჯახთან ერთად შეხვდა სანდრინჰემში.

მეფობის ნახევარსაუკუნივანი საიუბილეო წლის იანვარი დედოფალმა შვილებსა და შვილიშვილებთან გაატარა სანდრინჰემის სასახლეში, იმ სასახლეში, რომელშიც 50 წლის წინ გარდაიცვალა მამამისი და დაიწყო მისი მეფობა. მასთან ერთად იყო უესექსის გრაფინია, რომელმაც რამდენიმე კვირის წინ ნაადრევი მშობიარობით შვილი დაკარგა.

6 თებერვალი, მამამისის გარდაცვალებისა და თავისი გამეფების დღე, დედოფალმა მხოლოდ მამამისის, ჯორჯ VI-ის ხსოვნის აღნიშვნას მიუძღვნა. მან ქინგზ ლინში, სანდრინჰემთან ახლოს, დედოფალ ელისაბედის საავადმყოფოსთან გახსნა 1.2 მლნ ფუნთის ღირებულების მაქმილანის ცენტრი. ამ დღესვე, დილის 10 საათზე, თავისი გამეფების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით, დედოფალმა გაავრცელა სპეციალური მიმართვა:

„პრინცი ფილიპე და მე დიდად აღგვაფრთოვანა უამრავმა კეთილმა მილოცვამ ოქროს იუბილესთან დაკავშირებით.

ეს იუბილე ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება იმ ერთგულებისა და მხარდაჭერისათვის, რომელიც მივიღეთ მრავალი ადამიანისაგან მას შემდეგ რაც 1952 წელს მოვედით სახელმწიფოს სათავეში.

ეს არის კიდევ ერთი საშუალება, რათა მადლობა გადავუხადო ყველა თქვენგანს, ვინც ეხმარება თანამოძმეებს, როგორც საზოგადოებრივი, ასევე პირადი საქმიანობით.

მინდა, ვიფიქრო იმაზე, რომ თქვენი ღვაწლი განსაკუთრებით დაფასდება საიუბილეო წლის განმავლობაში. აგრეთვე იმედი მაქვს, რომ ეს სადღესასწაულო პერიოდი, როგორც გაერთიანებულ სამეფოში, ასევე მთელს თანამეგობრობაში, არ იქნება უბრალოდ წარსულისადმი ნოსტალგიის გამოხატვა. ვფიქრობ, რომ ყველამ, მოხუცმა თუ ახალგაზრდამ, უნდა მივაპყროთ ჩვენი მზერა მომავლისაკენ იმ რწმენითა და იმედით, როგორი სიამაყითაც ვუყურებთ ჩვენს წარსულს. გიგზავნით საუკეთესო სურვილებს ყველა თქვენგანს".

9 თებერვალს, დილის სამის ნახევარზე, პრინცესა მარგარითა ჯანმრთელობის გაუარესების გამო ქენსინგთონის სასახლიდან მეფე ედუარდ VII-ის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ოთხი საათის შემდეგ 71 წლის პრინცესა, დედოფლის ერთადერთი და, ძილში გარდაიცვალა. მას თავზე ადგნენ მისი შვილები ლორდი ლინლი და ლედი სარა. დის გარდაცვალება უმალ ემცნო დედოფალს, რომელიც მთელი ღამე იღებდა ინფორმაციას საავადმყოფოდან. ამ დროს იგი ბაქინჰემის სასახლეში იმყოფებოდა. მან მალე დატოვა ლონდონი და უინძორში გადავიდა. ბაქინჰემის სასახლეზე დაშვებულ იქნა „იუნიონ ჯექი". უმცროსი ქალიშვილის გარდაცვალება 101 წლის დედა დედოფალს ემცნო სანდრინჰემში. პრინცმა ჩარლზმა, რომელიც ამ დროს მეგობრებთან ერთად დევონშირის ჰერცოგის მამულში იმყოფებოდა, დეიდამისის გარდაცვალება რომ შეიტყო, სასწრაფოდ გაეშურა ბებიამისთან ნორფოლქში. პრინცესა ანას დეიდის სიკვდილი ანტარქტიდაზე შეატყობინეს. პრინცესას ცხედარი მოგვიანებით უინძორში გადაასვენეს, შემდეგ მის ცხედარს კრემირება გაუკეთდა და ყოველგვარი განსაკუთრებული სამეფო ცერემონიალის გარეშე 15 თებერვალს, მამამისის დაკრძალვიდან ზუსტად 50 წლის შემდეგ, მისი ფერფლი მამის საფლავთან ახლოს დაკრძალეს. დაკრძალვას მხოლოდ 400 ახლობელი დაესწრო.

დის დასაფლავებიდან მესამე დღეს დედოფალმა დაიწყო საიუბილეო ტურნე თანამეგობრობის ქვეყნებში. პირველად იგი იამაიკას ეწვია. ქინგსტონის აეროპორტში ზარბაზნის 21 ზალპით სამეფო წყვილს შეეგება იამაიკის გენერალ-გუბერნატორი სერ ჰოვარდ ქუქი, მისი უდიდებულესობის წარმომადგენელი იამაიკაზე და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი პერსვილ პეთერსონი. დედოფალმა სიტყვით მიმართა იამაიკის პარლამენტს. მან განაცხადა: „განსაკუთრებულად მოხარული ვარ, რომ ჩემი გამეფების 50 წლის იუბილეზე მომეცა საშუალება მიმემართა კარიბის ზღვის აუზში პირველი დამოუკიდებელი პარლამენტის — იამაიკის პარლამენტისათვის. ვინაიდან წელს იამაიკა დამოუკიდებლობის 40-ე წლისთავს აღნიშნავს, დროული იქნება, თუკი ვისაუბრებთ თანამეგო-

ბრობაში თქვენს როლსა და პოტენციაზე...". სამეფო ნყვილის პატივსაცემად ქინგზ ჰაუსში გაიმართა ბანკეტი, შემდეგ ისინი ეწვივნენ ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს ტურისტრულ რაიონს -- მონთეგოს უბეს, კუნძულის ჩრდილოეთით.

იამაიკის შემდეგ ტურნე გაგრძელდა ახალ ზელანდიაში. დედოფალთან შეხვედრისას უელინგთონის აეროპორტში ქვეყნის უმაღლეს ოფიციალურ პირთა შორის არ ჩანდა პრემიერ-მინისტრი ჰელენ ქლარქი, რომელიც, თითქოსდა, ევროპაში დაყოვნდა, რაზეც იგი ეროვნულმა პრესამ სერიოზულად გააკრიტიკა. ცნობილია, რომ ახალი ზელანდიის მთავრობის მეთაური რესპუბლიკური მმართველობის მომხრეა. მაგრამ დედოფლის ხელისუფლებას ახალ ზელანდიაში არავითარი საშიშროება არ ელის. მოსახლეობის 63% მონარქიის მომხრეა. მსოფლიოში სახელგანთქმულმა სერ ედმუნდ ჰილარმა აღნიშნა: „პირადად მე არ ვარ რესპუბლიკის მომხრე, აქ, ახალ ზელანდიაში, ვფიქრობ, ჩვენ უკეთ ვგრძნობთ თავს დედოფალთან, როგორც სახელმწიფოს მეთაურთან, ვიდრე მოხუც და გადამდგარ პრემიერ-მინისტრთან". ახალი ზელანდიიდან სამეფო ნყვილი ავსტრალიას სტუმრობდა. ისინი ეწვივნენ ადელაიდას (სამხრეთ ავსტრალია), ქერნს და ბრისბენს (ქუინსლენდი). ქერნსში დედოფალი და მისი მეუღლე დაესწრნენ წარმოდგენას აბორიგენების კულტურულ ცენტრში. იქ პრინცმა ცუდად იხუმრა, მეორე დღეს კი მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც თვალი გადაავლო ადგილობრივ პრესას, რომელიც აჭრელებული იყო მისი უმაღლესობის გამონათქვამებით (პრინცი, საერთოდ, გამოირჩევა არაკორექტულობით).

2 მარტს დედოფალმა გახსნა თანამეგობრობის ქვეყნების სახელმწიფო და მთავრობის მეთაურთა უმაღლესი დონის შეხვედრა ბრისბენში.

ბრიტანეთში დაბრუნების შემდეგ დედოფალი შეუდაგა სამეფო კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებას. დედა დედოფალი საკმაოდ სუსტად გამოიყურებოდა ჯანმრთელობის სერიოზულად შერყევის შემდეგ. მასზე დიდად იმოქმედა უმცროსი ქალიშვილის გარდაცვალებამ. 30 მარტს მისი ჯანმრთელობა კიდევ უფრო გაუარესდა. დედოფალი უინძორის დიდ პარკში სეირნობდა ცხენით, როცა მას მოახსენეს დედამისის ჯანმრთელობის გაუარესების შესახებ. იგი უმალ გაემართა როიალ ლოჯში. ოთხის თხუთმეტ წუთზე დედა დედოფალი გარდაიცვალა ზუსტად იმ ოთახში და იმ საწოლში, რომელსაც იგი იყოფდა თავის მეუღლესთან. დედოფალმა უმალ აცნობა ტელეფონით სამწუხარო ამბავი ტახტის მემკვიდრეს, პრინც ჩარლზს, რომელიც თავის ვაუებთან ერთად ისვენებდა შვეიცარიაში. დაშვებულ იქნა ალამი ყველა სამეფო რეზიდენციაზე, ხოლო 17 საათსა და 45 წუთზე

ბაქინჰემის სასახლემ ოფიციალურად გაავრცელა ცნობა დედა დედოფლის გარდაცვალების შესახებ. პრინცმა ჩარლზმა განაცხადა: „ჩემთვის ცნობილია, თუ რამდენად ძვირფასი იყო ჩემი საყვარელი ბებია ადამიანებისათვის, ის იყო მათთვის ცხოვრების აზრის მიმცემი... რატომღაც არასოდეს ვფიქრობდი, რომ ეს დრო დადგებოდა...".

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა თონი ბლერმა აღნიშნა: „მისი ხანგრძლივი და არაჩვეულებრივი ცხოვრების მანძილზე მისი ტაქტი, მოვალეობის გრძნობდა და ცხოვრებისადმი ინტერესი გახდა მიზეზი იმისა, რომ იგი ერთნაირად საყვარელი პიროვნება იყო ყველა ასაკის ადმიანებისათვის, მას აფასებდნენ სამშობლოში და მის ფარგლებს გარეთ. ის ჩვენი ერის ნაწილი იყო და ჩვენ უსაზღვროდ ვამაყობთ მისით. მეუღლესთან, მეფე ჯორჯ VI-სთან ერთად, ის იყო ჩვენი ქვეყნის წესიერებისა და სიმამაცის სიმბოლო...". ქვეყნის ყოფილმა პრემიერმა მარგარეთ თეთჩერმა მას „მშვენიერი დედოფალი და არაჩვეულებრივი პიროვნება" უწოდა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა აღნიშნა: „მისმა სათნო ღიმილმა აქცია იგი ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე მშვენიერ პიროვნებად, იგი წარმოადგენდა ბრიტანეთის მონარქის ღირებულებებისა და პრინციპების სიმბოლოს".

დედა დედოფლის ცხედარი, რომელსაც ეფარა მისი პირადი ალამი და რომელზედაც ესვენა მისივე ბაღში დაკრეფილი კამელიების გვირგვინი, საკუთარი სახლიდან გადაასვენეს ყველა წმინდანის სახელობის ეკლესიაში, სადაც იგი 70 წლის მანძილზე ლოცულობდა. მოგვიანებით ცხედარი გადასვენებულ იქნა წმინდა ჯეიმსის სასახლესთან, დედოფლის ეკლესიაში, 5 აპრილს კი — უესთმინსთერის ჰოლში. გადასვენებას 400 ათასი ადამიანი დაესწრო. ისინი პატივს მიაგებდნენ სამეფო ოჯახის პატრიარქის ხსოვნას. სასვენებელზე, რომელიც დაფარული იყო გარდაცვლილის პირადი ალმით, მოთავსებული იყო სამეფო გვირგვინი, რომელიც დამზადდა დედა დედოფლის გამეფებისათვის და რომელშიც მოთავსებულია მსოფლიოში ცნობილი კოჰ-ი-ნორის 107-კარატიანი ბრილიანტი. უესთმინსთერის ჰოლში, სადაც დედა დედოფლის ცხედარი ოთხი დღე ესვენა, მას 200 ათასზე მეტმა ადამიანმა მიაგო პატივი. ბოლო დღეს ცხედარი უესთმინსთერის ჰოლიდან გადასვენებულ იქნა უესთმინსთერის საბჭოში, სადაც 2311 მოწვეულ სტუმარს შორის იყვნენ ევროპის სამეფო ოჯახების პირველი პირები, თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერები, სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები და ა.შ. დედა დედოფალი დაკრძალულ იქნა უინძორში, წმინდა ჯორჯის ეკლესიაში, თავისი მეუღლის გვერდით. ამიერიდან ისინი ერთმანეთის გვერდით

განისვენებენ. ასეთი მასშტაბების დაკრძალვა ქვეყანას არ ახსოვს ჩერჩილის გარდაცვალების შემდეგ.

29 აპრილს სამეფო წყვილს ოფიციალურად მასპინძლობდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, თონი ბლერი მეუღლითურთ დაუნინგ სთრითის 10-ში ისტორიული ბანკეტით. ეს იყო ელისანედ II მეხუთე ოფიციალური ვიზიტი ქვეყნის მთავრობის მეთაურის რეზიდენციაში. მენიუ შეთანხმებული იყო ბაქინჰემის სასახლესთან.

30 აპრილს მისი უდიდებულესობა, ელისაბედ II, გამოდის ისტორიული სიტყვით ბრიტანეთის პარლამენტის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე უესთმინსთერის ჰოლში. აღსანიშნავია, რომ გამოსვლის ტექსტი თავად დედოფალმა დანერა. მან აღნიშნა: " რა თქმა უნდა, სწორია, რომ ჩემი მეფობის 50 წლის იუბილე პირველად სწორედ უესთმინსთერში აღინიშნა; ... მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადაგიხადოთ ამ დაუვიწყარი 50 წლისათვის. მინდა, გამოვხატო სიამაყე წარსულის გამო და ღრმა რწმენა მომავლისა.

დაბოლოს, მინდა განვაცხადო, რომ მე ჩემი ოჯახის მხარდაჭერით, კვლავაც დავრჩები ქვეყნის სამსახურში, რათა ვემსახურო ამ უდიდეს ერს...".

ოქროს საიუბილეო წლის კულმინაციას წარმოადგენდა „საიუბილეო კვირა" — 1- 4 ივნისი, რომლის უმნიშვნელოვანესი ცერემონიალებიც გაიმართა ლონდონსა და უინძორში.

პირველ ივნისს ბაქინჰემის სასახლის ბაღში მოეწყო კლასიკური მუსიკის კონცერტი, რომელსაც სამეფო ოჯახის 18 წევრთან ერთად დაესწრო 12 ათასი მაყურებელი. სამეფო ლოჟაში სტუმრებს შორის იყო ასევე ქამილა პარქერ ბოულსი. მეორე დღეს მისი უდიდებულესობა უინძორის ციხე-სიმაგრის წმინდა ჯორჯის ეკლესიაში ესწრებოდა სპეციალურ საიუბილეო წირვას. სამ ივნისს ბაქინჰემის სასახლე მასპინძლობდა საესტრადო მუსიკის მოყვარულთ. კონცერტში მონაწილეობდნენ; ქლიფ რიჩარდი, ერიქ ქლიფთონი, რიქი მართინი, ელთონ ჯონი, პოლ მაქართნი და სხვები. მოგვიანებით სამეფო ოჯახის წევრებს შეუერთდა დედოფალი. კონცერტის ბოლოს მის უდიდებულესობას სიტყვით მიმართა ტახტის მემკვიდრემ, პრინცმა ჩარლზმა: „თქვენო უდიდებულესობავ — დედი... ვფიქრობ, რომ ეს საღამო ყოველი ჩვენგანისათვის დაუვიწყარი იქნება... ჩვენ, თქვენო უდიდებულესობავ, აქ ვართ ამ საღამოს იმიტომ, რომ სიამაყის გრძნობით ვართ განმსჭვალულნი თქვენდამი, ვამაყობთ და მადლობას გიხდით ყველაფრისათვის, რაც თქვენ გააკეთეთ ქვეყნისა და თანამეგობრობისათვის. ამ უჩვეულო 50 წლის მანძილზე თქვენ ყოველთვის გვერდში გედგათ მამაჩემი". შემდგომ დედოფალი ედინბურგის ჰერცოგის თანხლებით გამოვიდა ბაქინჰემის სასახლისწინა მოედანზე, სადაც დედოფალ ვიქტორიას

მონუმენტის წინ აანთო საიუბილეო ჩირაღდანი. მოგვიანებით მოეწყო არნახული ფეიერვერკი, რომლის ბადალიც, ალბათ, წარმოუდგენელია. ამ საღამოს შოუს სასახლისწინა მოედანზე და მოლზე შეკრებილი ერთ მილიონზე მეტი ადამიანი ადევნებდა თვალს. 15 მილიონზე მეტმა ბრიტანელმა და 200 მილიონზე მეტმა ადამიანმა მთელს მსოფლიოში ტელევიზიის საშუალებით იხილა ეს დაუვიწყარი შოუ.

განსაკუთრებული იყო ოთხი ივნისი, საიუბილეო წლისა და კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი დღე. ბაქინჰემის სასახლიდან წმინდა პავლეს ტაძრამდე, სადაც დედოფალს და მის მეუღლეს უნდა გაევლოთ, ათასობით ადამიანს მთელი ღამე ეძინა ქუჩებში, რათა მოხერხებული ადგილი დაეკავებინა მარშრუტზე. მილიონზე მეტმა ადამინამა უყურა მონარქის საზეიმო სვლას. წმინდა პავლეს ტაძარში მიწვეული 2400 სტუმარს შორის იყო ბრიტანეთის სამეფო ოჯახის 34 წარმომადგენელი, რომლებიც სასახლიდან კათედრალში საგანგებო ავტობუსით მიიყვანეს. დედოფლის შვილები და შვილიშვილები წირვაზე ეტლებით გაემართნენ. პირველ ეტლში ისხდნენ იორქის ჰერცოგი და მისი ქალიშვილი, პრინცესა ბეათრიქსი, ასევე პრინცები უილიამი და ჰენრი. მეორე ეტლში — უესექსის გრაფი და გრაფინია, ასევე იორქის ჰერცოგის მეორე ქალიშვილი ევგენია. მესამეში ისხდნენ პრინცესა ანას შვილები პიტერი და ზარა და მეუღლე თიმოთი ლოურენსი. პრინცი ჩარლზი და პრინცესა ანა სამეფო ესკორტის შემადგენლობაში იყვნენ და ცხენებზე ამხედრებულები მიჰყვებოდნენ ოქროს ეტლს.

ათს აკლდა ოცი წუთი, როცა ბრიტანეთის ეროვნული ჰიმნის დაწყებისასა ბაქინჰემის სასახლის ჭიშკარი დატოვა ოქროს სახელმწიფო ეტლმა, რომელშიც ისხდნენ დედოფალი და მისი მეუღლე. დედოფალს ტანთ ემოსა სერ ჰადი ემისის მიერ შეკერილი ცისფერი აბრეშუმის კაბა, თავზე ეხურა ფრედი ფოქსის მიერ შეკერილი ლურჯი ქუდი, ეცვა თეთრი ხელთათმანები, ეკავა შავი ფერის ხელჩანთა, ეცვა ამავე ფერის ფეხსაცმელები.

11 საათსა და 50 წუთზე სამეფო წყვილი უკვე თემპლ ბართან[1] იმყოფებოდა, სადაც მათ შეეგება ლონდონის სითის 674-ე მერი, რომელმაც XVI საუკუნის მარგალიტებით მორთულ ქარქაშში ჩაგებული ხმალი გადასცა დედოფალს ნიშნად მონარქის ხელისუფლების უზენაესობისა. დედოფალმა ხმალს ხელი შეახო. წმინდა პავლეს ტაძარში 55-წუთიანი წირვის შემდეგ სამეფო წყვილი გილდჰოლში ლანჩზე მიიწვია ლონდონის მერმა. ისინი გილჰოლს ახალი „ბენთლით" ეწვივნენ. ლანჩზე თავის გამოსვლაში მისმა უდიდებულესობამ აღნიშნა: „მინდა, ჩემი აღტაცება გამოვთქვა

---

[1] *თემპლ ბარი — საზღვარი სითსა და უესთმინსთერის რაიონს შორის.*

პრინც ჩარლზის საქმიანობასთან დაკავშირებით..., ჩემმა შვილებმა და მთელმა ოჯახმა უდიდესი დახმარება გამიწიეს წლების მანძილზე, განსაკუთრებით ბოლო თვეებში..., მინდა, გულითადი მადლობა მოგიძღვნათ თითოეულ თქვენგანს, როგორც აქ გილდ-ჰოლში, ასევე ყველას, ვინც დგას მოლსა და ლონდონის ქუჩებში, ასევე ტელევიზიით უყურებს გამოსვლას სამეფოსა და თანამეგობრობის ქვეყნებში".

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, თონი ბლერი: „თქვენ გააერთიანეთ ჩვენი ერი, თქვენ წარმოადგენთ ნამდვილი პატრიოტიზმის ბრწყინვალე სიმბოლოს...ბრიტანელი ხალხის 50-წლიანი სამსახურისათვის უღრმეს მადლობას მოგახსენებთ თქვენ და სამეფო ოჯახს".

გილდჰოლში ლორდ მერთან სტუმრობის შემდეგ დედოფალი გამოეწყო ქარლ ლუდვიგის შეკერილ მარჯნისფერ კაბასა და პიჯაკში და ფილიპ სომერვილის ქუდში. სამეფო წყვილი „რეინჯ როვერით" გაეშურა სასახლისაკენ, სადაც ისინი შეუერთდნენ სამეფო ოჯახის სხვა წევრებს, რომელბიც ისხდნენ მათთვის ვიქთორიას მემორიალთან საგანგებოდა მოწყობილ სკამებზე. დედოფლის პატივსაცემად გაიმართა გრანდიოზული პარადი, რომელშიც მონაწილეობდნენ თანამეგობრობის ქვეყნების წარმომადგენლები, სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების და ნოთინგ-ჰილის სახელგანთქმული კარნავალის მონაწილეები. პარადის დამთავრების შემდეგ დედოფალი სამეფო ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ბაქინჰემის სასახლის აივნიდან მილიონზე მეტ მოზეიმე ადამიანს მიესალმა. ბოლოს ბრიტანეთის საჰაერო ძალებმა „ქონქორდის" მონაწილეობით გადაუფრინეს სასახლეს.

გრანდიოზულად აღნიშნულმა „საიუბილეო კვირამ" ნათლად აჩვენა ბრიტანელი ხალხის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დედოფლის, ელისაბედ II-სადმი, ის განუსაზღვრელი ავტორიტეტი, რომლითაც სარგებლობს მსოფლიოს პირველი ლედი პლანეტის საზოგადოების თვალში. ამ იუბილემ თვალსაჩინო გახადა ისიც, რომ მონარქიის ინსტიტუტი დღესაც, 21-ე საუკუნეშიც ცხოველმყოფელია და ასევე დარჩება მომავალშიც, „რამე თუ, ღვთისაგან არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა".

საიუბილეო კვირის შემდეგ დედოფალმა და მისმა უმაღლესობამ გააგრძელეს საიუბილეო ტურნე გაერთიანებული სამეფოს სხვადასხვა რეგიონში. ივნისის შუა რიცხვებში უინძორი მასპინძლობდა სრულიად სამეფო ევროპას. პომპეზურობით ჩაიარა ერთ-ერთმა უდიდესმა სამეფო ცერემონიალმა — წირვამ წვივსახვევი ორდენის კავალერთა მონაწილეობით წმინდა ჯორჯის ეკლესიაში. დედოფალი უინძორის ციხე-სიმაგრის ვათერლოოს დარბაზში მასპინძლობდა ევროპის მონარქებს. სამეფო ბანკეტი ოჯახური

ხასიათისა იყო, ამიტომაც დედოფლებს თეარები არ ეკეთათ. ელისაბედ II ეცვა თეთრი აბრეშუმის კაბა, რომელზედაც ყვავილები იყო ამოქარგული. გულზე ეკეთა 20 სმ სიგრძის ბრილიანტის თვლებისთ მოჭედილი ვიქთორიანული გულსაბნევი, რომელიც დედოფალმა მერიმ ელისაბედ II-ს გადასცა როგორც საქორწინო საჩუქარი. შემდგომ მისმა უდიდებულესობამ საზეიმო ვითარებაში გახსნა თანამეგობრობის ქვეყნების XVII თამაშები, რომელსაც მასპინძლობდა მანჩესთერი. ოქტომბერში სამეფო ნყვილი კანადას სტუმრობდა. ეს იყო ელისაბედ II 21-ე ვიზიტი ჩრდილოეთ ამერიკის ამ ქვეყანაში, რომლის დროსაც მონარქს შეხვედრები ჰქონდა მის ქვეშევრდომებთან ნუნავუთში, ბრიტანეთის ქოლუმბიაში, მონითობაში, ონთარიოსა და ნიუ-ბრანსუიქში.

***

7 საათსა და 30 წუთზე დედოფალი გაღვიძებულია. ამ დროს კარებზე გაისმის მორიდებული კაკუნის ხმა და ოთახში შედის მისი პირადი მოახლე, რომელსაც შავი ფერის კაბა აცვია და თეთრი ნინსაფარი უკეთია. „დილა მშვიდობისა, Ma'am" — ეს არის მოახლის ტრადიციული სიტყვები. მას ოთახში ფინჯანი ჩაი შეაქვს. დედოფლის საწოლი ოთახი არ არის დიდი. ოთახში დედოფლის ზომის საწოლია, რომელსაც ლურჯი ფერის ზენარი აფარია. აქვს პატარა ზანდუკი თეთრეულისათვის, მასზე სამეფო ოჯახის წევრთა ვერცხლის ჩარჩოებში ჩასმული სურათები აწყვია. საერთოდ, ოთახში სჭარბობს მკრთალი მწვანე ფერი. ყოველ დილით დედოფალი უსმენს ბი-ბი-სის რადიოს, რადიო 4-ის გადაცემა „თუდეის". ამ დროს იგი ორ ფინჯან ჩაის მიირთმევს. შემდგომ დედოფალი სააბაზანო ოთახში ირთვება. არც ეს ოთახია დიდი. აქ თეთრი მინანქრით დაფარული ვიქთორიანული აბაზანა დგას. რა თქმა უნდა, დედოფალს და მის მეუღლეს ერთ ოთახში არ სძინავთ. ჰერცოგის საძინებელი ერთი სართულით დაბლაა, დედოფლის საძინებლის მხარეს; ორივე ოთახი გრინ პარკს გადაჰყურებს. თუ მისი უდიდებულესობა დილით ჩაის მიირთმევს, მისი უმაღლესობა ყავას ამჯობინებს. მეუღლეები ერთმანეთს საუზმეზე ხვდებიან დაახლოებით 8 საათსა და 30 წუთზე. დედოფალი არ მიირთმევს ტრადიციულ ინგლისურ საუზმეს. მისი მენიუ ძირითადად შედგება ერბოკვერცხისაგან, ე.ნ. „თოუსთის", შებრანული პურის ნაჭრისაგან და ხილფაფისაგან, რა თქმა უნდა, მოაქვთ ჩაიც. პრინცის საუზმე ნამდვილად ინგლისურია. ზემოთ ჩამოთვლილს ემატება ბეკონი და სოსისი. ოთახში აწყვია ბრიტანული პრესის ნამყვანი გაზეთები. ასევე „სანი", „დეილი მირორი" და „დეილი სთარი".

დედოფალი უპირატესობას „დეილი თელეგრაფს“ ანიჭებს. საუზმისას ისინი არ საუბრობენ. მიირთმევენ რა საუზმეს, ისინი ეცნობიან პრესას. ამ დროს ერთ-ერთი მოახლე ეზოში ასეირნებს დედოფლის ძაღლებს. აღსანიშნავია, რომ დედოფლის ძაღლებისადმი სიყვარულს მისი მოახლეები არ იზიარებენ, თუმცა გულმოდგინედ ასრულებენ ყოველდღიურ დავალებას. ყველა ძაღლი ერთ ოთახშია მოთავსებული. ყველას საკუთარი ვერცხლის ჯამი აქვს საჭმელისათვის.

9 საათსა და 30 წუთზე დედოფალი უკვე თავის კაბინეტშია, მაგიდასთან. კაბინეტი უფრო კომფორტულია ვიდრე მდიდრული. ოთახში დგას დივანები და სავარძლები. იატაკზე მწვანე ფერის ჩინური ხალიჩაა. მეფე ჯორჯ VI შემდეგ ეს ოთახი დიდად არ შეცვლილა. ოთახში ყოველთვის ცოცხალი ყვავილებია, ძირითადად, ვარდისფერი ანდა წითელი მიხაკები, ანდა შროშანები, შესაძლოა იხილოთ ასევე მინდვრის ყვავილების თაიგული. მაგიდა, რომელიც ელისაბედ II ქლერენსის სასახლიდან მოიტანა ჩიპენდეილის სტილისაა. მაგიდაზე უამრავ სურათს შორის გამოირჩევა დედა დედოფლის სურათი, რომელიც გადაღებულია მეორე მსოფლიო ომის დროს. აღსანიშნავია ასევე დედოფალ მერის სურათი.

დედოფალი ყოველდღე ღებულობს 200-300 წერილს. იგი ყველა წერილს ეცნობა და საპასუხოდ გადასცემს მათ ან ფრეილინებს ანდა პირად მდივანს. დედოფალი ეცნობა აგრეთვე სახელგანთქმულ წითელ ყუთებში მოთავსებულ ინფორმაციებს, რომელიც მასთან მოაქვს პირად მდივანს. აქ არის წარმოდგენილი უახლესი ინფორმაციები, რომელბსაც მისი უდიდებულესობა იღებს, როგორც სახელმწიფოს მეთაური: სამთავრობო დოკუმენტაცია, წერილები, ფაქსები, როგორც თანამეგობრობის, ასევე უცხოეთის ქვეყნებიდან. ყველაფერს ეცნობა დედოფალი, საჭირო შემთხვევაში კი ხელს აწერს.

დილით დედოფალი ასევე იღებს მინისტრებს, უცხოეთის ქვეყნების ელჩებს, ბრიტანეთის ელჩებს, რომლებიც სამუშაოდ მიდიან საზღვარგარეთ, შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს, რელიგიური და სასამართლო სისტემების მოხელეებს და ა.შ. მათთან შეხვედრები მიმდინარეობს 10-20 წუთს. შეხვედრები კონფიდენციალური ხასიათისაა. დილით, შესაძლია, მოეწყოს საიდუმლო საბჭოს შეხვედრები. თუ დანიშნულია დაჯილდოების ცერემონიალი, იგი იწყება 11 საათზე და გრძელდება ერთ საათს. ამ დროს დედოფალი ხვდება 135-მდე ადამიანს და გადასცემს მათ სხვადასხვა სახის ჯილდოებს.

ლანჩს დედოფალი, ძირითადადა, მარტო მიირთმევს. ლანჩი შედგება ფრინველის ხორცის, ომლეტის ან სალათისაგან (ხშირად

ყველაფერი ერთად). მას ძალიან უყვარს ბატკნის ხორცის კატლეტი არტიშოკთან ერთად. სვამს ძირითადად მოლვენის წყალს. ლანჩის შემდეგ დედოფალი განმარტოვდება სასახლის ბაღში თავის ოთხფეხა მეგობრებთან ერთად, შემდეგ, შესაძლოა, ნახევარი საათი საძინებელ ოთახშიც კი დაისვენოს.

ნაშუადღევს ცერემონიალები ძალზედ მრავალფეროვანია. ისინი, ძირითადად, ლონდონში ენყობა. თუ შეხვედრები დედაქალაქის ფარგლებს გარეთაა დანიშნული, დედოფალი იყენებს თვითმფრინავს, ვერტმფრენს ან მატარებელს. შეხვედრების დროს მას ტრადიციულად თან ახლავს ედინბურგის ჰერცოგი. ყოველ წელს მისი უდიდებულესობა იღებს ათასზე მეტ მიპატიჟებას გაერთიანებული სამეფოს სხვადასხვა კუთხიდან. მისი უშუალო მონაწილეობით იხსნება ახალი ხიდები, შენობები, სკოლები, თეატრები. დედოფალი საავადმყოფოების, სკოლების, მოხუცთა სახლების, სამხედრო თუ სხვადასხვა სახის კულტურული დაწესებულებების ხშირი სტუმარია.

5-საათიან ჩაის თან ახლავს პატარ-პატარა ნაჭრებად დაჭრილი სენდვიჩი, ხილფაფა და დანდის ხილის ნამცხვარი, რომელსაც დედოფალი განსაკუთრებული სიამოვნებით მიირთმევს.

როდესაც დედოფალი ლონდონშია, სამშაბათობით, 18 საათსა და 30 წუთზე იგი ბაქინჰემის სასახლეში აუდიენციაზე იღებს პრემიერ-მინისტრს. საღამოობით დედოფალი ღებულობს ინფორმაციებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. სადილზე დედოფლის და მისი მეუღლის ძირითადი მენიუა ბატკნის ხორცი, შებოლილი ორაგული, იორქის პუდინგი და ვაშლის ღვეზელი, ტრადიციული გერმანული ღვინით. სადილის შემდეგ დედოფალი ესწრება კინოსეანსს, მიდის თეატრში ანდა კონცერტზე. სასახლეში ენყობა დიპლომატთა მიღების ცერემონიალი, რომელსაც მის უდიდებულესობასთან ერთად ესწრებიან სამეფო ოჯახის სხვა წევრებიც. ცერემონიალის შემდეგ დედოფალი ბრუნდება თავის კაბინეტში. 11 საათზე იგი უკვე საწოლ ოთახშია, თუმცა უმალ არ იძინებს. მას უყვარს საწოლში კითხვა, ასე, რომ სასახლის ჩრდილოეთი ფრთის გვიანობამდე განათებული ოთახი დედოფლის საწოლი ოთახია.

დედოფალსა და მის მეუღლეს ძალიან უყვართ ტელევიზორის ყურებაც. უიქენდს ისინი ძირითადად უინძორში ატარებენ.

***

2002 წელი განსაკუთრებული საიუბილეო წელია ბრიტანეთის და თანამეგობრობის ისტორიაში. ამ წელს მისმა უდიდებულესობამ

ელისაბედ II აღნიშნა გამეფების ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. თანამედროვე მსოფლიოს მონარქებს შორის გამეფების 50-წლიანი იუბილე აღნიშნეს მონაკოს პრინცმა რენიე III და ტაილანდის მეფემ რამა IX. თავად გაერთიანებული სამეფოს ისტორიაში ელისაბედ II მეხუთე მონარქია, რომლის მეფობის ხანაც 50 წელს ჭარბობს (უილიამ დამპყობლის შემდეგ). დედოფალმა ვიქთორიამ იმეფა 63 წელი და 216 დღე, ჯორჯ III — 59 წელი და 96 დღე, ჰენრი III — 56 წელი და 29 დღე, ედუარდ III — 50 წელი და 147 დღე.

დედოფალი ფანტასტიური პიროვნებაა. ის ზედმიწევნით ზუსტად ასრულებს იმ ურთულეს მოვალეობას, რომელიც ღვთისაგან დაეკისრა. ელისაბედ II, შეიძლება ითქვას, ყველაზე სახელგანთქმული მსახიობია მსოფლიოში, რომელიც ყოველგვარი რეჟისურისა და რეპეტიციის გარეშე ასრულებს უაღრესად რთულ როლს, როლს მონარქისა. იგი ყოველდღე იმ თეატრალურ სცენაზეა, რომელსაც ქვეყნისადმი განსაკუთრებული სამსახური ჰქვია და რომელსაც მილიონობით მაყურებელი ჰყავს.

ალბათ, არაფერი არსად ინონება და ფასდება ისე მკაცრად, როგორც დედოფლის ცხოვრების ნებისმიერი წვრილმანი, მისი გამოსვლა, ნაბიჯი, სიტყვა, გამოხედვა, ჩაცმულობა და ა.შ. უაღრესად რთულია, დღევანდელ სამყაროში იყო ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პიროვნება, მსოფლიოს ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ქვეყნის პირველი პირი, სახელმწიფოს მეთაური ქვეყნისა, რომლის მოსახლეობაც 60 მილიონს სჭარბობს, ხელმძღვანელობდე მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს გაერთიანებას მილიარდნახევრიანი მოსახლეობით. ამავე დროს, რთულზე რთულია იყო ჩვეულებრივი ადამიანი, შვილების დედა, შვილიშვილების ბებია, მეუღლე და მეგობარი. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, უაღრესად ძნელია სრულფასოვნად შეასრულო შენზე დაკისრებული ყველა მოვალეობა. დედოფალი კი მეფობის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, მართლაც, რომ შეუცდომლად „მოძრაობდა". იგი წარმოადგენს იმ დიდი ქვეყნის რეალურ სახეს, რომელმაც საუკუნეების მანძილზე უდიდესი როლი შეასრულა კაცობრიობის განვითარებაში და დღესაც მოწინავეთა რიგებშია.

დედოფალს იხილავთ ბრილიანტებიანი თეარით და ყელსაბამით მორთულს, მომლიმარს ბაქინჰემის სასახლის სამეფო აპარტამენტებში და ჩვეულებრივი დასვენებისას ცხენით მოსეირნეს ბოლმოროლსა თუ უინძორში. ის ხომ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ტრიუმფალურად ატარებს სამეფო გვირგვინს და, ამავე დროს, საუკეთესო მეუღლე, დედა და ბებიაა.

დინასტიები და მონარქები

(მეფობის წლები)

ინგლისის ანგლო-საქსელი და სკანდინავიელი მონარქები

1. ეგბერთი	802-839 წწ.
2. ეთელვულფი	839-858 წწ.
3. ეთელბოლდი	858-860 წწ.
4. ეთელბერთი	860-865 წწ.
5. ეთელრედ I	865-871 წწ.
6. ალფრედ დიდი	871-899 წწ.
7. ედუარდ უფროსი	899-924 წწ.
8. ეთელსთანი	924-939 წწ.
9. ედმუნდ I	939-946 წწ.
10. ედრედი	946-955 წწ.
11. ედუი	955-959 წწ.
12. ედგარი	959-975 წწ.
13. ედუარდ II მწამებელი	975-978 წწ.
14. ეთელრედი უსმინარი	978-1016 წწ.
15. ედმუნდ რკინისგვერდიანი	1016 წ.
16. ქნუთი	1016-1035 წწ.
17. ჰაროლდ I	1035-1040 წწ.
18. ჰართქნუთი	1040-1042 წწ.
19. ედუარდ აღმსარებელი	1042-1066 წწ.
20 ჰაროლდ II	1066 წ.

ნორმანთა დინასტია

21. უილიამ I	1066-1087 წწ.
22. უილიამ II	1087-1100 წწ.
23. ჰენრი I	1100-1135 წწ.
24. სტეფანი	1135-1154 წწ.
25. მათილდა	1141 წ.

პლანთაგენეთების დინასტია

26. ჰენრი II	1154-1189 წწ.
27. რიჩარდ I	1189-1199 წწ.
28. ჯონი უმიწანყლო	1199-1216 წწ.
29. ჰენრი III	1216-1272 წწ.

30. ედუარდ I	1272-1307 წწ.
31. ედუარდ II	1307-1327 წწ.
32. ედუარდ III	1327-1377 წწ.
33. რიჩარდ II	1377-1399 წწ.

ლენქასთერების დინასტია

34. ჰენრი IV	1399-1413 წწ.
35. ჰენრი V	1413-1422 წწ.
36. ჰენრი VI	1422-1461 წწ.
	1470-1471 წწ.

იორქების დინასტია

37. ედუარდ IV	1461-1483 წწ.
38. ედუარდ V	1483 წ.
39. რიჩარდ III	1483-1485 წწ.

თიუდორების დინასტია

40. ჰენრი VII	1485-1509 წწ.
41. ჰენრი VIII	1509-1547 წწ.
42. ედუარდ VI	1547-1553 წწ.
43. ჯეინი	1553 წ.
	(გრეის სახლი, მეფობდა 9 დღე)
44. მერი I	1553-1558 წწ.
45. ელისაბედ I	1558-1603 წწ.

სთიუართების დინასტია

46. ჯეიმს I (ჯეიმს VI შოტლანდიელი)	1603-1625 წწ.
47. ჩარლზ I	1625-1649 წწ.

ქრომველის მმართველობა 1649-1660 წწ.

48. ჩარლზ II	1660-1685 წწ.
49. ჯეიმს II	1685-1688 წწ.

50. მერი II	1689-1694 წწ.
51. უილიამ III	1689-1702 წწ.
52. ანა	1702-1714 წწ.

ჰანოვერების დინასტია

53. ჯორჯ I	1714-1727 წწ.
54. ჯორჯ II	1727-1760 წწ.
55. ჯორჯ III	1760-1820 წწ.
56. ჯორჯ IV	1820-1830 წწ.
57. უილიამ IV	1830-1837 წწ.
58. ვიქტორია	1837-1901 წწ.

საქს-ქობურგ-გოთას და უინძორეთა (1917 წლიდან) დინასტია

59. ედუარდ VII	1901-1910 წწ.
60. ჯორჯ V	1910-1935 წწ.
61. ედუარდ VIII	1936 წ.
62. ჯორჯ VI	1936-1952 წწ.
63. ელისაბედ II	1952 წლიდან დღემდე

მისი უდიდებულესობის დედოფალ ელისაბედ II მეფობის პერიოდში მომხდარი ზოგიერთი ცნობილი მოვლენა მსოფლიოში, გაერთიანებულ სამეფოსა და ბრიტანეთის სამეფო ოჯახში

1952-2002 წწ.

1952 წ.

1. ნოემბერი — აშშ-ში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად გამარჯვებას მიაღწია დუაით ეიზენჰაუერმა.

2. ოქტომბერი — ბრიტანეთმა გამოცადა პირველი ბირთვული იარაღი წყნარ ოკეანეში.

3. თებერვალი — დედოფალი ელისაბედ II ჩამოვიდა კენიიდან სამშობლოში. წმინდა ჯეიმსის სასახლეში იგი გამოაცხადეს ქვეყნისა და თანამეგობრობის მეთაურად.

1953 წ.

1. მარტი — 73 წლის ასაკში მოსკოვში გარდაიცვალა სტალინი, საბჭოთა ლიდერი გახდა ხრუშჩოვი.

2. დეკემბერი — სერ უინსტონ ჩერჩილი გახდა ნობელის პრემიის ლაურიატი ლიტერატურის დარგში.

3. ივნისი — ისტორიულ უესთნმინსტერის სააბათოში მოეწყო ელისაბედ II მეფედკურთხევის ცერემონიალი.

1954 წ.

1. ნოემბერი — ალჟირში დაიწყო განმანთავისუფლებელი ბრძოლა ფრანგების წინააღმდეგ.

2. დეკემბერი — გაერთიანებულ სამეფოში დასრულდა სასურსათო ბარათების გამოყენება, რომელიც შემორებულ იქნა მეორე მსოფლიო ომის დროს.

3. მაისი — დედოფალი ელისაბედ II და ედინბურგის ჰერცოგი დაბრუნდნენ თანამეგობრობის ქვეყნებში ექვსთვიანი მოგზაურობიდან.

1955 წ.

1. მაისი — ვარშავაში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ სსრ კავშირს, პოლონეთს, რუმინეთს, უნგრეთშ, ჩეხოსლოვაკიას, გდრ, ალბანეთსა და ბულგარეთს შორის (ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, კომუნისტური ბლოკის სამხედრო ორგანიზაცია).

2. აპრილი — ანთონ იდენი გახდა გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი; მან შეცვალა დაუნინგ სთრითზე უ. ჩერჩილი.

3. ოქტომბერი — პრინცესა მარგარითამ ოფიციალურად განაცხადა, რომ მისი სასიყვარულო რომანი პეთერ თოუნსენდთან დასრულდა.

1956 წ.

1. აპრილი — პრინცი რენიე III, მონაკოს თავადი, დაქორწინდა ცნობილ ამერიკელ მსახიობზე გრეის ქელიზე. ჯვრისწერის ცერემონიალი მიმდინარეობდა მონაკოში, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში.

2. ოქტომბერი — ქამბრიაში გაიხსნა მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური.

3. ოქტომბერი — ედინბურგის ჰერცოგი აწყობს მის პირველ სოლო ვიზიტს საზღვარგარეთ. იგი ეწვია ავსტრალიას, სადაც გახსნა მელბურნის ოლიმპიური თამაშები.

1957 წ.

1. მარტი — რომში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება „საერთო ბაზრის" შექმნის შესახებ. თავდაპირველად აქ გაერთიანდნენ საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ბელგია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები.

2. იანვარი — ჰაროლდ მაქმილანი გახდა გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი. მან შეცვალა იდენი.

3. დეკემბერი — დედოფალი ელისაბედ II საშობაო მილოცვა პირველად გადაიცა ტელევიზიის საშუალებით.

1958 წ.

1. დეკემბერი — შარლ დე გოლი გახდა მეხუტე რესპუბლიკის (საფრანგეთი) პირველი პრეზიდენტი.

2. ივნისი — საზეიმოდ გაიხსნა გეთუიქის საერთაშორისო აეროპორტი ლონდონის სამხრეთით.

3. ოქტომბერი — ბრიტანეთის ტელევიზიით პირველად მოეწყო ქვეყნის პარლამენტის საზეიმო გახსნის ცერემონიალის ტრანსლიაცია.

1959 წ.

1. იანვარი — კუბაზე ხელისუფლების სათავეში მოვიდა ფიდელ კასტრო.

2. ნოემბერი — ბრიტანეთში გაიხსნა პირველი 72 მილის სიგრძის ავტომაგისტრალი M -1.

3. ივნისი — ელისაბედ II, აშშ-ს პრეზიდენტთან და კანადის პრემიერ-მინისტრთან ერთად საზეიმო ვითარებაში გახსნა წმ. ლავრენტიის არხი.

1960 წ.

1. ნოემბერი — აშშ ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად გამარჯვებას მიაღწია ჯონ ქენედიმ 43 წლის ასაკში.

2. ოქტომბერი — ბრიტანეთის ერთ-ერთი უდიდესი კოლონია აფრიკაში, ნიგერია, დამოუკიდებელი გახდა.

3. თებერვალი — ბაქინჰემის სასახლეში დაიბადა დედოფლის მესამე შვილი, პრინცი ენდრიუ.

1961 წ.

1. აპრილი — საბჭოთა კოსმონავტი იური გაგარინი მსოფლიოში პირველად გაფრინდა კოსმოსში.

2. მაისი — ვატიკანში მოეწყო ისტორიული შეხვედრა კათოლიკური სამყაროს მეთაურსა — რომის პაპ ჯონ XXIII და ანგლიკანური ეკლესიის მეთაურს — ელისაბედ II შორის.

3. ნოემბერი — დაიბადა დეივიდი, პრინცესა მარგარეთას უფროსი შვილი, რომელიც იმ დროისათვის ტახტის მემკვიდრეობის ხაზით მეხუთე იყო.

1962 წ.

1. აგვისტო — ლოს-ანჟელესში გარდაიცვალა სახელგანთქმული მერლინ მონრო.

2. თებერვალი — ბრიტანეთში პირველად გამოვიდა ფერადი ჟურნალი, „სანდი თაიმსის" დამატება.

3. ივნისი — პირველად გაიხსნა დედოფლის გალერეა, ბაქინჰემის სასახლესთან.

1963 წ.

1. ნოემბერი — დალასში, ტეხასი, 46 წლის ასაკში მოკლეს აშშ 43-ე პრეზიდენტი ჯონ ქენედი.

2. ოქტომბერი — მაქმილანმა დატოვა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. იგი შეცვალა სერ ალექ დუგლას ჰიუმმა.

3. აპრილი — უესთმინსტერის სააბათოში დაქორწინდა პრინცესა ალექსანდრა, დედოფლის ბიძაშვილი, მეფე ჯორჯ V შვილიშვილი.

1964 წ.

1. ოქტომბერი — მართინ ლუთერ ქინგი გახდა ნობელის პრემიის ლაურუატი მშვიდობის დარგში.

2. ოქტომბერი — ბრიტანეთში საპარლამენტო არჩევნებში 13 წლის შესვენების შემდეგ გამარჯვება მოიპოვეს ლეიბორისტებმა. პრემიერი გახდა ჰ. უილსონი.

3. მარტი — ბაქინჰემის სასახლეში დედოფალი ელისაბედ II შეეძინა მეოთხე შვილი, პრინცი ედუარდი, დღეს უესექსის გრაფი.

1965 წ.

1. ივლისი — ბუხარესტში მიმდინარეობდა რუმინეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობა. ჩაუშესკუ აირჩიეს გენერალურ მდივნად.

2. იანვარი — 90 წლის ასაკში გარდაიცვალა სერ უინსთონ ჩერჩილი.

3. მარტი — 67 წლის ასაკში გარდაიცვალა დედოფლის მამიდა, მეფე ჯორჯ VI ერთადერთი და, პრინცესა მერი.

1966 წ.

1. იანვარი — ინდირა განდი, ჯავახარლალ ნერუს ქალიშვილი, გახდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი.

2. ივლისი — ინგლისის ეროვნული ნაკრები ფეხბურთში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. მათ დაამარცხეს გერმანიის ნაკრები უემბლის სტადიონზე.

3. მაისი — დედოფალი ეწვია ოფიციალურ ვიზიტად ბელგიის სამეფოს.

1967 წ.

1. ივნისი — ისრაელის ჯარებმა დაიკავეს იერუსალიმის არაბული ნაწილი.

2. ივლისი — ბი-ბი-სიმ დაიწყო რეგულარული ფერადი სატელევიზიო გადაცემები.

3. ოქტომბერი — პრინც ჩარლზმა სწავლა დაიწყო ქემბრიჯის უნივერსიტეტში.

1968 წ.

1. აგვისტო — საბჭოთა ჯარები შეავიდნენ პრაღაში. ცნობილი პრაღის მოვლენები.

2. ოქტომბერი — ჯონ ლენონი და მისი მეგობარი იოკო ონო დააკავეს ნარკოტიკებთან დაკავშირებით.

3. ივნისი — პრინცი ჩარლზი გახდა წვივსახვევი ორდენის კავალერი.

1969 წ.

1. ივლისი — ნილ ამსთრონგი გახდა პირველი ადამიანი, რომელმაც ფეხი დაადგა მთვარეს.

2. მარტი — პოლ მაქართნი დაქორწინდა ლინდა ისთმენზე.

3. ივლისი — ქარნარვონის ციხე-სიმაგრეში (უელსი) მოენყო პრინც ჩარლზის უელსის პრინცად კურთხევის ცერემონიალი.

1970 წ.

1. დეკემბერი — ბრაზილიის დედაქალაქ ბრაზილიაში საზეიმოდ გაიხსნა გვირგვინის ფორმისმაგვარი კატედრალი. მისი არქიტექტორი იყო სახელგანთქმული ოსკარ ნიმეირი.

2. ოქტომბერი — BP ოფიციალურად გამოაცხადა ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგის არსებობის შესახებ ჩრდილოეთის ზღვის ბრიტანულ სექტორში.

3. იანვარი — პრინცესა ანა გახდა Save the Children Fund-ის პრეზიდენტი.

1971 წ.

1. ნოემბერი — შვეიცარიაში მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს მიეცათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

2. ივნისი — ბრიტანეთის განათლების მინისტრმა მ. თეთჩერმა სკოლებში აკრძალა უფასო რძე.

3. ნოემბერი — პრინცესა ანა დაასახელეს ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად ცხენოსნობაში მიღწეული წარმატებებთან დაკავშირებით.

1972 წ.

1. მარტი — ჯორჯიაში, ათლანთასთან ახლოს დასრულდა მსოფლიოში უდიდესი სკულპტურული კომპლექსის შექმნა, რომელზეც მუშაობა 50 წლის მანძილზე მიმდინარეობდა. მასზე გამოსახულია კონფედერაციის ლიდერთა ცხენებზე ამხედრებული ფიგურები.

2. იანვარი — „სისხლიანი კვირა" ლონდონდერში, ჩრ. ირლანდია.

3. მაისი — პარიზში გარდაიცვალა უინძორის ჰერცოგი, დედოფლის ბიძა.

1973 წ.

1. აპრილი — 91 წლის ასაკში გარდაიცვალა XX საუკუნის ყველაზე სახელგანთქმული მხატვარი პაბლო პიკასო.

2. იანვარი — გაერთიანებული სამეფო გახდა „საერთო ბაზრის" წევრი.

3. ნოემბერი — პრინცესა ანა უესთმინსთერის სააბათოში დაქორწინდა მარკ ფილიპსზე.

1974 წ.

1. აგვისტო — აშშ პრეზიდენტი ნიქსონი გადადგა თანამდებობიდან.
2. მარტი — პარლამენტის არჩევნებში გაიმარჯვა ლეიბორისტულმა პარტიამ. პრემიერ-მინისტრი კვლავ გახდა ჰ. უილსონი.
3. მარტი — განხორციელდა თავდასხმა პრინცესა ანაზე, მოლზე, ბაქინჰემის სასახლესთან ახლოს.

1975 წ.

1. ნოემბერი — მადრიდში 82 წლის ასაკში გარდაიცვალა გენერალი ფრანკო. ესპანეთის ტახტზე ავიდა მეფე ხუან კარლოს ბურბონი.
2. ივნისი — გაერთიანებულ სამეფოში ჩატარდა რეფერენდუმი ქვეყნის „საერთო ბაზართან" შემდგომ ურთიერთობასთან დაკავშირებით. მოსახლეობის 67,2%-მა მხარი დაუჭირა „საერთო ბაზარში" ბრიტანეთის გაწევრიანებას.
3. მაისი — მისი უდიდებულესობა ელისაბედ II და ედინბურგის ჰერცოგი ოფიციალურ ვიზიტად ეწვივნენ იაპონიას.

1976 წ.

1. სექტემბერი — ბეიჯინგში 82 წლის ასაკში გარდაიცვალა მაო ძე დუნი.
2. იანვარი — 85 წლის ასაკში გარდაიცვალა მსოფლიოში სახელგანთქმული მწერალი აგათა ქრისთი.
3. ივნისი — აშშ დამოუკიდებლობის 200 წლისთავთან დაკავშირებით ქვეყანას ეწვია ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II მეუღლითურთ.

1977 წ.

1. თებერვალი — პარიზში საზეიმოდ გაიხსნა ჟ. პომპიდუს სახელობის თანამედროვე ხელოვნების ცენტრი.
2. ნოემბერი — დაიბადა დედოფლის პირველი შვილიშვილი პიტერი (პრინცესა ანას ვაჟი).
3. ივნისი — ლონდონში, წმინდა პავლეს ტაძარში, მოეწყო დედოფალ ელისაბედ II მეფედკურთხევის „ვერცხლის იუბილესთან" დაკავშირებული სპეციალური სამადლობელო წირვა.

1978 წ.

1. ოქტომბერი — კათოლიკური სამყაროს მეთაური გახდა პაპი იოანე პავლე II, პირველი არაიტალიელი 1542 წლის შემდეგ.

2. ივნისი — გაერთიანებულ სამეფოში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა რუმინეთის პირველი პირი, ჩაუშესკუ მეუღლითურთ.

3. ივლისი — დედოფლის ბიძაშვილი მაიქლი, ქენთის პრინცი, ქორწინდება კათოლიკეზე, მარია ქრისთინა რეიბნითზე. ასეთი ქორწინების შედეგად მან დაკარგა უფლება ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეთა შორის.

1979 წ.

1. დეკემბერი — საბჭოთა კავშირის სამხედრო შენაერთები შევიდნენ ავღანეთში.

2. მაისი — გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი გახდა ქვეყნის ისტორიაში პირველი ქალი მარგარეთ თეთჩერი.

3. აგვისტო — ტერორისტების მიერ მოკლულ იქნა ლორდ მაუნთბეთენი, დედოფლის მეუღლის, ედინბურგის ჰერცოგის ბიძა.

1980 წ.

1. აპრილი — 71 წლის ასაკში გადადგა ნიდერლანდების დედოფალი იულიანე, მისი ადგილი დაიკავა მისმა უფროსმა ქალიშვილმა, 42 წლის ბეატრიქსმა.

2. აგვისტო — გაერთიანებულ სამეფოში უმუშევრობამ გადააჭარბა 2 მილიონს, პირველად 1935 წლის შემდეგ.

3. ივლისი — დედა დედოფალმა საზეიმოდ გახსნა ფედმარშალ ვისქონთ მონთგომერის ძეგლი უაიტჰოლზე.

1981 წ.

1. აპრილი — ვატიკანში, წმ. პეტრეს მოედანზე, მოენყო თავდასხმა რომის პაპზე.

2. ივნიასი — ლონდონში გაიხსნა იმ დროისათვის ბრიტანეთისა და ევროპის უმაღლესი ცათამბჯენი Nat West Tower (დღეს ბრიტანეთში სიმაღლით მეოთხე შენობა).

3. ივლისი — წმ. პაულეს ტაძარში ჯვარი დაიწერა ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრემ, პრინცმა ჩარლზმა და ლედი დაიანა სპენსერმა.

1982 წ.

1. სექტემბერი — პრინცესა გრეისი, მონაკოს პრინცესა, 52 წლის ასაკში ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

2. აპრილი-ივნისი — მიმდინარეობდა არგენტინა-ბრიტანეთის სამხედრო კონფლიქტი ფოლქლენდის კუნძულებისათვის.

3. ივნისი — დაიბადა პრინცი უილიამი, პრინც ჩარლზისა და პრინცესა დაიანას უფროსი ვაჟი.

1983 წ.

1. დეკემბერი — დასრულდა მსოფლიოში უდიდესი რეზიდენციის, ბრუნეის სულთანის სასახლის მშენებლობა.

2. დეკემბერი — ირლანდიის რესპუბლიკური არმიის მიერ მონყობილ ტერორისტულ აქტს ლონდონის ცენტრში, ცნობილ Harrods-თან, შეეწირა 5 ადამიანის სიცოცხლე, 91 დაიჭრა.

3. ნოემბერი — ინდოეთში ვიზიტის დროს მისი უდიდებულესობა ელისაბედ II-მ ბრიტანეთის ერთ-ერთი უმაღლესი ორდენი *ორდენი დამსახურებისათვის* გადასცა სახელგანთქმულ დედა თერეზას.

1984 წ.

1. ოქტომბერი — ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი მოკლა თავისივე დაცვის წევრმა. პრემიერი გახდა მისი ვაჟი რაჯივ განდი.

2. დეკემბერი — გაერთიანებულმა სამეფომ და ჩინეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ჰონქონგის მომავალის თაობაზე.

3. სექტემბერი — დაიბადა პრინცი ჰენრი, პრინც ჩარლზისა და პრინცესა დაიანას უმცროსი ვაჟი.

1985 წ.

1. მარტი — მიხეილ გორბაჩოვი გახდა საბჭოთა კავშირის ლიდერი.

2. მარტი — დასრულდა მაღაროელთა საყოველთაო გაფიცვა.

3. თებერვალი — დედოფალი ელისაბედ II ეწვია გაზეთ „თაიმსის" რედაქციას მისი დაარსების 200 წლისთავის აღსანიშნავ იუბილესთან დაკავშირებით.

1986 წ.

1. აპრილი — ავარია ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე.

2. მაისი — ლონდონში გაიხსნა კომპანია ლოიდზის ულტრათანამედროვე შენობა, არქიტექტორი რიჩარდ როჯერსი.

3. ივლისი — პრინც ენდრიუს და ლედი სარა ფერგიუსონის ჯვრისწერის ცერემონიალი უესთმინსთერის სააბათოში.

1987 წ.

1. მარტი — ჩრდილოეთის ზღვაში ჩაიძირა ბელგიის გემი 'Herald of Free Enterprise' 500 მეზღვაურიდან 192 დაიღუპა.

2. ივნისი — პარლამენტის არჩევნებში კონსერვატიული პარტია მესამეჯერ ზედიზედ მ. თეთჩერის ხელმძღვანელობით აღწევს გამარჯვებას.

3. იანვარი — პრინცი ედუარდი, დედოფლის უმცროსი ვაჟი, ტოვებს საზღვაო სამსახურს.

1988 წ.

1. დეკემბერი — სომხეთში მიწისძვრას შეეწირა 25 ათასი ადამიანის სიცოცხლე

2. დეკემბერი — შოტლანდიაში, სოფ. ლოქერბისთან, ჩამოვარდა ტერორისტის მიერ აფეთქებული „ბოინგ 747", რომელიც მიფრინავდა ლონდონიდან ნიუ-იორქში, დაიღუპა 259 მგზავრი და სოფლის 11 მცხოვრები.

3. მარტი — ქლოსტერში, შვეიცარია, დატრიალებული ტრაგედიის შედეგად პრინცი ჩარლზი გადაურჩა სიკვდილს. დაიღუპა მისი მეგობარი, სამეფო ოჯახის ახლობელი ჰიუ ლინდსი.

1989 წ.

1. ნოემბერი — დაეცა ბერლინის კედელი.

2. ივნისი — გარდაიცვალა ლოურენს ოლივიე.

3. აგვისტო — ბაქინჰამის სასახლე აცხადებს პრინცესა ანას და მისი მეუღლის ცალ-ცალკე ცხოვრების შესახებ.

1990 წ.

1. თებერვალი — ნელსონ მანდელა თავისუფლდება ციხიდან 27 წლის პატიმრობის შემდეგ.

2. ნოემბერი — მ. თეთჩერი პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე შეცვალა ჯონ მეიჯორმა.

3. აგვისტო — დედა დედოფალი გახდა ბრიტანეთის ისტორიაში პირველი დედოფალი, რომელმაც აღნიშნა დაბადების 90 წელი.

1991 წ.

1. იანვარი-თებერვალი — ბრძოლები ქუვეითის განთავისუფლებისათვის.

2. აპრილი — ლონდონში გაიხსნა ეროვნული გალერეის სოლსბერის ფრთა, არქიტექტორი რობერთ ვენთუსი.

3. ივნისი — ლონდონის სითიში დედოფალმა ელისაბედ II მიიღო სპარსეთის ყურიდან გამარჯვებით დაბრუნებული ჯარების პარადი.

1992 წ.

1. ნოემბერი — პრაღაში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 1993 წლის იანვრიდან ჩეხოსლოვაკია გაიყოფა ორ ქვეყანად: ჩეხეთად და სლოვაკიად.

2. დეკემბერი — პრემიერ-მინისტრმა მეიჯორმა ქვეყანას ამცნო, რომ უელსის პრინცი და პრინცესა იცხოვრებენ ცალ-ცალკე.
3. ნოემბერი — ხანძარი უინძორის ციხე-სიმაგრეში.

1993 წ.

1. ივლისი — მწყობრში ჩადგა ჰასან II დიდის სახელგანთქმული მეჩეთი კასაბლანკაში (მაროკო), ერთ-ერთი უდიდესი მსოფლიოში.
2. იანვარი — ესპანური ტანკერის 'Brear' გაფუჭების შედეგად შეთლანდის კუნძულებთან ათასობით ტონა ნავთი ჩაიღვარა წყალში, რამაც გამოიწვია სერიოზული ეკოლოგიური პრობლემები.
3. აპრილი — დედოფალი ელისაბედ II დაიწყო საშემოსავლო გადასახადების გადახდა პირად ქონებაზე.

1994 წ.

1. მაისი — გარდაიცვალა ჟაქლინ ქენედი.
2. მაისი — გაიხსნა სარკინიგზო გვირაბი დუვრის სრუტის ქვეშ (ბრიტანეთი სახმელეთო გზით დაუკავშირდა ევროპას).
3. ოქტომბერი — ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II მეუღლითურთ ეწვია ოფიციალურ ვიზიტად რუსეთს.

1995 წ.

1. იანვარი — შვედეთი, ავსტრია და ფინეთი გახდნენ ევროკავშირის წევრები.
2. აგვისტო — გაერთიანებული სამეფო ზეიმობს მეორე მსოფლიო ომზე გამარჯვების 50 წლისთავს.
3. მარტი — დედოფალი ელისაბედ II და ედინბურგის ჰერცოგი ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

1996 წ.

1. აგვისტო — კუალა-ლუმპურში, მალაიზია, მწყობრში ჩადგა მსოფლიოს უმაღლესი ცათამბრჯენი, პეტრონავსის ტყუპები.
2. ივნისი — გაიხსნა მეორე ხიდი მდ. სევერნზე, რომელიც აკავშირებს უელსსა და ინგლისს.
3. აგვისტო — უელსელები ოფიციალურად განქორწინდნენ. უელსის პრინცესამ დაკარგა ტიტული „მისი უმაღლესობა“.

1997 წ.

1. აგვისტო — პარიზში ავტოკატასტროფის დროს დაიღუპა უელსის პრინცესა.

2. მაისი — თ. ბლერი ხდება ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი.

3. ნოემბერი — დედოფალი ელისაბედ II და ედინბურგის ჰერცოგი აღნიშნავენ ქორწინების „ოქროს იუბილეს".

1998 წ.

1. მაისი — ინდონეზიის პრეზიდენტი სუხარტო გადადგა თანამდებობიდან. იგი ქვეყანას მართავდა 1968 წლიდან.

2. ივლისი — გაიხსნა ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ახალი შენობა.

3. ნოემბერი — უელსის პრინცმა აღნიშნა დაბადების დღის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე.

1999 წ.

1. იანვარი — ნატოს წევრები გახდნენ: პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი.

2. ივნისი — დედოფალმა ელისაბედ II ედინბურგში გახსნა შოტლანდიის პარლამენტის პირველი სხდომა.

3. ნოემბერი — ავსტრალიის მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა რეფერენდუმის დროს მხარი დაუჭირა ბრიტანეთის მონარქიის ხელისუფლების არსებობას ქვეყანაში.

2000 წ.

1. ოქტომბერი — გაი სინძინი გახდა პირველი ჩინელი, რომელმაც მიიღო ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში.

2. სექტემბერ-ოქტომბერი — სიდნეის ოლიმპიადაზე, ბრიტანეთმა მოიპოვა 28 მედალი, მ.შ. 11 ოქროს, 10 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს, ყველაზე მეტი მედალი 1940 წლის ანტვერპენის ოლიმპიადის შემდეგ.

3. აგვისტო — დედა დედოფალმა აღნიშნა დაბადების დღის საუკუნოვანი იუბილე.

2001 წ.

1. სექტემბერი — უდიდესი ტერორისტული აქტები აშშ-ში, ნიუ-იორქსა და ვაშინგტონში. დაიღუპა დაახლოებით 3 ათასამდე ადამიანი.

2. ოქტომბერი — ბრიტანეთი აქტიურ მონაწილეობას იღებს ანტიტერორისტული ქვეყნების კოალიციაში, რომელიც ძირითადად მიმართულია ავღანეთში თალიბთა რეჟიმის წინააღმდეგ.

3. სექტემბერი — პრინცმა უილიამმა სწავლა დაიწყო შოტლანდიაში, წმინდა ენდრიუს უნივერსიტეტში.

2002 წ.

1. აგვისტო — წყალდიდობა ცენტრალური ევროპის ქვეყნებსა (გერმანია, ავსტრია, ჩეხეთი, უნგრეთი), ჩინეთსა და კორეის ნახევარკუნძულზე.

2. ივლისი — გაიხსნა ლონდონის მერიის ულტრათანამედროვე შენობა.

3. ივნისი — ლონდონში, წმინდა პავლეს ტაძარში მოეწყო დედოფალ ელისაბედ II მეფედკურთხევის „ოქროს იუბილის" აღსანიშნავი სპეციალური სამადლობელო წირვა.